



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი  
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

# ევროკავშირი ა და საქართველოს ერთობლივი პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ

ევროკავშირის მართლმსაჯულებისა და  
საერთო იურისდიქციის სასამართლოების  
გადაწყვეტილებების კრებული



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

# სარჩევი

სარჩევი.....	1
თავი I. პროცედურული საკითხები.....	6
სამართალწარმოება მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე.....	7
დასაშვებობა .....	7
ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვა.....	9
სამართალწარმოება ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოში.....	11
დასაშვებობა .....	11
ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოში სამართალწარმოების საგანი.....	13
სამართალწარმოება სააპელაციო პალატაში.....	18
სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა .....	18
არსებითი პროცედურული მოთხოვნები .....	21
პროცედურა პირველ ინსტანციაში.....	27
Ex parte პროცედურა .....	27
Inter partes პროცედურა.....	27
თავი II. სასაქონლო ნიშნები .....	31
აბსოლუტური საფუძვლები (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7) - ბათილობა (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 59).....	32
ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ა) / 59(1)(ა) - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განმარტება.....	32
ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაციის მუხლი 7(1)(ა) / 59(1)(ა) - ნიშანი, რომლისგანაც შეიძლება შედგებოდეს ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი - ფერი, როგორც სასაქონლო ნიშანი.....	32
ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ბ) / 59(1)(ა) - არაგანმასხვავებელუნარიანი სიმბოლო .....	33
ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(გ) / 59(1)(ა) - აღწერილობითი სიმბოლო .....	40
ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(დ) / 59(1)(ა) - გვარეობითი სიმბოლო.....	44

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე) / 59(1)(ა) – ფორმა.....	44
მუხლი 7(1)(h) / 59(1)(a) EUTMR – პარიზის კონვენციის 6ter მუხლი.....	49
მუხლი 7(1)(i) / 59(1)(a) EUTMR – სხვა ემბლემები .....	49
მუხლი 7(1)(j) / 59(1)(a) EUTMR – გეოგრაფიული აღნიშვნები .....	49
მუხლი 7(1)(k) / 59(1)(a) EUTMR – ღვინის ტრადიციული ტერმინები .....	58
მუხლი 7(1)(m) / 59(1)(a) EUTMR – მცენარეთა ჯიშების დასახელებები... ..	58
მუხლი 59(1)(b) EUTMR – ბათილობის აბსოლიტური საფუძველი, არაკეთილსინდისიერი განზრახვა .....	59
მუხლი 7(3) / 59(2) EUTMR – შეძენილი განმასხვავებელუნარიანობა .....	62
<b>შედარებითი საფუძვლები (EUTMR მუხლი 8) ბათილობა (EUTMR მუხლი 60)...</b>	<b>66</b>
მუხლი 8(1)(a) / 60(1)(a) EUTMR – იდენტური ნიშნები/საქონელი&მომსახურება-საქონლის მსგავსება იდენტური საქონლის მომსახურებაზე.....	66
აღრევის შესაძლებლობა-სიტყვითი სიმბოლოები, გამოსახულებითი ნიშნები, გამოსახულებითი ნიშნების დაცვის ფარგლები, ნიშნები რომლებიც შეიცავს სუსტ/არაგანმასხვავებელუნარიან ელემენტებს, ნიშნის რეპუტაციის გავლენა და როლი.....	66
სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 8(2)(c) / 60(1)(a)– საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები (პარიზის კონვენციის მუხლი 6bis) – ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება, სოციოლოგიური კვლევა.....	82
სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(3) / 60(1)(b) მუხლი – აგენტის ან წარმომადგენლის მიერ რეგისტრირებული ნიშანი.....	83
EUTMR 8 (5)/60(1)(ა) მუხლი – რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნები ...	85
EUTMR-ის 8(6) / 60(1)(დ) მუხლი – გეოგრაფიული აღნიშვნები .....	97
EUTMR-ის 60(2)(ა) მუხლი – სახელის უფლება.....	97
EUTMR-ის 60(2)(ბ) მუხლი – უფლება პირად გამოსახულებაზე.....	98
EUTMR-ის 60(2)(გ) მუხლი – საავტორო უფლებები .....	98
EUTMR-ის 60(2)(დ) მუხლი - სამრეწველო საკუთრებაზე უფლებები .....	98
<b>გაუქმების საფუძვლები (EUTMR-ის 58-ე მუხლი).....</b>	<b>99</b>
მტკიცების ტვირთი – პრინციპი.....	99
EUTMR-ის 58(1)(ა) მუხლი – გაუქმება ნიშნის გამოუყონებლობის გამო.....	99
EUTMR-ის მუხლი 58(1)(ბ) – საქონლის ან მომსახურების ზოგადი სახელი / გვარეობითი ტერმინი.....	99
EUTMR-ის 58(1)(გ) მუხლი – პასუხისმგებლობა საზოგადოების შეცდომაში შეყვანაზე.....	100

ნიშნის გამოყენების დადასტურება და მტკიცებულებების შეფასება.....	102
EUTMR-ის 47(2) მუხლი – ნიშნის გამოყენება.....	102
პროცედურული ასპექტები .....	105
გამოყენების სახეები .....	106
გამოყენების ადგილი.....	119
გამოყენების ხანგრძლივობა.....	120
გამოყენების მასშტაბი.....	122
ნიშნის გამოყენება რეგისტრირებულ ფორმასთან შედარებით.....	125
გამოყენება იმ საქონლის ან მომსახურებისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ნიშანი, კატეგორიები და ქვეკატეგორიები .....	129
გამოყენება მფლობელის მიერ ან მისი სახელით .....	130
ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 47-ე მუხლი მე-2 ნაწილი – გამოყენებლობის გამართლება .....	131
<b>თავი III. დიზაინი.....</b>	<b>134</b>
საბჭოს რეგულაციის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი / 9 - სარეგისტრაციო წარმოება .....	135
საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი – ბათილობის სამართალწარმოება.....	135
რეგულაცია (EC) No 6/2002 მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი – საქონლის გარეგნობის მახასიათებლები .....	136
მე-5 მუხლი – სიახლე / მე-6 მუხლი – ინდივიდუალური ხასიათი / მე-7 მუხლი.....	138
საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტი .....	143
საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტი.....	143
საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ პუნქტი – წევრი სახელმწიფოს საავტორო უფლებების კანონით დაცული ნაწარმოების არავტორიზებული გამოყენება .....	144
<b>თავი IV. საავტორო უფლებები .....</b>	<b>145</b>
<b>საავტორო და მომიჯნავე უფლებები.....</b>	<b>146</b>
2001/29/EC დირექტივის, 2-5 მუხლები .....	146
მუხლი 3(1) დირექტივა 2001/29/EC / მუხლი 8(2) დირექტივა 2006/115/EC	146
<b>კოლექტიური მართვის ორგანიზაციები (კმო-ები).....</b>	<b>148</b>
ერთი კმო უფლების თითო კატეგორიაში .....	148
კმო-ის მიერ ტარიფების განსაზღვრა .....	148
<b>არაპირდაპირი პასუხისმგებლობის საკითხი (სასამართლო პრაქტიკა).....</b>	<b>150</b>

მუხლი 11 დირექტივა 2004/48/EC.....	150
პლაგიატიზმი.....	152
2001/29/EC დირექტივა, მუხლი 2(c).....	152
მუხლი 9(1)(b), 2006/115/EC დირექტივა.....	152
სინქრონიზაცია.....	154
მუხლი 8(2), 92/100/EEC დირექტივა – მუხლი 8(2), 2006/115/EC დირექტივა.....	154
მექანიკური უფლებები.....	155
მუხლი 82 ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების ...	155
მუხლი 5(2)(d) 2001/29/EC დირექტივა.....	155
სამართლიანი გამოყენება (გამოყენება უფლებისმფლობელის წინასწარი თანხმობის გარეშე).....	156
არაკარმონიზებული კონცეფცია.....	156
მუსიკალური ნაწარმოებების მსგავსების განსაზღვრა.....	157
მუხლი 9(1)(b) 2006/115/EC დირექტივა.....	157
ავტორობის განსაზღვრა, მუსიკალურ ნაწარმოებზე ავტორობის განსაზღვრა, ფონოგრამა.....	158
მუხლი 3(1), 2001/29/EC დირექტივა.....	158
დაკავშირება (LINKING).....	159
მუხლი 3(1) 2001/29/EC დირექტივა.....	159
თავი V. აღსრულება.....	161
წინასწარი გადაწყვეტილება – მუხლი 9(7) 2004/48/EC დირექტივა.....	162
წინასწარი გადაწყვეტილება – მუხლი 8(2)(a), 2004/48/EC დირექტივა.....	163
ზიანის გაანგარიშება ინტელექტუალური საკუთრების დავებში (სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლება, დიზაინი).....	164
მუხლი 13(1) 2004/48/EC დირექტივა.....	164
მუხლი 9(3) რეგულაცია (EC) No 207/2009.....	164
საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია კონტრაფაქციული/მეკობრული საქონლის/ასლების პირდაპირ და ონლაინ გაყიდვებთან.....	166
რეგულაცია (EC) No 1383/2003.....	166
რეგულაცია (EEC) No 3842/86.....	167
შუალედური მომსახურების მიმწოდებელთა პასუხისმგებლობა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევისას (სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლებები, დიზაინი).....	168

მუხლ 11, 2004/48/EC დირექტივა .....	168
სარჩელის უზრუნველსაყოფის ღონისძიების გამოყენების სტანდარტი, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მოსარჩელემ ინტელექტუალური საკითრების დაფეხში	169
მუხლი 4(c), 2004/48/EC დირექტივა.....	169
მუხლი 19(2), რეგულაცია(EC) No 6/2002.....	169
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილება, რომელიც არის სასარჩელო მოთხოვნის იდენტური .....	171

თავი I. პროცედურული  
საკითხები

# სამართალწარმოება მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე

## დასაშვებობა

სააპელაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში / არ არის მიღებული წარმოებაში – სტატუტის 58(ა)(3) მუხლი – მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 170(ა)(1) მუხლი [გამოიყენება 2019 წლის 1 მაისიდან]

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაზე, ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიიღება სრულად ან ნაწილობრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი შეეხება ისეთ საკითხს, რომელიც მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამართლის ერთიანობის, თანმიმდევრულობის ან განვითარების თვალსაზრისით, სტატუტის 58(ა)(3) მუხლი – მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 170(ა)(1) მუხლი (§ 2-4).

10/07/2019, C-359/19 P, [MEBLO](#), EU:C:2019:591, § 2-4.

## სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების მოთხოვნა - მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 170(ა)(1) მუხლი

აპელანტმა უნდა დაურთოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების მოთხოვნა, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება ევროკავშირის სამართლის ერთიანობის, თანმიმდევრულობის ან განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი საკითხები და შეიცავს ყველა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია მართლმსაჯულების სასამართლოსათვის ასეთ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მისაღებად, მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 170(ა)(1) მუხლი (§ 4).

აპელანტმა უნდა ამტკიცოს, რომ სააპელაციო საჩივრით განსაზღვრული საკითხები მნიშვნელოვანია ევროკავშირის სამართლის ერთიანობის, თანმიმდევრულობის ან განვითარების თვალსაზრისით (§ 15-17).

მოთხოვნა უნდა შეიცავდეს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას გამოიტანოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებით და განსაზღვროს, სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიიღება ნაწილობრივ, სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში თუ იმ ნაწილში, რომელსაც უნდა შეეხებოს პასუხი (§ 16).



მოთხოვნა ნათლად და დეტალურად უნდა აყალიბებდეს იმ საფუძვლებს, რომლებსაც ეფუძნება სააპელაციო საჩივარი, იდენტური სიცხადითა და დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს იმ სამართლებრივ საკითხებს, რომელიც წამოჭრილია სააპელაციო საჩივრის თითოეული საფუძვლით, განსაზღვრავდეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი ევროკავშირის სამართლის ერთიანობის, თანმიმდევრულობის ან განვითარების თვალსაზრისით და აყალიბებდეს კონკრეტულ მიზეზებს, თუ რატომ არის ეს საკითხი მნიშვნელოვანი ამ კრიტერიუმის მიხედვით. რაც შეეხება, კონკრეტულად, სააპელაციო საჩივრის საფუძვლებს, მოთხოვნა უნდა აკონკრეტებდეს ევროკავშირის სამართლის იმ დებულებებს ან სასამართლო პრაქტიკას, რომელიც დარღვეულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მოკლედ განმარტავდეს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ სავარაუდოდ კანონის არასწორად გამოყენების ბუნებას და უთითებდეს რამდენად იმოქმედა ამ შეცდომამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების შედეგზე. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონის არასწორად გამოყენება ეყრდნობა პრეცედენტული სამართლის დარღვევას, სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების მოთხოვნა ლაკონურად, თუმცა მკაფიოდ და ზუსტად უნდა განმარტავდეს, პირველ რიგში, რაში მდგომარეობს სავარაუდო შეუსაბამობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ან ბრძანების იმ პარაგრაფების მითითებით, რომელსაც აპელანტი აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, ისევე როგორც მართლმსაჯულების სასამართლოს ან ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც, სავარაუდოდ დაირღვა და, მეორე რიგში, კონკრეტული მიზეზები, რის გამოც ასეთი ურთიერთშეუსაბამობა წამოჭრის ევროკავშირის სამართლის ერთიანობის, თანმიმდევრულობის ან განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან საკითხს (§ 17).

24/10/2019, C-614/19P, [Personenkraftwagen / Kraftwagen et al.](#), EU:C:2019:904, § 4, 15-17.

## **სააპელაციო საჩივრის შეტანის ინტერესი - სააპელაციო საჩივარი ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების განუხილველად დატოვებისაკენ მიმართული ღონისძიება**

აპელანტის ინტერესი, დაიწყოს სააპელაციო პროცედურები, იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ სააპელაციო საჩივარი სავარაუდოდ, წარმატების შემთხვევაში, მიანიჭებს მას უპირატესობას (§ 16). სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომ გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, აპელანტისთვის [მფლობელისთვის] იყო ხელსაყრელი იმდენად, რამდენადაც ბათილობაზე განმცხადებლის მიერ EUIPO-ს გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი, რომელიც თავისთავად ნაწილობრივ ხელსაყრელი იყო მფლობელისთვის, არ იქნა დაკმაყოფილებული.

თუ წინამდებარე სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნება მიღებული და გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმებული, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება რჩება ძალაში, იმგვარად, რომ სააპელაციო საჩივარი უპირატესობას მიანიჭებს აპელანტს [მფლობელს], ვინაიდან ეს უკანასკნელი გააგრძელებს სიტყვიერი ნიშნის „Repower“ დაცვით სარგებლობას გარკვეული საქონლისა და მომსახურებისთვის (§ 17-18).

ეს არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს იმ არგუმენტით, რომ ეს უპირატესობა მხოლოდ დროებითი იქნებოდა, რადგან საერთო იურისდიქციის სასამართლომ სააპელაციო გადაწყვეტილებაში ირიბად განაცხადა, რომ მას მოუწევდა სააპელაციო პალატის იმ გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც შეიცავს არაადეკვატურ დასაბუთებას (§ 19).

## სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის ვადის გამოთვლა - გაგრძელება მანძილის გათვალისწინებით

მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის 56-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადაა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების თარიღიდან ორი თვე. მანძილიდან გამომდინარე, ეს ვადა ექვემდებარება გაგრძელებას ერთჯერადად, 10 დღის ვადით, (მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 51-ე მუხლი (§ 22)).

მანძილიდან გამომდინარე ვადის გაგრძელების ერთჯერადი პერიოდი არ უნდა იქნეს განხილული სტატუტის 56-ე მუხლში მითითებული სააპელაციო საჩივრის წარდგენისათვის განსაზღვრული პერიოდისგან დამოუკიდებლად, არამედ, როგორც ამ პერიოდის განუყოფელი ნაწილი, რომელიც გრძელდება განსაზღვრული ვადით. ვადა იწურება აღნიშნული პერიოდის უკანასკნელი თვის იმ დღის ბოლოს, რომელიც იგივე რიცხვია, რა თარიღშიც დაიწყო ამ ვადის ათვლა, ე.ი. შეტყობინების დღეს, და რომელსაც ერთჯერადად ემატება 10 დღიანი ვადა მანძილიდან გამომდინარე (11/06/2020, C-575/19 P, GMPO კომისიის წინააღმდეგ, EU:C:2020:448, § 30) (§ 25).

შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლოს პროცედურული წესების 49(2) მუხლი, რომელიც ადგენს, რომ „თუ ვადა სხვაგვარად დასრულდება შაბათს, კვირას ან ოფიციალურ უქმე დღეს, ის გაგრძელდება მომდევნო პირველივე სამუშაო დღის ბოლომდე“, გამოიყენება მხოლოდ ვადის ბოლოს, ორ თვიან ვადას დამატებული 10 დღე (§ 26).

## ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილების გადახედვა

### სამართლებრივ საკითხებსა და ფაქტობრივ საკითხებს შორის განსხვავება – გარკვეული ფაქტების დამახინჯება

ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს აქვს ექსკლუზიური იურისდიქცია, შეაფასოს მისთვის წარდგენილი ნებისმიერი მტკიცებულების ღირებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი ჰქონდა ფაქტების ან მტკიცებულებების დამახინჯებას (19/10/2018, C-198/16 P, Agriconsulting Europe კომისიის წინააღმდეგ, EU: C:2017:784, § 69 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა) (§ 55).

### გარკვეული ფაქტების დამახინჯება - გავლენის არარსებობა შედეგზე

მართლმსაჯულების სასამართლომ გამოავლინა მრავალი ხარვეზი ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში: ზოგიერთი ფაქტი დამახინჯებულ იქნა ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში (§ 51-56); საერთო იურისდიქციის სასამართლომ არ დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილებანი, რომლის მიხედვითაც სადავო ნიშანი არის აპელანტის მიერ გამოყენებული ნიშნის მსგავსი და რომ შესაძლებელია მათი აღრევა (§ 59); საერთო იურისდიქციის სასამართლომ შეცდომით დაადგინა, რომ მფლობელს განზრახული ჰქონდა გამოეყენებინა ეკონომიკური სარგებელი, რომელიც შეიძლება მოეპოვებინა აპელანტის კუთვნილი ნიშნიდან, რადგანაც სასამართლოს დაუსაბუთებელი მტკიცებით, აღნიშნული ნიშნები მსგავსია (§ 66).

თუმცა, მიუხედავად ამ ხარვეზებისა, მართლმსაჯულების სასამართლო მხარს უჭერს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ საერთო იურისდიქციის სასამართლომ ხაზი გაუსვა გარკვეულ ობიექტურ გარემოებებს და, მხოლოდ ამ გარემოებების საფუძველზე, მას ჰქონდა უფლება დაედგინა, რომ გასაჩივრებული ნიშნის მფლობელი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად (§ 67-68).

13/11/2019, C-528/18 P, [Outsource 2 India \(fig.\)](#), EU:C:2019:961, § 51-56, 59, 66-68.

## ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოვალეობის ფარგლები დასაბუთების შესახებ - სტატუტის 36-ე მუხლი - სტატუტის 53-ე მუხლი

ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს მოვალეობა, დასაბუთოს გადაწყვეტილება, სტატუტის 36-ე მუხლისა და 53-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, არ ავალდებულებს საერთო იურისდიქციის სასამართლოს წარმოადგინოს ანგარიში, რომელიც მოიცავს ამომწურავად და სათითაოდ ყველა არგუმენტს, რომელიც წამოაყენეს საქმეში მონაწილე მხარეებმა. მსჯელობა ასევე შეიძლება იყოს ნაგულისხმევი, იმ პირობით, რომ ის საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს გაიგონ ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი და მიაწოდონ მართლმსაჯულების სასამართლოს საკმარისი ინფორმაცია სააპელაციო საჩივრის განხილვის უფლებამოსილების სრულყოფილად განსახორციელებლად (20/09/2016, მალისი და სხვები კომისიის და ECB წინააღმდეგ, C 105/15 P-დან C 109/15 P-მდე, EU:C:2016:702, § 45) (§ 17).

04/07/2019, C-99/18 P, [FI \(fig. / fly.de \(fig.\)\)](#), EU:C:2019:565, § 17.

16/01/2019, C-162/17 P, [LUBELSKA \(FIG. MARK\) / Lubeca](#), EU:C:2019:27, § 79.

# სამართალწარმოება ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოში

## დასაშვებობა

**წარმომადგენლობა ისეთი ადვოკატის მიერ, რომელიც არ არის დამოუკიდებელი მესამე მხარე**

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სტატუტის მე-19 მუხლის მესამე პარაგრაფში სიტყვა „წარმომადგენლის“ გამოყენებიდან გამომდინარეობს, რომ ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოში სამართალწარმოების დაწყების მიზნებისათვის, ამ მუხლის მიზნებისთვის „მხარე“, ნებისმიერი მოცულობით, არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს თავად, არამედ უნდა გამოიყენოს ისეთი მესამე პირის მომსახურება, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა წევრი სახელმწიფოს ან ევროპის ეკონომიკური სივრცის შესახებ შეთანხმების (EEA) მხარე სახელმწიფოს სასამართლოში (04/02/2020, *Uniwersytet Wrocławski* და პოლონეთის რესპუბლიკა /*REA, C-515/17 P et C-561/17 P, EU:C:2020:73, § 58* და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა (§ 7).

იურიდიული პირი ვერ იქნება წარმომადგენელი ევროკავშირის სასამართლოებში ისეთი ადვოკატის მიერ, რომელიც ამავე ორგანოში ხელმძღვანელ თანამდებობას იკავებს (04/12/2014, *C-259/14 P*, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ცენტრი/კომისია, *EU:C:2014: 2417, § 23, 27* და 06/04/2017, *C-464/16 P, PITEE/კომისია, EU:C:2017:291, § 25*). მოცემულ საქმეში ადვოკატი, რომელიც წარმოადგენს განმცხადებელ ამავედროულად იკავებს დირექტორთა საბჭოს სამი წევრიდან ერთ-ერთის პოზიციას, და არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი აკმაყოფილებს განმცხადებელთან მიმართებაში მესამე პირად ყოფნის პირობას (§ 9-10).

17/11/2020, T-495/20, [sb hotels \(fig.\)-Sbe](#), *EU:T:2020:556, § 7, 9-10*.

**ვადები (e-Curia) – ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების მუხლი 56(ა)(4)**

თუ საპროცესო დოკუმენტი წარდგენილია e-Curia-ს მეშვეობით, ვიდრე არ იქნება შედგენილი ანგარიშთან დაშვების დასადასტურებლად საჭირო შესაბამისი დოკუმენტები და ეს შესაბამისი დოკუმენტები არ იქნება წარდგენილი მომდევნო 10 დღის განმავლობაში, სამართალწარმოება დაუშვებლად იქნება ცნობილი (§ 4-10).

25/02/2019, T-759/18, [Open data security](#), *EU:T:2019:126, § 4-10*.

16/07/2020, T-309/20, [Travelnetto / Nett-Travel et al.](#), *EU:T:2020:356, § 5-11*.

**ვადები – ელექტრონული კომუნიკაცია – შეტყობინება eComm-ის მეშვეობით – ათვლის თარიღი (Dies a quo)**

2013 წლის 26 ნოემბრის No EX-13-2 გადაწყვეტილების 4(4) მუხლი დაკავშირებული ელექტრონულ კომუნიკაციასთან უნდა იქნას განმარტებული იმგვარად, რომ შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად მეხუთე კალენდარულ დღეს, იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც უწყებამ განათავსა დოკუმენტი მომხმარებლის საფოსტო ყუთში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეტყობინების რეალური თარიღი შესაძლებელია ზუსტად დადგინდეს, როგორც სხვა თარიღი ამ ვადის განმავლობაში (§ 43).

[შენიშვნა: 2013 წლის 26 ნოემბრის No EX-13-2 გადაწყვეტილების მუხლი 4(4) გაუქმდა 2019 წლის 18 იანვრის No EX-19-1 გადაწყვეტილების მუხლით 3(4) (რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის პირველ მარტს), რომელშიც ნათქვამია. „შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად მეხუთე კალენდარულ დღეს, იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც განთავსდა დოკუმენტი მომხმარებლის საფოსტო ყუთში.“ ამიტომ, ახლა როდესაც დოკუმენტის თაობაზე ეცნობება ელექტრონულად EUIPO-ს მიერ, იმ დღიდან, როდესაც დოკუმენტი განთავსდება მომხმარებლის სივრცეში, ავტომატურად აითვლება ხუთი კალენდარული დღე, რომელიც შედის ნებისმიერი პასუხის ან პროცედურული ქმედებისათვის დაწესებულ ვადაში.]

10/04/2019, C-282/18 P, [Formula E](#), EU:C:2019:300, § 43.

## სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლების დასაშვებობა - მოთხოვნა არ წარმოადგენს ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების EUIPO-სთვის მითითებების გაცემის საფუძველს

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 72(3) მუხლის თანახმად, სარჩელში, რომლითაც გასაჩივრებულია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება, გააუქმოს ან შეცვალოს ეს გადაწყვეტილება. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 72(6) მუხლის თანახმად უწყებას მოეთხოვება მიიღოს ზომები, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების ევროკავშირის იურისდიქციის სასამართლოების გადაწყვეტილებებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. შესაბამისად, აღნიშნული არ ემსახურება სასამართლოს მიერ EUIPO-სთვის მითითებების მიცემას, არამედ ემსახურება EUIPO-ს მიერ შესაბამისი დასკვნის გამოტანას ევროკავშირის იურისდიქციას დაქვემდებარებული სასამართლოების გადაწყვეტილებების სარეზოლუციო ნაწილიდან და საფუძვლებიდან (§ 16-18).

25/06/2019, T-82/19, [EAGLESTONE \(fig.\)](#), EU:T:2019:484, § 16-18.

11/07/2007, T-443/05, [Pirañam](#), EU:T:2007:219, § 20 and case law cited.

## განაცხადის ფორმალური მოთხოვნა - ზოგადი მითითებები

სტატუტის 21-ე მუხლისა და ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 171-ე და 177(1) მუხლების თანახმად, ნებისმიერ განცხადებაში უნდა იყოს მითითებული სამართალწარმოების საგანი, საფუძველი და იმ მოთხოვნათა მოკლე შინაარსი, რომელსაც ეყრდნობა აპელანტი. განცხადებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებები უნდა იქნეს წარმოდგენილი შეჯამების სახით, თანმიმდევრულად და გასაგებად. შეჯამება და კანონისმიერი მოთხოვნები უნდა იყოს საკმარისად მკაფიო და ზუსტი, რათა მოპასუხეს შეეძლოს მოამზადოს საკუთარი პოზიცია თავდაცვისთვის, ხოლო კომპეტენტურმა სასამართლომ შეძლოს სარჩელთან დაკავშირებით გადაწყვეტილების გამოტანა. მიუხედავად იმისა, რომ განაცხადის ძირითადი ნაწილი, კონკრეტულ პუნქტებთან დაკავშირებით შეიძლება იყოს მხარდაჭერილი და შევსებული მასზე დართული დოკუმენტებიდან ამონარიდებზე მითითებით, ზოგადი მითითებები სხვა წერილობით წარდგინებაზე დაუშვებელია, მაშინაც კი, თუ ეს წარდგინებები დართულია, იმდენად, რამდენადაც მათი დაკავშირება შეუძლებელია თავად განაცხადში წარმოდგენილ საჩივრებსა და არგუმენტებთან (§ 11, 12).

11/07/2019, T-349/18, [TurboPerformance \(fig.\)](#), EU:T:2019:495, § 11, 12.

## ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურულ წესებში გაუთვალისწინებელი დოკუმენტები - შესაგებლის წარდგენის მოთხოვნა

ვინაიდან, ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურულ წესები აღარ ითვალისწინებს შესაგებლის წარდგენის მოთხოვნას ინტელექტუალური საკუთრების სამართალწარმოებაში, ნებისმიერი ასეთი მოთხოვნა უარყოფილია (§ 24-26).

13/02/2019, T-278/18, [DENTALDISK](#), EU:T:2019:86, § 24-26.

## ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოში სამართალწარმოების საგანი

### ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს განხილვის ფარგლები (პრინციპი) - სამართალწარმოების საგანი

სასამართლოს ამოცანაა, განიხილოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების კანონიერება. განხილვა უნდა განხორციელდეს დავის ფაქტობრივი და სამართლებრივი კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც ის იყო წარდგენილი სააპელაციო პალატის წინაშე. აქედან გამომდინარეობს, რომ მხარეს არ შეუძლია, თავისი სასაჩელო მოთხოვნის ნაწილობრივი გახმობით შეცვალოს ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები, რომელთა საფუძველზეც განიხილება სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების კანონიერება (§ 16).

05/03/2003, T-194/01, [Soap device](#), EU:T:2003:53, § 16.

### ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს განხილვის ფარგლები - სამართალწარმოების საგნის ცვლილების შეუძლებლობა - დასაშვები სარჩელი

სარჩელი, რომელიც ეხება „რწმუნებული-მარწმუნებლის“ ურთიერთობას, დასაშვებია, მიუხედავად იმისა, რომ ბათილობაზე განმცხადებელმა არ გაასაჩივრა EUIPO-ს „გაუქმების განყოფილების“ დასკვნა სააპელაციო პალატის წინაშე (§ 28). მაშინაც კი, თუ აპელანტს არ წამოუყენებია სააპელაციო საჩივრის კონკრეტული საფუძველი, სააპელაციო პალატას მოეთხოვება განიხილოს, შეიძლება თუ არა კანონიერად იქნას მიღებული ახალი გადაწყვეტილება იგივე სარეზოლუციო ნაწილით, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილება, სააპელაციო გადაწყვეტილების მიღების დროს (§ 27). ბათილობაზე განმცხადებელმა გაუქმებამდე წარადგინა მოსაზრებები „აგენტის“ ურთიერთობის შესახებ. ამასთან დადგინდა, რომ სააპელაციო პალატის წინაშე წარდგენილი დოკუმენტები სწორად აწარმოებდა ბათილობის საფუძვლის პირობების ანალიზს (§ 28).

14/02/2019, T-796/17, [MOULDPRO](#), EU:T:2019:88, § 27-28.

## ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს განხილვის ფარგლები – დასაშვები სარჩელი – საკითხი, რომელიც უნდა განიხილებოდეს ex officio სააპელაციო პალატის მიერ

მესამე პირის მიერ შემოტანილი საჩივრის განხილვისას, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(1) მუხლს [მოქმედი რედაქციით ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(1) მუხლი], ადრინდელი ნიშნის თანდაყოლილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათის შეფასება წარმოადგენს საკანონმდებლო საკითხს, რომელიც აუცილებელია ამ რეგულაციის სწორი გამოყენების უზრუნველსაყოფად: EUIPO-ს ინსტანციებს მოეთხოვებათ საკითხის განხილვა, საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ინიციატივით და ის სააპელაციო პალატაში აყალიბებს სამართალწარმოების საგანს ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 188-ე მუხლის მუხლის (§43).

მასადაამე, საერთო სასამართლომ დაუშვა შეცდომა კანონში, როდესაც აპელანტის სარჩელი ადრინდელი ნიშნის სავარაუდო სუსტ განმასხვავებელუნარიან ხასიათთან დაკავშირებით დაუშვებლად ცნო იმ მიზეზით, რომ ეს არგუმენტი მის წინაშე პირველად იყო წარდგენილი (§ 47).

18/06/2020, C-702/18 P, [PRIMART Marek Łukasiewicz \(fig.\) / PRIMA et al.](#), EU:C:2020:489, § 43 and 47.

## დაუშვებელი ახალი მტკიცებულება – ზოგადი პრინციპი

სასამართლოს წინაშე პირველად წარმოდგენილი დოკუმენტები მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოში სამართალწარმოების მიზანია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების კანონიერების გადახედვა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს ფუნქცია არ არის მის წინაშე პირველად წარმოდგენილი დოკუმენტების სახით წარმოდგენილი ფაქტების გადახედვა 24/11/2005, T 346/04, Arthur et Félicie, EU:T:2005:420, § 19.) (§ 15, 52).

12/07/2019, T-264/18, [mo.da](#), EU:T:2019:528, § 15, 52.

24/10/2019, T-708/18, [Flis Happy Moreno choco \(fig.\) / MORENO \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:762, § 26-28.

09/09/2020, T-144/19, [ADLON / ADLON](#), EU:T:2020:404, § 19.

## დასაშვები ახალი მტკიცებულება – მტკიცებულება სადავო გადაწყვეტილებაში ახალი არგუმენტების უარყოფისთვის – ამონაწერები EUIPO-ს მონაცემთა ბაზიდან

ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს წინაშე პირველად წარდგენილი მტკიცებულება დასაშვებია, თუ იგი საჭიროა სადავო გადაწყვეტილებაში თავდაპირველად წამოყენებული არგუმენტების უარსაყოფად (§ 17).

EUIPO-ს მონაცემთა ბაზიდან ამონაწერები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ევროკავშირის რეგისტრირებული მსგავსი სასაქონლო ნიშნების შესახებ, დასაშვებია, ვინაიდან ისინი ეხება უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს რეგისტრაციაზე მსგავს განაცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც უნდა განიხილოს უწყებამ საკუთარი ინიციატივით (§ 20-23).

11/04/2019, T-223/17, [ADAPTA POWDER COATINGS \(fig.\)](#), EU:T:2019:245, § 17, 20-23.

## EUIPO-ს, სასაქონლო ნიშნების ეროვნული უწყებების და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის ამონაწერები

მონაცემთა ბაზის ამონაწერები გერმანიის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებიდან და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციიდან, რომლებიც მომზადდა იმის დასამტკიცებლად, რომ სადავო გადაწყვეტილება შეიცავდა შეცდომ ადრევამდე მსგავსების შეფასების ნაწილში იმ საქონლის ჩამონათვალთან მიმართებით, რომელზეც ადრინდელი ნიშნები იყო რეგისტრირებული, დასაშვებია, რადგან ეს შეცდომა არ შეიძლებოდა გამოვლენილიყო სადავო გადაწყვეტილების მიღებამდე (§ 30).

24/10/2019, T-708/18, [Flis Happy Moreno choco \(fig.\) / MORENO \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:762, § 30.

## მტკიცებულებები, რომლებიც დაკავშირებულია EUIPO-ს გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკასთან

დოკუმენტები, რომლებიც დაკავშირებულია EUIPO-ს გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკასთან, მკაცრად რომ ვთქვათ, არ არის მტკიცებულება ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 85-ე მუხლის მიზნებისთვის და დასაშვებია, მაშინაც კი, თუ ისინი პირველად არის წარმოდგენილი მოსმენაზე. მხარემ შეიძლება მიუთითოს მათზე მაშინაც კი, როდესაც ეს პრაქტიკა თარიღდება უწყებაში სამართალწარმოების დაწყების შემდგომი პერიოდით (24/11/2005, T 346/04, Arthur et Félicie, EU:T:2005:420, § 20) (§ 18-19).

12/07/2019, T-264/18, [mo.da](#), EU:T:2019:528, § 18-19.

## მტკიცებულება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების სიზუსტის დასადგენად

მტკიცებულება, რომელიც შემოიფარგლება საყოველთაოდ ცნობილი საკითხების კომენტარებით ან საყოველთაოდ ცნობილი ფაქტების სიზუსტის დასადგენად, არ შეიძლება ჩაითვალოს ახალ მტკიცებულებად და, შესაბამისად, დასაშვებია (§ 18).

11/07/2019, T-349/18, [TurboPerformance \(fig\)](#), EU:T:2019:495, § 18.

10/09/2019, T-744/18, [Silueta en forma de elipse discontinua \(fig.\) / Silueta en forma de elipse \(fig.\)](#), EU:T:2019:568, § 59, 61.



## მოსმენის განმავლობაში პირველად წამოყენებული სარჩელები (პრინციპი) – ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 84(1) მუხლი, ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 191 მუხლი

დაუშვებელია სარჩელი, რომელიც არ იყო მითითებული აპლიკაციაში, მაგრამ პირველად იქნა წამოყენებული ზეპირ მოსმენაზე, იმ დასაბუთების გარეშე, რომ იგი ეფუძნება სამართლებრივ საკითხებს ან ფაქტებს, რომლებიც გამოვლინდა პროცედურის დროს, დაუშვებელია. ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 84(1) მუხლი, ევროკავშირის საერთო იურისდიქციის სასამართლოს პროცედურული წესების 191 მუხლი (§ 15-18).

19/06/2019, T-479/18, [Premiere](#), EU:T:2019:430, § 15-18.

## ზეპირ მოსმენაზე წამოყენებული დასაშვები არგუმენტების და ახალი დაუშვებელი არგუმენტების განვითარება

მოსარჩელის არგუმენტები რეალური გამოყენების მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომელიც პირველად იქნა წარმოდგენილი ზეპირ მოსმენაზე, შეიძლება განიმარტოს, როგორც განცხადებაში უკვე შეტანილი არგუმენტაციის განვითარება (§ 25, 28). თუმცა, არგუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს მტკიცებულებების ინგლისურ ენაზე თარგმანის ნაკლზე მითითებას, დაუშვებელია, რადგან არ შეიძლება ჩაითვალოს (მიჩნეულ იქნეს) იმგვარ განცხადებად, რომლითაც სადავოდ არის გამხდარი მტკიცებულების „სიმყარე და ობიექტურობა“. (§ 25, 28-29). , 32).

07/11/2019, T-380/18, [INTAS / INDAS \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:782, § 25, 28-29, 32.

## დასაშვები ახალი სარჩელი – სარჩელი მიზეზების მიუთითებლობის შესახებ – საჯარო პოლიტიკის საკითხი

სარჩელი იმის თაობაზე, რომ არ არის განსაზღვრული მიზეზები, არის სარჩელი, რომელიც მოიცავს საჯარო პოლიტიკის საკითხს, რომელიც შეიძლება წამოყენებული იყოს პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე (§ 87-89).

29/04/2020, T-108/19, [TasteSense By Kerry \(fig.\) / Multisense et al.](#), EU:T:2020:161.

29/04/2020, T-109/19, [TasteSense \(fig.\) / Multisense et al.](#), EU:T:2020:162, § 87-89.

## საქონლისა და მომსახურების შეზღუდვის მოთხოვნა – დავის საგანი

როდესაც სასაქონლო ნიშნის განმცხადებელი ითხოვს საქონლისა და მომსახურების შეზღუდვას სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების შესაბამისად, ეს განცხადება განიმარტება იმ გაგებით, რომ სადავო გადაწყვეტილება გასაჩივრდება მხოლოდ განსახილველი საქონლის დანარჩენი ნაწილში, ან განიმარტება როგორც ნაწილობრივი გახმობა, როდესაც ზოგადი სასამართლოს წინაშე წარმოებისას გაკეთებული ეს განცხადება არ ცვლის სააპელაციო პალატაში სამართალწარმოების დავის საგანს. ასეთი შეზღუდვა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასამართლოს მიერ, რადგან მას აღარ მოეთხოვება გადახედოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების კანონიერება სიიდან ამოღებულ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებაში, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ეხება დარჩენილ საქონელს ან მომსახურებას (§ 31-33).

28/11/2019, T-736/18, [Bergsteiger / BERG \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:826, § 31-33.

## მოთხოვნა საქონლისა და მომსახურების შეზღუდვის შესახებ – ზოგადი პირობები

მოთხოვნა შეზღუდვის შესახებ უნდა იყოს წარდგენილი მკაფიოდ და უპირობოდ (§ 45).

31/01/2019, T-97/18, [STREAMS](#), EU:T:2019:43, § 45.

## ზეპირ მოსმენაზე საქონლისა და მომსახურების დაუშვებელი შეზღუდვა

განმცხადებლის საქონლის შეზღუდვა „*მობილური ტელეფონების პროგრამული აპლიკაციებიდან და კომპიუტერის პროგრამული აპლიკაციები*“-დან „*სმარტფონებისა და ტაბლეტების პროგრამულ აპლიკაციება*“-მდე, მოთხოვნილი ზეპირ მოსმენაზე, არ წარმოადგენს საქონლის დასაშვებ შეზღუდვას. ეს უფრო არის, საქონლის კატეგორიის მოდიფიკაცია, რაც გამოიწვევს დავის საგნის ცვლილებას. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია მისი გათვალისწინება გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებისას (§ 19-20).

24/09/2019, T-492/18, [Scanner Pro](#), EU:T:2019:667, § 19-20.

## ცვლილების უფლებამოსილება – სადავო გადაწყვეტილების შეცვლა

სასამართლოს უფლებამოსილება შეცვალოს გადაწყვეტილებები ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 72(3) მუხლის შესაბამისად, არ ანიჭებს უფლებამოსილებას სასამართლოს განახორციელოს შეფასებები იმ საკითხებზე, რომლის შესახებაც სააპელაციო პალატას ჯერ არ ჩამოუყალიბებია პოზიცია. ამრიგად, გადაწყვეტილებების შეცვლის უფლებამოსილების გამოყენება, პრინციპში, უნდა შემოიფარგლოს იმ სიტუაციებით, როდესაც სასამართლოს, სააპელაციო პალატის მიერ გაკეთებული შეფასების განხილვის შემდეგ, ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების საფუძველზე შეუძლია დაადგინოს, რა გადაწყვეტილების მიღება იყო მოთხოვნილი სააპელაციო პალატისაგან (16/05/2017, T 107/16, AIR HOLE FACE MASKS YOU IDIOT, EU:T:2017:335, § 45 და ციტირებული სასამართლო პრაქტიკა) (§ 139).

ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ შეიმუშავა პოზიცია იმის თაობაზე, იყო თუ არა სიმბოლოებს შორის აღევამდე მსგავსება იმ საქონლის თავდაპირველ ჩამონათვალთან მიმართებაში, რომელსაც მოიცავდა ადრინდელი ნიშანი, რის შედეგადაც სასამართლოს აქვს უფლება შეცვალოს ეს გადაწყვეტილება ამ თვალსაზრისით (§§ 130).

24/10/2019, T-498/18, [Happy Moreno choco \(fig.\) / MORENO \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:763, § 130, 139.

## სამართალწარმოება სააპელაციო პალატაში

### სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

**მიჩნეულია, რომ სააპელაციო საჩივარი არ იყო შეტანილი - სააპელაციო ბაჟის დადგენილ ვადაში გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა**

სააპელაციო საჩივრის განცხადება, რომელიც შეტანილ უნდა იქნას წერილობით სადავო გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების დღიდან ორი თვის განმავლობაში, ჩაითვლება შეტანილად მხოლოდ მაშინ, როდესაც გადახდილია სააპელაციო ბაჟი (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 68 მუხლი) (§ 25).

თარიღი, როდესაც გადახდა განხორციელებულად მიიჩნევა, არის თარიღი, როდესაც გადახდის ან გადარიცხვის თანხა ფაქტობრივად არის შესული EUIPO-ს მფლობელობაში არსებულ საბანკო ანგარიშზე (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 180(1) მუხლი).

ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო პალატას უფლება ჰქონდა გაეთვალისწინებინა, რომ გასაჩივრების საფასური არ იყო გადახდილი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 68-ე მუხლით გათვალისწინებულ პერიოდში და მიჩნეულია, რომ სააპელაციო საჩივარი არ იყო შეტანილი (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 23(3) მუხლი) (§ 27).

09/10/2019, T-713/18, [Esim Chemicals / Eskim](#), EU:T:2019:744, § 25, 27.

**საჩივრის შეტანის ინტერესი – ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 59 მუხლი [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 67 მუხლი]**

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის მფლობელს არ აქვს ინტერესი საჩივრით მიმართოს სააპელაციო პალატას EUIPO-ს გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილებების შესახებ ბათილობის საქმის დახურვის თაობაზე, ბათილობაზე განაცხადის გახმოვის შემდეგ. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის მფლობელი აცხადებდა, რომ მას წაერთვა შესაძლებლობა მიეღო დადებითი გადაწყვეტილება მისი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის ვალიდურობასთან დაკავშირებით. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის მფლობელზე EUIPO-ს გაუქმების განყოფილების გადაწყვეტილებებს არ აქვს უარყოფითი ზეგავლენა, რამდენადაც ევროკავშირის სასაქონლო ნიშნები რჩება EUIPO-ს რეესტრში. საკითხი, ახდენს თუ არა გადაწყვეტილება უარყოფით გავლენას მხარეზე, უნდა შეფასდეს მიმდინარე სამართალწარმოებასთან მიმართებაში და არა სხვა პროცესებთან შედარებით ან მათთან კავშირში. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის სასამართლოებში სხვა სამართალწარმოების არსებობას არანაირი გავლენა არ აქვს სააპელაციო პალატაში საჩივრის დასაშვებობის პირობებზე (§ 5).

15/01/2019, C-463/18 P, [Hip Ball \(3D\)](#), EU:C:2019:18, § 5.

**გადაწყვეტილებების შეტყობინება - შეტყობინება ელექტრონული ფოსტით - შეტყობინება რეგისტრირებული ფოსტით ჩაბარების შეტყობინებით - მტკიცების ტვირთი**

გადაწყვეტილების თაობაზე შეტყობინება ითვლება ჯეროვნად განხორციელებულად, იმ პირობით, რომ კომუნიკაცია შედგა იმ პირთან, რომელთანაც შეტყობინება იქნა გაგზავნილი და ამ უკანასკნელს ჰქონდა შესაძლებლობა გაეცნობოდა მას (21/02/2018, C 326/16 P, LL/პარლამენტი, EU :C:2018:83, § 47, 48) (§ 42).

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 58(1) მუხლის მნიშვნელობით შეტყობინება, რეგისტრირებული ფოსტით ჩაბარების შეტყობინებით, რომელზეც უწყებას ეკისრება მტკიცების ტვირთი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 58(3) მუხლის მიხედვით, მოითხოვს ადრესატის ხელმოწერას (§ 50). ასეთი ხელმოწერის არარსებობის შემთხვევაში, უწყებას არ შეუძლია ამტკიცოს ჩაბარება (§ 55).

გადაწყვეტილების თაობაზე შეტყობინება ითვლება ჩაბარებულად ელექტრონული ფოსტით ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 56(2)(ა) მუხლისა და ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 57(1) მუხლის შესაბამისად, რამდენადაც შესაძლებელია დადასტურდეს, რომ ადრესატმა ნამდვილად მიიღო იგი და ჰქონდა შესაძლებლობა გაეცნობოდა მის შინაარსს (07/12/2018, T 280/17, GE.CO.P./კომისია, EU:T:2018:889, § 50; 21/02/2018, C 326/16 P, LL/პარლამენტი, EU: C:2018:83, § 50) (§ 57-58).

08/07/2020, T-305/19, [Welmax / Valmex](#), EU:T:2020:327, § 42, 50, 55, 57-58.

### **რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) – წარმომადგენლის ზრუნვის მოვალეობა – საბჭოს რეგულაციის (CDR) 67 მუხლი**

რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) ექვემდებარება ორ კუმულატიურ პირობას: I) მხარე EUIPO-ს წინაშე მოქმედებდა გარემოებებით მოთხოვნილი სათანადო ზრუნვის ფარგლებში; II) მხარის შეუძლებლობამ დაეცვა ვადა, როგორც პირდაპირი შედეგი განაპირობა უფლების ან აღდგენის საშუალების დაკარგვა (§ 58). ვინაიდან საბჭოს რეგულაციის (CDR) 67-ე მუხლით გათვალისწინებული ზრუნვის მოვალეობა, პრინციპში, ეკისრება განმცხადებლის წარმომადგენელს (§ 20), საკითხი იმის შესახებ, გამოიყენა თუ არა რეგისტრირებული დიზაინის მფლობელმა საჭირო სიფხიზლე მისი წარმომადგენლის შეცდომების კომპენსაციისთვის, არ არის რელევანტური (§ 21).

31/01/2019, T-604/17, [REJECTION OF RESTITUTIO IN INTEGRUM \(RECORDAL\)](#), EU:T:2019:42, § 20-21, 58.

### **რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) – წარმომადგენლის ზრუნვის მოვალეობა – იურისტის ჩვენება, როგორც მტკიცებულება - სპეციფიკური უეცარი დაავადება - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 97(1)(ვ) მუხლი**

როდესაც ჩვენება, რომელიც წარმოდგენილია მტკიცებულებად ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 97(1)(ვ) მუხლის შესაბამისად, შედგენილია დეკლარანტის ინტერესების შესაბამისად, მას აქვს მხოლოდ შეზღუდული მტკიცებითი ღირებულება და უნდა იყოს გამყარებული დამატებითი მტკიცებულებებით (16/06/2015, T. 585/13, JBG Gauff Ingenieure (fig.) / Gauff et al., EU:T:2015:386, § 28-31). თუმცა, ამგვარ განცხადებას მიკუთვნებული მტკიცებითი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული საქმის გარემოებებს (§ 51-52).

რაც შეეხება ადვოკატის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ვინაიდან ადვოკატი არის იურისტი, რომელიც ვალდებულია შეასრულოს თავისი მოვალეობები პროფესიული ქცევის წესებისა და მორალური მოთხოვნების შესაბამისად, და რომელიც დაექვემდებარება სანქციურებს მცდარი ჩვენებების შემთხვევაში, რომელიც, უფრო მეტიც, ზიანს აყენებს მის რეპუტაციას, ის უნდა იქნას გათვალისწინებული (§ 55). ადვოკატის (და მისი მეუღლის) წერილობითი ჩვენება, თავისთავად, წარმოადგენს მასში შემავალი ინფორმაციის მტკიცებულებას, თუ ის არის ნათელი, თანმიმდევრული და დამაჯერებელი და არ არსებობს ეჭვი მის ავთენტურობაში (§ 56, 58).

როდესაც დამატებითი მტკიცებულება, რომელსაც შეუძლია განამტკიცოს ჩვენების შინაარსი, როგორცაა სამედიცინო ცნობა, გონივრულად ვერ იქნებოდა მოთხოვნილი ან არ იყო ხელმისაწვდომი, (კერძოდ, სპეციფიკური და უეცარი ავადმყოფობის შემთხვევაში), სიტუაცია განსხვავდება იმისგან, სადაც ასეთი განცხადებებია წარმოდგენილიწმინდა ობიექტური ფაქტების დასადგენად, როგორცაა ნიშნის რეალური გამოყენება, და სადაც დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, ჩვენებები უნდა იყოს გამყარებული დამატებითი მტკიცებულებებით მათი მტკიცებითი ღირებულებისთვის (§ 57-59).

16/12/2020, T-3/20, [Canoleum / Marmoleum](#), EU:T:2020:606, § 51-52, 56-59.

### **რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) — საბჭოს რეგულაციის (CDR) 67(1) მუხლი — ზრუნვის მოვალეობა — წერილი გაგზავნილი ჩვეულებრივი ფოსტით — სათანადო ზრუნვა მოითხოვს მიღების შემოწმებას**

საბჭოს რეგულაციის (CDR) 67(1) მუხლის მიხედვით, რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) ექვემდებარება ორ მოთხოვნას, პირველი ის არის, რომ მხარემ გამოიჩინა ყველა სათანადო ზომა, რომელსაც მოითხოვდა გარემოებები. მეორე მოთხოვნაა, რომ მხარის მიერ დაუმორჩილებლობას მოჰყვეს რაიმე უფლების ან აღდგენის საშუალების დაკარგვა.

როდესაც განმცხადებელი, მფლობელი ან EUIPO-ს ფარგლებში წარმოების ნებისმიერი მხარე წარმოდგენილია წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენელზე ვრცელდება სათანადო ზრუნვის მოვალეობა. საბჭოს რეგულაციის (CDR) 67(1) მუხლში გამოთქმა „გარემოებებით მოთხოვნილი ყველა ზრუნვა“ მოითხოვს ვადების შიდა კონტროლისა და მონიტორინგის სისტემის დანერგვას, რომელიც ზოგადად გამორიცხავს ვადების უნებლიე დაუცველობას. აქედან გამომდინარეობს, რომ რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ გამონაკლის მოვლენებს, რისი წინასწარ განჭვრეტაც გამოცდილებიდან გამომდინარე შეუძლებელია. (31/01/2019, T 604/17, უარი რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) - ზე (RECORDAL), EU:T:2019:42, § 11, 17-19, 31) (§ 17-20). იმის გამო, რომ ვადების დაცვა არის საჯარო პოლიტიკის საკითხი და რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) შეიძლება შAIRყოს იურიდიული სიზუსტე, რესტიტუციო ინ ინტეგრუმ (Restitutio in integrum) გამოყენების პირობები მკაცრად უნდა იქნას განმარტებული (იხ. ანალოგიით, 19/09/2012, T 267. /11, VR, EU:T:2012:446, § 35) (§ 21).

ამ გარემოებებში, ჩვეულებრივი ფოსტით დოკუმენტის გაგზავნის თანდაყოლილი რისკი, რომელიც წარმოადგენს უწყებაში კომუნიკაციის წარმომადგენლის მიერ არჩეულ მეთოდს, არ შეიძლება დაეკისროს ამ წერილის ადრესატს, როდესაც ამ წერილის ადრესატი აცხადებს სხვადასხვა პრეტენზიებს, როგორცაა: დასაბუთებული ეჭვი სადავო დოკუმენტის მიღებასთან დაკავშირებით (25/10/2012, T 191/11, Miura, EU:T:2012:577, § 32-34) (§ 29, 32). ასეთ ვითარებაში, EUIPO-ს წინაშე წარმომადგენლის, როგორც პროფესიონალის, ვალდებულებაა, გამოიჩინოს ყველა სათანადო ზრუნვა, რომელსაც მოითხოვს გარემოებები, რათა უზრუნველყოს, რომ სადავო წერილი, რომელიც მისი თქმით, ჩვეულებრივი ფოსტით იყო გაგზავნილი, ჩაბარდეს დადგენილი ვადაში (§ 33-34). ვადების დაცვის შიდა ზედამხედველობისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემა, სადაც ჩვეულებრივი ფოსტით გაგზავნა გამოიყენება როგორც კომუნიკაციის მეთოდი, უნდა მოიცავდეს დადასტურებას იმისა, ასეთი ფოსტა მიიღო თუ არა მისმა ადრესატმა (§ 38).

20/01/2021, T-276/20, [Air deodorizing apparatus](#), EU:T:2021:26, § 21, 29-34, 38

## სამართალწარმოების შეჩერება - სააპელაციო პალატის საბჭოს დისკრეცია - შეზღუდული სასამართლო განხილვა

უფლება, იყო მოსმენილი, არ ირღვევა იმით, რომ მხარეს, რომელიც ითხოვს ოპოზიციონირების შეჩერებას, არ მიეცეს ამ მოთხოვნაზე შენიშვნებზე პასუხის შესაძლებლობა, ვინაიდან არ არსებობს დებულება, რომელიც აყალიბებს ამ შესაძლებლობას (§ 55). კავშირის სასაქონლო ნიშნების ინპლემენტაციის რეგულაციის 20(7)(გ) და 50(1) წესის [ამჟამად ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დელეგირებული რეგულაციის მუხლი 71(1)] და ასევე სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, სააპელაციო პალატას აქვს ფართო დისკრეცია, შეაჩეროს ან არ შეაჩეროს სამართალწარმოება (§ 57-58). ნებისმიერი სასამართლო განხილვა, თავისი არსით, შემოიფარგლება მხოლოდ იმის დადგენით, რომ ადგილი არ ჰქონია შეფასების აშკარა შეცდომას ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას (§ 59).

16/05/2019, T-354/18, [SKYFi /SKY et al.](#), EU:T:2019:33, § 55, 57-59.

## არსებითი პროცედურული მოთხოვნები

### პირველ ინსტანციასა და სააპელაციო პალატას შორის ფუნქციონალური უწყვეტობა - სააპელაციო საჩივრის ფარგლები

თუ სააპელაციო პალატა ადასტურებს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების ზოგიერთ ასპექტებს, პირველ ინსტანციასა და სააპელაციო პალატას შორის ფუნქციონალური უწყვეტობის გათვალისწინებით, ეს გადაწყვეტილება, ამ ასპექტებთან დაკავშირებული მიზეზების დადგენასთან ერთად, წარმოადგენს იმ კონტექსტის ნაწილს, რომლითაც მიღებულ იქნა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, კონტექსტი, რომელიც ცნობილია მხარეებისთვის და საშუალებას აძლევს სასამართლოს სრულად იმსჯელოს იმის თაობაზე, იყო თუ არა სააპელაციო პალატის შეფასება კარგად დასაბუთებული (§ 19).

06/02/2020, T-135/19, [LaTV3D / TV3](#), EU:T:2020:36, § 19.

## მოსმენის უფლება

მოსმენის უფლება ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 94(1) მუხლის მიზნებისთვის ვრცელდება იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე, რომლებზეც დაფუძნებულია გადაწყვეტილების-მიმღები აქტი, მაგრამ არა საბოლოო პოზიციასზე, რომლის მიღებასაც აპირებს ხელისუფლება (07/09/2006, T 168/04, Aire limpio, EU:T:2006:245, § 116) (§ 27).

26/03/2020, T-653/18, [GIORGIO ARMANI le Sac 11 \(fig.\) / LESAC et al.](#), EU:T:2020:121, § 27.  
26/03/2020, T-654/18, [GIORGIO ARMANI le Sac 11 \(fig.\) / LESAC et al.](#), EU:T:2020:122, § 27.

## მოსმენის უფლება - პრინციპის ფარგლები - საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი

მოსმენის უფლება არ შეიძლება დარღვეულ იქნას საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებთან მიმართებაში (§ 74). მოსმენის უფლება არ ირღვევა, როდესაც დაინტერესებული მხარე არ არის მოწვეული სააპელაციო პალატის მიერ, რათა წარმოადგინოს თავისი არგუმენტები იმ მიგნებებზე, რომლებიც არ გამოავლენს რაიმე ახალ არგუმენტს და შემოიფარგლება მხოლოდ სააპელაციო შეტყობინებაზე პასუხის გაცემით (§ 78). უფლება არ ირღვევა იმ შემთხვევაშიც, თუ დაკვირვებები არ წარმოადგენს გადაწყვეტილების საფუძველს, არამედ მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათს ატარებს (§ 84). სააპელაციო პალატის დასკვნა შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ პრაქტიკულ გამოცდილებას, დამხმარე მტკიცებულებების მოთხოვნის გარეშე, რომლებზეც ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის მფლობელი აცხადებს, რომ ის არ იყო მოსმენილი (§ 85).

29/03/2019, T-611/17, [REPRESENTATION D'UNE SEMELLE DE CHAUSSURE \(3D\)](#), EU:T:2019:210, § 74, 78, 84-85.

## მიზეზების დასახელების ვალდებულება – ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 94(1)

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 94(1) მუხლის მიხედვით, მიზეზების დასახელების ვალდებულებას აქვს იგივე ფარგლები, რაც გამომდინარეობს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 296-ე მუხლიდან. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკაა, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 296-ე მუხლით მოთხოვნილი მიზეზების დასახელება მკაფიოდ და ცალსახად უნდა ასახავდეს იმ მსჯელობას, რომელსაც შედეგად მოჰყვა ინსტიტუციის მიერ განსახილველი ღონისძიების მიღება, რათა დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ, გაარკვიონ ღონისძიების მიზეზები და იურისდიქციის მქონე სასამართლოს საშუალება მიეცეს, განახორციელოს განხილვის უფლებამოსილება (§ 25).

13/06/2019, T-75/18, [MANUFACTURE PRIM 1949 \(fig.\)](#), EU:T:2019:413, § 25.

## მიზეზების დასახელების ვალდებულების ფარგლები - გადაწყვეტი მნიშვნელობის ფაქტები და სამართლებრივი მოსაზრებები

საფუძვლების დასახელების ვალდებულების მიზანი ორმაგია: დაინტერესებულ მხარეებს საშუალება მისცეს გაარკვიონ ღონისძიების მიზეზები თავიანთი უფლებების დასაცავად და კომპეტენტურ ევროპულ სასამართლოს მიეცეს საშუალება განახორციელოს გადაწყვეტილების კანონიერების განხილვის უფლებამოსილება. თუმცა, მათი გადაწყვეტილების მიზეზების დასახელებისას, სააპელაციო პალატა არ არის ვალდებული გაითვალისწინოს ყველა არგუმენტი, რომელიც მათ წარუდგინეს მხარეებმა. საკმარისია, რომ მათ ჩამოაყალიბონ გადაწყვეტილების შინაარსში გადაწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტები და სამართლებრივი მოსაზრებები (§ 41).

11/09/2019, T-649/18, [transparent pairing](#), EU:T:2019:585, § 41.

## მიზეზების დასახელების ვალდებულების ფარგლები – საჯარო პოლიტიკის საკითხი – *Ex officio* განხილვა

სადავო გადაწყვეტილებაში მიზეზების წარმოდგენლობა არის საჯარო პოლიტიკის საკითხი, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს *ex officio* (§ 20).

17/01/2019, T-368/18, [ETI Bumbo / BIMBO \(fig.\)](#), EU:T:2019:15, § 20.  
08/05/2019, T-269/18, [ZARA / ZARA \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:306, § 37, 47-51, 55.  
23/09/2020, T-677/19, [SYRENA](#), EU:T:2020:424, § 84.

## ზოგადი დასაბუთება – საქონლისა თუ მომსახურების საკმარისად ერთგვაროვანი კატეგორია ან ჯგუფი

უარის თქმის აბსოლუტურს საფუძვლებზე მჯელობისას, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ ზოგადი დასაბუთება ყველა საქონლისა თუ მომსახურებისთვის, როდესაც უარის თქმის იგივე საფუძველია მოცემული საქონლისა და მომსახურების კატეგორიის ან ჯგუფისთვის, იმ პირობით, რომ ისინი ერთმანეთთან საკმარისად პირდაპირ და სპეციფიკურად არიან ურთიერთდაკავშირებული, და რომ ისინი ქმნიან საქონლის ან მომსახურების საკმარისად ერთგვაროვან კატეგორიას ან ჯგუფს (§ 48-49).

11/04/2019, T-223/17, [ADAPTA POWDER COATINGS \(fig.\)](#), EU:T:2019:245, § 48-49.  
17/01/2019, T-91/18, [DIAMOND CARD \(fig.\)](#), EU:T:2019:17, § 18-21.  
20/09/2019, T-650/18, [Reaktor](#), EU:T:2019:635, § 40-50.  
03/09/2020, C-214/19 P, [achtung ! \(fig.\)](#), EU:C:2020:632, § 41.

## საკმარისად დასაბუთებული არგუმენტი საკმარისად პირდაპირი და სპეციფიკური კავშირის არარსებობის შესახებ

არგუმენტები ნიშანსა და საქონელსა და მომსახურებას შორის საკმარისად პირდაპირი და კონკრეტული კავშირის არარსებობასთან დაკავშირებით საკმარისად დასაბუთებული უნდა იყოს. ამ მხრივ მაგალითების მოყვანა საკმარისი არ არის. კონკრეტული საქონელი და მომსახურება, რომელსაც ეხება წარდგენა, უნდა იყოს დაზუსტებული და არგუმენტირებული, თუ რატომ არ არსებობს საკმარისად პირდაპირი და კონკრეტული კავშირი ნიშანსა და იმ საქონელსა და მომსახურებას შორის (§ 32, 62).

02/12/2020, T-152/20, [Home Connect \(fig.\)](#), EU:T:2020:584, § 32, 62.

## კანონიერების პრინციპი – თანაბარი მოპყრობისა და ჯანსაღი ადმინისტრირების პრინციპები – წინამორბედი გადაწყვეტილებებიდან გადახვევის მკაფიო მიზეზების წარმოდგენის ვალდებულება



სააპელაციო პალატამ უნდა უზრუნველყოს მკაფიო მსჯელობა, როდესაც ის წარმოადგენს წინამორბედი გადაწყვეტილებისგან განსხვავებულ ხედვას. თუმცა, გადაწყვეტილებების კანონიერება უნდა შეფასდეს მხოლოდ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის საფუძველზე. სააპელაციო პალატამ გამოხატა წინამორბედი გადაწყვეტილებებიდან გადახვევის მიზეზები (§ 53-55).

31/01/2019, T-97/18, [STREAMS](#), EU:T:2019:43, § 53-55.

22/05/2019, T-161/16, [CMS Italy \(fig.\) / PUMA \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:350, § 30-31, 35, 44, 46, 50.

## **წინამორბედი იმ გადაწყვეტილებებიდან გადახვევის თაობაზე მიზეზების დასახელების ვალდებულების არარსებობა, რომლებსაც მხარე არ ეყრდნობა**

სააპელაციო პალატას არ სჭირდება ცალსახად ჩამოაყალიბოს მიზეზები, რის გამოც იგი აპირებს გადაუხვიოს წინამორბედ იმ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც მხარე არ ეყრდნობოდა მანამდე. უფრო მეტიც, წინამორბედ, აშკარად განსხვავებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მიზეზების დასახელების მოვალეობა „ნაკლებად მკაცრია, როდესაც განხილვა დამოკიდებულია ექსკლუზიურად იმ ნიშანზე, რომელზედაც შეტანილია განაცხადი, ვიდრე ამ ნიშნისგან დამოუკიდებელ ფაქტობრივ დასკვნებზე“ (§ 36-38, 48).

05/09/2019, T-753/18, [#BESTDEAL \(fig.\)](#), EU:T:2019:560, § 36-38, 48.

## **დასაბუთების ნაკლებობა - წინამორბედი გადაწყვეტილებები - გადახვევის დასაბუთების მკაფიო განცხადებების ნაკლებობა**

როდესაც უწყება გადაწყვეტს დაადგინოს წინამორბედ გადაწყვეტილებებში მიღებული შეხედულებისგან განსხვავებული ხედვა, მან უნდა წარმოადგინოს მკაფიო დასაბუთება ამ გადაწყვეტილებისგან გადახვევის შესახებ (§ 54, 55, 58).

27/06/2019, T-334/18, [ANA DE ALTUN \(fig.\) / ANNA \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:451, § 54, 55, 58.

## **ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებები – იდენტური ნიშნები**

უწყებას არ მოეთხოვება გაითვალისწინოს ეროვნული ხელისუფლების გადაწყვეტილებები იმ ნიშნის იდენტური ნიშნების შესახებ, რომლებზეც მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თუ ის მათ მხედველობაში მიიღებს, ის არ არის შებოჭილი ამ გადაწყვეტილებებით (§ 83-84).

24/01/2019, T-785/17, [BIG SAM SPORTSWEAR COMPANY \(fig.\) / SAM et al.](#), EU:T:2019:29, § 83-84.

19/12/2019, T-624/18, [GRES ARAGÓN \(fig.\)](#), EU:T:2019:868, § 28-29.

## **კანონიერების პრინციპი - თანაბარი მოპყრობის პრინციპი - ჯანსაღი ადმინისტრირების პრინციპი - მითითებები სხვა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნებზე / იდენტურ ეროვნულ ნიშნებზე**

რაც შეეხება EUIPO-ს პრაქტიკას მსგავს შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ უწყებას მოეთხოვება თავისი უფლებამოსილების განხორციელება ევროკავშირის სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად და უნდა გაითვალისწინოს უკვე მიღებული გადაწყვეტილებები მსგავს აპლიკაციებზე, ამ პრინციპების გამოყენება უნდა იყოს შეჯერებული კანონიერების პრინციპის გათვალისწინებით (§ 39-43). ეროვნულ დონეზე წინამორბედი გადაწყვეტილებები არარელევანტურია, ვინაიდან ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეჟიმი არის ავტონომიური სისტემა (§ 46).

10/10/2019, T-832/17, [achtung! \(fig.\)](#), EU:T:2019:2, § 67-69.  
03/09/2020, C-214/19 P, [achtung ! \(fig.\)](#), EU:C:2020:632, § 45.  
14/02/2019, T-123/18, [DARSTELLUNG EINES HERZENS \(fig.\)](#), EU:T:2019:95, § 37.  
11/04/2019, T-226/17, [Rustproof System ADAPTA](#), EU:T:2019:246, § 59.  
08/05/2019, T-469/18, [HEATCOAT](#), EU:T:2019:302, § 46-53.

### **მტკიცებულებათა შეფასება – სააპელაციო პალატის მიერ საკუთარი ინიციატივით მოპოვებული მტკიცებულება – ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 95(1) – უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები – ინტერნეტ კვლევები**

გააჩნია რა განმხილველის კომპეტენცია, სააპელაციო პალატას მხარის მოსმენის შემდეგ შეუძლია დაეყრდნოს იმ ინტერნეტ კვლევის შედეგად მოძიებულ ფაქტებს, რომელიც ჩატარდა განაცხადის შეტანის თარიღის შემდეგ (§ 30-31). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლის შეფასების შესაბამისი თარიღი არის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის თარიღი, ზოგადი სასამართლო გაითვალისწინებს მხოლოდ იმ დოკუმენტებს, რომლებიც შეიცავს წარდგენის თარიღზე ადრინდელ თარიღს (§ 34). -35).

13/02/2019, T-278/18, [DENTALDISK](#), EU:T:2019:86, § 34-35.

### **მტკიცებულების შეფასება – დისკრეციული უფლებამოსილება და დაგვიანებით წარდგენილი მტკიცებულება – ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 95(2) – გამოყენების მტკიცება – დისკრეციული უფლებამოსილება**

სააპელაციო პალატას, მისი დისკრეციული უფლებამოსილების გამო, არ ეკრძალება დამატებითი მტკიცებულებების გათვალისწინება, რომლებიც წარმოდგენილია იმ პერიოდის გავლის შემდეგ, რომელიც თავდაპირველად იქნა დაწესებული, კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 76(2) [ახლანდელი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 95(2)] (§ 52, 55). როდესაც ნიშნის რეალური გამოყენება უნდა დადგინდეს ორი შესაბამისი პერიოდის გათვალისწინებით (ხუთწლიანი პერიოდი განაცხადის გაუქმებამდე და ხუთწლიანი პერიოდი სადავო ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის განაცხადის გამოქვეყნებამდე), მტკიცებულება, რომელიც ეხება ერთ-ერთ შესაბამის პერიოდს, მაშინაც კი, თუ ის დაგვიანებით იქნა წარდგენილი, გარდა თავდაპირველი მტკიცებულებებისა, რომლებიც გადაგზავნილია ვადებში, შეეხება სხვა შესაბამის პერიოდს (§ 56) და არ წარმოადგენს ახალ მტკიცებულებას (§ 57, 59).

20/03/2019, T-138/17, [PRIMED / GRUPO PRIM \(fig\) et al.](#), EU:T:2019:174, § 56-57, 59.

## მტკიცებულებათა შეფასება – ბათილობის საქმის წარმოება – უარის თქმის აბსოლუტური საფუძვლები – დისკრეციული უფლებამოსილება

მტკიცებულება, რომელიც დროულად, პირველად იქნა წარდგენილი სააპელაციო პალატის წინაშე ბათილობის საქმის წარმოების ფარგლებში, (რომელიც არის ან დამატებითი მტკიცებულება, რომელიც წარმოდგენილი იყო „გაუქმების განყოფილების“ წინაშე წარმოებისას ან მტკიცებულება ახალ საკითხზე, რომელიც ვერ წამოიჭრებოდა ამ სამართალწარმოების დროს, ავტომატურად) არ არის დასაშვები. ამ მტკიცებულების წარმდგენი მხარის უფლებაა დაასაბუთოს, თუ რატომ იქნა ეს მტკიცებულება წარდგენილი საქმისწარმოების იმ ეტაპზე და აჩვენოს, რომ „გაუქმების განყოფილებაში“ წარმოებისას წარდგენა შეუძლებელი იყო. შესაბამისად, სააპელაციო პალატის ვალდებულებაა შეაფასოს იმ მხარის მიერ წარმოდგენილი მიზეზების არსებითობა, რომელმაც წარადგინა ეს მტკიცებულება, რათა გამოიყენოს თავისი დისკრეცია და განსაზღვროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მტკიცებულება თუ არა (§ 44).

სააპელაციო პალატას აქვს დისკრეცია, უგულვებელჰყოს ფაქტები ან მტკიცებულებები, კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 76(2) მუხლის [ახლანდელი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 95(2) მუხლის] შესაბამისად, მათი დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში (§ 46). სააპელაციო პალატამ შეცდომით დაადგინა, რომ ეს გამომდინარეობდა სააპელაციო საჩივარზე მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და ბათილად ცნობასთან დაკავშირებით ზოგადი სასამართლოს გადაწყვეტილებიდან, რომ მას მოეთხოვებოდა მტკიცებულებების გათვალისწინება. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ დაარღვია კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 65(6) მუხლი [ამჟამად ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 72(6) მუხლი] და არ შეასრულა თავისი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ვალდებულება კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 76(2) მუხლის [ახლანდელი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 95(2) მუხლი] შესაბამისად და მისი ვალდებულება, დაასახელოს ის მიზეზები, რომლებზეც დაფუძნებულია მისი გადაწყვეტილება ამ მტკიცებულებების გათვალისწინების შესახებ (§ 46-48).

10/10/2019, T-536/18, [FITNESS](#), EU:T:2019:737, § 44, 46-48.

## პროცედურა პირველ ინსტანციაში

### Ex parte პროცედურა

#### ექსპერტის კომპეტენცია

უწყება ვალდებულია თავად შეამოწმოს ის ფაქტები, რომელმაც შეიძლება განაპირობოს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუველი. (22/06/2006, C-25/05 P, Bonbonverpackung, EU:C:2006:422, § 50; 15/03/2006, T-129/04, Plastikflaschenform, EU:T:2006:84, § 16; and 12/04/2011, T 310/09 & T 383/09, Behavioural index / Behavioural indexing, EU:T:2011:157, § 29) (§ 26).

13/09/2013, T-320/10, [Castel](#), EU:T:2013:424, § 26.

### Inter partes პროცედურა

#### ❖ აპელაციის პროცედურა

#### ადრინდელი ნიშნის ზუსტი მითითება

მესამე პირის სააპელაციო საჩივარში, შესაბამის გრაფაში, ზუსტად უნდა იყოს მითითებული ადრინდელი ნიშანი. სააპელაციო საჩივრის ფორმის სხვა ნაწილში გაკეთებული მითითება, განსაკუთრებით იმ ენაზე, რომელიც არ არის საქმის წარმოების ენა, მხედველობაში არ მიიღება. (§ 50-51).

13/02/2019, T-823/17, [Etnik / ETNIA](#), EU:T:2019:85, § 50-51.

#### დასაბუთება - ამონარიდები ოფიციალური ბაზებიდან

[როგორც ეროვნული ნიშნებისთვის, ისე საერთაშორისო რეგისტრაციებისთვის, უწყება მტკიცებულებად იღებს TMview-ს პორტალიდან მოპოვებულ ამონარიდებს. (<https://www.tmdn.org/tmview/welcome>).]

TMview-დან მიღებული ამონაწერები წარმოადგენს კომპეტენტური მარეგისტრირებელი უწყებებიდან პირდაპირ მიღებულ ინფორმაციას და შესაბამისად, კვალიფიცირდება, როგორც კომპეტენტური მარეგისტრირებელი EUIPO-ს მიერ გაცემული რეგისტრაციის სერტიფიკატის ეკვივალენტური დოკუმენტი სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(2)(a) მუხლის მიზნებისთვის. (by analogy, 06/12/2018, T-848/16, V (fig.) / V (fig.) et al., EU:T:2018:884, § 59-61 and 70).

T-848/16, [V \(fig.\) / V \(fig.\) et al.](#), EU:T:2018:884, § 59-61.

#### დასაბუთება - ვადის გაგრძელების მტკიცებულება

როდესაც იმ ადრინდელი ნიშნის მოქმედების ვადა, რომელსაც ეფუძნება სააპელაციო საჩივარი, ამოიწურა EUIPO-ს მიერ სააპელაციო საჩივრის დასაბუთების წარდგენისთვის განსაზღვრული ვადის შემდეგ, სააპელაციო საჩივარს ავტომატურად არ ეთქმება უარი, თუნდაც აპელანტმა არ წარმოადგინოს ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელების დამდასტურებელი მტკიცებულება. ასეთ შემთხვევაში, აპელანტს ეგზავნება შეტყობინება ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ მტკიცებულების წარმოდგენის თაობაზე. აღნიშნული მტკიცებულება შემდგომ ეგზავნება განმცხადებელს.

05/05/2015, T-715/13, [Castello \(fig.\) / Castelló y Juan S.A. \(fig.\) et al.](#), EU:T:2015:256, § 68 et seq.

## სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება - სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 46(1) მუხლი - ლიცენზიატი

თუ აპელანტმა ვერ დაამტკიცა, რომ მას ჰქონდა უფლება შეეტანა სააპელაციო საჩივარი, როგორც ადრინდელი ნიშნის მფლობელის უფლებამოსილ ლიცენზიატს, მაგრამ იგი იყო სხვა ადრინდელი ნიშნის მფლობელი, რომელსაც ასევე ეფუძნება სააპელაციო საჩივარი, აპელანტი უფლებამოსილია სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მხოლოდ მისი კუთვნილი ნიშნის ფარგლებში. (§ 25-27).

16/05/2019, T-354/18, [SKYFi/SKY et al.](#), EU:T:2019:33, § 25-27.

## ადრინდელი უფლების კანონიერება - ადრინდელი უფლების კანონიერების პრეზუმპცია

კავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაციის 8(1)(b) [ახლა სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(1)(b) მუხლი] მუხლის დარღვევის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, იმის დადგენა, რომ ადრინდელ ეროვნულ ნიშანს, რომელსაც ეფუძნება სააპელაციო საჩივარი, გააჩნია გარკვეული დონის განმასხვავებელუნარიანობა. (§ 47).

24/05/2012, C-196/11 P, [F1-Live](#), EU:C:2012:314, § 47, 51.

13/06/2019, T-398/18, [DERMAEPIL SUGAR EPIL SYSTEM \(fig.\) / dermépil Perron Rigot \(fig.\)](#), EU:T:2019:415, § 139-142.

## სააპელაციო საჩივრის ფორმალური დასაშვებობა სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(4) მუხლის მიხედვით

ის ფაქტი, რომ აპელანტმა არასწორად მონიშნა გრაფა „EM“ არ ხდის სააპელაციო საჩივარს მთლიანად დაუშვებელს სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(4) მუხლის მიხედვით. სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაციითა და თანდართული წერილით შესაძლებელი გახდა სხვა ადრინდელი ნიშნების შინაარსის დადგენა და ასევე თუ რა უფლებებით სარგებლობდა აპელანტი გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში „passing off“-ის (საერთო სამართლის) წესების საფუძველზე.

03/04/2014, T-356/12, [Só:Unic](#), EU:T:2014:178, § 47.

## res judicata-ს და ne bis in idem პრინციპები

res judicata-ს პრინციპი არ გამოიყენება სააპელაციო საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისას, რადგან სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება არის ადმინისტრაციული და არა სასამართლო წარმოება. A fortiori, სხვა სააპელაციო საჩივარზე მიმდინარე საქმის წარმოებას ან გადაწყვეტილებას არ აქვს res judicata-ს ძალა და არ ქმნიან მოპოვებული უფლებების ან კანონიერი ნდობის საფუძველს მხარეებს შორის. (§ 35).

ne bis in idem ის პრინციპი გამოიყენება მხოლოდ ჯარიმებისთვის. შესაბამისად, იგი ვერ იქნება გამოყენებული სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების ფარგლებში. (§ 37).

07/11/2019, T-380/18, [INTAS / INDAS \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:782, § 35, 37.

## ❖ ბათილად ცნობის პროცედურა

### გაუქმების განყოფილების უფლებამოსილება რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტურ საფუძველბთან დაკავშირებულ საქმის წარმოებაში.

ბათილად ცნობის საქმის წარმოებისას, უწყებას არ მოეთხოვება საკუთარი ინიციატივით ხელახლა ჩაატაროს იმ ფაქტების ექსპერტიზა, რომელიც უკვე ჩაატარა ექსპერტმა და რომელსაც შეეძლო იგი მიეყვანა აბსოლუტური საფუძველების გამო ნიშნის რეგისტრაციაზე უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებამდე. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 52-ე და 55-ე მუხლებით ნიშანი კანონიერად ითვლება, ვიდრე ის ბათილად არ იქნება ცნობილი EUIPO-ს მიერ ბათილად ცნობის პროცედურის ფარგლებში. ამდენად, წარმოიშობა კანონიერების პრეზუმპცია, რაც წარმოდგენს ლოგიკურ შედეგს, რომელიც განპირობებულია EUIPO-ს მიერ ექსპერტიზის პროცესში ნიშნის შემოწმებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ბათილად ცნობის პროცედურისას, სააპელაციო პალატა არ არის ვალდებული საკუთარი ინიციატივით შეამოწმოს ის გარემოებები, რამაც შეიძლება მიიყვანოს ნიშნის აბსოლუტური საფუძველებით ბათილად ცნობის გადაწყვეტილებამდე.

13/09/2013, T-320/10, [Castel](#), EU:T:2013:424, § 27, 29.

### ადრინდელი უფლების დასაბუთება ბათილად ცნობის საქმის წარმოებაში - სასაქონლო ნიშნების რეგულაციის წესი 19(2)

სიმბოლოს შავ-თეთრი გამოსახულება არ წარმოშობს საფუძველიან მტკიცებულებას ადრინდელი ნიშნის არსებობის, ვალიდურობის და დაცვის ფარგლების კუთხით, თუკი მოთხოვნილია ფერების დაცვა, სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 19(2) წესის მიხედვით. თუ ადრინდელი ნიშნის ფერადი გამოსახულება არ იქნება წარმოდგენილი, ჩაითვლება, რომ ადრინდელი ნიშნის რეგისტრაციის მტკიცებულების ფორმალური მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული. (§ 49-53).

27/03/2019, T-265/18, [Formata \(fig.\) / Formata \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:197, § 47-53.

### მტკიცების ტვირთი - მფლობელის ვალდებულება წარადგინოს გამოყენების მტკიცებულება

სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 51(1) მუხლში მტკიცების ტვირთის შესახებ ნორმის არ არსებობა ადვილად შეიძლება აიხსნას ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე. კერძოდ, მუხლი ეხება „გაუქმების საფუძვლებს“, რაც არ მოითხოვს მტკიცების ტვირთის შესახებ სპეციალურ ნორმას.

შესაბამისად, მე-15, 42(2) 51(1) და 57(2) მუხლების ერთიანად წაკითხვით შეიძლება დადინდეს, რომ ნიშნის რეალური გამოყენების დადგენა ევალება ნიშნის მფლობელს და არა უწყებას.

26/09/2013, C-610/11 P, [Centrotherm](#), EU:C:2013:912, § 56, 62.

## თავი II. სასაქონლო ნიშნები



**აბსოლუტური საფუძვლები (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7) - ბათილობა (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 59)**

*ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ა) / 59(1)(ა) - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განმარტება*

**წინასწარი გადაწყვეტილება - ფერადი ნიშანი, (colour mark) ან გამოსახულებითი ნიშანი - გამოსახულებითი ნიშნის სახით წარდგენილი ნიშნის გრაფიკული გამოსახულება - არასაკმარისად ცხადი და ზუსტი გრაფიკული გამოსახულება - 2008/95/EC დირექტივის მუხლი 2 და მუხლი 3(1)(ბ)**

როდესაც სასაქონლო ნიშნის განაცხადი შეიცავს შეუსაბამობას ნიშნის ნახატის/გრაფიკული ფორმით გამოსახულებასა და განმცხადებლის მიერ ნიშნისთვის მინიჭებულ კლასიფიკაციას შორის, იმგვარად, რომ შეუძლებელია დაცვის საგნისა და დაცვის ფარგლების ზუსტად განსაზღვრა, უნდა მოხდეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმა განაცხადის სიცხადისა და სიზუსტის ნაკლებობის გამო.



27/03/2019, C-578/17, [Oy Hartwall Ab](#), EU:C:2019:261, § 40, 45.

*ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაციის მუხლი 7(1)(ა) / 59(1)(ა) - ნიშანი, რომლისგანაც შეიძლება შედგებოდეს ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი - ფერი, როგორც სასაქონლო ნიშანი*

**ორი ფერის კომბინაცია, როგორც ასეთი - არ არსებობს სისტემური თავსებადობა, რომელიც აკავშირებს ფერებს წინასწარ განსაზღვრული და ერთგვაროვანი გზით (კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაცია)**

სიმბოლო შესაძლებელია დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშნად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი წარმოადგენს გრაფიკულ გამოსახულებას კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მე-4 მუხლის მოთხოვნების თანახმად, რომ მოთხოვნილი დაცვის საგანი და დაცვის ფარგლები არის მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრული. თუკი განაცხადს თან ახლავს სიმბოლოს სიტყვიერი აღწერა, ის უნდა შეესაბამებოდეს გრაფიკულ გამოსახულებას და არ უნდა წარმოშობდეს ეჭვებს ამ გრაფიკული გამოსახულების საგანთან და დაცვის ფარგლებთან მიმართებით. (27/03/2019, C578/17, Oy Hartwall Ab, EU:C:2019:261, § 39, 40) (§ 36-37).

ორი ან მეტი ფერის გრაფიკული გამოსახულება, გამოხატული აბსტრაქტულად და კონტურების გარეშე, სისტემურად იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ ფერები დაკავშირებული იყვნენ წინასწარ განსაზღვრული და ერთგვაროვანი გზით. ორი ან მეტი ფერის უბრალოდ კომბინაცია, ფორმის ან კონტურების, ან ორ ან მეტ ფერზე „ყველა შესაძლო ფორმაში“ მითითების გარეშე, არ წარმოაჩენს კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სიზუსტისა და ერთგვაროვნების ნიშან-თვისებებს (24/06/2004, C49/02, Blau/Gelb, EU:C:2004:384, § 33-35). საერთო სასამართლომ სწორად დაადგინა, რომ მხოლოდ ფერთა პროპორციის მითითება არ არის საკმარისი. ყურადღება შეიძლება მიექცეს ნიშნის გამოყენების სახეს, თუ რეგისტრაცია მოპოვებულ იქნა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების 7(3) მუხლის საფუძველზე (§ 38, 47-48).



29/07/2019, C-124/18P, [Blue and Silver](#) (COLOUR MARK), EU:C:2019:641, § 36-37, 38, 47-48.

### *ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ბ) / 59(1)(ა) - არაგანმასხვავებელუნარიანი სიმბოლო*

### **წინასწარი გადაწყვეტილება - დირექტივა 2008/95/EC მუხლი 3(1)(ბ) - განმასხვავებელუნარიანობა - შეფასების კრიტერიუმი**

2008/95/EC დირექტივის 3(1)(ბ) მუხლი იმგვარად უნდა განიმარტოს, რომ გულისხმობს სიმბოლოს განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას ყველა შესატყვისი ფაქტისა და გარემოების მხედველობაში მიღებას, მათ შორის განცხადებული ნიშნის გამოყენების ყველა სახეს. ეს უკანასკნელი, სხვა კრიტერიუმების არარსებობისას, შეესაბამება გამოყენების იმ სახეს, რომელიც, განსაზღვრული ეკონომიკური სექტორის მომხმარებელთა ფონზე, შესაძლოა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი იყოს (§ 34).

სიმბოლოს განმასხვავებელი ნიშნის შეფასება ვერ შეიზღუდება „სავარაუდო“ გამოყენებით მანამ, სანამ „გამოყენების მხოლოდ ერთი სახე არის პრაქტიკულად მნიშვნელოვანი განსაზღვრულ ეკონომიკურ სექტორში“. აღნიშნულმა შეფასებამ მხედველობაში უნდა მიიღოს საქონლით განსაზღვრულ ეკონომიკურ სექტორში სიმბოლოს პრაქტიკულად მნიშვნელოვანი ყველა შესაძლო გამოყენება. სადაც სიმბოლო მოიცავს სლოგანს, რომელიც შეიძლება განთავსდეს როგორც მაისურის წინა მხარეს, ისე იარლიყზე, სასაქონლო ნიშანი მიიჩნევა განმასხვავებელუნარიანად, თუ მომხმარებლები მას აღიქვამენ, როგორც წარმოშობის ემბლემას, სიმბოლოს განთავსების ალტერნატიულ სახეთაგან ერთის მიხედვით მაინც (§ 25-30)

12/09/2019, C-541/18, [Deutsches Patent-und Markenamt](#), EU:C:2019:725, § 25-30, 34.

### **არაგანმასხვავებელუნარიანი - უბრალოდ საქებარი გზავნილი**

ტერმინი „Armonie“, რომელიც არის იტალიური სიტყვა „armonia“-ს მრავლობითი ფორმა, მიემართება „პროპორციული შესაბამისობის“ ადეკვატურ სისტემატიზაციას [ელემენტების] მთლიანობაში“ ცნებებს. იტალიურად მოსაუბრე მომხმარებლებმა შესაძლოა მიიჩნიონ, რომ შესაბამისი საქონელი განკუთვნილია სასიამოვნო ადგილის/გარემოს შესაქმნელად ან დასაორგანიზებლად, რამდენადაც ის ჰარმონიულია (§ 28). ამასთან, და თვითონ სიმბოლოს სიმარტივის გათვალისწინებით, რეკლამირების მიზნებისთვის მას აქვს საქეზარი ხასიათი, არის მხოლოდ და მხოლოდ სარეკლამო ფორმულა, რომელიც ხაზს უსვამს შესაბამისი საქონლის დადებით ხარისხს (§ 29-30).

05/02/2019, T-88/18, [ARMONIE](#), EU:T:2019:58, § 29-30.

## არაგანმასხვავებელუნარიანი - განმასხვავებელუნარიანობის შეფასება - სამგანზომილებიანი ნიშნები

საშუალო სტატისტიკურ მომხმარებლებს არ ახასიათებთ საქონლის წარმოშობის შესახებ პრეზუმფციების გაკეთება საქონლის ფორმის ან მათი შეფუთვის ფორმებზე დაყრდნობით იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს რაიმე გრაფიკული ან სიტყვიერი ელემენტი. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, სიტყვიერ ან გამოსახულებით ნიშანთან შედარებით განმასხვავებელუნარიანობის დადგენა უფრო რთული აღმოჩნდეს სამგანზომილებიან სასაქონლო ნიშანთან მიმართებით (22/06/2006, C-25/05 P, Bonbonverpackung, EU:C:2006:422, § 27 და მითითებული პრეცედენტული სამართალი) (§ 31).

რაც უფრო მეტად ემსგავსება ფორმა იმ ფორმას, რომელიც შერჩეულია რომელიმე საქონლისთვის, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ფორმას არ ექნება განმასხვავებელუნარიანობა. მხოლოდ ის ნიშანი, რომელიც მნიშვნელოვნადაა განსხვავებული მომხმარებელთა სექტორის ნორმებისა და ჩვეულებებისგან და რომელიც იმავდროულად ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას, რომ მითითება გააკეთოს წარმოშობაზე, არ არის მოკლებული განმასხვავებელუნარიანობას (07/10/2004, C-136/02 P, Torches, EU:C:2004:592, § 31 და მითითებული პრეცედენტული სამართალი).

ფორმის ორიგინალურობა უნდა შეფასდეს ბაზარზე არსებული სიტუაციის ფონზე, ხოლო ათვლის წერტილად აღებული უნდა იყოს სამგანზომილებიანი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის თარიღი. ბაზარზე ისეთი ფორმების არსებობა, რომლებიც შესაძლებელია იყოს კონტრაფაქციული ასლები, არარელევანტურია (21/05/2014, T-553/12, BATEAUX MOUCHES, EU:T:2014:264, § 46).

იმ შემთხვევებში, როდესაც სპეციფიკურ საერთაშორისო ბაზარზე, მაგალითად ისეთზე, როგორცაა ელექტროგიტარის ბაზარი, გაბატონებული კულტურული მიმართებები ასევე წარმოადგენენ ევროკავშირის მომხმარებელთათვის ცნობილ უნივერსალურ ღირებულებებს, და ისინი წარმოდგენილია ჩრდილოეთ ამერიკული გამოცემების მტკიცებულებების სახით, (რომლებიც შეიცავენ მითითებებს მუსიკოსებზე ევროკავშირიდან) შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ ზემოხსენებული მტკიცებულებები იძლევიან ევროკავშირის ბაზრის მახასიათებლების შეფასების შესაძლებლობას (§ 46-50).



## არაგანმასხვავებელუნარიანი - პოზიციური ნიშნები

დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ ის ნიშანი, რომელიც მნიშვნელოვნად გადაუხვევს სექტორის ნორმებიდან ან ჩვეულებებიდან და რომელიც იმავდროულად ასრულებს თავის არსებით ფუნქციას, რომ მიუთითოს წყაროს შესახებ, არ არის მოკლებული განმასხვავებელუნარიანობას ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ბ) მუხლის მიზნებისთვის. აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა, რომელიც განვითარდა სამგანზომილებიან სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით, რომლებიც მოიცავენ თვითონ საქონლის გარეგნულ ფორმირებას, ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზეც, სადაც გამოსახულებითი სიმბოლო მოიცავს საქონლის ორგანოზომილებიან გამოსახულებას (§ 25). ის ასევე ვრცელდება იმ შემთხვევაზე, სადაც ნიშანი გამოსახავს განსაზღვრული საქონლის მხოლოდ ნაწილს იმდენად, რამდენადაც საზოგადოების შესაბამისი ნაწილი მაშინვე, დამატებითი ფიქრის გარეშე აღიქვამს მას, როგორც განსახილველი საქონლის განსაკუთრებით საინტერესო ან მიმზიდველი დეტალის გამოსახულებად და არა მისი კომერციული წყაროს მითითებად (§ 26). გადამწყვეტი ელემენტი არის ფაქტი, რომ სიმბოლო არის შესაბამისი საქონლის გარეგნული ფორმირებისგან განუყრელი (§ 28).



## არაგანმასხვავებელუნარიანი - განმასხვავებელუნარიანობის შეფასება - სიმბოლოს შესაძლო გამოყენების სახეების განხილვა

სიმბოლოს განმასხვავებელუნარიანობის შეფასება ვერ მოხდება ამ სიმბოლოს მარტოოდენ ყველაზე მეტად სავარაუდო გამოყენების მხედველობაში მიღებით. ამის ნაცვლად, გათვალისწინებული უნდა იქნეს განცხადებული ნიშნის ყველა შესაძლო გამოყენების სახე, ანუ ის სახეები, რომლებიც შესაძლოა პრაქტიკულად მნიშვნელოვანი იყოს (12/09/2019, C541/18 P, #darferdas?, EU:C:2019:725, § 33) (§ 29).

სასამართლო პრაქტიკაში ასახული დასაბუთება, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(გ) მუხლის თანახმად ნიშანი მიიჩნევა აღწერილობითად, თუ მისი შესაძლო მნიშვნელობებიდან სულ მცირე ერთი მაინც აღნიშნავს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მახასიათებელს (23/10/2003, C191/01 P, Doublemint, EU:C:2003:579, § 30, 32), ანალოგიით ვერ ჩაანაცვლებს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ბ) მუხლის გამოყენებას.



## არაგანმასხვავებელუნარიანი - განმასხვავებელუნარიანობის შეფასება

ნიშანი უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა სახით, მოხდა მისი წარდგენა და არა იმის მიხედვით, როგორც ის გამოიყენება. განმცხადებელმა წარადგინა ნიშანი აღწერის დამატების გარეშე, რათა შეეზღუდა დაცვის ფარგლები ლოგოზე ან ეტიკეტზე და ასევე იმის აღნიშვნის გარეშე, თუ სად იქნებოდა ნიშანი მოთავსებული მის საქონელზე. შედეგად, ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება დაცვის იმ ფარგლების მიმართ, რომელიც ფარავს გამოსახულებით ნიშნად ყველა შესაძლო გამოყენებას, მათ შორის, როგორც განსახილველი საქონლის ზედაპირზე დატანილ მონატულობად (§ 36).



03/12/2019, T-658/18, [DEVICE OF A CHECKERED GINGHAM PATTERN \(fig.\)](#), EU:T:2019:830, § 36.

## არაგანმასხვავებელუნარიანი - სლოგანი - მხოლოდ და მხოლოდ სარეკლამო და საქებარი გზავნილი - ქსოვილზე ლოგოს სახით დატანილი გამოსახულებითი ნიშანი - სიმბოლოს კონკრეტული გამოყენების არარელევანტურობა (შეუსაბამობა, უადგილობა)

მთავრული ასო „I“-ს, რომელიც ინგლისურ ენაში შეესაბამება პირველი პირის ნაცვალსახელს მხოლოდით რიცხვში, და გულის, რომელიც ფართოდ გამოიყენება, როგორც ზმნა „სიყვარული“-ს სიმბოლო, განლაგება წარმოადგენს მარტივ, ცხად და არაზუნდოვან იდიომატურ გამოხატულებას, რომელიც ნიშნავს „მე მიყვარს“ (უდავოა). საზოგადოების შესაბამისი ნაწილი სადავო ნიშანს იმთავითვე და ექსკლუზიურად აღიქვამს, როგორც საქებარ სარეკლამო გზავნილს, რომელიც საქონლის მიმართ გამოხატავს უპირატესობას ან სიმპათიას (§ 62). ბათილობის მომთხოვნი განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები წარმოაჩენენ განაცხადის წარდგენის დროს სიმბოლოს ფართოდ გამოყენებას მრავალფეროვანი ფორმულირებითა და კომბინაციით ევროკავშირის ფარგლებში (§ 55-56, 63). შედეგად, სადავო სასაქონლო ნიშანი არ არის არც ღირსშესანიშნავი და არც ორიგინალური, რომელიც მოითხოვს სულ მცირე რამდენიმე ინტერპრეტაციას ან შემეცნებითი პროცესის დასაწყისს საზოგადოების ცნობიერებაში. საზოგადოების შესაბამისი ნაწილი არ აღიქვამს სიმბოლოს მისი აშკარა სარეკლამო გზავნილის მიღმა, ან როგორც საქონლის კომერციული წყაროს მითითებად (§ 63-64).

ფაქტი, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი დატანილია საქონელზე ლოგოს სახით ან ტანსაცმლის სექტორში არსებული იდენტიფიკაციის პრაქტიკის შესაბამისად, არ აბათილებს ამ დასკვნას (§ 88). ნიშანი უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რა სახითაც მოხდა მისი წარდგენა და არა იმის მიხედვით თუ როგორ გამოიყენება (§ 90). განმცხადებელმა წარადგინა ნიშანი დამატებითი აღწერის გარეშე, რათა შეეზღუდა დაცვის ფარგლები ლოგოზე ან ეტიკეტზე და ასევე იმის აღნიშვნის გარეშე, თუ სად იქნებოდა ნიშანი მოთავსებული მის საქონელზე. შესაბამისად, შეუძლებელია სადავო სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შეფასება კონკრეტულ გამოყენებასთან მიმართებით (ამ თვალსაზრისით 03/12/2019, T658/18, [DEVICE OF A CHECKERED GINGHAM PATTERN](#) (გამოსახ.), EU:T:2019:830, § 36) (§ 90).



12/02/2021, T-19/20, [I love \(fig.\)](#), EU:T:2021:17, § 55-56, 62-64, 90

### არაგანმასხვავებელუნარიანი - გამოხატვა მაშინვე (იმთავითვე, მყისიერად) გასაგები მნიშვნელობით

გამოსახულებითი ნიშანი „Simply. Connected“ („მარტივად. დაკავშირებული“) არ აღიქმება ორ განცალკევებულ და დამოუკიდებელ სიტყვებად, არამედ აღიქმება როგორც იმთავითვე გასაგები მნიშვნელობის ფორმულირებად (§ 62). აშკარა მნიშვნელობის გათვალისწინებით, ისეთი ტიპოგრაფიული მახასიათებლები, როგორებიცაა ფაქტი, რომ სიტყვები დგას ერთმანეთის ზემოთ და ქვემოთ და დიდი ასოებისა და წერტილების არსებობა, არარელევანტურია (§ 63).

საერთოდ შეფასება ადასტურებს სიტყვიერი ელემენტების დომინანტურ პოზიციას გამოსახულებით ელემენტებთან შედარებით, რომლებიც მოკლებული არიან განმასხვავებელუნარიანობას (§ 99-100).



28/03/2019, T-251/17 and T-252/17, [Simply. Connected. \(fig.\)](#), EU:T:2019:202, § 62-63, 99-100.

### სასაქონლო ნიშნის სახეობა განსაზღვრავს სიმბოლოს განმასხვავებელუნარიანობის შეფასების კრიტერიუმს

სიმბოლოს განმასხვავებელუნარიანობის შეფასება უნდა მოხდეს განმცხადებლის მიერ შერჩეული სახეობის მიხედვით, სააპელაციო პალატის მიერ ნიშნის კატეგორიის შეცვლის შესაძლებლობის გარეშე. ასეთი შეფასებისას სასაქონლო ნიშნის საზოგადოების მიერ აღქმული სახეობა ვერ იქნება გათვალისწინებული; სხვაგვარად, განმცხადებლის ვალდებულება, რომ მიუთითოს იმ ნიშნის სახეობა, რომლის რეგისტრაციაც მოითხოვება, და შედეგად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 49(2) თანახმად, მისი შეცვლის შეუძლებლობას, იქნება მოკლებული ყველანაირ პრაქტიკულ ეფექტს ჩამოერთმევა.

25/10/2018, C-433/17P, [GREEN STRIPES ON A PIN \(col.\)](#), EU:C:2018:860, § 25-2.

### ფერთა განმასხვავებელუნარიანობა - საჯარო ინტერესი, რომ არასწორად არ შეიზღუდოს ფერთა ხელმისაწვდომობა

ის გარემოება, რომ ფაქტობრივად ხელმისაწვდომ ფერთა დიდი რაოდენობა შეზღუდულია, ნიშნავს იმას, რომ გარკვეული საქონლის ან მომსახურების მიმართ სასაქონლო ნიშანთა რეგისტრაციების მცირე რაოდენობამ შესაძლებელია ამოწუროს ხელმისაწვდომ ფერთა მთლიანი ასორტიმენტი. ამგვარი ფართო მონოპოლია შესაძლებელია შეუთავსებელი იყოს კეთილსინდისიერი კონკურენციის სისტემასთან, კერძოდ, მან შეიძლება გამოიწვიოს ერთი მეწარმისთვის გაუმართლებელი კონკურენტული უპირატესობის შექმნა. შესაბამისად, უნდა მოხდეს იმის აღიარება, რომ სასაქონლო ნიშნების კანონმდებლობაში არსებობს საზოგადოების ინტერესი, რომ არ მოხდეს ხელმისაწვდომ ფერთა არასწორი შეზღუდვა სხვა ოპერატორებისთვის, რომლებიც ყოველგვარი იმავე სახეობის საქონელს ან მომსახურებას, რომელთა მიმართაც მოთხოვნილია რეგისტრაცია.

06/05/2003, C-104/01, [Libertel](#), EU:C:2003:244, § 54-55.

## ფერების უნარი გარკვეული ინფორმაციის გადაცემისთვის

მაშინ, როდესაც ფერებს შეუძლიათ იდეების ზოგიერთი ასოციაციის გადმოცემა და გრძნობების გაღვივება, ისინი ასევე ფლობენ გარკვეული ინფორმაციის გადმოცემის თანდაყოლილ უნარს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი თავიანთი მიმზიდველობის გამო საყოველთაოდ და ფართოდ გამოიყენებინან საქონლის ან მომსახურების რეკლამირებისა და მარკეტინგის მიზნებისთვის, კონკრეტული გზავნილის გარეშე.

06/05/2003, C-104/01, [Libertel](#), EU:C:2003:244, § 40.  
24/06/2004, C-49/02, [Blau/Gelb](#), EU:C:2004:384, § 38.  
28/01/2015, T-655/13, [Grün](#), EU:T:2015:49, § 24.

## ფერების თანდაყოლილი და შექმნილი განმასხვავებელუნარიანობა

საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ფერებს თავიდან არ გააჩნიათ განმასხვავებელუნარიანობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელზეც შეტანილია განაცხადი, რაოდენობრივად შეზღუდულია და შესაბამისი ბაზარი ძალზედ სპეციფიკურია. მიუხედავად ამისა, თუ ფერს თავიდან არ გააჩნია რაიმე განმასხვავებელუნარიანობა, ასეთი შესაძლებელია შეიძინოს იმ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით, რომელზედაც შეტანილია განაცხადი, მისი გამოყენების შედეგად. ასეთი განმასხვავებელუნარიანობა შეიძლება შექმნილი იქნეს, *inter alia*, შესაბამისი საზოგადოების მიერ საქონლის/მომსახურების გაცნობის ჩვეული პროცესის გზით. ასეთ შემთხვევებში კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეაფასოს ყველა მტკიცებულება, რომლის საფუძველზე იდენტიფიცირდება საქონელი მწარმოებლის მიხედვით, ამასთან, განსხვავდება სხვა მწარმოებელთა პროდუქციისაგან.

06/05/2003, C-104/01, [Libertel](#), EU:C:2003:244, § 65-66.  
28/01/2015, T-655/13, [Grün](#), EU:T:2015:49, § 26.

## ფერით გამოსახული მომსახურების ნიშნის შეფასების კრიტერიუმები

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკის თანახმად, არამართებულია განსხვავებული კრიტერიუმების გამოყენება, ფერით გამოხატული მომსახურების ნიშნის და ფერით გამოხატული საქონლის ნიშნის განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას.

12/11/2010, T-404/09 & T-405/09, [Grau/Rot](#) EU:T:2010:466, § 22.

## ერთი ფერი და ფერთა კომბინაციები შესაძლოა წარმოადგენდნენ სიმბოლოს - ერთი ფერის და ფერთა კომბინაციების განმასხვავებელუნარიანობა

არ არის პრეზუმირებული, რომ ერთი ფერი ან ფერთა კომბინაცია წარმოადგენენ სიმბოლოს. ჩვეულებრივ, ფერი არის საგნების მარტივი თვისება. თუმცა, ის შესაძლოა წარმოადგენდეს სიმბოლოს. ეს დამოკიდებულია კონტექსტზე, რომელშიც გამოიყენება ფერი. მიუხედავად ამისა, ერთ ფერს, საქონლთან ან მომსახურებასთან მიმართებით, აქვს უნარი, შექმნას სიმბოლო.

იმის განსასაზღვრად, ერთ ფერს ან ფერთა კომბინაციებს აქვთ თუ არა უნარი, განასხვავონ ერთი საწარმოს საქონელი სხვა საწარმოების საქონლისგან ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მე-7 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, უნდა დადგინდეს, ამ ერთ ფერებს ან ფერთა კომბინაციებს აქვთ თუ არა უნარი, გასცენ ზუსტი ინფორმაცია, განსაკუთრებით საქონლის ან მომსახურების წყაროსთან მიმართებით.

06/05/2003, C-104/01, [Libertel](#), EU:C:2003:244, § 27, 39.  
24/06/2004, C-49/02, [Heidelberger Bauchemie](#), EU:C:2004:384, § 23, 37.

## იგივე კრიტერიუმი, რომელიც გამოიყენება იმ სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით, რომლებიც შედგება ერთი ფერისგან ან ფერთა კომბინაციისგან

წინასწარი შენიშვნის სახით, ხელსაყრელია იმის განსაზღვრა, რომ არ არსებობს მხოლოდ ერთი ფერისგან შემდგარი სასაქონლო ნიშნებისა და ფერთა კომბინაციებისგან შემდგარი სასაქონლო ნიშნების განსხვავება, როდესაც მხედველობაში მიიღება კონკურენტი მწარმოებლებისთვის ფერთა ხელმისაწვდომობის არასწორად შეზღუდვის დაუშვებლობის საჭიროება.

12/11/2010, T-404/09 & T-405/09, [Grau/Rot](#) EU:T:2010:466, § 25.  
24/06/2004, C-49/02, [Heidelberger Bauchemie](#), EU:C:2004:384, § 42.  
06/05/2003, C-104/01, [Libertel](#), ECLI:EU:C:2003:244, § 60.

## სლოგანები

მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას არასწორია სლოგანების მიმართ სხვა სახის სიმბოლოებისთვის დადგენილ კრიტერიუმებთან შედარებით უფრო მკაცრი კრიტერიუმების გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ სლოგანების რეგისტრაციისთვის არ არსებობს განსაკუთრებული კრიტერიუმები, საზოგადოების შესაბამისი ნაწილის აღქმა აუცილებელი არ არის, რომ იყოს ერთი და იგივე ყველა სახეობის სიმბოლოსთან მიმართებით და მართებულია ამის გათვალისწინება განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას.

მართლმსაჯულების სასამართლომ ჩამოაყალიბა შემდეგი კრიტერიუმები, რომლებიც უნდა იქნას გამოყენებული სლოგანის განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას (21/01/2010, C-398/08 P, *Vorsprung durch Technik*, EU:C:2010:29, § 47; 13/04/2011, T-523/09, *Wir machen das Besondere einfach*, EU:T:2011:175, § 37).



სარეკლამო სლოგანს შესაძლოა ყოველთვის ჰქონდეს განმასხვავებელუნარიანობა, როდესაც ის აღიქმება როგორც უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ სარეკლამო გზავნილი, რომელიც ხოტბას ასხამს განსახილველი საქონლის ან მომსახურების ხარისხს, რადგან ის:

- წარმოადგენს სიტყვების თამაშს, და/ან
- შემოაქვს კონცეფტუალური ინტრიგის ან გაოცების ელემენტები იმგვარად, რომ ის აღიქმებოდეს წარმოსახვითად, გასაოცრად ან მოულოდნელად, და/ან
- აქვს რაიმე განსაკუთრებული ორიგინალურობა ან რეზონანსი, და/ან
- საზოგადოების შესაბამისი ნაწილისთვის ცნობიერებაში იწვევს შემეცნებით პროცესს ან მოითხოვს ინტერპრეტაციულ ძალისხმევას.

ზემოაღნიშნულთან ერთად შემდეგმა მახასიათებლებმა შესაძლებელია ხელი შეუწყონ სლოგანის განმასხვავებელუნარიანობის დადგენას:

- უჩვეულო სინტაქსური სტრუქტურები;
- ისეთი ენობრივი და სტილისტური საშუალებების გამოყენება, როგორებიცაა ალიტერაცია, მეტაფორები, რითმა, პარადოქსი და ა.შ.

12/07/2012, C-311/11 P, [Wir machen das Besondere einfach](#), EU:C:2012:460  
21/01/2010, C-398/08 P, [Vorsprung durch Technik](#), EU:C:2010:29, § 47;

## სარეკლამო ფორმულის „საქებარი“ ბუნება - განმასხვავებელუნარიანი შემთხვევები

მხოლოდ ის ფაქტი, რომ საზოგადოების შესაბამისი ნაწილის მიერ ნიშანი აღიქმება სარეკლამო ფორმულად და, მისი „საქებარი“ ბუნების გამო, ის პრინციპში შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა საწარმოების მიერ, თავისთავად არ არის საკმარისი იმ დასკვნის განსამტკიცებლად, რომ ეს ნიშანი მოკლებულია განმასხვავებელუნარიანობას.

სარეკლამო სლოგანს არ შეიძლება მოეთხოვოს „წარმოსახვითობის“ ან თუნდაც „გაოცების“ გამომწვევი და გასაოცარი შთაბეჭდილების შემქმნელი აბსტრაქტული წყობა“ ჩვენება. თუმცა, ამგვარი მახასიათებლების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ნიშანი შეიძლება იყოს განმასხვავებელუნარიანი, ვინაიდან „ამ მახასიათებლების არსებობა, სავარაუდოდ, ნიშანს განმასხვავებელუნარიანობას ანიჭებს“.

21/01/2010, C-398/08 P, [Vorsprung durch Technik](#), EU:C:2010:29, § 44-47

*ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(გ)/ 59(1)(ა) - აღწერილობითი სიმბოლო*

## შესაბამისი მომხმარებელი

ფაქტი, რომ შესაბამისი მომხმარებელი არის სპეზიალიზირებული/პროფესიონალი მომხმარებელი ვერ მოახდენს გადამწყვეტ გავლენას სიმბოლოს განმასხვავებელუნარიანობის შეფასების სამართლებრივ კრიტერიუმზე. იგივე ეხება სიმბოლოების აღწერილობითობის შეფასებას (§ 14).

07/05/2019, T-423/18, [vita](#), EU:T:2019:291, § 14.

## შესაბამისი მომხმარებელი - იმ ენების ფლობის დონე, რომლებიც არ გამოიყენება ევროკავშირში

საერთო სასამართლოს არ დაუმახინჯებია მტკიცებულება და ასევე შეძლო შესაბამისი მომხმარებლის შეფასებისა და ტერმინის „PLOMBIR“ (სიტყვა „Пломбир“-ის ტრანსლიტერაცია ლათინური ანბანით, რომელიც რუსულ ენაზე ნიშნავს „ნაყინს“) აღწერილობითობის დასაბუთება. საზოგადოების შესაბამისი ნაწილი იყო რუსულად მოსაუბრე, რომელიც მოიცავდა ევროკავშირის საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ესმოდა ან საუბრობდა რუსულ ენაზე გერმანიასა და ბალტიის ქვეყნებში. ესმოდათ თუ არა რუსული გერმანიაში, ან საერთო სასამართლომ დაუშვა თუ არა შეცდომა იმ დასკვნის გამოტანისას, რომ გერმანიაში ესმოდათ რუსული, უმნიშვნელოა, ვინაიდან გადაწყვეტილება კვლავ დაეფუძნებოდა საერთო სასამართლოს მიერ დადგენილ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს, რომ ბალტიის ქვეყნებში ესმოდათ რუსული ენა (§ 41-43). მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოს არ აღუნიშნავს, ბალტიის ქვეყნებში რუსული ენის ცოდნის დონე უტოლდებოდა თუ არა მათი ცოდნის დონეს, ვისი მშობლიური ენაცაა რუსული, მან საკმარისად დაასაბუთა, რომ დადასტურებული იყო „პლომბირ“-ის ყოველდღიურ რუსულ ენაში გამოყენება (§ 68-74).

18/06/2020, C-142/19 P, [PLOMBIR](#), EU:C:2020:487, § 41-43, 68-74.

## ინგლისური ენა ევროკავშირის მასშტაბით ფართო საზოგადოებას ესმის (აქვთ გაგების უნარი)

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებით გავითვალისწინოთ ინგლისურად მოსაუბრე მომხმარებლები და პროფესიონალები და ელემენტარული ინგლისურის მცოდნე მომხმარებლები და პროფესიონალები, რომლებიც, ნებისმიერ შემთხვევაში, წარმოადგენენ ევროპელი მომხმარებლებისა და პროფესიონალების ძალიან დიდ ნაწილს (ამასთან მიმართებით იხილეთ

26/09/2012, T-301/09, [Citigate](#), EU:T:2012:473, § 41

## აღწერილობითი - საქონლის ფაქტობრივი ან პოტენციური მახასიათებლები

ის ფაქტი, რომ სიმბოლო აღწერს იმ მახასიათებელს, რომელიც არ არსებობს ტექნოლოგიის ამჟამინდელ ეტაპზე, არ გამორიცხავს საზოგადოების შესაბამისი ნაწილის მიერ მის აღწერილობითად აღქმას. ნიშნის რეგისტრაციის მოთხოვნაზე უარის გასამართლებლად საკმარისია, რომ, საზოგადოების შესაბამისი ნაწილის აღქმაში, მისი გამოყენება შესაძლებელია საქონლის ფაქტობრივი ან პოტენციური მახასიათებლის აღნიშვნის მიზნით მაშინაც კი, თუ ეს მახასიათებელი არაა აქტუალური ტექნოლოგიური განვითარების მიმდინარე ეტაპზე (§ 24).

სიტყვიერი ნიშანი „oral Dialysis“ („ორალური დიალიზი“) აღწერილობითია ისეთი საქონლის მიმართ, როგორებიცაა ორალური პრეპარატები დიალიზისთვის, ვინაიდან მომხმარებელი მას აღიქვამს ორალურად მისაღებ წამალს დიალიზისთვის. ის ფაქტი, რომ, სამეცნიერო გადმოსახედიდან, ორალური დიალიზი არ არსებობს და სიტყვიერ სიმბოლოს არ აქვს რაიმე კონკრეტული მნიშვნელობა ტექნიკურად განხილვისას, გავლენას ვერ ახდენს მის აღწერილობით ბუნებაზე (§ 20, 24, 27).

13/06/2019, T-652/18, [oral Dialysis](#), EU:T:2019:412, § 20, 24, 27.

## **აღწერილობითი - აღწერილობითობა საქონლის ან მომსახურების ზოგად კატეგორიასთან მიმართებით**

შესაბამისი მომხმარებელი (ინგლისურად მოსაუბრე, საზოგადოების ქირურგი-ორთოპედების მცოდნე ნაწილი) სიტყვებს „Compliant Constructs“ („დამყოლი კონსტრუქციები“) ქირურგიულ იმპლანტებთან ან ორთოპედიულ საგნებთან მიმართებით მაშინვე აღიქვამს აღწერილობითად ამ საქონელის მიმართ, განსაკუთრებით იმათ მიმართ, რომლებიც შეიცავენ ელასტიურ ან დრეკად მასალას (§ 41-46).

სასაქონლო ნიშნის აღწერილობითობის დადგენა ეხება არა მხოლოდ იმ საქონელს, რომლისთვისაც ის პირდაპირ არის აღწერილობითი, არამედ, განმცხადებლის მიერ სასაქონლო ნიშნის შესაფერისი შეზღუდვის არარსებობის პირობებში, საქონლის იმ ზოგად კატეგორიასაც, რომელსაც ის მიეკუთვნება (§ 50).

შესაბამისად, აღწერილობითობა ვრცელდება არა მხოლოდ ქირურგიულ ინსტრუმენტებზე და აპარატურაზე, არამედ - ასევე ქირურგიულ, სამედიცინო, სტომატოლოგიურ და ვეტერინალურ აპარატურასა და ინსტრუმენტებზე (§ 52).

12/06/2019, T-291/18, [Compliant Constructs](#), EU:T:2019:407, § 41-46, 50, 52.

## **აღწერილობითი**

ტერმინმა „bio“ („ბიო“) შეიძინა ფართო მნიშვნელობა ყოველდღიურ ენაში. ის მიემართება გარემოს პატივისცემის, ბუნებრივი მასალების გამოყენების ან ეკოლოგიურად წარმოების იდეებს. (§ 20-23).

12/12/2019, T-255/19, [BIOTON](#), EU:T:2019:853, § 20-23.

## **აღწერილობითი - აღწერილობითი სიტყვიერი ელემენტები - სხვადასხვა „სტანდარტული ან დეკორატიული“ გამოსახულებითი ელემენტები**

საზოგადოების შესაბამის ნაწილს სავსებით შეუძლია სიტყვის „basmati“ (ბასმათი) გაგება, რომელიც მიემართება სანელებლიან კერძებში გამოყენებული პოპულარული გრძელი ბრინჯის კონკრეტულ სახეობას (§ 52). „ბასმათი“ (basmati) და „ბრინჯი“ (rice) პირდაპირ აღწერს იმ საქონლის ბუნებას, რომელიც მონიშნულია ნიშნით და რომელიც არის ან შეიცავს ბრინჯს (§ 53). სიტყვა „sir“ („ბატონი“) განსახილველ ნიშანს არ ანიჭებს განმასხვავებელუნარიანობის მნიშვნელოვან ხარისხს არც ცალკე და არც ნიშნის მიერ შექმნილი საერთო შთაბეჭდილების ჭრილში განხილვისას (§ 67). ნიშნის სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტების ერთობლიობა ვერ გამოიხატავს იმ დასკვნას, რომ ნიშანი იმთავითვე და დამატებითი ფიქრის გარეშე აღიქმება არა მხოლოდ არაგანმასხვავებელუნარიანად, არამედ განსახილველი საქონლის მიმართ აღწერილობითად (§ 61). ნიშნის მოჩვენებითი „კომპლექსურობა“ არის სხვადასხვა „სტანდარტული ან დეკორატიული“ ელემენტების შედეგი, რომლებიც არასწორად მიიჩნეის ნიშნისთვის განმასხვავებელუნარიანობის საჭირო ხარისხის მინიჭების უნარის მქონეებად (§ 63).



05/11/2019, T-361/18, [SIR BASMATI RICE \(fig.\)](#), EU:T:2019:777, § 52-53, 67, 61, 63.

### არააღწერილობითი - „თანდაყოლილი“ მახასიათებლის არარსებობა, რომელიც არის საქონლის „ბუნებისთვის დამახასიათებელი“

კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (7)(1)(გ) მუხლის [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(გ)] მნიშვნელობის ფარგლებში, მახასიათებელი უნდა იყოს „ობიექტური“ და საქონლის ან მომსახურების „ბუნებისთვის დამახასიათებელი“ და „თანდაყოლილი და მუდმივი“ ამ საქონელთან ან მომსახურებასთან მიმართებით. შვედურ ენაში სიტყვა „vita“, „vit“-ს მრავლობითი ფორმა, ნიშნავს „თეთრს“. თეთრი ფერი არ წარმოადგენს „თანდაყოლილ“ მახასიათებელს, რომელიც არის საქონლის „ჩვეულებრივ დამახასიათებელი“, არამედ არის წმინდად შემთხვევითი და ინციდენტური (ნიშანდობლივი) ასპექტი, რომელიც შეიძლება ჰქონდეს საქონელთან მხოლოდ ზოგიერთს და რომელსაც არ აქვს არანაირი პირდაპირი და უშუალო კავშირი მათ ბუნებასთან (§ 44-48).

07/05/2019, T-423/18, [vita](#), EU:T:2019:291, § 44-48.

### არააღწერილობითი - „თანდაყოლილი“ მახასიათებლის არარსებობა, რომელიც არის საქონლის „ბუნებისთვის დამახასიათებელი“

მონაცრისფრო-თეთრი ფერის ელეგანტური და ფრთხილი ხასიათი და გაუმჯობესებული ვიზუალური შთაბეჭდილება, რომელსაც ეს ფერი ქმნის გარკვეულ საქონელთან (მაგალითად დამცავ ჩაფხუტებთან) მიმართებით, არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომ ის წარმოადგენს ისეთ მახასიათებელს, რომელიც არის „გარემოებითი“ და „განსახილველი საქონლის ბუნებისთვის დამახასიათებელი“. ეს მოსაზრებები, როდესაც ხდება მითითება ამ ფერის ესთეტიკურ ღირებულებასა და წვლილზე, მოიცავენ სუბიექტური შეფასების ელემენტს, რომელიც სავარაუდოდ მნიშვნელოვნად განსხვავდება ყოველი მომხმარებლის ინდივიდუალური პრეფერენციების მიხედვით და შესაბამისად, მისი გამოყენება ვერ მოხდება იმის დასადგენად, თუ როგორ შეიძლება აღიქვას საზოგადოებამ სიმბოლო მთლიანობაში (13/12/2018, T 98/18, MULTIFIT, EU:T:2018:936, § 31) (§ 44).



25/06/2020, T-133/19, [OFF-WHITE \(fig.\)](#), EU:T:2020:293, § 44.

### Evidence for descriptive character must relate to the trade mark's filing date – Invalidity proceedings

#### აღწერილობითობის მტკიცებულება უნდა უკავშირდებოდეს სასაქონლო ნიშნის განაცხადის წარდგენის თარიღს - ბათილობის პროცედურა

ბათილად ცნობის საქმეში ნიშნის აღწერილობითობის მტკიცებულება უნდა უკავშირდებოდეს განაცხადის წარდგენის დროს, რათა შესაძლებელი იყოს დასკვნების გაკეთება იმ დროისთვის არსებული მდგომარეობის შესახებ (§ 58).

13/05/2020, T-86/19, [BIO-INSECT Shocker](#), EU:T:2020:199, § 58.

*ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(დ) / 59(1)(ა) - გვარეობითი სიმბოლო*

*ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე) / 59(1)(ა) - ფორმა*

### განაცხადის *ratione temporis*

კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე) [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)], ცვლილების შემდეგ, ვერ გავრცელდება რეტროაქტიურად 2016 წლის 23 მარტამდე რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშნებზე (§ 33).

14/03/2019, C-21/18, [Textilis](#), EU:C:2019:199, § 33.  
08/05/2019, T-324/18, [BOTTIGLIA DORATA \(3D\)](#), EU:T:2019:297, § 16-18.

### ზოგადი შენიშვნები

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ე) მუხლით გათვალისწინებული მიზანი იგივეა მისი სამივე საფუძვლისთვის, სახელდობრ, აღკვეთოს ექსკლუზიური და მუდმივი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ სასაქონლო ნიშნიდან, რათა განუსაზღვრელი ვადით გაახანგრძლივოს ინტელექტუალური საკუთრების სხვა ისეთი უფლებები, როგორებიცაა პატენტები ან დიზაინები, რომლებიც ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანომ შეზღუდა განსაზღვრული პერიოდებით.

18/09/2014, C-205/13, [Hauck](#), EU:C:2014:2233, § 19-20  
14/09/2010, C-48/09 P, [Lego brick](#), EU:C:2010:516, § 43;  
06/10/2011, T-508/08, [Loudspeaker](#), EU:T:2011:575, § 65).

### მწარმოებელთა უმეტესობის მიერ ფართოდ გამოყენებული ფორმა

ის ფაქტი, რომ ფორმა ფართოდ გამოიყენება გარკვეული ტიპის საქონლის მწარმოებელთა უმეტესობის მიერ, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ფორმა გამომდინარეობს საქონლის ბუნებიდან, ვინაიდან ეს ფაქტი არის მარკეტინგული არჩევანის შედეგი, რომელიც განპირობებულია იმით, თუ რა არის ჩვეული ამ ტიპის საქონლისთვის.



08/05/2019, T-324/18, [BOTTIGLIA DORATA \(3D\)](#), EU:T:2019:297, § 46.

### არსებითი მახასიათებლები - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)


სიმბოლო შედგება "ექსკლუზიურად" საქონლის ფორმისგან ან სხვა მახასიათებლისგან, როდესაც მისი ყველა არსებითი მახასიათებელი - ანუ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები - გამომდინარეობენ საქონლის ბუნებიდან (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)(i)), ასრულებენ ტექნიკურ ფუნქციას (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)(ii)) ან საქონელს ანიჭებენ მნიშვნელოვან ღირებულებას (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)(iii)). შესაბამისად, ერთი ან მეტი მცირე უმნიშვნელო ელემენტის არსებობა არ შეცვლის დასკვნას.

18/09/2014, C-205/13, [Hauck](#), EU:C:2014:2233, § 21-22;  
14/09/2010, C-48/09 P, [Lego brick](#), EU:C:2010:516, § 51-52.

### არსებითი მახასიათებლები - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)(ii)

არც სიმბოლოს ელემენტთა განმასხვავებელუნარიანობა და არც გამოყენების შედეგად შექმნილი მათი განმასხვავებელუნარიანობა არ არის მნიშვნელოვანი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ე)(ii) მუხლის მიზნებისთვის სიმბოლოს არსებითი მახასიათებლების დადგენისას (§ 51-55, 59-61, 64).

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)(ii) ვრცელდება ისეთ სიმბოლოზე, რომელიც არ მოიცავს საქონლის ყველა დეტალურ მახასიათებელს, იმის ილუსტრირების პირობით, რომ ამ სიმბოლოს არსებითი მახასიათებლები აერთიანებს სულ მცირე იმ მახასიათებლებს, რომლებიც ტექნიკურად რელევანტური და საკმარისია გათვალისწინებული ტექნიკური შედეგის მისაღწევად (§ 77).



24/09/2019, T-261/18, [DEVICE OF A BLACK SQUARE CONTAINING SEVEN CONCENTRIC BLUE CIRCLES \(fig.\)](#), EU:T:2019:674 § 51-55, 59-61, 64, 77.

### არსებითი მახასიათებლები - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)(ii)

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ე)(ii) მუხლის საფუძველზე შეფასება მოიცავს ორ ეტაპს: პირველი, წარმოდგენილი სიმბოლოს არსებითი მახასიათებლების იდენტიფიცირება (ფაქტობრივი საქონლის გათვალისწინებლად) (§ 49) და მეორე, სიმბოლოს არსებითი მახასიათებლების ფუნქციურობის ანალიზი, რომელიც უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი საქონლისა და ამ საქონლის სავარაუდო ტექნიკური შედეგის გათვალისწინებით (§ 84).

სააპელაციო პალატამ შეცდომა დაუშვა შეფასებისას, როდესაც სადავო ნიშნის არსებითი მახასიათებლების იდენტიფიცირებისას „კუბის ექვსი ზედაპირის ფერთა სხვაობა“ მიიჩნია ერთ-ერთ არსებით მახასიათებლად (§ 65-70, 92). თუმცა, აღნიშნული შეცდომა გავლენას ვერ ახდენს სადავო გადაწყვეტილების კანონიერებაზე (§ 71, 93).



24/10/2019, T-601/17, [Cubes \(3D\)](#), EU:T:2019:765, § 49, 65-70, 71, 84, 92-93.

### ❖ წინასწარი გადაწყვეტილება - დირექტივა 2008/95 მუხლი 3(1)(ე)(ii)

#### არსებითი მახასიათებლები - ტექნიკური შედეგი

2008/95 დირექტივის 3(1)(ე)(ii) მუხლი შესაძლოა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც საქონლის ფორმის გრაფიკული გამოსახულება იძლევა ფორმის მხოლოდ ნაწილის დანახვის შესაძლებლობას იმ პირობით, რომ ფორმის ხილული ნაწილი აუცილებელია ამ საქონლით გათვალისწინებული ტექნიკური შედეგის მისაღწევად მაშინაც კი, თუ ის თავისთავად არ არის საკმარისი ამ შედეგის მისაღწევად.

შესაბამისად, რეგისტრაციაზე უარის თქმის ეს საფუძველი გამოიყენება იმ სიმბოლოზე, რომელიც მოიცავს შესაბამისი საქონლის ფორმას, რომელსაც არ გააჩნია გათვალისწინებული ტექნიკური შედეგის მიღწევისთვის საჭირო ყველა არსებითი მახასიათებელი, იმ პირობით, რომ ამ ტექნიკური შედეგის მისაღწევად აუცილებელი არსებითი მახასიათებლებიდან სულ მცირე ერთი მაინც არის თვალსაჩინო ამ საქონლის ფორმის გრაფიკულ გამოსახულებაში.

## **არსებითი მახასიათებლები - ფუნქციურობა და საზოგადოების ცოდნა**

2008/95/EC დირექტივის 3(1)(ე)(ii) მუხლის განმარტება უნდა მოხდეს იმ მნიშვნელობით, რომ იმის დასადგენად, სიმბოლო შეიცავს თუ არა საქონლის ექსკლუზიურად იმ ფორმას, რომელიც აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად, შეფასება არ უნდა შემოიფარგლებოდეს ამ სიმბოლოს გრაფიკული გამოსახულებით (§ 37).

ანალიზის პირველი ეტაპი არის სიმბოლოს არსებითი მახასიათებლების იდენტიფიცირება. ამ ეტაპისთვის შეიძლება გამოყენებული იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ უკავშირდება მხოლოდ გრაფიკულ გამოსახულებას, მაგალითად, როგორცაა საზოგადოების შესაბამისი ნაწილის აღქმა (§ 29-31, 37). ანალიზის მეორე ეტაპი არის იმის დადგენა, არსებითი მახასიათებლები აღწევენ თუ არა ტექნიკურ შედეგს. ამ ეტაპისთვის, ინფორმაცია, რომელიც ამკარად არ იკვეთება სიმბოლოს გრაფიკული გამოსახულებიდან, უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ და სანდო წყაროებს და არ უნდა მოიცავდეს საზოგადოების შესაბამისი ნაწილის აღქმას (§ 32-36, 37).

## **ფორმა, რომელიც საქონელს ანიჭებს მნიშვნელოვან ღირებულებას - საზოგადოების შესაბამისი ნაწილის აღქმა ან ცოდნა - გადაწყვეტილება შეძენის შესახებ**

2008/95/EC დირექტივის 3(1)(ე)(iii) მუხლის განმარტება უნდა მოხდეს იმ მნიშვნელობით, რომ სიმბოლოთი, რომელიც მოიცავს ექსკლუზიურად ამ საქონლის ფორმას, გრაფიკულად გამოსახული საქონლის შესახებ საზოგადოების შესაბამისი ნაწილის აღქმა ან ცოდნა გათვალისწინებული უნდა იყოს ამ ფორმის არსებითი მახასიათებლების იდენტიფიცირებისთვის.

რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ობიექტური და სანდო მტკიცებულებიდან ამკარად ჩანს, რომ მომხმარებლის გადაწყვეტილება, შეიძინოს განსახილველი საქონლი, დიდწილად განპირობებულია ამ მახასიათებლით (§ 39-46, 47).

## **ფორმა, რომელიც საქონელს ანიჭებს მნიშვნელოვან ღირებულებას - კუმულატიური დაცვა - დიზაინები - დეკორატიული საგნები**

2008/95/EC დირექტივის 3(1)(ე)(iii) მუხლის განმარტება უნდა მოხდეს იმ მნიშვნელობით, რომ რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი სისტემატურად არ უნდა ვრცელდებოდეს იმ სიმბოლოზე, რომელიც მოიცავს ექსკლუზიურად საქონლის ფორმას, რომლისთვისაც ეს სიმბოლო სარგებლობს დაცვით, დიზაინთან დაკავშირებული კანონმდებლობის საფუძველზე, ან სადაც სიმბოლო მოიცავს ექსკლუზიურად დეკორატიული საგნის ფორმას (§ 50, 53, 58-59, 62).






23/04/2020, C-237/19, [Gömböc Kutató](#), EU:C:2020:296, § 29-32, 36-37.

## სიმბოლო, რომელიც მხოლოდ ფორმას მოიცავს - ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(ე)(II)

სიმბოლო, რომელზედაც განაცხადია წარდგენილი, ემთხვევა საქონლის იმ ფორმას, რომელიც აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღწევად. სხვა ფორმების არსებობა, რომლებსაც შეუძლიათ იგივე ტექნიკური შედეგის მიღწევა, არ აბრკოლებს კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ე)(ii) მუხლის [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ე)(ii) მუხლი] გამოყენებას. საქონლის ფორმა არ აერთიანებს ისეთ ძირითად არაფუნქციურ ელემენტს, როგორცაა დეკორატიული ან წარმოსახვითი ელემენტი, რომელიც ამ ფორმაში ავტონომიურ როლს თამაშობს (§ 41-44).



26/03/2020, T-752/18, [3D](#), EU:T:2020:130, § 41-44.

## წინასწარი გადაწყვეტილება - „ფორმის“ ცნება (კონცეფცია) - ფორმა, რომელიც საქონელს ანიჭებს მნიშვნელოვან ღირებულებას

კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ე)(iii) მუხლის განმარტება უნდა მოხდეს იმ მნიშვნელობით, რომ ორგანოზომილებიანი დეკორატიული მოტივების შემცველი სიმბოლო, რომელიც მიმაგრებულია ისეთ საქონელზე, როგორცაა ქსოვილი ან ქაღალდი, არ „მოიცავს ექსკლუზიურად ფორმას“ ამ პუნქტის მნიშვნელობის ფარგლებში (§ 48). „ფორმის“ ცნება 2008/95/EC დირექტივის 3(1)(ე)(iii) მუხლის მნიშვნელობით, ყველა სხვა მახასიათებლის გამოკლებით, რომელიც შეიძლება ხელს უწყობდეს საქონლის გარეგნულ ფორმირებას, შემოიფარგლება საქონლის ისეთი კონტურებით, როგორებიცაა საქონლის მთლიან ან გარკვეულ ნაწილზე არაფიქსირებული სახით დატანილი მოხატულობები (§ 33, 36-41). არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ორგანოზომილებიანი დეკორატიული მოტივების შემცველი სიმბოლო განუყოფელია საქონლის იმ ფორმისგან, რომელზეც დამაგრებულია ის, ისეთი საქონლისგან, როგორცაა ქსოვილი ან ქაღალდი, რომლის ფორმაც განსხვავდება ამ დეკორატიული მოტივებისგან (§ 42). ასეთი სიმბოლო ვერ იქნება მიჩნეული „ექსკლუზიურად ფორმის“ შემცველად კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 7(1)(ე)(iii) მუხლის მნიშვნელობით.



14/03/2019, C-21/18, [Textilis](#), EU:C:2019:199, § 33, 36-41, 42-43.

**მუხლი 7(1)(h) / 59(1)(a) EUTMR – პარიზის კონვენციის 6ter მუხლი**

**ზოგადი პრინციპები**

ემბლემის იმიტაციის აკრძალვა ეხება მხოლოდ მისი ჰერალდიკური პერსპექტივიდან იმიტაციას, ანუ იმ დამატებითი ჰერალდიკური ნიშნის მიბაძვას, რომელიც განსხვავებს ემბლემას სხვა ნიშნებისაგან. მაშასადამე, ჰერალდიკური თვალსაზრისით ნებისმიერი იმიტაციისაგან დაცვა ეხება არა უშუალოდ გამოსახულებას, არამედ მის ჰერალდიკურ კონტექსტში გამოხატვის ფორმას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განიხილებოდეს სადავო ემბლემის ჰერალდიკური აღწერა, რათა დადგინდეს, შეიცავს თუ არა სასაქონლო ნიშანი ჰერალდიკური თვალსაზრისით მსგავსებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასაქონლო ნიშნის შემოწმებისას, პირველი ნაბიჯი უნდა იყოს ორივე ნიშნის, დაცული „ემბლემისა“ და სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი ნიშნის განხილვა ჰერალდიკური პერსპექტივიდან.

მიუხედავად ამისა, “ჰერალდიკური ნიშნით იმიტაციის“ შემთხვევაში, ჰერალდიკის სპეციალისტის მიერ გამოვლენილი განსხვავება სასაქონლო ნიშანსა და ემბლემას შორის, არ ნიშნავს იმას, რომ იგი ჩვეულებრივი მომხმარებლის მიერაც იქნება აღქმული, შესაბამისად, ჰერალდიკური დეტალების დონეზე განსხვავების მიუხედავად, სადავო სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სახელმწიფო ემბლემის მსგავსი, პარიზის კონვენციის მე-6ter მუხლის მნიშვნელობით.

16/07/2009, C-202/08 P & C-208/08 P, [RW feuille d'érable](#), EU:C:2009:477, § 48, 50  
05/05/2011, T-411/10, [esf école du ski français](#) (fig.), EU:T:2011:200, § 25  
25/05/2011, T-397/09, [Suscipere et finire](#), EU:T:2011:246, § 24-25).

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დელეგირებული რეგულაციის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილის h პუნქტის გამოსაყენებლად, საკმარისია, რომ საშუალო მომხმარებელს, ჰერალდიკურ დეტალებში განსხვავების მიუხედავად, შეუძლია სასაქონლო ნიშანში ემბლემის იმიტაცია დაინახოს. მაგალითისათვის, მიბაძვა შეიძლება იყოს როცა ნიშანი შეიცავს იმ ძირითად ელემენტს ან მის ნაწილს, რომელიც დაცულია პარიზის კონვენციის მე-6ter მუხლით. ეს ელემენტი არ არის აუცილებელი იყოს განსახილველი ემბლემის იდენტური. ის ფაქტი, რომ განსახილველი ემბლემა სტილიზებულია ან მხოლოდ ნაწილია გამოყენებული, არ გულისხმობს იმას, რომ ჰერალდიკური თვალსაზრისით იმიტაცია არაა.

(21/04/2004, T-127/02, [ECA](#), EU:T:2004:110, § 41

**მუხლი 7(1)(i) / 59(1)(a) EUTMR – სხვა ემბლემები**

**მუხლი 7(1)(i)/59(1)(a)EUTMR-სხვა ემბლემები**

**მუხლი 7(1)(j) / 59(1)(a) EUTMR – გეოგრაფიული აღნიშვნები**

წინასწარი რეგულირება-გეოგრაფიული წარმოშობა- (EC) No 510/2006 რეგულაციის მუხლი 2(1)(a) და მუხლი 13(1)

გეოგრაფიული აღნიშვნები დაცულია ყოველგვარი იმიტაციისაგან, მათ შორის გამომსახველობითი ნიშნები (§ 18). გეოგრაფიულ არეალში დაფუძნებული მწარმოებელი, დაცული ადგილწარმოშობის აღნიშვნის მიხედვით(PDO), რომლის პროდუქციაც არაა დაცული PDO-ს შესაბამისად, მაგრამ არის მსგავსი ან შედარებადი იმ პროდუქციასთან, რომელიც დაცულია PDO-თი, არ გამოირიცხება (EC) No 510/2006 რეგულაციის, მე-13(1)(b) მუხლის გამოყენების ფარგლებიდან.

02/05/2019, C-614/17, [Fundación Consejo Regulador de la Denominación de Origen Protegida Queso Manchego](#), EU:C:2019:344, § 18, 34.

### გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის მასშტაბი

საერთო სასამართლომ გააუქმა მე-4 კოლეგიის გადაწყვეტილება, რომელმაც დაადგინა, რომ სიტყვა „ტორტა“ (torta) ყველის მხოლოდ მრგვალს ფორმაზე მიუთითებდა და არა გეოგრაფიულ არეალზე და საბოლოოდ ვერ ექცეოდა 510/2006 (ახლა 1151/2012) რეგულაციის დაცვის ქვეშ.

საერთო სასამართლომ არსებითად დაადგინა, რომ 510/2006 (ამჟამინდელი რეგულაცია N1151/2012) რეგულაციის მე-2(2) მუხლის მიხედვით, ადგილწარმოშობის დაცული აღნიშვნა შეიძლება შედგებოდეს არაგეოგრაფიული ტრადიციული დასახელებისაგან, რომელიც აღნიშნავს სოფლის მეურნეობის საქონლს ან საკვებს და შეესაბამება ამავე მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ პირობებს.

საერთო სასამართლომ არსებითად დაადგინა, რომ როდესაც საქმე ეხება ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციას, უნდა შემოწმდეს არის თუ არა სიტყვა „Torta“, ადგილწარმოშობის დაცული აღნიშვნის “torta del Casar”-ის შემადგენელი ნაწილი, როგორც ტრადიციული ტერმინი, რომელიც დაცვას იმსახურებს.

ანალოგიურად, ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, საერთო სასამართლო ცხადყოფს, რომ ადგილწარმოშობის დაცული აღნიშვნით გათვალისწინებული “Torta Del Casar”-ის მსგავსი დასახელება, ამ შემთხვევაში ტერმინი “torta” და როცა ნიშანი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საქონლთან( ყველთან) და არ არის რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დაცული აღნიშვნით „Torta del Casar” როგორც ასეთი, შეიძლება არსებობდეს დარღვევა, მიუხედავად იმისა რომ გეოგრაფიული დასახელება (ამ შემთხვევაში del Casar) საერთოდ არაა ნახსენები, გამოყენებულია ტრადიციული ტერმინის შემადგენელი ნაწილი “torta”.

14/12/2017, T-828/16, [QUESO Y TORTA DE LA SERENA \(fig.\)](#) / TORTA DEL CASAR et al, ECLI:EU:T:2017:918.

საერთო სასამართლომ დაადასტურა კოლეგიების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც უარყოფდა აპლიკაციას ღვინისათვის „CUVÉE PALOMAR“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, რადგანაც წინააღმდეგობაში მოდიოდა რეგისტრირებულ ესპანურ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან Valencia' რომელიც ასევე გავრცელდა „EL Palomar“-ის არეალში. მიუხედავად იმისა, ეს სასაქონლო ნიშანი შეიცავს თუ არა ყალბ და შეცდომაში შემყვან აღნიშვნებს, საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დელეგირებული რეგულაციის მე-7 მუხლის(1)(j) ნაწილი გამოიყენება მაშინაც, როდესაც ნიშანი შეიცავს ან შედგება იმ გეოგრაფიული აღნიშვნისაგან, რომელიც განსაზღვრავს ღვინოს და ეს გეოგრაფიული ნიშანი არ არის მისი ადგილწარმოშობის ტერიტორია. ასევე განიხილება ის შემთხვევებიც, როცა განსახილველი ნიშანი შეიცავს ან შედგება ელემენტებისაგან, რომელიც შესაძლებელს ხდის შესაბამისი გეოგრაფიული აღნიშვნის დარწმუნებით იდენტიფიცირებას, არ არის აუცილებელი მხედველობაში იყოს მიღებული განსაზღვრული ან განუსაზღვრელი არტიკლი (მაგ: „El“), რომლებიც შესაძლოა ამ ნიშნის ნაწილს წარმოადგენდნენ. ამ მიზნით ასევე არარელევანტურია ის, რომ სახელი, რომელიც სარგებლობს რეგისტრირებული წარმოშობის დასახელებით, უცნობია ფართო საზოგადოებისათვის ან პირთა შესაბამისი კლასისათვის. უფრო მეტიც, მაშინაც კი, თუ სარეგისტრაციოდ მოთხოვნილ სასაქონლო ნიშანს აქვს რამოდენიმე მნიშვნელობა ან ზუსტად არ ემთხვევა გამოთქმას „el Palomar“, არ გამორიცხავს გავრცელდეს ზემოთ აღნიშნული ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დელეგირებული რეგულაციის მე-7 მუხლის(1)(j) ნაწილი. სხვაგვარად იქნებოდა მაშინ, თუკი გეოგრაფიული აღნიშვნა, რომლის სახელიც შედგება ადგილწარმოშობის დასახელებისაგან და არტიკლი არის განუყოფელი ამ სახელისაგან და რომელიც სახელს ანიჭებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

Cuvée Palomar-ის გადაწყვეტილება, გეოგრაფიულ აღნიშვნებს ანიჭებს ძალიან ფართო დაცვას, რომელიც უფრო შორს მიდის ვიდრე მარტივად იდენტიფიცირებადი ნიშანი (ვალენსია), რადგან იგი იცავს გეოგრაფიული აღნიშვნით დაფარულ მთელ ტერიტორიას. დაცვა კიდევ უფრო ფართოვდება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული მასშტაბების შესახებ, მთლიანი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო.

11/05/2010, T-237/08, [Cuvée Palomar](#), EU:T:2010:185, § 111.

### პირდაპირი ან არაპირდაპირი კომერციული გამოყენება

**შოტლანდიური ვისკი**, გერმანიაში წარმოებული ვისკის მარკეტინგული კომპანია, სახელწოდებით "Glen Buchenbach", არღვევდა გეოგრაფიულ აღნიშვნას "შოტლანდიური ვისკი". გერმანიის სასამართლომ საქმე გადაუგზავნა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რათა განემარტა გამოთქმები „ირიბი კომერციული გამოყენება“, „გამოწვევა“ და „სხვა შეცდომაში შემყვანი მითითება“ რეგულაცია N110/2008-ის მე-16 მუხლის „ა“, „ბ“ და (გ)(ალკოჰოლური სასმელების რეგულაცია) მიხედვით.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო მიჰყვა გენერალური ადვოკატის მოსაზრებას და დააზუსტა, რომ რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნის „არაპირდაპირი კომერციული გამოყენება“ არსებობს მაშინ, როდესაც სადავო ელემენტი გამოიყენება „ამ აღნიშვნის იდენტური ფორმით ან ფონეტიკურად ან/და ვიზუალურად მსგავსი ფორმით“ (§ 39). შესაბამისად, სასამართლომ არასაკმარისად მიიჩნია, რომ ამ ელემენტმა შეიძლება გამოიწვიოს შესაბამის საზოგადოებაში რაიმე სახის ასოციაცია აღნიშნულ მითითებასთან ან დაკავშირებულ გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, სასამართლომ განმარტა, რომ გასხვავება უნდა დადგინდეს სიტუაციებს შორის, რა შემთხვევაშია პირდაპირი და არაპირდაპირი გამოყენება. პირდაპირი გამოყენებისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს რომ დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა მიმაგრებულია უშუალოდ შესაბამის საქონლზე ან მის შეფუთვაზე, არაპირდაპირი გამოყენება მოითხოვს მითითებას დამატებით მარკეტინგულ ან ინფორმაციულ წყაროებში, როგორცაა საქონლის რეკლამა ან მასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

გარდა ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ დებულების ფარგლები აუცილებლად უნდა განსხვავდებოდეს რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სხვა წესებისგან, რომლებიც მითითებულია მე-16 მუხლის (ბ)-(დ) პუნქტებში. პუნქტი (ა) უნდა განსხვავდებოდეს მე-16 მუხლის (ბ) პუნქტით გათვალისწინებული სიტუაციისგან, რომელიც ეხება „ნებისმიერ უკანონო გამოყენებას, იმიტაციას ან ასოციაციურ მისადაგებას“, ანუ სიტუაციებს, როდესაც სადავო ნიშანი არ იყენებს გეოგრაფიულ აღნიშვნას როგორც ასეთი, მაგრამ გვთავაზობს მას ისე, რომ ეს იწვევს მომხმარებელში საკმარისად მჭიდრო ასოციაციურ კავშირს ამ ნიშანსა და რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის“ (§ 33).

საბოლოო ჯამში, სასამართლომ განმარტა, რომ რეგულაცია N110/2008-ის მე-16 მუხლი შეიცავს აკრძალული ქცევის ჩამონათვალს, სადაც (c) პუნქტი არის დამოუკიდებელი სხვა დანარჩენი დებულებებისაგან და უნდა განსხვავდებოდეს მე-16 მუხლის (§ 65) (a) და (b) პუნქტებისაგან.

07/06/2018, C-44/17, [Scotch Whisky Association](#), EU:C:2018:415, § 33, 39 and 65.

შედარებითი საქონლი

კონიაკი II-ში, სასამართლომ დაადგინა ფაქტორების არაექსკლუზიური ჩამონათვალი:

- აქვთ თუ არა საქონლებს საერთო ობიექტური მახასიათებლები, როგორცაა დამუშავების მეთოდი, გარეგნული მსგავსება ან ერთი იგივე მასალის გამოყენება;
- შესაბამისი საზოგადოების აზრით, რომელი გარემოებების გათვალისწინებით ხდება საქონლების მოხმარება;
- ხშირად ვრცელდება თუ არა ისინი იმავე არხებით და
- ექვემდებარებიან თუ არა ისინი ერთმანეთის მსგავს მარკეტინგულ წესებს.

14/07/2011, C-4/2010, BNI [Cognac](#), :EU:C:2011:484 § 54.

უკანონო გამოყენება, იმიტაცია, ასოციაციური მისადაგება

ტერმინი „ასოციაციური მისადაგება“ უნდა გვესმოდეს, როგორც „სიტუაცია, როდესაც საქონლის აღსანიშნად გამოყენებული ტერმინი მოიცავს დაცული აღნიშვნის ნაწილს, ისე რომ, როდესაც მომხმარებელი ხედავს საქონლის სახელს, გონებაში აკავშირებს იმ საქონლთან, რომლის გეოგრაფიული აღნიშვნაც დაცულია“ (§ 59). „ასოციაციური მისადაგება“ ასევე შეიძლება დახასიათდეს დაბნეულობის ალბათობის არარსებობის შემთხვევაშიც კი. უფრო მეტიც, იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშვნა ასოციაციურად უკავშირდება რეგისტრირებულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან, უნდა დადგინდეს ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსებით (§ 27).

04/03/1999, C-87/97, [Gorgonzola](#), EU:C:1999:115, § 27, 59.

N 510/2006 რეგულაციის მე-13(1)(ბ) მუხლი (ამჟამინდელი რეგულაცია N 1151/2012) არ ზღუდავს ამ დებულების მოქმედების სფეროს მხოლოდ იმ საქონლების დასახელებით, რომლებიც მოიაზრებიან ამ სახელწოდების ქვეშ, პირიქით, ეს დებულება მოითხოვს დაცვას „ნებისმიერი“ ასოციაციური მისადაგებისაგან, მაშინაც კი, თუ დაცულ სახელს ახლავს ისეთი გამოხატულება, როგორიცაა „სტილი“, „ტიპი“, „მეთოდი“, „წარმოებულია როგორც..“ ან „იმიტაცია“, შესაბამისი საქონლის შეფუთვაზე. სასამართლოს აზრით, მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებელს ჰქონდეს მკაფიო, ლაკონური და სანდო ინფორმაცია საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებით. აღნიშნული ინფორმაცია დამატებით გარანტირებულია, თუ რეგისტრირებული სახელის ასოციაციური მისადაგება შეუძლებელია გამოსახულებითი ნიშნების გამოყენებით.

გადამწყვეტი კრიტერიუმი, რათა დადგინდეს იწვევს თუ არა კონკრეტული ელემენტი რეგისტრირებულ ნიშანთან ასოციაციურ კავშირს, ეროვნულმა სასამართლოებმა, კონკრეტულ შემთხვევებში უნდა შეაფასონ, შეუძლია თუ არა ამ ელემენტს, მომხმარებლის გონებაში გააჩინოს უშუალოდ იმ საქონლის სურათი, რომლის გეოგრაფიული აღნიშვნაც დაცულია, რაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ გამოსახულებითმა ნიშანმა, საქონლის რეგისტრირებულ ნიშანთან კონცეპტუალური სიახლოვის გამო, მომხმარებლის გონებაში პირდაპირი, ასოციაციური კავშირი გამოიწვიოს.

როგორც ასეთი, კითხვაზე წინასწარი პასუხის გაცემისას, სასამართლომ განაცხადა, რომ №510/2006 რეგულაციის მე-13(1)(b) მუხლი (ახლანდელი რეგულაცია N1151/2012) უნდა განიმარტოს, იმ მნიშვნელობით, რომ გამოსახულებითმა ნიშანმა შესაძლოა ადამიანის გონებაში გამოიწვიოს ასოციაციური დაკავშირება რეგისტრირებულ ნიშანთან.

02/05/2019, C-614/17, [Queso Manchego](#), EU:C:2019:344.

რეგულაცია №110/2008-ის მუხლი 16(b), გეოგრაფიულ აღნიშვნებს იცავს ყოველგვარი „ასოციაციური მისადაგებისაგან“, „მაშინაც კი, თუ მითითებულია საქონლის ნამდვილი წარმომავლობა ან გეოგრაფიული აღნიშვნა გამოყენებული თარგმანში ან თან ახლავს ისეთი გამოხატულება, როგორიცაა „მსგავსი“, „ტიპი“, „სტილი“, „დამზადებული“, „გემოვნება“ ან სხვა მსგავსი ტერმინი“.

სადავო აღნიშვნასა და დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის ფონეტიკური და ვიზუალური მსგავსება და გეოგრაფიული აღნიშვნის დაცვის ნაწილობრივი ჩართვა სადავო აღნიშვნაში არ არის „არსებითი პირობა“, არამედ მხოლოდ ერთი ფაქტორი, რომელიც გასათვალისწინებელია (და როგორც ჩანს, უფრო შორს მიდის ვიდრე **Parmigiano Reggiano**-ს საქმე). შესაბამისად, შესაძლებელია, რომ „გონებაში ასოციაციური მისადაგება“ აღმოჩნდეს ასეთი მსგავსების არარსებობის შემთხვევაშიც კი“.

არ აქვს მნიშვნელობა სადავო ბრენდი შეესაბამება თუ არა საწარმოს სახელს ან/და იმ ადგილს, სადაც საქონლი იწარმოება“

„გადაწყვეტი კრიტერიუმში“ არის მომხმარებლის გონებაში წარმოდგენილი სურათის ასოციაციურად დაკავშირება იმ საქონლთან, რომელიც გეოგრაფიული ადგილწარმოშობის ნიშნითაა დაცული. ფონეტიკური და/ან ვიზუალური მსგავსების არარსებობის და სადავო ნიშანში გეოგრაფიული აღნიშვნის ნაწილობრივი ჩართვის შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნიშანსა და გეოგრაფიულ აღნიშვნას შორის „კონცეპტუალური სიახლოვე“.

07/06/2018, C-44/17, [Scotch Whisky Association](#), EU:C:2018:415, § 56.

მიუხედავად იმისა, სახელწოდება „პარმეზანი“ არის თუ არ არის ადგილწარმოშობის დაცული ნიშნის „**Parmigiano Reggiano**“-ს ზუსტი თარგმანი, ასევე გასათვალისწინებელია ამ ორ ტერმინს შორის სხვადასხვა ენიდან მომდინარე კონცეპტუალური სიახლოვე (.....)“. ეს სიახლოვე და ფონეტიკური, ვიზუალური მსგავსება უნდა იყოს ისეთი, რომ მომხმარებელმა ტერმინი მიიჩნიოს დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნად, ან ადგილწარმოშობის დაცულ დასახელებად.

ამრიგად, ამ გადაწყვეტილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ „კონცეპტუალური სიახლოვის“ ცნება შეიძლება გამოყენებულ იქნას ძირითადად მაშინ, როდესაც ტერმინებს შორის კონფლიქტი განპირობებულია სხვადასხვა ენაზე მათი არსებობით და ერთი არ არის მეორის ზუსტი თარგმანი.

26/02/2008, C-132/05, Commission / Germany (hereinafter [Parmigiano Reggiano](#)), EU:C:2008:117, § 48.

„კონცეპტუალური სიახლოვის“ ცნება ასევე განხილული იყო „**Queso Manchego**“-ს შემთხვევაშიც, მაგრამ გამოსახულებით ელემენტებთან მიმართებით სასამართლომ დაადგინა, რომ გამოსახულებითმა ნიშანმა შესაძლოა პირდაპირ გამოიწვიოს მომხმარებლის გონებაში იმ საქონლთან ასოციაციური კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია. შესაბამისად, „**Queso Manchego**“-ს შემთხვევაში, „კონცეპტუალური სიახლოვის“ ცნება კიდევ უფრო გაფართოვდა, რადგან ის ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევებში, როცა გეოგრაფიული აღნიშვნაზე მინიშნება ხდება გამოსახულებითი ნიშნების გამოყენებით.

სასამართლომ სხვადასხვა შემთხვევებში განაცხადა, რომ უკანონო გამოყენება, იმიტაცია და ასოციაციური მისადაგება, რომელსაც ითვალისწინებს (ბ) პუნქტი, ჩამოთვლილია კლებადობის მიხედვით, მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს ნიშნავს იმას, რომ მეტი მოთხოვნაა დაწესებული რათა კონკრეტული შემთხვევა განისაზღვროს როგორც „უკანონო გამოყენება“ და იმიტაციასთან შედარებით, გაცილებით ნაკლები მოთხოვნებია რათა „ასოციაციური მისადაგება“ დამტკიცდეს.

სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელიც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ გააკეთა „ასოციაციური მისადაგებასთან“ დაკავშირებით, არის: „**Toscoro**“, „**Viniiverla**“ და „**Cognac**“.

02/05/2019, C-614/17, [Queso Manchego](#), EU:C:2019:344.  
02/02/2017, T-510/15, [Toscoro](#), EU:T:2017:54.  
21/01/2016, C-75/15, [Viiniverla](#), EU:C:2016:35.  
14/07/2011, C-4/10 & C-27/10, [BNI Cognac](#), EU:C:2011:484.

გონებაში ასოციაციური დაკავშირების შეფასება ხდება ევროკავშირის მომხმარებლის შეხედულების მიხედვით (ზომიერად ინფორმირებული, ზომიერად დაკვირვებული და წინდახედული). ასეთი კონცეფცია მოიცავს ყველა ევროპელ მომხმარებელს და არა მხოლოდ იმ წევრ სახელმწიფოს მომხმარებლებს, სადაც იწარმოება საქონლი, რომელიც ასოციაციურ კავშირებს იწვევს.

21/01/2016, C-75/15, [Viiniverla](#), EU:C:2016:35, § 28.  
02/05/2019, C-614/17, [Queso Manchego](#), EU:C:2019:344, § 50.

გეოგრაფიული აღნიშვნები სასაქონლო ნიშნებისაგან დამოუკიდებელია, სადაც ასოციაციური მისადაგება შესაძლოა იყოს აღრევის შესაძლებლობის გარეშე და მაშინაც, როცა გონებაში ასოციაციურად დაკავშირებული გეოგრაფიული აღნიშვნის ელემენტი, არ მიუთითებს კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს.

04/03/1999, C-87/97, [Gorgonzola](#), EU:C:1999:115, § 26.  
14/12/2017, T-828/16, [QUESO Y TORTA DE LA SERENA](#) (fig.) / TORTA DEL CASAR et al, ECLI:EU:T:2017:918, § 66.

იტალიურმა კომპანიამ გერმანიის ტერიტორიაზე გაავრცელა გაყინული საქონლი სახელწოდებით "Champagner Sorbet", რომელიც, სხვა ინგრედიენტებთან ერთად, შამპანურის 12%-ს შეიცავდა. შამპანურის მწარმოებელთა ასოციაციამ დაიწყო სამართალწარმოება კომპანიის წინააღმდეგ და ამტკიცებდა, რომ ამ საქონლის აღნიშნული სახელწოდებით გავრცელება წარმოადგენდა "შამპანურის", როგორც დაცული ადგილწარმოშობის აღნიშვნის დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ საქონლის სახელში სიტყვა „შამპანურის“ გამოყენება და ამავდროულად შემადგენლობაში მისი 12%-ის ჩართვა, წარმოადგენდა არათუ იმიტაციას, უკანონო გამოყენებას ან ასოციაციურ მისადაგებას, არამედ პირდაპირ გამოყენებას.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნიშანში ადგილწარმოშობით დაცული დასახელების სრული ჩართვა, მათ შორის ისე, რომ მის გემოზეც აისახებოდეს, არ წარმოადგენს გონებაში ასოციაციური მისადაგების შემთხვევას. (§ 58).



გონებაში ასოციაციური მისადაგება არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომლის წინააღმდეგ დაცვასაც ითვალისწინებს გეოგრაფიული აღნიშვნა და გეოგრაფიული ადგილწარმოშობის დასახელება, როგორც ეს მოცემულია N1308/2013 რეგულაციის 103(2)(ბ)-ე მუხლში. ამრიგად, ის ხშირად იმ შეფასების ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია გეოგრაფიული აღნიშვნისა და ადგილწარმოშობის დაცვასთან, შეცდომაში შემყვანი ნიშნის განსაზღვრებისაგან დამოუკიდებლად. გონებაში, გეოგრაფიული აღნიშვნის ასოციაციური მისადაგება შესაძლებელია მაშინაც, როცა არ არსებობს აღრევის შესაძლებლობა.

26/02/2008, C-132/05, [Commission v Germany](#), EU:C:2008:117, § 45.

### უკანონო გამოყენებისა და იმიტაციის განსაზღვრებები

„უკანონო გამოყენების“ ცნება უნდა განიმარტოს, როგორც არასათანადო გამოყენება, ან დაცული სახელწოდების გამოყენება შეუსაბამო კონტექსტით, რომელმაც შესაძლოა შელახოს საქონლის ხარისხი და რეპუტაცია.

30/11/2018, R 251/2016-1, [COLOMBIANO COFFEE HOUSE](#), § 134.

სხვა ნებისმიერი ყალბი ან შეცდომაში შემყვანი მითითება, რომელმაც შესაძლოა მომხმარებელი დააბნიოს.

**Scotch Whisky**(შოტლანდიური ვისკის) შემთხვევაში, სასამართლომ პირველ რიგში განმარტა, რომ რეგულაცია N 110/2008-ის მე-16 მუხლი შეიცავს აკრძალული ქცევის ეტაპობრივ ჩამონათვალს, რომელშიც (c) პუნქტი დამოუკიდებელია სხვა დებულებებისგან და უნდა განსხვავდებოდეს მე-16 მუხლის (a) და (b) პუნქტებისგან. პუნქტი (c) აფართოებს დაცვის ფარგლებს, რადგან ის შეიცავს ჩანაწერს „ნებისმიერ სხვა [...]“, რომელიც, მართალია ასოციაციურ კავშირს დაცულ გეოგრაფიულ აღნიშვნასთან არ იწვევს, მაგრამ არის „ყალბი ან შეცდომაში შემყვანი“ რაც საქონლსა და მასზე მითითებას შორის კავშირს ეხება ( § 65).

მეორეს მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ ჩანაწერი „ნებისმიერი სხვა [...]“ მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ნებისმიერი ფორმით შეიძლება მოიძებნოს შესაბამისი საქონლის აღწერაში, ეტიკეტზე ან პრეზენტაციის დროს. მათ შორის, სიტყვების ან გამოსახულების სახით, რომელსაც შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელს ამ საქონლის წარმოშობის ან ხარისხის შესახებ.

მესამეს მხრივ, იმისათვის, რომ დადგინდეს, ამ ინფორმაციამ „[საქონლის] წარმოშობის შესახებ შესაძლოა შექმნას მცდარი შთაბეჭდილება“, საკმარისია ყალბი ან შეცდომაში შემყვანი მითითება დატანილი იყოს შესაბამისი საქონლის აღწერილობაში, პრეზენტაციაში ან ეტიკეტზე. როგორც ასეთი, დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეეხება შესაბამისი საქონლის ნამდვილ წარმოშობას, დაუშვებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პირობა მოკლებული იქნება პრაქტიკულ ეფექტურობას.

საბოლოოდ, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ყალბი ან შეცდომაში შემყვანი განსაზღვრებების“ დასადგენად, მხედველობაში არ უნდა მიიღებოდეს კონტექსტი, რომელშიც სადავო ელემენტი იქნა გამოყენებული.

07/06/2018, C-44/17, [Scotch Whisky Association](#), EU:C:2018:415, § 65.

რაც შეეხება ყალბი ან შეცდომაში შემყვანი აღნიშვნების გამოყენებას, რომლებმაც შეიძლება შექმნან მცდარი შთაბეჭდილება საქონლის გეოგრაფიულ წარმოშობაზე, სასამართლომ განაცხადა, რომ შესაძლებელია ზემოაღნიშნული დებულებების შესაბამისად აკრძალოს როგორც ყალბი, ან/და შეცდომაში შემყვანი მითითებები დაცულ გეოგრაფიულ ადგილწარმოშობასთან დაკავშირებით. ეს შესაძლებლობა ეყრდნობა გემოვნების მნიშვნელოვან ელემენტს.

თუკი მოცემულ საკმეში განსახილველ კვების საქონლს არ აქვს რაიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი-შამპანურის გემო, რომელიც მიუთითებს შამპანურის არსებობას შემადგენლობაში-შესაძლებელი იქნებოდა დასკვნის გაკეთება, რომ კვების საქონლი წარმოადგენს ყალბ ან შეცდომაში შემყვან მითითებას N1234/2007 და N1308/2013 რეგულაციების 118m(2)(c)-ე მუხლის გაგებით. როგორც ასეთი, გემოვნების ელემენტის მონაწილეობა ხელს უწყობს დასკვნას იმაზე, რომ ადგილწარმოშობის დასახელება დაცულია ყალბი ან შეცდომაში შემყვანი მითითებებისაგან საქონლის ბუნებასთან და ძირითად თვისებებთან დაკავშირებით.

20/12/2017, C-393/16, [Champagner Sorbet](#), EU:C:2017:991, § 62.

#### ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების ამომწურავი ბუნება

**Port Charlotte**-ის შემთხვევაში, სასამართლომ დაადასტურა „Budějovický Budvar“ პრეცედენტი, რომლის მიხედვითაც ადგილწარმოშობის აღნიშვნების დაცვის სისტემა, რომელიც გათვალისწინებული იყო რეგულაციით No510/2006 (ახლანდელი რეგულაცია 1151/2012) უნდა განიმარტოს როგორც ერთგვაროვანი და ამომწურავი. მისი ამომწურავი ხასიათიდან გამომდინარე, ეროვნული საკანონმდებლო სისტემით, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის „დამატებითი“ დაცვა ანუ უფრო ძლიერი დაცვა ან დაცვის უფრო მაღალი დონე, ვიდრე ევროკავშირის სისტემიდან გამომდინარეობს, დაუშვებელია.

08/09/2009, C-478/07, [Budějovický Budvar](#), EU:C:2009:521.

14/09/2017, C-56/16 P, [PORT CHARLOTTE](#), EU:C:2017:693.

#### რეპუტაცია

**Port Charlotte**-ის შემთხვევაში, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ გასცა მითითებები, რომელიც საბაზს აძლევს დაცული ადგილწარმოშობის ნიშნის რეპუტაციის გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ ადგილწარმოშობის აღნიშვნები ექცევა სამრეწველო და კომერციული საკუთრების უფლებების ფარგლებში. მოქმედი წესები იცავს მათ, ვისაც უფლება აქვს გამოიყენოს ისინი მესამე პირის მიერ არასათანადო გამოყენებისგან, რომლებიც ცდილობენ ისარგებლონ მათი ნიშნის მიერ შექმნილი რეპუტაციით. გეოგრაფიული აღნიშვნები მომხმარებელთა შორის შეიძლება სარგებლობდნენ მაღალი რეპუტაციით და წარმოადგენდნენ მწარმოებლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მათი გამოყენების პირობებს.

14/09/2017, C-56/16 P, [PORT CHARLOTTE](#), EU:C:2017:693.

ადგილწარმოშობის აღნიშვნის რეპუტაცია დამოკიდებულია მომხმარებელთა გონებაში მათ აღქმაზე. ეს სურათი თავის მხრივ არსებითად დამოკიდებულია კონკრეტულ მახასიათებლებზე და ზოგადად საქონლის ხარისხზე. საბოლოო ჯამში, სწორედ ამ უკანასკნელზეა დაფუძნებული საქონლის რეპუტაცია. მომხმარებლებისთვის, კავშირი მწარმოებლების რეპუტაციასა და პროდუქციის ხარისხს შორის ასევე დამოკიდებულია იმაზე, რომ ისინი დარწმუნებულნი არიან, ადგილწარმოშობის დასახელებით გაყიდული საქონლების ავთენტიკურობაში.

08/09/2009, C-478/07, [Budějovický Budvar](#), EU:C:2009:521, § 110.  
14/09/2017, C-56/16 P, [PORT CHARLOTTE](#), EU:C:2017:693, § 81.

„**Champagner Sorbet**“-ის შემთხვევაში, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ, წინასწარი განმარტებით აღნიშნა, რომ ადგილწარმოშობის დაცული აღნიშვნის გამოყენება, დასახელების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად, რომლითაც იყიდება საკვები საქონლი და არ შეესაბამება ადგილწარმოშობის დაცული ნიშნის მახასიათებლებს, მაგრამ შეიცავს ისეთ ინგრედიენტს, რომელიც შეესაბამება ამ მახასიათებლებს, ასეთი გამოყენება მიზნად ისახავს ადგილწარმოშობის დაცული აღნიშვნის რეპუტაციისაგან არასამართლიანად სარგებლის მიღებას, თუკი ეს ინგრედიენტი არ წარმოადგენს საკვები საქონლის განმსაზღვრელ, მნიშვნელოვან მახასიათებელს.

გეოგრაფიული აღნიშვნების რეპუტაციის უსამართლო უპირატესობა არსებობს მაშინ, როდესაც საკვები საქონლის სახელი მიუთითებს და შეიცავს ასეთი გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ ინგრედიენტს, მაგრამ ინგრედიენტის გემო არ არის საკვების მთავარი მახასიათებელი. თუ საკვები საქონლის ძირითადი გემო სხვა ინგრედიენტებით არის განპირობებული, მაშინ არ იქნება საჭირო სასაქონლო ნიშანში ინგრედიენტის მოხმობა, რომელიც დამოუკიდებლად დაცულია გეოგრაფიული აღნიშვნით. ბალანსი იმის შესახებ, არის თუ არა შესაძლებელი ინგრედიენტის, როგორც მთავარი მახასიათებლის საკვებ საქონლში ამოცნობა, ექვემდებარება ემპირიულ გამოკვლევას, და მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული საკითხი ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გადაწყვიტონ (§ 52).

ამიტომ აუცილებელია ხარისხობრივი შეფასება. როგორც სასამართლოს მრჩეველმა აღნიშნა, საუბარია არა საკვებ საქონლში ადგილწარმოშობით დაცული ინგრედიენტის არსებითი მახასიათებლების იდენტიფიცირებაზე, არამედ იმის დადგენაზე, რომ ამ საკვებ საქონლს აქვს ამ ინგრედიენტთან დაკავშირებული არსებითი მახასიათებელი. ეს მახასიათებელი ხშირად წარმოადგენს ამ ინგრედიენტისათვის დამახასიათებელ არომატს ან გემოს.

20/12/2017, C-393/16, [Champagner Sorbet](#), EU:C:2017:991, § 50, 52.

*მუხლი 7(1)(k) / 59(1)(a) EUTMR – ღვინის ტრადიციული ტერმინები*

*მუხლი 7(1)(m) / 59(1)(a) EUTMR – მცენარეთა ჯიშების დასახელებები*

**შეფასების კრიტერიუმები-მუხლი 7(1)(m) EUTMR**

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 7(1)(m) უნდა განიმარტოს მისი მიზნის გათვალისწინებით, რომელიც არის იმის დადგენა, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია აფერხებს თუ არა სასაქონლო ნიშანში შემავალი მცენარის ჯიშის დასახელების თავისუფალ გამოყენებას (§ 29- 30).

ამ მიზნით უნდა დადგინდეს, მცენარის ჯიშის დასახელებას არსებითი პოზიცია უჭირავს თუ არა იმ კომპლექსურ(რთულ) სასაქონლო ნიშანში, რომელზედაც მიმართულია.

თუკი ასეა, ამ მცენარის ჯიშის დასახელების უფასო გამოყენება შეფერხდება. ამის საპირისპიროდ, თუ მისი თავდაპირველი არსებითი ფუნქცია ეფუძნება არა ჯიშის დასახელებას, არამედ სამარკო ნიშნის სხვა კომპონენტებს, ჯიშის დასახელების ხელმისაწვდომობის მოთხოვნა შენარჩუნებული იქნება (§ 31).

იმისათვის, რომ დადგინდეს, რეგისტრაცია მოთხოვნილი ნიშნის არსებითი ფუნქცია ემყარება თუ არა ჯიშის დასახელებას თუ სხვა ელემენტებს, შეფასებითი კრიტერიუმებია. კერძოდ, სხვა ელემენტების განმასხვავებელი ხასიათი, შეტყობინება რომელიც მთლიანად გადმოცემულია ნიშანზე, სხვადასხვა ელემენტების ვიზუალური დომინირება მათი ზომისა და პოზიციის ან ელემენტების რაოდენობის გამო, რომელთაგანაც შედგება ნიშანი (§ 32).

18/06/2019, T-569/18, [Kordes' Rose Monique](#), EU:T:2019:421, § 29-32.

**მუხლი 59(1)(b) EUTMR – ბათილობის აბსოლიტური საფუძველი, არაკეთილსინდისიერი განზრახვა**

**არაკეთილსინდისიერი განზრახვა-იდენტური სასაქონლო ნიშნით საქონლის გაყიდვის უფლების მოპოვების მცდელობა**

საქონლის გაყიდვის უფლების მოპოვების მცდელობა იდენტური სასაქონლო ნიშნის გამოყენებით, რომელსაც ფლობს ნიშნის ბათილობის მოთხოვნაზე განმცხადებელი, და ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ბოლომდე მიყოლაზე, წარმოადგენს არაკეთილსინდისიერ განზრახვას (§ 124, 125).

სადავო ნიშნის გამოყენება შეიძლება იყოს ის ფაქტორი, რაც გასათვალისწინებელია განზრახვის დასადგენად, რომელიც ნიშნის რეგისტრაციის დროს არსებობს, ამ განაცხადის თარიღის შემდგომი გამოყენების ჩათვლით (§ 118, 119, 126).



23/05/2019, T-3/18 & T-4/18, [ANN TAYLOR / ANNTAYLOR et al.](#), EU:T:2019:357, § 118-119, 124-125, 126.

**პარტნიორის არაკეთილსინდისიერი განზრახვა-წარმომადგენლობის ძალა**

კომპანია, რომელიც ფლობდა ნიშანს: „CAFÉ DEL MAR“, სამი პარტნიორიდან ერთ-ერთმა განცხადება შეიტანა EUTM(ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის) გამოსახულებითი ნიშნის რეგისტრაციაზე. ხოლო ამავე ნიშნის ბათილობაზე განცხადება შეიტანა CAFÉ DEL MAR-ის მესაკუთრე დანარჩენმა ორმა პარტნიორმა. ბათილობაზე განმცხადებლებისა და EUTM-ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე განმცხადებელის მიერ დაფუძნებული ყველა საწარმო თანაბრად ეკუთვნოდა სამივე პარტნიორს. ამ კომპანიებიდან ერთ-ერთმა, Can Ganguil-მა, წარმომადგენლობის უფლება მიანიჭა EUTM-ის მფლობელს, რათა ემოქმედა კომპანიის სახელით და წარმოედგინა იგი (§ 39).

კომპანიის სახელით მინიჭებული მოქმედებისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება, სხვა პარტნიორებთან მიმართებაში არ შეიძლება ჩაითვალოს წარმომადგენლის უზენაესობის აღიარებად Café del Mar ნიშანთან დაკავშირებით. მაშინაც კი, თუკი კომპანიის წარმომადგენელი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ამ ნიშნის პოპულარიზებასა და განვითარებაში, მას არ აქვს უფლება გამოიყენოს ეს ძალა საკუთარი სახელით.

სასაქონლო ნიშნის საკუთარი სახელით დარეგისტრირებით, რომელიც იწვევს აღრევას ადრინდელ ნიშანთან Café del Mar, როცა იგი წარმომადგენელი იყო კომპანიის, რომელიც იყენებდა ამ ნიშანს, და სარეგისტრაციო ხარჯების გადახდაც ამ კომპანიის მიერ ხდება, წარმომადგენს ქცევის ეთიკური პრინციპებისა თუ პატიოსანი ბიზნეს პრაქტიკის უარყოფას, ამიტომაც ეს ითვლება არაკეთილსინდისიერ ქცევად.

ის ფაქტი, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მფლობელმა სასაქონლო ნიშნის გამოყენების შედეგად მიღებული მოგება Can Ganguil-ის ანგარიშზე გადაიხადა არ არის რელევანტური რადგან, არაკეთილსინდისიერება უნდა დადასტურდეს განცხადების შეტანის მომენტში.

12/07/2019, T-772/17, [Café del Mar \(fig.\)](#), EU:T:2019:538, § 39, 53-55.

12/07/2019, T-773/17, [Café del Mar \(fig.\)](#), EU:T:2019:536, § 39, 53-55.

**Bad faith – Same overall impression of the signs არაკეთილსინდისიერი განზრახვა-ნიშნებზე ერთი და იგივე შთაბეჭდილება**

ბათილობაზე განმცხადებელი და მფლობელი გამოსახულებით ნიშანს Café del Mar 1980 წლიდან იყენებდნენ, როდესაც მათ იბიცაში (ესპანეთი) გახსნეს მუსიკალური ბარი Café del Mar. ნიშანი ასევე გამოიყენებოდა სხვადასხვა კომპანიების მიერ მოწოდებული საქონლისა და მომსახურებისათვის, და ეს კომპანიები ბათილობაზე განმცხადებელსა და ნიშნის მფლობელს აერთიანებდა 1987 წლიდან.

სადავო ნიშანში "c" და "m" ასოები ემთხვევა ადრინდელი ნიშნის საწყის ასოებს, ასევე წინდებული "del" და სტილისტიკაც იდენტურია. სადავო ნიშანი არის ადრინდელი გამოსახულებითი ნიშნის აბრევიატურა და, შესაბამისად, ნიშნებმა შეიძლება გამოიწვიოს ერთი და იგივე შთაბეჭდილება (§ 49).

ბარი "Café del Mar", რომელიც წლების განმავლობაში გახდა ცნობილი და მისი საქმიანობა იმდენად გაფართოვდა, რომ მოიცვა მუსიკალური საქონლები და ტანსაცმელი აღნიშნულ სასაქონლო ნიშნის გამოყენებით Café del Mar (§ 43, 50). არ არის გამორიცხული, რომ ტყავის ნაწარმი გაიყიდოს ტანსაცმლისა და მოდის აქსესუარების ფარგლებში, ხოლო ქოლგები და სუნამოები, კაფეტერიის სასაქონლო საქონლის ნაწილად ან შესაძლოა შეთავაზებული იყოს როგორც მოდის აქსესუარები (§ 52).

მაშასადამე სადავო ნიშანი არ არის სრულიად განსხვავებული ადრინდელი გამოსახულებითი ნიშნისაგან Café del Mar და რეგისტრირებულია იმავე საქონლისა და მომსახურებისათვის, რომლისთვისაც ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ნიშანი და შეიცავს მის ძირითად მახასიათებლებს (§ 53).



12/07/2019, T-774/17, [C del M \(fig.\)](#), EU:T:2019:535, § 35, 37, 49, 52-53.

#### აღევამდე მსგავსება არ არის არაკეთილსინდისიერი განზრახვის წინაპირობა

აღევამდე მსგავსება არ არის არაკეთილსინდისიერი განზრახვის წინაპირობა. მესამე მხარის მიერ გამოყენებულ ნიშანსა და სადავო ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაციას (EUTM) შორის, აღევამდე მსგავსების არარსებობის შემთხვევაში, სხვა ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება წარმოადგენდეს რელევანტურ და თანმიმდევრულ გარემოებებს EUTM-ის განმცხადებლის არაკეთილსინდისიერი განზრახვის შეფასებისთვის (§ 56).



12/09/2019, C-104/18P, [STYLO & KOTON \(fig.\)](#), EU:C:2019:724, § 56.

#### აღევამდე მსგავსების არასაჭიროება, იდენტურად მსგავსი ნიშნების არასაჭიროება-რეპუტაციის არასაჭიროება

არაკეთილსინდისიერი განზრახვის დასამტკიცებლად არ არის აუცილებელი სისტემატიურად დადგინდეს აღევამდე მსგავსების არსებობა ადრინდელ სასაქონლო ნიშანსა და სადავო ნიშანს შორის (§ 56-57). კერძოდ, არ არის სავალდებულო ევროკავშირში იმ ნიშნის არსებობის ჩვენება, რომელიც იდენტური ან მსგავსია ნიშნისა, რომლის რეგისტრაციასაც ითხოვენ იდენტური ან მსგავსი საქონლის ან მომსახურებისთვის და საჭიროებს აღევამდე მსგავსებას (§ 52-57).

საკმარისია კავშირი საქონელსა და მომსახურებას შორის (მაგალითად: საათებსა და ტანსაცმელს შორის) (§ 58, 64-65, 69-72). გარდა ამისა, არ არის აუცილებელი ევროკავშირში ადრინდელი ნიშნისათვის რეპუტაციის მოპოვება სისტემატიურად (§ 59-61).



ANN TAYLOR

23/05/2019, T-3/18 and T-4/18, [ANN TAYLOR / ANNTAYLOR et al.](#), EU:T:2019:357, § 52-58, 64-65, 69-72.

**მტკიცებულების საშუალებები**

არაკეთილსინდისიერი განზრახვა შეიძლება დადასტურდეს ბათილობის მოთხოვნაზე განმცხადებელი პირის ადვოკატების წერილობითი ჩვენებების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებენ როგორც დამოუკიდებელი მესამე მხარეები (§ 94-99), ან მხარეთა ადვოკატებს შორის ელექტრონული ფოსტით მიმოწერა, რომელიც ადასტურებს ლიცენზირების(გამოყენების უფლების) მოპოვების მცდელობის არსებობას რეგისტრაციის განაცხადის შეტანამდე. (§ 84-88). აღნიშნული მიმოწერის გამოყენება ბათილობის საქმისწარმოების პროცესში არ გამოირიცხება, ვინაიდან ის არ წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. (§ 102-103).

23/05/2019, T-3/18 and T-4/18, [ANN TAYLOR / ANNTAYLOR et al.](#), EU:T:2019:357, § 84-88, 102-103.

**მუხლი 7(3) / 59(2) EUTMR – შეძენილი განმასხვავებელუნარიანობა**

**განმასხვავებელუნარიანობის შეძენა გამოყენების პროცესში - ტერიტორიული ასპექტები - შეფასება**

იმ ნიშნის შემთხვევაში, რომელსაც არ გააჩნია თანდაყოლილი განმასხვავებელი ხასიათი მთელ ევროკავშირში, ამ ნიშნის გამოყენებით შეძენილი განმასხვავებელი ხასიათი უნდა იყოს ცნობილი მთელი ევროკავშირის ტერიტორიაზე და არა მხოლოდ მის მნიშვნელოვან ან უმეტეს ნაწილზე. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს გლობალურად ყველა დაინტერესებული წევრი სახელმწიფოსთვის, ან ცალ-ცალკე სხვადასხვა წევრი სახელმწიფოსთვის ან წევრ სახელმწიფოთა ჯგუფისთვის, საკმარისი არ არის, რომ მხარემ, რომელსაც აქვს ასეთი მტკიცებულების მიწოდების ტვირთი, უბრალოდ წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც არ მოიცავს ევროკავშირის ნაწილს, თუნდაც მხოლოდ ერთი წევრი სახელმწიფოსგან შემდგარ ნაწილს.

ამ შემთხვევაში, ევროკავშირის ბაზრის შესახებ გლობალური მონაცემების ექსტრაპოლაცია (მეცნიერული კვლევის მეთოდი, რომლის შესაბამისად რაიმე მოვლენის ნაწილის შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები ვრცელდება მოვლენის სხვა ნაწილებზეც) არ შეიძლება და კვიპროსსა და სლოვენისთან მიმართებაში, ვინაიდან განმცხადებელს მანამდე არ უჩვენებია სადავო ნიშნის გამოყენება მათ ტერიტორიაზე (§ 76).

28/06/2019, T-340/18, [SHAPE OF A FLYING V GUITAR \(3D\)](#), EU:T:2019:455, § 75-76.

**განმასხვავებელუნარიანობის შეძენა გამოყენების შედეგად-ტერიტორიული ასპექტები- შეფასება**

გამოყენების გზით შეძენილი განმასხვავებელი ხასიათის მტკიცებულება შეიძლება უკავშირდებოდეს გლობალურად ყველა წევრ სახელმწიფოს ან წევრ სახელმწიფოთა ჯგუფს. გარკვეული მტკიცებულება შეიძლება რელევანტური იყოს რამდენიმე წევრ სახელმწიფოსთან ან თუნდაც მთლიან ევროკავშირში. EUTM-ის რეგულაციის არც ერთი დებულება არ მოითხოვს, რომ გამოყენების გზით განმასხვავებელი ხასიათის შეძენა დადგინდეს ცალკეული მტკიცებულებებით თითოეულ წევრ სახელმწიფოში და არაგონივრული იქნება ამგვარი გამოყენებით შეძენის მტკიცებულების მოთხოვნა თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის ცალ-ცალკე (25/07/2018, C 84 /17 P, C 85/17 P & C 95/17 P, 4- ნაწილიანი შოკოლადის ფირფიტა (3D), EU:C:2018:596, § 79-80, 87) (§ 82-83).

დღესდღეობით, ის ფაქტი, რომ წევრ სახელმწიფოში არ არის მაღაზიები, სულაც არ უშლის ხელს ამ წევრი სახელმწიფოს შესაბამის საზოგადოებას გაეცნოს და აღიაროს ნიშანი, რადგან იგი ხელმისაწვდომია ვებსაიტებზე, სოციალურ მედიაში, ელექტრონულ კატალოგებში და ბროშურებში, მსოფლიო მასშტაბის ან ადგილობრივად ცნობილი ადამიანების ონლაინ რეკლამის საშუალებით, ან მაღაზიებში, რომელიც მდებარეობს დიდ ქალაქებისა და აეროპორტებში ან ცენტრალურ და პოპულარულ ტურისტულ რაიონებში (§ 88).

10/06/2020, T-105/19, [DEVICE OF A CHEQUERBOARD PATTERN \(fig.\)](#), EU:T:2020:258, § 82-83, 88.

### განმასხვავებელუნარიანობის შეძენა გამოყენების შედეგად-ტერიტორიული ასპექტები-შეფასება

მიუხედავად იმისა, რომ მფლობელმა წარმოადგინა ნიშნის გამოყენების ვრცელი მტკიცებულება, სადაც რეალურად მხოლოდ ხუთი წევრი სახელმწიფოს ბაზრის კვლევები არის რელევანტური იმის დასადგენად, რომ ნიშანმა გამოყენების გზით შეიძინა განმასხვავებელუნარიანი ხასიათი (§ 117, 151, 152). მფლობელმა არ აჩვენა, რომ დარჩენილი 23 წევრი სახელმწიფოს ბაზარი შედარებულია 5 წევრი ქვეყნის შიდა ბაზრებთან, სადაც ჩატარდა კვლევები. შესაბამისად, კვლევების შედეგები არ შეიძლება იყოს ყველა წევრ სახელმწიფოზე გავრცელებული (§ 156 157).

19/06/2019, T-307/17, [DEVICE OF THREE PARALLEL STRIPES \(fig.\)](#), EU:T:2019:427, § 117, 151-152, 156-157.

### მტკიცებულებათა ღირებულება-დარგის ექსპერტთა მიერ გაკეთებული განცხადებები



უწყება (შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისი აწ უკვე EUIPO) არ არის ვალდებული აუხსნას EUTM-ის მფლობელს, თუ რა ტიპის მტკიცებულება უნდა წარადგინოს, რათა აჩვენოს, რომ ნიშანს აქვს გამოყენების შედეგად შეძენილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათი (§ 142-143). პროფესიონალების მიერ გაკეთებული განცხადებები არის არაპირდაპირი მტკიცებულება და არ აისახება ფართო საზოგადოების აღქმაზე (§ 148-149). განცხადებები, რომლებიც შეიცავს ზოგად მტკიცებულებებს და არ არის კონკრეტული მითითება დამხმარე გამოსახულებით ნიშნებზე ან საშუალო მომხმარებლის მიერ ნიშნის აღქმაზე ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში, არ გააჩნიათ საკმარისი სანდოობა იმისათვის, რომ იდენტიფიცირდეს როგორც ადგილწარმოშობის დასახელებით დაცული ერთადაერთი ნიშანი (§ 154). 52(2)-ე მუხლის მიხედვით CTMR [ამჟამინდელი მუხლი 59(1)(a) EUTMR], EUTM მფლობელს ევალება წარადგინოს შესაბამისი და საკმარისი მტკიცებულება შეძენილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათის დემონსტრირებისთვის (§ 157).

29/03/2019, T-611/17, [REPRESENTATION D'UNE SEMELLE DE CHAUSSURE \(3D\)](#), EU:T:2019:210, § 142-143, 148-149, 154, 157.

#### **-მტკიცებულება-ფერადი ნიშნები-ცალკე აღებული ფერი**

გამოკითხვებმა, იმის დემონსტრირებისთვის, რომ ცალკე აღებული ფერისგან შემდგარმა ნიშანმა გამოყენების შედეგად შეიძინა განმასხვავებელუნარიანი ხასიათი, უნდა უზრუნველყოს ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელს გახდის შეაფასოს რამდენად წარმომადგენლობითი იყო შერჩეული ფერის ნიმუში. რაოდენობრივად ცოტა გამოკითხული ადამიანი (100-200 ადამიანი) არ არის საკმარისი სანდოობისათვის. გარდა ამისა, ფერის ნიმუშები უნდა შეიცავდეს გამოყენებულ Pantone კოდს. გამოკითხულებს უნდა სთხოვონ აირჩიონ რამდენიმე სურათიდან ერთი ან თუნდაც ფერების სხვადასხვა ტონის ნიმუშიდან, რომელი შეიძლება ასოციაციურად დაუკავშირონ კონკრეტულ ფერს (§ 101-102). გაყიდვების მონაცემებს და სარეკლამო მასალას შეიძლება გამოკითხვისათვის დამხმარე ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ, როგორც ასეთი, ეს მონაცემები არ არის განმსაზღვრელი, რომ სამიზნე საზოგადოება აღიქვამს ცალკე აღებული ფერისგან შემდგარ ნიშანს, როგორც მითითებას მის კომერციულ დანიშნულებაზე (§ 107).



09/09/2020, T-187/19, [Colour Purple -2587C \(col\)](#), EU:T:2020:405, § 107.

#### **გამოყენება ისე, რომ უმნიშვნელო ვარიაციებით იყოს განსხვავებული-შებრუნებული ფერის სქემა**

სასაქონლო ნიშნის გამოყენების კონცეფცია, განმარტებული CTMR(კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის) მე-7(3) მუხლის [ამჟამად მუხლი 7(3) EUTMR] და CTMR-ის 52(2) მუხლის [ამჟამად მუხლი 59(2) EUTMR] მნიშვნელობით, უნდა გავიგოთ როგორც მითითება არა მხოლოდ ნიშნის იმ ფორმით გამოყენებაზე რომლითაც იგი წარდგენილია სარეგისტრაციოდ, არამედ სასაქონლო ნიშნის გამოყენება იმ ფორმითაც, რომლებიც უმნიშვნელო ვარიაციებით შეიძლება განსხვავდებოდეს და ჩაითვალოს მისი გამოყენების ფორმის გაფართოვებულ ექვივალენტად. (§ 62).

შებრუნებული ფერის სქემა, თუნდაც შენარჩუნდეს მკვეთრი კონტრასტი სამ ზოლსა და ფონს შორის, მნიშვნელოვანი ვარიაციაა ნიშნის რეგისტრირებულ ფორმასთან შედარებით (§ 77).

მრავალი მტკიცებულება სწორად იქნა უარყოფილი იმის საფუძველზე, რომ ნაჩვენები ფორმის გამოყენება არ იყო დანახული რეგისტრირებული ნიშნის ფართო ექვივალენტიდან გამომდინარე (დახრილი ხაზები, შებრუნებული ფერის სქემა) (§ 78, 97, 103).



19/06/2019, T-307/17, [DEVICE OF THREE PARALLEL STRIPES \(fig.\)](#), EU:T:2019:427, § 62, 77, 78, 97, 103.

**კოლექტიური გამოყენების მიხედვით ინდივიდუალური ნიშნების განმასხვავებელუნარიანი ხასიათის შექმნა.**

ის ფაქტი, რომ ტერმინების „*crédit mutuel*“ გამოყენება რეგულირდება ან დაცულია ერთიანი ეკონომიკური აქტორით, არარელევანტურია მისი თანდაყოლილი აღწერილობითი ხასიათის შესაფასებლად, რადგან ეს გავლენას არ ახდენს შესაბამისი საზოგადოების აღქმაზე. თუმცა, ეს შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ელემენტი გამოყენების გზით შექმნილი განმასხვავებელუნარიანი ხასიათის შეფასებისას (§ 63, 102-105).

რეგულირებადი საქმიანობის აღმნიშვნელმა ტერმინებმა შეიძლება გამოყენების გზით შეიძინოს განმასხვავებელი ხასიათი EUTMR-ის მე-7(3) მუხლის (§ 104) შესაბამისად.

იმის დასადგენად, შეიძინა თუ არა ინდივიდუალურმა ნიშანმა განმასხვავებელუნარიანი ხასიათი კოლექტიური გამოყენების შემდეგ, უნდა განისაზღვროს, აღიქვამენ თუ არა მომხმარებლები, რომ საქონელი და მომსახურება მოდის ერთი ორგანიზაციიდან, რომლის კონტროლის ქვეშაც არის დამზადება ან მიწოდება და რომელიც პასუხისმგებელია საქონლის ხარისხზე. საქონელსა და მომსახურებაზე (§ 143).

24/09/2019, T-13/18, [Crédit Mutuel](#), EU:T:2019:673, § 63, 102-105, 104, 143.

*მუხლი 8(1)(a) / 60(1)(a) EUTMR – იდენტური ნიშნები/საქონელი&მომსახურება-საქონლის მსგავსება იდენტური საქონლის მომსახურებაზე*

#### იდენტური ნიშნები

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი ექვემდებარება ბათილობას, თუკი იგი ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურია, და იმავე საქონლისა და მომსახურებისათვისაა რეგისტრირებული, რომლისთვისაც ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშანი.

20/03/2003, C-291/00, [Arthur et Félicie](#), EU:C:2003:169, § 40.

*აღრევის შესაძლებლობა-სიტყვითი სიმბოლოები, გამოსახულებითი ნიშნები, გამოსახულებითი ნიშნების დაცვის ფარგლები, ნიშნები რომლებიც შეიცავს სუსტ/არაგანმასხვავებელუნარიან ელემენტებს, ნიშნის რეპუტაციის გავლენა და როლი.*

#### ❖ შესაბამისი საზოგადოება და ყურადღების ხარისხი

##### აღრევის შესაძლებლობა

რაც შეეხება შესაბამის საზოგადოებას, მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ აღრევის ალბათობა (მათ შორის ასოციაციის ალბათობა) არსებობს მაშინ, თუ არის რისკი იმისა, რომ საზოგადოებამ შეიძლება დაიჯეროს, რომ საქონლის მიწოდებას ან მომსახურებას ახორციელებს ერთი და იგივე საწარმო, ან, ეკონომიკურად დაკავშირებული საწარმოები.

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აღნიშნული საქონლის ან მომსახურების სასაქონლო ნიშნების შესაბამისი საზოგადოების გონებაში აღქმა, გადაწყვეტ როლს ასრულებს აღრევის შესაძლებლობის გლობალურ შეფასებაში.

11/11/1997, C-251/95, [Sabèl](#), EU:C:1997:528, § 23.

29/09/1998, C-39/97, [Canon](#), EU:C:1998:442, § 29.

22/06/1999, C-342/97, [Lloyd Schufabrik](#), EU:C:1999:323, § 25.

##### შესაბამისი საზოგადოების განსაზღვრა

როგორც სასამართლომ განაცხადა, აღრევის შესაძლებლობის შესაფასებლად შესაბამისი საზოგადოება დაკომპლექტებულია მომხმარებლებისგან, რომლებიც იყენებენ როგორც ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნით რეგისტრირებულ საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის იმ საქონელსაც რომლისთვისაც სადავო სასაქონლო ნიშანია გამოყენებული.

01/07/2008, T-328/05, [Quartz](#), EU:T:2008:238, § 23; appeal 10/07/2009, C-416/08 P, [Quartz](#), EU:C:2009:450, dismissed.

## ყურადღების დაბალი ხარისხი

ყურადღების დაბალი ხარისხი შეიძლება ასოცირდებოდეს, ვაჭრობის ჩვეულ ქცევასთან. საქონლის შექმნისას მიღებული გადაწყვეტილებები ამ სფეროში ეხება, მაგალითად, ყოველდღიურად შექმნილ იაფ საქონელს.

უბრალო ფაქტი, რომ შესაბამისი საზოგადოება იმპულსურად ყიდულობს ზოგიერთ საქონელს (მაგალითად, ტკბილეულს) არ ნიშნავს, რომ ამ საზოგადოების ყურადღების ხარისხი საშუალოზე დაბალია.

15/06/2010, T-547/08, [Strumpf](#), EU:T:2010:235, § 43.  
09/04/2014, T-623/11, [Milanówek cream fudge](#), EU:T:2014:199, § 34.

## სასაქონლო ნიშნით დაცული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის გათვალისწინება

სასაქონლო ნიშნით მინიჭებული უფლებები ვრცელდება იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რისთვისაც იგი დაცულია. შესაბამისი საზოგადოების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნიშნით დაცული საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი და არა საქონლები, რომლებიც რეალურად იყიდება აღნიშნული ნიშნით. რამდენადაც სია არ არის შეცვლილი, ნიშნის მფლობელის მიერ მიღებული კომერციული გადაწყვეტილებები გავლენას არ ახდენს შესაბამისი საზოგადოების განმარტებაზე.

20/06/2019, T-389/18, [WKU / WKA et al.](#), EU:T:2019:438, § 39, 40.

## საზოგადოების ყურადღების დაბალი ხარისხის გათვალისწინება

როდესაც შესაბამისი საზოგადოების ნაწილი შედგება პროფესიონალებისგან, რომლებსაც აქვთ ყურადღების მაღალი ხარისხი, ხოლო მეორე ნაწილი შედგება გონივრულად დაკვირვებული და ფრთხილი საშუალო მომხმარებლებისგან, ყველაზე დაბალი ხარისხის ყურადღების მქონე საზოგადოებაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ალევამდე მსგავსების შესაფასებლად.

25/06/2020, T-114/19, [B \(fig.\) / b \(fig.\)](#), EU:T:2020:286, § 36.

## ❖ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალის შედარება

### იდენტურობა

თუ ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ნიშანში მითითებული საქონელი/მომსახურება დაფარულია ზოგადი აღნიშვნით ან ფართო კატეგორიით, რომელიც გამოიყენება სადავო სასაქონლო ნიშნის მიმართაც, ეს საქონელი/მომსახურება უნდა ჩაითვალოს იდენტურად, რადგან ოფისის (შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის ოფისის) არ შეუძლია *ex officio* გამოყოს განმცხადებლის/მფლობელის საქონლის ფართო კატეგორია/ მომსახურება.

თუ ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ნიშანი მოიცავს იმ საქონლის/მომსახურების ზოგად მითითებას ან ფართო კატეგორიას, რომელიც მთლიანად სადავო ნიშნის საქონელს/მომსახურებას მთლიანად ფარავს, საქონელი/მომსახურება იქნება იდენტური.

07/09/2006, T-133/05, [Pam-Pim's Baby-Prop](#), EU:T:2006:247, § 29.  
17/01/2012, T-522/10, [Hell](#), EU:T:2012:9, § 36.

### საქონელსა და მომსახურებას შორის მსგავსება

მართლმსაჯულების სასამართლომ დაადგინა, რომ საქონლის მსგავსების შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა შესაბამისი ფაქტორი, რომელიც დაკავშირებულია თავად ამ საქონელთან. ეს ფაქტორები მოიცავს, ყველაფერთან ერთად (*Inter Alia*), მათ ბუნებას, დანიშნულებას, გამოყენების მეთოდს და ინფორმაციას, არიან თუ არა ერთმანეთის კონკურენტები თუ ურთიერთშემავსებლები.

ტერმინი, *inter alia*, აჩვენებს, რომ სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული ფაქტორები არ არის ამოწურვადი. გარდა სასამართლოს მიერ ნახსენებისა, შეიძლება არსებობდეს სხვა გამოსაყენებელი ფაქტორებიც, ეს დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე, როგორცაა მათი განაწილების პრინციპები, შესაბამისი საზოგადოება და საქონლის/მომსახურების წარმომავლობა.

29/09/1998, C-39/97, [Canon](#), EU:C:1998:442, § 23.

### საქონელი და მომსახურება როგორც ურთიერთშემავსებელი

საქონელი (ან მომსახურება) ერთმანეთს ავსებს, თუ მათ შორის მჭიდრო კავშირია, იმ გაგებით, რომ ერთი შეუცვლელი (არსებითი) ან მნიშვნელოვანია (აუცილებელია) მეორის გამოყენებისთვის ისე, რომ მომხმარებლებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ამ საქონლის წარმოებასა და მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ერთსა და იმავე მწარმოებელს. გარდა ამისა, სასამართლომ განაცხადა, რომ სხვადასხვა საზოგადოებისთვის განკუთვნილი საქონელი/მომსახურება არ შეიძლება იყოს ურთიერთშემავსებელი.

11/05/2011, T-74/10, [Flaco](#), EU:T:2011:207, § 40.  
22/06/2011; T-76/09, [Farma Mundi Farmaceuticos Mundi](#), EU:T:2011:298, § 30.  
21/11/2012, T-558/11, [Artis](#), EU:T:2012:615, § 25.  
04/02/2013, T-504/11, [Dignitude](#), EU:T:2013:57, § 44.

### საქონელსა და მომსახურებას შორის კონკურენცია

საქონელი/მომსახურება კონკურენციას უწევს ერთმანეთს, როცა ერთს შეუძლია მეორის ჩანაცვლება. ეს ნიშნავს, რომ ისინი ემსახურებიან იმავე ან მსგავს მიზანს და სთავაზობენ იმავე რეალურ და პოტენციურ მომხმარებლებს. ასეთ შემთხვევაში, საქონელი/მომსახურება ასევე განიმარტება, როგორც „ურთიერთშემავსებელი“.

04/02/2013, T-504/11, [Dignitude](#), EU:T:2013:57, § 42.

### შეფასება-მტკიცების ტვირთი

შედარების დროს, რათა შეფასდეს არის თუ არა აღრევის შესაძლებლობა, აუცილებელია გავითვალისწინოთ მომსახურება, რომელსაც აღნიშნული სასაქონლო ნიშანი ფარავს და არა ამ ნიშნებით რეალურად გაყიდული მომსახურება. მოწინააღმდეგე მხარე არ არის ვალდებული სამართალწარმოების დროს წარმოადგინოს მტკიცებულებები სადავო მომსახურების მსგავსებასთან დაკავშირებით.

09/02/2011, T-222/09, [Alpharen](#), EU:T:2011:36, § 22.  
21/09/2017, T-620/16, [Idealogistic \(fig.\) / IDEA et al.](#), EU:T:2017:635, § 35.  
08/07/2020, T-328/19, [SCORIFY \(fig.\) / Scor et al.](#), EU:T:2020:311, § 48, 51

**Praktiker-ის გადაწყვეტილების მოთხოვნების *ratione temporis* განაცხადი – რეგისტრაციის თარიღი – პრიორიტეტის უფლება – საერთაშორისო რეგისტრაციები, რომლებიც ევროკავშირშია**

პრიორიტეტის უფლება მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელია ურთიერთგამომრიცხავი ნიშნების პრიორიტეტის დადგენა და, შესაბამისად, არ მოქმედებს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღზე, თუ იგი არ ემთხვევა პრიორიტეტის თარიღს.

07/07/2005, C-418/02, *Praktiker*, EU:C:2005:425 გადაწყვეტილებით მიღებული მოთხოვნების გამოყენებისათვის, შესაბამისი თარიღი არის ევროკავშირის შესაბამისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თარიღი, კერძოდ, მისი რეგისტრაციის დასრულების თარიღი, რომელიც უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ. ასეთი მოთხოვნები გამიზნულია ევროკავშირში განსაზღვრულ საერთაშორისო რეგისტრაციებზე, როცა ნიშანი დარეგისტრირდა გადაწყვეტილების ჩაბარების შემდეგ, მაშინაც კი, თუ განაცხადის შეტანის თარიღი იყო ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ადრინდელი, და მაშინაც კი, თუ რეგისტრაციით მინიჭებული დაცვა რეტროაქტიულია განაცხადის შეტანის თარიღისთვის.

29/01/2020, T-697/18, [ALTISPORT \(fig.\) / ALDI et al.](#), EU:T:2020:14, § 36, 44.

**ნიცის კლასიფიკაციის განმარტებითი შენიშვნები**

მიუხედავად იმისა, რომ ნიცის კლასიფიკაცია მიღებულ იქნა ექსკლუზიურად ადმინისტრაციული მიზნებისთვის, ამ კლასიფიკაციის განმარტებითი შენიშვნები მნიშვნელოვანია შედარების დროს საქონლისა და მომსახურების ბუნებისა და დანიშნულების დასადგენად.

09/09/2019, T-575/18, [The Inner Circle / InnerCircle](#), EU:T:2019:580, § 38.

❖ **ნიშანთა შედარება**

**სასაქონლო ნიშნების შედარების ზოგადი პრინციპები**

თუ ნიშნები ერთმანეთის იდენტური არ არის, მაშინ უნდა დადგინდეს, მსგავსია თუ განსხვავებული. განსახილველი ნიშნების ვიზუალური, ხმოვანი ან კონცეპტუალური მსგავსების ზოგადი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს მათ მიერ გამოწვეულ საერთო შთაბეჭდილებას, ნიშანთა გამორჩეული და დომინანტური კომპონენტების გათვალისწინებით.

სასამართლომ განაცხადა, რომ თუ არსებობს ნიშნებს შორის რაიმე მსგავსება, თუნდაც სუსტი, უნდა განხორციელდეს საერთო შეფასება, რათა დადგინდეს, არის თუ არა აღრევის შესაძლებლობა, მსგავსების დაბალი ხარისხის მიუხედავად, სხვა შესაბამისი ფაქტორების არსებობის გამო. როგორცაა რეპუტაცია ან აღიარება, რომლითაც სარგებლობდა ადრინდელი პრიორიტეტის მქონე ნიშანი.

11/11/1997, C-251/95, [Sabèl](#), EU:C:1997:528, § 23.  
24/03/2011, C-552/09 P, [TiMiKinderjoghurt](#), EU:C:2011:177, § 66.

### შესადარებელი ნიშნები და უმნიშვნელო ელემენტები

ნიშნები უნდა შევადაროთ იმ დანიშნულებითა და ფორმით, რომლითაც დაცულია, ანუ იმ მოცემულობაში, რომელშიც ისინი რეგისტრირებულია/რეგისტრაციაზე განაცხადია გაკეთებული.. რეგისტრირებული ნიშნების სხვა ფორმით რეალური ან შესაძლო გამოყენება, ნიშნების შედარებისას არარელევანტურია.

შედარება მთლიანად უნდა მოიცავდეს ნიშნებს. შესაბამისად, არასწორია ნიშნების ელემენტების შედარების უგულვებელყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, მაგალითად, უფრო მცირეა, ვიდრე სხვა ელემენტები ნიშანში (თუ ძალიან უმნიშვნელონი არ არიან, როგორც ქვემოთაა აღწერილი) ან იმიტომ, რომ ისინი არ არიან განმასხვავებელუნარიანები.

გამონაკლისად, უმნიშვნელო ელემენტების არსებობის შემთხვევაში, ოფისმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ ფაქტობრივი შედარების მიზნებისთვის არ გაითვალისწინოს ასეთი ელემენტები, სათანადო დასაბუთებით, თუ რატომ ითვლება ისინი უმნიშვნელოდ.

09/04/2014, T-623/11, [Milanówek cream fudge](#), EU:T:2014:199, § 38.  
12/06/2007, C-334/05 P, [Limoncello](#), EU:C:2007:333, § 41-42  
13/12/2011, T-61/09, [Schinken King](#), EU:T:2011:733, § 46.

### შესაბამისი ტერიტორია და შესაბამისი საზოგადოება

EUTM-ის ერთიანი ხასიათი ნიშნავს, რომ ადრინდელი პრიორიტეტის მქონე EUTM შეიძლება დაეყრდნოს მოწინააღმდეგე მხარის სამართალწარმოებას, რომელიც მიმართულია EUTM-ის რეგისტრაციაზე განაცხადის წინააღმდეგ და უარყოფითად იმოქმედებს პირველი ნიშნის დაცვაზე, თუნდაც მხოლოდ ევროპის ნაწილის მომხმარებელთა აღქმაში.

18/09/2008, C-514/06 P, [Armafoam](#), EU:C:2008:511, § 56-57.  
18/09/2012, T-460/11, [Bürger](#), EU:T:2012:432, § 52.

### იდენტურობის პოვნის ბარიერი

ამიტომ, EUTM განაცხადი უნდა ჩაითვალოს ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის იდენტურად, როდესაც რეპროდუცირება ხდება ყოველგვარი მოდიფიკაციისა და დამატების გარეშე, მათ შორის სასაქონლო ნიშნის შემადგენელი ყველა ელემენტის გარეშე, ან სადაც ის შეიცავს იმდენად უმნიშვნელო განსხვავებებს, რომ მთლიანობაში შეიძლება შეუქმნველი დარჩეს საშუალო მომხმარებლის მიერ.

20/03/2003, C-291/00, [Arthur et Félicie](#), EU:C:2003:169, § 50-54.

## სიტყვიერი ნიშნების იდენტურობა

ინტერვალი, სასვენი ნიშანი (მაგ. დეფისი, წერტილი) აქცენტი, ან დიდი და პატარა ასოების კომბინაცია, რომელიც განსხვავდება წერის ჩვეული მეთოდისაგან, იმდენად უმნიშვნელო სხვაობას იწვევს, რომ შეიძლება მომხმარებლისთვის შეუმჩნეველი დარჩეს, ფასდება ინდივიდუალურად, შესაბამისი ენის გათვალისწინებით.

20/03/2003, C-291/00, [Arthur et Félicie](#), EU:C:2003:169, § 50-54.

## ნიშნებს შორის მსგავსება–ნიშანთა განმასხვავებელი ელემენტები

სასამართლომ დაადგინა, რომ „[...] () განსახილველი ნიშნების ვიზუალური, ხმოვანი ან კონცეპტუალური მსგავსების საერთო შეფასება, უნდა ეფუძნებოდეს ნიშნებისგან მიღებულ საერთო შთაბეჭდილებას, განსაკუთრებით მათი განმასხვავებელუნარიანი და დომინანტური კომპონენტის გათვალისწინებით. მაშასადამე, შედგენილი ნიშნების სხვადასხვა კომპონენტის განმასხვავებელუნარიანობის ხარისხი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რომელიც გასათვალისწინებელია სასაქონლო ნიშნის შედარებისას.

11/11/1997, C-251/95, [Sabèl](#), EU:C:1997:528, § 23.

## ნიშნის განმასხვავებელუნარიანი ხასიათი

სასამართლომ განმასხვავებელუნარიანობა შემდეგნაირად განსაზღვრა:

„ნიშნის განმასხვავებელი ხასიათის დადგენისას და შესაბამისად, მისი მაღალი განმასხვავებელუნარიანობის შეფასებისას, ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს ნიშნის მეტ-ნაკლები შესაძლებლობები, იმ საქონლის ან მომსახურების იდენტიფიცირებისთვის, რომლებისთვისაც რეგისტრირებულია კონკრეტული საწარმოდან და ამრიგად, განასხვავებენ ამ საქონელს ან მომსახურებას სხვა საწარმოებისგან (დამატებულია ხაზგასმა).

დიდი ხნის პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მიჩნეულია, რომ ნიშანს ან ანალოგიის პრინციპით, მის კომპონენტებს არ ექნებათ განმასხვავებელი ხასიათის უფრო მაღალი ხარისხი მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობს კონცეპტუალური კავშირი შესაბამის საქონელთან და მომსახურებასთან.

22/06/1999, C-342/97, [Lloyd Schufabrik](#), EU:C:1999:323, § 22.

16/05/2013, C-379/12 P, [H / Eich](#), EU:C:2013:317, § 71.

## ნიშნების დომინანტი ელემენტები

კომპლექსური სასაქონლო ნიშნის ერთი ან რამდენიმე კომპონენტის დომინანტური ხასიათის შეფასებასთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღება, თითოეული ამ კომპონენტის შინაგანი თვისებები სხვა კომპონენტებთან შედარების გზით. დამატებით მხედველობაში მიიღება სხვადასხვა კომპონენტის შედარებითი განლაგება კომპლექსური ნიშნის აგებულებაში.



23/10/2002, T-6/01, [Matratzen + Matratzenmarkt Concord \(fig.\)](#), EU:T:2002:261, § 35; confirmed 28/04/2004, C-3/03 P, [Matratzen + Matratzenmarkt Concord \(fig.\)](#), EU:C:2004:233.

### კომპლექსური(რთული) სასაქონლო ნიშნის სუსტი ხარისხის განმასხვავებლობის მქონე ელემენტები

რთული(კომპლექსური) ნიშნის ელემენტის სუსტი განმასხვავებელი ხასიათი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ელემენტი არ შეიძლება იყოს დომინანტური ელემენტი, რადგან ნიშანში მისი პოზიციის ან ზომის გამო, მას შეუძლია მოახდინოს მომხმარებლებზე შთაბეჭდილება და მარტივად დაიმახსოვროს.

13/06/2006, T-153/03, [Peau de vache](#), EU:T:2006:157, § 32.

### გაურკვეველი ნიშანი-საერთო შეფასება

არა მხოლოდ ის ნიშანი უნდა ჩაითვალოს გაურკვეველად, რომლის წაკითხვა ან გაშიფვრა ფაქტობრივად შეუძლებელია, არამედ ნიშანი, რომლის გაშიფვრა, გაგება ან წაკითხვა იმდენად რთულია, რომ გონივრული დაკვირვებული და ფრთხილი მომხმარებელი ამას ვერ ახერხებს ანალიზის გარეშე. სცილდება იმ შესაძლებლობებს, რაც შეძენის პროცესში შეიძლება მოსალოდნელი იყოს მისგან.

ელემენტები, რომლებიც განასხვავებენ ნიშნებს ვიზუალურად, ფონეტიკურად და კონცეპტუალურად, კერძოდ, ნიშნის დომინანტური გამოსახულებითი ელემენტები, ამ ნიშნის სტრუქტურა და სიტყვით ჩამოყალიბებული ლოგიკური ერთეული და მთლიანობაში განხილული გამოსახულებითი ელემენტები, საკმარისია რათა დადგინდეს, რომ შესაბამისი საზოგადოება მათ შორის კავშირს ვერ დაინახავს, რადგან ეს ფაქტორები მთლიანობაში ქმნიან ვიზუალურ, ფონეტიკურ და კონცეპტუალურ დიქოტომიას ნიშნებს შორის.



19/06/2019, T-28/18, [AC MILAN \(fig.\) / AC et al.](#), EU:T:2019:436, § 41, 116.

### ვერბალური(სიტყვიერი) ელემენტების დაშლა-საერთო ელემენტები

საბაზისო სიტყვიერი ელემენტის გამოყენების შემთხვევაში, რომელიც ადვილად გასაგებია მთელ ევროკავშირში, შესაბამისი საზოგადოება ნიშანს ორ ნაწილად დაყოფს, ერთი შეესაბამება სიტყვას, რომელიც მათ ესმით როგორც ყოველდღიური ენის ნაწილი და მეორე ნაწილი შედგება დანარჩენი ნიშნისგან. აღნიშნული დაყოფა ხდება მაშინაც კი, თუ მეორე ნაწილი არ გვთავაზობს კონკრეტულ მნიშვნელობას ან არ ემსგავსება სიტყვებს, რომლებიც შესაბამისმა საზოგადოებამ იცის.

03/10/2019, T-491/18, [Meatlove / carnilove](#), EU:T:2019:726, § 59, 60, 61-72.

### აღწერილობითი, მაგრამ დომინანტური ელემენტი

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მომხმარებელი აღწერილობით ელემენტს, რომელიც წარმოადგენს კომპლექსური სასაქონლო ნიშნის ნაწილს, არ განიხილავს როგორც განმასხვავებელ და დომინანტურ ელემენტს, შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, რომლებიც ამართლებენ აღწერილობითი ელემენტის დომინირებას. ეს განსაკუთრებით ეხება ნიშანში მის განთავსებას, პოზიციას ან ზომას, რათა მოახდინოს შთაბეჭდილება მომხმარებლებზე და მარტივად დასამახსოვრებელი იყოს, ან იმ ფაქტის გამო, რომ შესაბამისი სიტყვიერი ელემენტები იკავებენ ცენტრალურ ადგილს ნიშნებში და ეს გარემოება ანიჭებს დომინირებულ მდგომარეობას სასაქონლო ნიშნის ზოგად იმიჯთან შედარებით.



29/06/2017, T-448/16, [Mr. KEBAB \(fig.\) / MISTER K MR. KEBAP \(fig.\)](#), EU:T:2017:459, § 28.  
13/06/2019, T-398/18, [DERMAEPIL SUGAR EPIL SYSTEM \(fig.\) / dermépil Perron Rigot \(fig.\)](#), EU:T:2019:415, § 128-135, 137.

### სუსტი ხარისხის განმასხვავებელუნარიანი ან აღწერილობითი, მაგრამ დომინანტი ელემენტი

ის, რომ შედგენილი ნიშნის ელემენტს აქვს სუსტი განმასხვავებელუნარიანი ხასიათი, სულაც არ გამორიცხავს მას დომინანტ ელემენტად ჩამოყალიბებისაგან, რადგან ნიშანში მისი განთავსების/პოზიციის ან ზომის გათვალისწინებით, შეუძლია შთაბეჭდილება მოახდინოს მომხმარებლებზე და ადვილად დამახსოვრებადი იყოს.

13/05/2020, T-63/19, [ПОШЕИ \(fig.\) / ПОМАШКИ \(fig.\)](#), EU:T:2020:195, § 46.

### ერთადერთი განსხვავება სიტყვიერი ნიშნების პირველ ასოებს შორის

პირველ ასოებს შორის განსხვავება საკმარისი არ არის ყველა დანარჩენი ასოების იდენტურობის საპირწონედ, რომლებიც ასევე განლაგებულია იგივე თანმიმდევრობით. ნიშნები საშუალო ხარისხით ვიზუალურად და ფონეტიკურად მსგავსია.

25/06/2020, T-550/19, [Noster / Foster](#), EU:T:2020:290, § 49, 51-53

### ფონტი - რელევანტური ელემენტი

ფონტი წარმოადგენს მხედველობაში მისაღებ რელევანტურ ელემენტს, განსაკუთრებით თუ ის წარმოადგენს სტილიზებულ ფონტს, რომელის გამოყენებაც არ არის დამკვიდრებულ კომერციულ ბრუნვაში.



## ადრინდელი ნიშნის რეპუტაცია და განმასხვავებელუნარიანობა - არავითარი გავლენა სიმბოლოების შედარებაზე - არავითარი გავლენა დომინანტი ელემენტის განსაზღვრაზე

ნიშნების მსგავსების ფაქტორისგან განსხვავებით, ადრინდელი ნიშნის რეპუტაციისა და განმასხვავებელი ხასიათის ფაქტორი არ მოიცავს სიმბოლოების შედარებას, არამედ ეხება მხოლოდ აპელანტის ნიშანს. რამდენადაც აღნიშნული ორი ფაქტორს ფუნდამენტურად განსხვავებული ფარგლები აქვს, ერთ-ერთი მათგანის შემოწმება არ იძლევა მეორესთან მიმართებით რაიმე დასკვნების გამოტანის საფუძველს. მაშინაც კი, როცა ნიშანს გააჩნია მაღალი დონის განმასხვავებლობა მისი რეპუტაციის გამო, აღნიშნული გარემოება არ იძლევა საშუალებას დადგინდეს არის თუ არა ან რა დონით არის დაპირისპირებული ნიშნები ერთმანეთის მსგავსი ვიზუალურად, ფონეტიკურად და შინაარსობრივად.

სიმბოლოების შედარებისას დომინანტი ელემენტის იდენტიფიცირება შეიძლება რელევანტური იყოს, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ სიმბოლოს რეპუტაცია და განმასხვავებლობა, რომელიც ნიშანს გააჩნია მთლიანობაში, იძლევა შესაძლებლობას განისაზღვროს თუ რომელი კომპონენტია დომინანტი შესაბამისი მომხმარებლის აღქმაში.

სასაქონლო ნიშნების რეგულაცია არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, რომ სასაქონლო ნიშნის რეპუტაცია ან მაღალი განმასხვავებლობა განაპირობებს მისი შემადგენელი რომელიმე ელემენტის დომინანტობას სიმბოლოების მსგავსების შეფასებისას.



## სიმბოლოები, რომლებიც შეიცავენ საერთო სახელს - ერთი სიმბოლო შეიცავს გვარს

ისეთი სიმბოლოების შედარებისას, რომლებიც შეიცავენ საერთო სახელს და განსხვავდებიან იმით, რომ ერთ-ერთი მათგანი დამატებით შეიცავს გვარს, *inter alia* მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თუ როგორ მიესადაგება აღნიშნული გვარი განსახილველ სახელს შესაბამის ტერიტორიაზე.

## მოკლე სიმბოლოები - ერთ ასოში განსხვავება - სიმბოლოები რომლებიც შედგება როგორც სიტყვიერი ისე გამოსახულებითი ელემენტებისგან.

სასამართლო პრაქტიკიდან შეუძლებელია დადგინდეს ზოგადი წესი, გამორიცხავს თუ არა სამასოიან სიმბოლოებში ერთი ასოს განსხვავება სიმბოლოებს შორის მსგავსებას. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მომხმარებელი უფრო ნათლად არიქვამს განსხვავებებს აბრევიატურებში, გამოიწვევს თუ არა ერთ ასოში განსხვავება განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას, უნდა შეფასდეს ყველა საქმეში ინდივიდუალურად.

როცა სიმბოლოები შედგება სიტვიერი და გამოსახულებითი ელემენტების კომბინაციისგან, სიტყვიერ ელემენტებს აქვთ უფრო ძლიერი გავლენა გამოსახულებით ელემენტებთან შედარებით.



20/06/2019, T-389/18, [WKU / WKA et al.](#), EU:T:2019:438, § 56-58, 59.  
20/06/2019, T-390/18, [WKU WORLD KICKBOXING AND KARATE UNION \(fig.\) / WKA et al.](#), EU:T:2019:439, § 56-58, 59, 73.

### ❖ ადრინდელი ნიშნის განმასხვავებლობა

#### ზოგადი პრინციპი - განმასხვავებლობის ცნება

ევროპის მართლსაჯულების სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადგინა: (29/09/1998, C-39/97, Canon, EU:C:1998:442, § 18, 24):

[...] მაღალი განმასხვავებლობის მქონე ნიშნები, რომლებსაც განმასხვავებლობა აქვთ per se ან რეპუტაციის გამო სარგებლობენ უფრო ფართო დაცვით, ვიდრე შედარებით დაბალი განმასხვავებლობის მქონე ნიშნები.

[...] ადრინდელი ნიშნის გამასხვავებლობა, განსაკუთრებით მისი რეპუტაცია, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული როცა ხდება შეფასება, არის თუ არა საკმარისი საქონლის და მომსახურების მსგავსება იმისათვის რომ დადგეს აღრევის შესაძლებლობა.

ადრინდელი ნიშნის განმასხვავებლობის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როცა დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არსებობს მხოლოდ დაბალი დონის მსგავსება, რადგან უნდა დადგინდეს რამდენად შესაძლებელია, რომ არსებული დაბალი დონის მსგავსების კომპენსირება მოხდეს საქონლისა და მომსახურების მაღალი დონის მსგავსებით.

11/06/2014, T-281/13, [Metabiomax](#), EU:T:2014:440, § 57.  
13/05/2015, T-102/14, [TPG POST / DP et al.](#), EU:T:2015:279, § 67.

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აუცილებელია მოხდეს განსხვავება ადრინდელი ნიშნის განმასხვავებლობის ცნების, რომელიც განსაზღვრავს ნიშნის დაცვის ფარგლებსა და ნიშნის კომპონენტის განმასხვავებლობის ცნებას შორის, რომელიც განსაზღვრავს ამ კომპონენტის უნარს მოახდინოს დომინირება ნიშნის მიერ საერთო შთაბეჭდილების შექმნაში. მართალია, კომბინირებული ნიშნის კომპონენტის განმასხვავებლობის შეფასება საჭიროა, განხორციელდეს სიმბოლოების მსგავსების შეფასებისას, [...] ადრინდელი ნიშნის გამასხვავებლობა წარმოადგენს ისეთ ელემენტს, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საერთო შთაბეჭდილებიშ საფუძველზე აღრევის შესაძლებლობის დადგენისას. ამდენად, სიმბოლოების მსგავსების შეფასებისას არ არის მიზანშეწონილი ადრინდელი ნიშნის დაბალი განმასხვავებლობის მქონე ნაწილების მხედველობაში მიღება.

27/04/2006, C-235/05 P, [Flexi Air](#), EU:C:2006:271, § 43.  
23/01/2014, C-558/12 P, [WESTERN GOLD / WeserGold et al.](#), EU:C:2014:22, § 42-45.  
25/03/2010, T-5/08 & T-7/08, [Golden Eagle / Golden Eagle Deluxe](#), EU:T:2010:123, § 65.  
19/05/2010, T-243/08, [EDUCA Memory game](#), EU:T:2010:210, § 27.

## განმასხვავებლობის შეფასება

ნიშნის განმასხვავებლობის დადგენისას და შესაბამისად, იმის შეფასებისას არის თუ არა ის მაღალი განმასხვავებლობის მქონე, ეროვნულმა სასამართლომ საერთო შთაბეჭდილების საფუძველზე უნდა განსაზღვროს ნიშნის მაღალი ან დაბალი უნარი, მოახდინოს იმ საქონლის და მომსახურების იდენტიფიცირება, რომლისთვისაც ის რეგისტრირებულია და შესაბამისად აქვს თუ არა მას უნარი განასხვავოს ერთი საწარმოს საქონელი და მომსახურება სხვა საწარმოს საქონლის ან მომსახურებისაგან.

22/06/1999, C-342/97, [Lloyd Schuhfabrik](#), EU:C:1999:323, § 22.

ნიშნის მიერ შეძენილი მაღალი განმასხვავებლობა, რომელიც ხშირად მოთხოვნლია აპელანტის მიერ ნიშნის დაცვის ფარგლების გაფართოების მიზნით, უნდა დამტკიცდეს შესაბამისი მტკიცებულებებით. ნიშანი ავტომატურად არ ჩაითვლება მაღალი განმასხვავებლობის მქონედ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ არსებობს შინაარსობრივი კავშირი ნიშანსა და საქონელს ან მომსახურებას შორის.

16/05/2013, C-379/12 P, [H/Eich](#), EU:C:2013:317, § 71.

თუმცა, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განმცხადებელს შეუძლია განაცხადოს, რომ ადრინდელ სიმბოლოს აქვს დაბალი განმასხვავებლობა. განმცხადებლებს ერთ-ერთ ყველაზე ხშირ არგუმენტს წარმოადგენს, რომ ადრინდელი ნიშანი ან მისი რომელიმე ელემენტი არის დაბალი განმასხვავებლობის მქონე, რადგან მას შეიცავს ბევრი სასაქონლო ნიშანი. თუ ამ არგუმენტის გასამყარებლად, განმცხადებელი მიუთითებს მხოლოდ რეგისტრაციების ფაქტზე, EUIPO მიიჩნევს, რომ სხვადასხვა რეგისტრაციების არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს აღნიშნულის მტკიცებულებას და არ ასახავს ბაზარზე არსებულ რეალობას. სხვა სიტყვებით, მხოლოდ რეგისტრაციების არსებობა არ ადასტურებს, რომ ეს ნიშნები რეალურად გამოიყენება ბაზარზე.

13/04/2011, T-358/09, [Toro de Piedra](#), EU:T:2011:174, § 35.  
08/03/2013, T-498/10, [David Mayer](#), EU:T:2013:117, § 77-79.

როდესაც განიხილება ადრინდელი ნიშნის განმასხვავებლობა მთლიანობაში, ყოველთვის მიჩნეულ უნდა იქნას, რომ მას აქვს სულ მცირე მინიმალური განმასხვავებლობა. ევროკავშირის თუ ეროვნული ადრინდელი ნიშნები სარგებლობენ „კანონიერების პრეზუმპციით“. სასამართლომ ნათლად განმარტა, რომ რეგისტრაციის ბათილად ცნობის საქმის წარმოებისას დაპირისპირებული ეროვნული ნიშნების კანონიერების საკითხი არ შეიძლება დაისვას. სასამართლომ დაამატა, რომ ნიშნის როგორც აღწერილობითი ან გვარეობითი სიმბოლოს დახასიათება წარმოადგენს ნიშნის განმასხვავებლობის უარყოფის ეკვივალენტურ ქმედებას.

24/05/2012, C-196/11 P, [F1-Live](#), EU:C:2012:314, § 40-41.

სადავო ნიშნის თანდაყოლილი განმასხვავებელუნარიანობა არ მოწმდება რეგისტრაციის ბათილად ცნობის საქმის წარმოების ფარგლებში, რადგან აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას მნიშვნელოვანია ადრინდელი ნიშნის დაცვის ფარგლები. ანალოგიურად, სადავო ნიშნის გაძლიერებული განმასხვავებლობა, ასევე არარელევანტურია, რადგან აღრევამდე მსგავსების შეფასება მოითხოვს ადრინდელი ნიშნის და არა განცხადებულ ნიშნის დაცვის ფარგლების შეფასებას. თუ დადგინდება, რომ ადრინდელ ნიშანს აქვს ფართო დაცვის ფარგლები გაძლიერებული განმასხვავებლობის გამო, განცხადებული ნიშნის მიერ შეძენილი რეპუტაცია, პრინციპში არარელევანტურია აღრევის შესაძლებლობის დადგენის მიზნებისთვის.

03/09/2009, C-498/07 P, [La Española](#), EU:C:2013:302, § 84.

## ადრინდელი ეროვნული ნიშნების გარკვეული დონის განმასხვავებლობა

სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(1)(b) მუხლის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია დადგინდეს იმ ეროვნული ნიშნის გარკვეული დონის განმასხვავებლობა, რომელიც წარმოადგენს სააპელაციო საჩივრის საფუძველს.



24/05/2012, C-196/11 P, [F1-Live](#), EU:C:2012:314, § 47.

13/06/2019, T-398/18, [DERMAEPIL SUGAR EPIL SYSTEM \(fig.\) / dermépil Perron Rigot \(fig.\)](#), EU:T:2019:415, § 139-142.

## ადრინდელი ეროვნული ნიშნების გარკვეული დონის განმასხვავებლობა

ადრინდელი ეროვნული ნიშნების განმასხვავებელუნარიანობა არ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ბათილად ცნობის საქმის წარმოებაში. ივარაუდება, რომ ადრინდელ ნიშანს აქვს საკმარისი განმასხვავებლობა რომ დარეგისტრირებულიყო. აღრევის შესაძლებლობის შეფასება, ასეთ შემთხვევაში, უნდა დაემყაროს ფაქტს, რომ ადრინდელ ნიშანს აქვს დაბალი დონის განმასხვავებელუნარიანობა, რაც არ გამოორიცხავს აღრევის შესაძლებლობას.



10/09/2019, T-744/18, [Silueta en forma de elipse discontinua \(fig.\) / Silueta en forma de elipse \(fig.\)](#), EU:T:2019:568, § 53, 65-66.

## ადრინდელი ნიშნის სუსტი განმასხვავებლობის მტკიცებულება

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების ჩამონათვალი, რომელიც შეიცავს ელემენტს „scor“ არ არის საკმარისი იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნულ ელემენტს აქვს სუსტი ან საერთოდ არ გააჩნია განმასხვავებლობა. მხოლოდ ის ფაქტი რომ რეესტრში არის ნიშნები, რომლებიც შეიცავენ კონკრეტულ ტერმინს, ამ ნიშნების ბაზარზე გამოყენებაზე მითითების გარეშე, ვერ დაადასტურებს, რომ ამ ტერმინის განმასხვავებლობა შემცირებულია.

06/07/2016, T-97/15, [Alfredo alla Scrofa](#), EU:T:2016:393, § 39.  
08/07/2020, T-328/19, [SCORIFY \(fig.\) / Scor et al.](#), EU:T:2020:311, § 84.

## ❖ საერთო შთაბეჭდილება

### ზოგადი პრინციპი

აღრევის შესაძლებლობა უნდა შეფასდეს გლობალურად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქმისათვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება. შეფასება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და განსაკუთრებით ნიშნის ცნობადობაზე ბაზარზე, მომხმარებლის შესაძლო ასოციაციაზე დაპირისპირებულ ნიშნებს შორის, ასევე სიმბოლოების და/ან საქონლის ან მომსახურების მსგავსებაზე.

11/11/1997, C-251/95, [Sabèl](#), EU:C:1997:528, § 22.

### ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი

სასამართლომ ძირითად პრინციპად განსაზღვრა, რომ აღრევის შესაძლებლობის შეფასება გულისხმობს სხვადასხვა რელევანტური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას, განსაკუთრებით სიმბოლოების მსგავსების ხარისხსა და საქონლისა და მომსახურების მსგავსების ხარისხს შორის. შესაბამისად, საქონლისა და მომსახურების შედარებით ნაკლები მსგავსება შეიძლება გადაწონილი იყოს ნიშნებს შორის მაღალი მსგავსებით და პირიქით.

აღნიშნული ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება ცხადად არის მითითებული სასაქონლო ნიშნების რეგულაციის პრეამბულის მე-11 აბზაცში, რომლის მიხედვითაც მსგავსების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს აღრევის შესაძლებლობასთან მიმართებაში, რომლის შეფასებაც დამოკიდებულია რამდენიმე ელემენტზე, კერძოდ ნიშნის ცნობადობაზე ბაზარზე, ასოციაცია, რომელიც შეიზღება გამოწვეულ იქნეს რეგისტრირებულ ან გამოყენებულ სიმბოლოსთან, ნიშნებს შორის მსგავსების ხარისხზე და საქონლისა და მომსახურების მსგავსების ხარისხზე.

უფრო მეტიც, ურთიერთდამოკიდებულების პრინციპის თანახმად, საქონლისა და მომსახურების შედარებით ნაკლები მსგავსება შეიძლება გადაწონილი იყოს ნიშნებს შორის მაღალი მსგავსებით და პირიქით. თუმცა, არაფერი არ გამორიცხავს იმას, რომ კონკრეტული გარემოებების არსებობისას არ დადგინდეს აღრევის შესაძლებლობა თუნდაც იდენტური საქონლისა და მომსახურების და გარკვეული ხარისხით მსგავსი ნიშნების შემთხვევაში.

29/09/1998, C-39/97, [Canon](#), EU:C:1998:442, § 17.  
10/09/2008, T-325/06, [Capió](#), EU:T:2008:338, § 72.  
26/03/2020, T-343/19, [Sonance / Conlance](#), EU:T:2020:124, § 63.

### არასრული გახსენება

მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი საოქნლის საშუალო მომხმარებელი ითვლება რომ არის გონივრულად ინფორმირებული და გონივრულად დაკვირვებული, მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ საშუალო მომხმარებელს ძალზედ იშვიათად აქვს შესაძლებლობა მოახდინოს ნიშნების პირდაპირი შედარება. შესაბამისად, იგი უნდა ენდოს მის მეხსიერებაში არსებულ ნიშნების არასრულ სურათს. ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ საშუალო მომხმარებლის ყურადღების დონე განსხვავდება საქონლის კატეგორიების მიხედვით.

მაღალი ყურადღების დონის მქონე მომხმარებელიც კი უნდა დაეყრდნოს მის მეხსიერებაში არსებული ნიშნის არასრულ სურათს.

22/06/1999, C-342/97, [Lloyd Schuhfabrik](#), EU:C:1999:323, § 26.  
21/11/2013, T-443/12, [ancotel](#), EU:T:2013:605, § 54.

## ადრინდელი ნიშნის დაბალი განმასხვავებლობა - არასრული გახსენების პრინციპები

იმ საერთო შთაბეჭდილების გათვალისწინებით, რომელიც რჩება ზოგადი მომხმარებლის აღქმაში, რომელის ყურადღების დონეც არის საშუალო, სიმბოლოები არიან ვიზუალურად მაღალი დონით მსგავსი. დაპირისპირებული ნიშნების და მათი არასრულად გახსენების ეს ირიბი შედარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ადრინდელ ნიშანს გააჩნია დაბალი დონის განმასხვავებლობა, არსებობს აღრევის შესაძლებლობა.



10/09/2019, T-744/18, [Silueta en forma de elipse discontinua \(fig.\) / Silueta en forma de elipse \(fig.\)](#), EU:T:2019:568, § 67-68.

## საქონლის და მომსახურების შეძენის მეთოდის გავლენა

სასამართლომ დაადგინა, რომ სიმბოლოების ვიზუალური, ფონეტიკური და შინაარსობრივი მსგავსების ხარისხის მნიშვნელობის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული განსახილველი საქონლის და მომსახურების კატეგორია და რა ფორმით ხდება მათი შეთავაზება.

აღნიშნული ფაქტორები გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღრევის შესაძლებლობის ზოგადი შეფასებისას და არა სიმბოლოების მსგავსების შეფასების ეტაპზე.

22/09/1999, C-342/97, [Lloyd Schuhfabrik](#), EU:C:1999:323, § 27.  
04/03/2020, C-328/18 P, [Black Label by Equivalenza \(fig.\) / Labell \(fig.\) et al.](#), EU:C:2020:156, § 70.

## შინაარსობრივი მსგავსების ან იდენტურობის გავლენა აღრევის შესაძლებლობაზე

ანალოგიური სემანტიკის მქონე სიმბოლოების შინაარსობრივმა მსგავსებამ შეიძლება გამოიწვიოს აღრევის შესაძლებლობა თუ ადრინდელ ნიშანს აქვს განსაკუთრებული განმასხვავებლობა.

11/11/1997, C-251/95, [Sabèl](#), EU:C:1997:528, § 24.



## მოკლე სიმბოლოები

საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ აღრევის შესაძლებლობის საერთო შეფასება ისეთ სიმბოლოებს შორის რომელიც შედგება მხოლოდ ერთი ასოსგან (ან ასოთა კომბინაციისგან რომელიც არ ქმნის სიტყვას) ხდება იგივე წესით, როგორც სიტყვიერი ნიშნების, რომლებიც შედგება სიტყვისგან, სახელისგან ან გამოგონილი ტერმინისგან.

რაც შეეხება აღრევის შესაძლებლობის საერთო შეფასებას, სასამართლომ განმარტა, რომ ის თუ ორივე სასაქონლო ნიშანი შედგება ერთი და იგივე ასოსგან (ან ასოთა ერთი და იგივე თანმიმდევრობისგან) რაც განაპირობებს ნიშნების ფონეტიკურ და შინაარსობრივ იდენტურობას, რელევანტურია ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობის შეფასებისას. ასეთ შემთხვევებში, აღრევის შესაძლებლობა გამოირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადავო ნიშანი იწვევს საკმარისად განსხვავებულ ვიზუალურ შთაბეჭდილებას.

06/10/2004, T-117/03 – T-119/03 & T-171/03, [NL](#), EU:T:2004:293, § 47-48.  
10/05/2011, T-187/10, [G](#), EU:T:2011:202, § 49, 60.

## იდენტური საქონელი - შესაბამისი მომხმარებლის ყურადღების მაღალი დონე - ფონეტიკური იდენტურობა - დაბალი დონის ვიზუალური მსგავსება

რამდენადაც საქონელი არის იდენტური, ნიშნების ფონეტიკური იდენტურობა და დაბალი დონის ვიზუალური მსგავსება განაპირობებს აღრევის შესაძლებლობის არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მომხმარებლის ყურადღების დონე მაღალია.



14/02/2019, T-34/18, [KALON AL CENTRO DELLA FAMIGLIA \(fig.\) / CALOON](#), EU:T:2019:94, § 52-53.

## იდენტური მომსახურება - ადრინდელი ნიშნის დაბალი დონის განმასხვავებლობა

იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა იდენტური მომსახურება, სიმბოლოების საშუალოზე მაღალი დონის ვიზუალური მსგავსება, ფონეტიკური იდენტურობა, ადრინდელი ნიშნის დაბალი განმასხვავებლობა და შესაბამისი მომხმარებლის ყურადღების საშუალო დონე, არსებობს აღრევის შესაძლებლობა.



07/11/2019, T-568/18, [WE \(fig.\) / WE](#), EU:T:2019:783, § 81-82.

## კოლექტიური ნიშნები - ნიშნების მსგავსებასა და საქონლის ან მომსახურების მსგავსებას შორის ურთიერთდამოკიდებულება

არასწორია იმის ვარაუდი, რომ თუ ადრინდელ ნიშანს აქვს დაბალი დონის გამასხვავებლობა ნიშნებს შორის არასკმარისი მსგავსების არსებობა გამორიცხავს აღრევის შესაძლებლობას. სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული ურთიერთდამოკიდებულების პრინციპის გათვალისწინებით, აღრევის შესაძლებლობის დადგენისთვის აუცილებელია შემოწმდეს, რამდენად შესაძლებელია, რომ ნიშნებს შორის არსებული დაბალი დონის მსგავსება გადაწონოს საქონლის მაღალი დონის მსგავსებამ ან იდენტურობამ.



05/03/2020, C-766/18 P, [BBQLOUMI \(fig.\) /HALLOUMI.](#), EU:C:2020:170, § 85-86.

### აღრევის შესაძლებლობის არარსებობა - დამოუკიდებელი განმასხვავებელი როლი

Medion-ის გადაწყვეტილებით დადგენილი დამოუკიდებელი განმასხვავებელი როლის გამოყენება გულისხმობს, რომ სადავო ნიშანი მთლიანად მოიცავს ადრინდელ ნიშანს. როდესაც ადრინდელი ნიშანი მთლიანად არ შედის სადავო ნიშანში, საერთო ელემენტს არ შეიძლება გააგნდეს რაიმე სახის დამოუკიდებელი განმასხვავებლობა. მოცემულ შემთხვევაში, საერთო სიტყვიერი ელემენტი 'caprice' არ არის საკმარისი გაზარდოს სიმბოლოების ძალიან დაბალი დონის მსგავსება.



06/10/2005, C-120/04, [Thomson Life](#), EU:C:2005:594, § 37.  
28/09/2016, T-574/15, [KOZMETIKA AFRODITA \(fig.\) / EXOTIC AFRODITA MYSTIC MUSK OIL et al.](#), EU:T:2016:574, § 45.  
17/10/2019, T-628/18, [FRIPAN VIENNOISERIE CAPRICE PUR BEURRE \(fig.\) / Caprice \(fig.\)](#), EU:T:2019:750, § 40-42, 55.

### აღრევის შესაძლებლობა - ადრინდელი ნიშნის გაძლიერებული განმასხვავებლობა

რამდენადაც, რაც უფრო მაღალი განმასხვავებლობა აქვს ადრინდელ ნიშანს, მით უფრო დიდაა აღრევის შესაძლებლობა, მაღალი განმასხვავებლობის ნიშნები სარგებლობენ უფრო ფართო დაცვით, ვიდრე დაბალი დონის განმასხვავებლობის მქონე ნიშნები. შესაბამისად, ადრინდელი ნიშნის გაძლიერებული განმასხვავებლობა ზრდის აღრევის შესაძლებლობას.



11/11/1997, C-251/95, [Sabèl](#), EU:C:1997:528, § 24.

22/06/1999, C-342/97, [Lloyd Schuhfabrik](#), EU:C:1999:323, § 20.  
15/07/2020, T-371/19, [FAKEDUCK \(fig.\) / Save the duck \(fig.\) et al.](#), EU:T:2020:339, § 67.

## აღრევის შესაძლებლობა - სუსტი განმასხვავებლობა და დომინანტი ელემენტები - მათი პოზიციისა და ზომის გათვალისწინება

ისრის და ბოთლის ფორმის სიმბოლოების გამოსახულებითი ელემენტები მთელი ევროკავშირის ტერიტორიაზე გამოიყენება ნარჩენების გადამუშავების პროცესისა და ნარჩენების გადამუშავების მომსახურების აღსანიშნად. შესაბამისად, ამ გამოსახულებით ელემენტებს, როგორც განმასხვავებელ და დომინანტ ელემენტებს, აქვთ სუსტი განმასხვავებლობა შეფუთვების გადამუშავებასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის (უდავო გარემოება). თუმცა, ამ სიმბოლოთა ზომამ და პოზიციამ, შეიძლება მოახდინოს გავლენა მომხმარებელზე და დაამახსოვრდეთ მათ, როცა ქილა ან შეფუთვა არ არის დიდი. სიმბოლოებს შორის არსებული საშუალო დონის ვიზუალური და შინაარსობრივი მსგავსების გათვალისწინებით, აღრევის შესაძლებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს იმ საფუძვლით, რომ სიმბოლოები იწვევენ განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას.



11/04/2019, T-477/18, [DEVICE OF A BOTTLE SILHOUETTE AND AN ARROW \(fig.\) / DEVICE OF A CAN AND A BOTTLE SILHOUETTE AND AN ARROW \(fig.\)](#), EU:T:2019:240, § 34-35, 54-57.

## სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 8(2)(c) / 60(1)(a)– საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები (პარიზის კონვენციის მუხლი 6bis) – ნიშნის საყოველთაოდ ცნობილად აღიარება, სოციოლოგიური კვლევა

### საყოველთაოდ ცნობილ ნიშნებსა და რეპუტაციის მქონე ნიშნებს შორის ურთიერთობა

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები „საყოველთაოდ ცნობილი“ (ტრადიციული ტერმინი, რომელიც გამოყენებულია პარიზის კონვენციის 6bis მუხლში) და „რეპუტაცია“ გულისხმობს განსხვავებულ სამართლებრივ შინაარსს, მათ შორის არსებობს არსებითი გადაფარვა, რაც ნათლად ჩანს თუ შევადარებთ საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების დაცვის შესახებ ისმო-ს რეკომენდაციაში მოცემულ განმარტებასა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ მოცემულ რეპუტაციის განმარტებას. აღნიშნულის მიხედვით, ტერმინების განსხვავება წარმოადგენს „მხოლოდ ნიუანსს, რომელიც არ წარმოშობს რაიმე რეალურ წინააღმდეგობა/შეუსაბამობას“.

14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 22.

### რეპუტაციის ან საყოველთაოდ ცნობილობის დადგენის სტანდარტი

პრაქტიკურად, სტანდარტი რომლითაც ხდება ნიშნის საყოველთაოდ ცნობილობის და რეპუტაციის დადგენა, როგორც წესი ერთი და იგივეა. ამდენად, არ არის უჩვეული, რომ ნიშანი რომელმაც მოიპოვა საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის სტატუსი, ასევე აკმაყოფილებდეს რეპუტაციის მქონე ნიშნის სტანდარტს, რომელიც დადგენილია სასამართლოს გადაწყვეტილებით, რამდენადაც, ორივე შემთხვევაში, შეფასება, პირველ რიგში, ეფუძნება ნიშნის მომხმარებელში ცნობადობის ხარისხის შეფასებას სტანდარტი, რომელიც მოითხოვება ორივე შემთხვევაში, გამოხატულია საკმაოდ მსგავსი ტერმინებით („ცნობილი ...“ ან „საყოველთაოდ ცნობილი შესაბამისი მომხმარებლის სულ მცირე ერთ სექტორში (საყოველთაოდ ცნობილი ნიშნების დაცვის შესახებ ისმო-ს რეკომენდაციების მუხლი 2(2)(ბ) და 2(2)(გ))“) საყოველთაოდ ცნობილი ნიშნებისათვის და „შესაბამისი მომხმარებლის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ცნობილი“ რეპუტაციის მქონე ნიშნებისთვის)

აღნიშნული ასევე დადასტურდა სასამართლო პრაქტიკით, როცა სასამართლომ ტერმინები „რეპუტაცია“ და „საყოველთაოდ ცნობილი“ მიიჩნია მონათესავე ცნებებად და ხაზი გაუსვა, რომ არსებობს არსებითი გადაფარვა მათ შორის.

11/07/2007, T-150/04, [Tosca Blu](#), EU:T:2007:214, § 56-57.  
22/11/2007, C-328/06, [Fincas Tarragona](#), EU:C:2007:704, § 17.

## საყოველთაოდ ცნობილის სტატუსი - ადრინდელი უფლების აღიარება განაცხადის შეტანის მომენტისათვის

ადრინდელი ნიშნის საყოველთაოდ ცნობადობა უნდა დადგინდეს სადავო ნიშნის განაცხადის შეტანის მომენტისათვის და შენარჩუნებული უნდა იყოს დავის წამოწყების მომენტისთვის. არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, რომ „პრესტიჟული მაგრამ ისტორიული ნიშანს“, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო 1970-იან წლებში სპორტული ველოსიპედებისთვის, აქვს „შენარჩუნებული რეპუტაცია“ 40 წლის შემდეგ.

საყოველთაოდ ცნობილი ნიშნის სტატუსისთვის საჭიროა უფრო მაღალი დონის ცნობადობა რეპუტაციის მქონე ნიშანთან შედარებით.

03/05/2018, T-2/17, [MASSI / MASI et al.](#), EU:T:2018:243, § 57-58, 75.

## სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(3) / 60(1)(b) მუხლი – აგენტის ან წარმომადგენლის მიერ რეგისტრირებული ნიშანი

### სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(3) მუხლის მიზანი

ნიშნის მფლობელის აგენტის ან წარმომადგენლის მიერ სასაქონლო ნიშნის უნებართვოდ რეგისტრაცია ეწინააღმდეგება ნდობის ძირითად ვალდებულებას, რომელიც არსებობს ამ ტიპის კომერციული თანამშრომლობის შეთანხმებებში. მფლობელის ნიშნის ასეთი უკანონო მითვისება განსაკუთრებით საზიანოა მფლობელის კომერციული ინტერესებისთვის, რადგან განმცხადებელს შეუძლია გამოიყენოს ბიზნეს ურთიერთობისას მიღებული ცოდნა და გამოცდილება და შესაბამისად დაუმსახურებლად მიიღოს სარგებელი ნიშნის მფლობელის საქმიანობისა და ინვესტიციისაგან.

06/09/2006, T-6/05, [First Defense Aerosol Pepper Projector](#), EU:T:2006:241, § 38.

## გამოყენების პირობები - ურთიერთობის ხასიათი

ამ ნორმის მიზნის გათვალისწინებით, რასაც წარმოადგენს ნიშნის მფლობელების დაცვა მათი კომერციული პარტნიორების მხრიდან ნიშნის უკანონოდ მითვისებისგან, ტერმინი „აგენტი“ და „წარმომადგენელი“ უნდა განიმარტოს ფართოდ და დაფაროს ნებისმიერი სახის ბიზნეს ურთიერთობა (რომელიც რეგულირებულია წერილობითი ან ზეპირი ხელშეკრულებით), სადაც ერთი მხარე წარმოადგენს მეორე მხარის ინტერესებს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის გამცხადებლისა და ნიშნის მფლობელის ურთიერთობის აღსაწერად გამოყენებული სამართლებრივი ტერმინის მიუხედავად.

13/04/2011, T-262/09, [First Defense Aerosol Pepper Projector](#), EU:T:2011:171, § 64.

## ნაგულისხმევი კოოპერაციის შეთანხმების არსებობა განაცხადის შეტანის მომენტისთვის

სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, განაცხადის შეტანის მომენტისთვის მხარეთა შორის არსებული მიმოწერის გათვალისწინებით, მათ შორის არსებული ურთიერთობა იყო უფრო მეტი, ვიდრე გამყიდველსა და მყიდველს შორის არსებული ურთიერთობა. ადგილი ჰქონდა ნაგულისხმევ თანამშრომლობის შეთანხმებას რამაც წარმოშვა ფიდუციარული ვალდებულება ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განმცხადებლის მხრიდან.

თუმცა, მხარეებს შორის უნდა არსებობდეს რაიმე სახის თანამშრომლობის შეთანხმება. თუ განმცხადებელი მოქმედებს სრულიად დამოუკიდებლად, ისე რომ არ შესულა რაიმე სახის ფიდუციარულ ურთიერთობაში ნიშნის მფლობელთან, იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს აგენტად წარმომადგენლად ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების შესახებ შეთანხმების 8(3) მუხლის მიზნებისთვის. (§ 64).

09/07/2014, T-184/12, [Heatstrip](#), ECLI:EU:T:2014:621, § 67.  
13/04/2011, T-262/09, [First Defense Aerosol Pepper Projector](#), EU:T:2011:171, § 64.

## წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებები - „რწმუნებულ-მარწმუნებლის“ ურთიერთობა

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(3) მუხლით მოითხოვება მხარეთა შორის თანამშრომლობის შეთანხმების არსებობა, რომელიც წარმოშობს ფიდუციარულ ურთიერთობებს, რომელიც სასაქონლო ნიშნის განმცხადებელს აკისრებს გამოხატულ ან ნაგულისხმევ ნდობის და ლოიალურობის ვალდებულებას სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიმართ. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(3) მუხლი ვრცელდება ისეთ შეთანხმებებზეც, რომელთა მოქმედების ვადაც ამოიწურა განაცხადის შეტანის თარიღამდე, იმ პირობით რომ ნდობის და კონფიდენციალობის ვალდებულება ძალაში იყო განაცხადის შეტანის მომენტისთვის. 5 წლის შემდეგ, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებები კვლავ ძალაშია. მხოლოდ წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების არსებობა თანამშრომლობის შეთანხმებაზე არ წარმოდგენს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 8(3) მუხლის გამოყენების საფუძველს. „რწმუნებულ-მარწმუნებლის“ ურთიერთობა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის განმცხადებელსა და ბათილად ცნობის მომთხოვნ პირს შორის არ შეიძლება დაეფუძნოს იმ გარემოებას, რომ დირექტორები იცნობდნენ ერთმანეთს პროფესიული ურთიერთობი ფარგლებში, რაც თავისთავად არ შეიძლება ჩაითვალოს „აგენტი-მარწმუნებლის“ ურთიერთობად.

14/02/2019, T-796/17, [MOULDPRO](#), EU:T:2019:88, § 35-37.

## **EUTMR 8 (5)/60(1)(ა) მუხლი – რეპუტაციის მქონე სასაქონლო ნიშნები**

### **EUTMR-ის 8(5) მუხლის მიზანი**

EUTMR-ის 8(5) მუხლით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის გაფართოებული დაცვა გამომდინარეობს იქიდან, რომ სასაქონლო ნიშნის ფუნქცია და ღირებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ წარმოშობის ინდიკატორის განსაზღვრით. სასაქონლო ნიშნის მეშვეობით არამხოლოდ საქონლისა და მომსახურებების წარმოშობაზე ხორციელდება მითითება, არამედ იგი არის ხარისხის ან გარკვეული მახასიათებლის, მაგალითად სიმდიდრის/ფუფუნების, ცხოვრების წესის, ექსკლუზიურობის და სხვა, დაპირების ან გარანტიის აღმნიშვნელი („სარეკლამო ფუნქცია“).

18/06/2009, C-487/07, [L'Oréal](#), EU:C:2009:378.

### **რეგისტრაციის მოთხოვნა**

EUTMR 8(5) მუხლის ამჟამინდელი ვერსია, რომელიც რედაქტირებულია 2015/2424 რეგულაციით, ნათლად მიუთითებს, რომ ნორმა იცავს „ადრე რეგისტრირებულ ნიშანს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის ცვლილებამდე ვერსიაში მკაფიოდ არ იყო დაფიქსირებული რეგისტრაციის მოთხოვნა, უწყებამ იმგვარად განმარტა, რომ ვინაიდან მუხლის ვერსიის მიხედვით გამოყენებადობა იყო შეზღუდული, და იგი ირიბად თუმცა ნათლად მიუთითებდა, რომ აკრძალული იყო ადრე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი განაცხადების რეგისტრაცია და შესაძლებელი იყო მხოლოდ ადრე რეგისტრირებული ნიშნის განსხვავებული საქონლისა და მომსახურების მიმართ რეგისტრაცია.

აქედან გამომდინარეობს, რომ EUTMR-ის 8(5) მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელი პირობაა რომ არსებობდეს ადრე რეგისტრირებული ნიშანი, შესაბამისად EUTMR 8(5) მუხლზე მითითება შეზღუდულია ადრე განხორციელებული რეგისტრაციებითა და რეგისტრაციაზე წარდგენილი განცხადებებით.

11/07/2007, T-150/04, [Tosca Blu](#), EU:T:2007:214, § 55.

## განაცხადის/საჩივრის პირობები – ნიშნის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება

EUTMR-ის 8(5) მუხლის გამოყენებისთვის შემდეგი პირობები უნდა დაკმაყოფილდეს:

- შესაბამის ტერიტორიაზე ადრე რეგისტრირებული ნიშანი უნდა იყოს რეპუტაციის მქონე;
- ადრინდელ სასაქონლო ნიშანსა და ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის სადავო განაცხადს შორის უნდა იყოს იდენტურობა ან მსგავსება;
- ნიშნის გამოყენებით შესაძლებელი უნდა იყოს არაკეთილსინდისიერად უპირატესობის მოპოვება, ან ადრე რეგისტრირებული ნიშნის განსხვავებულობისა ან რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება;
- ასეთი გამოყენებადობა უნდა იყოს ლეგიტიმური საფუძვლის გარეშე.

ეს პირობები არის კუმულატიური, და თუ რომელიმე პირობა არ იქნება სახეზე შეუძლებელი იქნება ამ მუხლის მისადაგება კონკრეტულ შემთხვევაზე.

უფრო მეტიც, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე ამ მოთხოვნების შემოწმების თანმიდევრობა შესაძლოა იყოს განსხვავებული. მაგალითისთვის, თუ ნიშნები იდენტურია ან იმდენად მსგავსი ან განსხვავებული, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით მცირედი ან საერთოდ არაფერი შეიძლება ითქვას, ასეთ დროს შემოწმება შეიძლება დაიწყოს მსგავსების დადგენის მიზნით.

25/05/2005, T-67/04, [Spa-Finders](#), EU:T:2005:179, § 30.  
22/03/2007, T-215/03, [Vips](#), EU:T:2007:93, § 34.  
16/12/2010, T-345/08 & T-357/08, [Botolist / Botocyl](#), EU:T:2010:529, confirmed  
10/05/2012, C-100/11 P, [Botolist / Botocyl](#), EU:C:2012:285.

## რეპუტაციის ბუნება

სასამართლომ რეპუტაციის ბუნება საკანონმდებლო რეგულაციის არ არსებობის გამო განმარტა შესაბამისი მუხლების მიზნებიდან გამომდინარე. TMD-ის 5(2) მუხლის განმარტებისას სასამართლომ აღნიშნა, რომ: TMD ტექსტი „გულისხმობს საზოგადოებაში ადრე რეგისტრირებული ნიშნის ცნობადობის გარკვეული დონის არსებობას“ და განმარტა, რომ „როდესაც საზოგადოებაში არის ასეთი ნიშნის საკმარისი ცნობადობა, გვიან წარდგენილმა ნიშანმა შესაძლოა გამოიწვიოს ამ ორ ნიშანს შორის ასოციაცია [...] და შედეგად ადრე რეგისტრირებულ ნიშანს შესაძლოა მიაღგეს ზიანი“.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ რეპუტაცია ეს არის საზოგადოებაში ნიშნის ცნობადობისთვის გარკვეული ბარიერის მოთხოვნა, და ძირითადად მისი შეფასება უნდა განხორციელდეს რაოდენობრივი კრიტერიუმით. რეპუტაციის არსებობის კრიტერიუმის დასადგენად, აუცილებელია ასეთი სასაქონლო ნიშნით დაცული საქონლისა ან მომსახურებით დაინტერესებული საზოგადოებისთვის უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ამ ნიშანზე.

14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 22-23.  
25/05/2005, T-67/04, [Spa-Finders](#), EU:T:2005:179, § 34.

## ❖ რეპუტაციის ფარგლები

### ცნობადობის დონე

ვინაიდან, განსაზღვრულია რომ რეპუტაცია ეს არის ცნობადობის გარკვეული ბარიერი/დონე, აუცილებლად ისმევა კითხვა ადრე რეგისტრირებულ ნიშანმა საზოგადოებაში რა დონის ცნობადობა უნდა მოიპოვოს ამ ბარიერის გადასალახად. სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ: “ცნობადობის დონე განხილული იქნება როგორც მიღწეული, თუ საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა იცის ამ სასაქონლო ნიშნის შესახებ“ და დასძინა, რომ „TMD-ის 5(2) მუხლი არ მიუთითებს და არც მიზნიდან არ გამომდინარეობს, რომ საზოგადოების კონკრეტულ პროცენტისთვის იყოს ცნობილი სასაქონლო ნიშნის შესახებ“.

14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 25-26.  
16/11/2011, T-500/10, [Doorsa](#), EU:T:2011:679, § 45.

### შესაბამისი/რელევანტური საზოგადოება

სასამართლომ რეპუტაციის დონის შეფასებისთვის განმარტა საზოგადოების იმ ნაწილის დეფინიცია, ვისი მოსაზრებაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ მიზნით: „საზოგადოება, სადაც ადრე რეგისტრირებულმა ნიშანმა მოიპოვა რეპუტაცია, არის ის [საზოგადოება] რომელსაც ეხება ეს სასაქონლო ნიშანი, ეს კი დამოკიდებულია თუ ბაზრის რა სფერო მარაგდება ამ საქონლით ან მომსახურებით, იქნება ეს საზოგადოების ფართო თუ უფრო სპეციალიზებული ნაწილი, მაგ.კონკრეტული სექტორის მოვაჭრეები.“

14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 24.  
25/05/2005, T-67/04, [Spa-Finders](#), EU:T:2005:179, § 34, 41.

შესაბამისი საზოგადოების ცნება კონკრეტული საქონლის მყიდველების გარდა, მოიცავს პოტენციურ მყიდველებსაც, ასევე საზოგადოების იმ ნაწილს რომელიც ირიბად არის დაკავშირებული ნიშანთან, იმდენად რამდენადაც კონკრეტული საქონელი არის ასევე ასეთ მომხმარებლებზე გამიზნული.

რელევანტურ მომსახურებების წარმოადგენს 35-ე და 36-ე კლასებით გათვალისწინებული საფონდო ბირჟაზე ფასის ქვოტირების სერვისები, რაც როგორც წესი მიმართულია პროფესიონალებისთვის. ოპონენტმა წარმოადგინა მტკიცებულებულებები, რომ ევროპის ტერიტორიაზე „NASDAQ-ის“ სასაქონლო ნიშანი ყოველდღიურად ჩნდება გაზეთებსა და ბევრ სატელევიზიო არხზე. აქედან გამომდინარე, პალატამ სწორად იმსჯელა რომ „NASDAQ“-ის სასაქონლო ნიშნის რეპუტაციის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არამხოლოდ საზოგადოების შესაბამისი პროფესიონალი ნაწილი, არამედ ზოგადად საზოგადოების მნიშვნელოვანი ქვეკატეგორიაც.

10/05/2007, T-47/06, [Nasdaq](#), EU:T:2007:131, § 47, 51.

### რელევანტური/შესაბამისი ტერიტორია

EUTMR-ის 8(5) მუხლის თანახმად, ადრინდელი სასაქონლო ნიშნისთვის რეპუტაციის დადგენის მიზნებისთვის რელევანტური ტერიტორია არის დაცვის ტერიტორია: ადრინდელ ნიშანს რეპუტაცია უნდა ჰქონდეს იმ ტერიტორიაზე, სადაც არის რეგისტრირებული. შესაბამისად, ეროვნული ნიშნებისთვის რელევანტურ ტერიტორიად განიმარტება კავშირის შესაბამისი ქვეყანა, ხოლო ევროკავშირის ნიშნის შემთხვევაში - ევროკავშირის ტერიტორია.



სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასაქონლო ნიშნის მიმართ არ შეიძლება რეპუტაციის ქონა მოთხოვნილ იქნეს კავშირის წევრი ქვეყნის სრულ ტერიტორიაზე. რეპუტაცია საკმარისია არსებობდეს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე. ბენილუქსის შემთხვევაში, სასამართლომ აღნიშვნა, რომ მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება იყოს განხილული ბენილუქსში შემავალი რომელიმე ქვეყნის ტერიტორიის ნაწილზე მოპოვებული რეპუტაცია.

14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 28-29.

## რელევანტური დრო

მოწინააღმდეგე მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ ადრინდელმა ნიშანმა მოიპოვა რეპუტაცია ევროკავშირის ნიშნის სადავო განაცხადის წარდგენის თარიღამდე. საჭიროებისამებრ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნებისმიერი მოთხოვნილი პრიორიტეტი, იმ პირობით რომ პრიორიტეტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია EUIPO-ს მიერ.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელი ნიშნის რეპუტაცია ნარჩუნდება მანამ სანამ ოპონენტი მხარის სასარგებლოდ იქნება მიღებული გადაწყვეტილება.

თუმცა, მოპასუხისთვის მთავარია რომ ევროკავშირის ნიშნის განაცხადის შეტანის/პრიორიტეტის თარიღისთვის დაამტკიცოს რომ ნიშანს ჰქონდა რეპუტაცია, მაშინ როდესაც შემდგომ რეპუტაციის დაკარგვა არის უკვე განმცხადებლის პრეტენზია და მისი სამტკიცებელი. პრაქტიკაში, ასეთი შემთხვევა იშვიათია, ვინაიდან ასეთ დროს ბაზარზე მოკლე პერიოდში მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს მდგომარეობა.

ზოგადად, როდესაც მტკიცებულება თარიღდება რელევანტურ პერიოდთან ახლო თარიღით, ასეთ დროს უფრო მარტივია რომ ვივარაუდოთ რომ ადრინდელმა ნიშანმა მოიპოვა რეპუტაცია იმ დროის მონაკვეთში. თითოეული დოკუმენტის მტკიცებულებითი ღირებულება განისაზღვრება იმით თუ რამდენად ახლო პერიოდით თარიღდება ეს მტკიცებულება განაცხადის წარდგენის დროსთან მიმართებაში. შესაძლოა კონკრეტული თარიღისთვის ადრინდელი ნიშნის რეპუტაციის დადგენასთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთებისას მაინც იყოს გვიანდელი მტკიცებულება გამოყენებული, მიუხედავად იმისა რომ რელევანტური პერიოდით არ თარიღდება ასეთი მტკიცებულება.

27/01/2004, C-259/02, [Laboratoire de la mer](#), EU:C:2004:50, § 31.

17/04/2008, C-108/07 P, [Ferro](#), EU:C:2008:234, § 53.

15/12/2005, T-262/04, [Briquet à Pierre](#), EU:T:2005:463, § 82.

## სხვა ნიშნის შემადგენელი ნაწილისთვის მოპოვებული რეპუტაცია

თუ სასაქონლო ნიშნის ნაწილის რეპუტაციის დადგენა ეფუძნება სხვა სასაქონლო ნიშნის გამოყენებას და ცნობადობას, ასეთ დროს აუცილებელია რომ ის ნიშნის ნაწილს წარმოადგენდეს და ჰქონდეს “დომინანტური ან თუნდაც მნიშვნელოვანი როლი“. როდესაც ადრინდელი ნიშანი გამოიყენებოდა როგორც სხვა ნიშნის ნაწილი, ოპონენტის მოვალეობაა დაამტკიცოს რომ ადრინდელმა ნიშანმა დამოუკიდებლად მოიპოვა რეპუტაცია.

21/05/2005, T-55/13, [F1H20 / F1 et al.](#), EU:T:2015:309 § 47.

12/02/2015, T-505/12, [B](#), EU:T:2015:95, § 121.

### ❖ რეპუტაციის შეფასება

#### რელევანტური ფაქტორები

გარდა იმისა, რომ „5(2) [TMD] მუხლის სიტყვასიტყვითი და მიზნობრიობის განმარტებიდან, არ გამომდინარეობს რომ სასაქონლო ნიშანი საზოგადოების რომელიმე მოცემული პროცენტისთვის უნდა იყოს ცნობილი“. სასამართლომ ასევე დამატებით აღნიშნა, რომ როდესაც ფასდება ადრინდელი ნიშნის რეპუტაცია ასევე უნდა იყოს განხილული ყველა რელევანტური ფაქტორი, „კერძოდ, სასაქონლო ნიშნის მიერ ბაზარზე მოპოვებული წილი, გამოყენების ინტენსივობა, გეოგრაფიული არეალი და გამოყენებადობის ხანგრძლივობა, ასევე ინსვესტიციების ოდენობა რაც მიმართული იყო ბიზნესის ხელშეწყობისთვის“

14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 25, 27.

#### მტკიცებულების სახეობა

სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველ რიგში ადრინდელი ნიშნის რეპუტაციის შესაფასებლად ყველა ფაქტორი მიიღება მხედველობაში და ეს ფაქტორები მხოლოდ მაგალითებს წარმოადგენენ, ვინაიდან საქმეში ყველა რელევანტური მტკიცებულება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული. და მეორე, მესამე პირის მიერ წარმოდგენილი დეტალური და შეფასებითი მტკიცებულებები უკვე საკმარისია რომ დამტკიცდეს ნიშნის რეპუტაციის საკითხი.

10/05/2007, T-47/06, [Nasdaq](#), EU:T:2007:131, § 52.

#### სასაქონლო ნიშნის ცნობადობა

სასამართლოს განცხადება, რომ ნიშნისთვის აუცილებელი არ არის „საზოგადოების რა პროცენტული მაჩვენებელი იცნობს“, არ შეიძლება იმგვარად იქნეს განმარტებული რომ რეპუტაციის შეფასებისას ციფრები სასაქონლო ნიშნის ცნობადობასთან დაკავშირებით ირელევანტურია, ან ნაკლებად მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენდეს. აღნიშნული მხოლოდ იმ საკითხს გულისხმობს, რომ ყველა საქმეზე ცნობადობის პროცენტული მაჩვენებელი აბსტრაქტულად არ შეიძლება გამოიყენებოდეს, და შედეგად ნიშნის რეპუტაციის დასადგენად შეუძლებელია წინასწარ იქნეს დადგენილი გარკვეული ბარიერი.

04/05/1999, C-108/97 & C-109/97, [Chiemsee](#), EU:C:1999:230, § 52.

22/06/1999, C-342/97, [Lloyd Schuhfabrik](#), EU:C:1999:323, § 24.

16/11/2011, T-500/10, [Doorsa](#), EU:T:2011:679, § 52.

#### **EUTMR 8(1)(ბ) მუხლით გათვალისწინებული „მსგავსების“ ცნებასთან შედარება**

სასამართლომ „მსგავსების“ ცნებასთან დაკავშირებით TiMiKinderjoghurt საქმეში გამოიყენა ორი ნორმა: „პირველ რიგში აუცილებელია აღინიშნოს რომ ... ადრეულ და სადავო ნიშანს შორის მსგავსების არსებობა წარმოადგენს ამ მუხლების გამოყენების წინაპირობას 8(1)(ბ) [EUTMR] და 8(5) [EUTMR] (პუნქტი 51). თუ ნიშნებს შორის გამოირიცხება მსგავსება მუხლი 8(5) [EUTMR] , 8 (1)(ბ) [EUTMR] მუხლის მსგავსად არ ექვემდებარება გამოყენებას არცერთ შემთხვევაში (§ 73).

8(1)(ბ) და 8(5) EUTMR მუხლების კონტექსტიდან გამომდინარე, ნიშნებს შორის მსგავსების დადგენა მოითხოვს, კერძოდ ვიზუალური, ხმოვანი ან კონცეპტუალური ელემენტების მსგავსებას (§ 28).

თუმცა, ეს მუხლები განსხვავდება მსგავსების ხარისხთან მიმართებაში. ვინაიდან, 8(1)(ბ) EUTMR გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს რომ სადავო ნიშნებს შორის საზოგადოების რელევანტური ნაწილისთვის აღრევადობის ალბათობას ჰქონდეს ადგილი, 8(5) EUTMR მუხლის მიზნებისთვის ასეთი ალბათობა არ არის მოთხოვნილი. შესაბამისად, 8(5) EUTMR მუხლით გათვალისწინებული ზიანი შეიძლება დადგეს სადავო ნიშნებს შორის ნაკლები ხარისხის მსგავსებით, თუმცა იმ პირობით რომ საზოგადოების რელევანტური სექტორი აკავშირებდეს ამ ნიშნებს.

23/10/2003, C-408/01, [Adidas](#), EU:C:2003:582, § 27, 28, 29, 31.  
27/11/2008, C-252/07, [Intel](#), EU:C:2008:655, § 57, 58, 66.  
20/11/2014, C-581/13 P & C-582/13 P, [Golden balls](#), EU:C:2014:2387, § 73.

### ❖ ნიშნებს შორის კავშირი

#### მომხმარებლისთვის ასოცირება/მომხმარებლის გონებაში ნიშანთან დაკავშირება - ნიშნის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება

სასამართლომ ნათლად მიუთითა, რომ როდესაც უნდა შეფასდეს სადავო ნიშანი რამდენად აყენებს ზიანს ან არაკეთილსინდისიერად სარგებლობს ადრინდელი ნიშნის განმასხვავებელი ხასიათით ან რეპუტაციით, მას მერე რაც ნიშნების მსგავსება დასტურდება. ამისთვის აუცილებელია დადგინდეს რელევანტური საზოგადოებისთვის რამდენად იქმნება კავშირი (ან ასოციაცია) ნიშნებს შორის როდესაც ხდება ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინება.

პრეცედენტული სამართლით, განისაზღვრა რომ ზიანის მიყენების რისკის შეფასებამდე აუცილებელია წინ უსწრებდეს მსგავსი ანალიზი.

სასამართლომ ნიშნებს შორის კავშირის დადგენის ცნებაზე აღნიშნა: „დირექტივის 4(4)(ა) მუხლით გათვალისწინებული ზიანი არის ის შედეგი, რომელიც წარმოიშობა ადრინდელ და გვიანდელ ნიშნებს შორის გარკვეული მსგავსებიდან. მსგავსების გამო რელევანტური საზოგადოების ნაწილი ამ ნიშნებს შორის ადგენს კავშირს, იმის მიუხედავად რომ მათ შორის არ წამოიშობა აღრევადობა (იხ. დირექტივის 5(2) მუხლთან მიმართებაში, General Motors, 23-ე პუნქტი; Adidas-Salomon და Adidas Benelux 29-ე პარაგრაფი, და adidas და adidas Benelux, 41-ე პარაგრაფი)“.

ტერმინი „კავშირი“ ხშირად სახელმძღვანელოს სხვა პარაგრაფებში, ასევე პრეცედენტულ სამართალში მითითებულია როგორც „ასოციაცია“. ეს ტერმინები ზოგჯერ გამოიყენება ურთიერთშემცვლელად.

სასამართლომ მიუთითა, რომ მხოლოდ ის ფაქტი რომ სადავო ნიშნებს შორის არის მსგავსება აღნიშნული არ ადასტურებს რომ მათ შორის არის კავშირი. უფრო მეტიც, ნიშნებს შორის კავშირის დადგენისას აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ საქმის ყველა რელევანტური ფაქტორი და გლობალურად შეფასდეს აღნიშნული გარემოებები.

27/11/2008, C-252/07, [Intel](#), EU:C:2008:655, § 30.

#### კავშირის დადგენა – რელევანტური ფაქტორები:

- სადავო ნიშნებს შორის მსგავსების ხარისხის დონე. რამდენადაც მაღალია გვიანდელი ნიშნის მსგავსება ადრინდელ ნიშანთან, უფრო მეტად არის ალბათობა იმისა რომ რელევანტურ საზოგადოებისთვის ასოცირდება ადრინდელი ნიშნის რეპუტაციასთან.
- საქონლისა ან მომსახურებისთვის ჩამონათვალი, რაზეც რეგისტრირებულია რეპუტაციის მქონე ადრინდელი სასაქონლო ნიშანი, ასევე გვიანდელი ნიშანი კონკრეტულ რომელ კლასზე უნდა დარეგისტრირდეს. რამდენად მსგავსია ან განსხვავებულია ამ საქონლისა ან მომსახურების ჩამონათვალი, და ასევე რელევანტური საზოგადოების ნაწილი. შესაძლოა იმდენად განსხვავებულია გვიანდელი ნიშნის ფარგლებში საქონელი ან მომსახურება, რომ რელევანტურ საზოგადოებისთვის ნაკლებად სავარაუდოა ადრინდელ ნიშანთან ასოცირება.
- ადრინდელი ნიშნის რეპუტაციის დონე.
- ადრინდელი ნიშნის განსხვავებელუნარიანობის ხარისხი, თანდაყოლილი ან გამოყენების შედეგად შეძენილი. პრიორიტეტული ნიშანი რამდენადაც თავიდანვე განსხვავებულია, იმდენად არსებობს დიდი ალბათობა რომ მსგავსი (ან იდენტური) გვიანდელი ნიშნის შეხვედრისას მომხმარებლისთვის წარმოშობს ასოცირებას.
- საზოგადოების ნაწილში აღრევადობის შესაძლებლობის არსებობა.

აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და სადავო ნიშნებს შორის კავშირი შესაძლოა მხოლოდ რამოდენიმე კრიტერიუმის არსებობისას დადგინდეს ან გამოირიცხოს.

შეკითხვაზე, რომ საზოგადოება რამდენად დააკავშირებს სადავო ნიშნებს, პასუხი უნდა გაეცეს თითოეული ინდივიდუალური საქმის განხილვისას ფაქტებისა და გარემოებების შეფასებით.

27/11/2008, C-252/07, [Intel](#), EU:C:2008:655, § 42, 49.

### რელევანტური ფაქტორების გლობალური შეფასება

„კავშირის“ დადგენის შეფასებისთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს ყველა რელევანტური ფაქტორი, რაც ასევე საჭიროებს თავის მხრივ დაბალანსებას. შესაბამისად, ნიშნების ბუნდოვნად ან მცირედით მსგავსების დროსაც კი გამართლებულია რელევანტური საზოგადოებაში ნიშნებს (რაც შესაძლოა არ იყოს საკმარისი EUTMR-ის 8(1)(ბ) მუხლის თანახმად აღრევადობის ალბათობის დასადგენად) შორის კავშირის დადგენისას ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინება.

სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ: “მიუხედავად იმისა, რომ გლობალური შეფასება გარკვეულწილად გულისხმობს რელევანტური ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას, და როდესაც ადრინდელი ნიშანი მკვეთრად განსხვავდება ამით კომპენსირდება ნიშნებს შორის მცირე ხარისხის მსგავსება [...] და როდესაც ადრინდელ და სადავო ნიშანს შორის არ არის მსგავსება, მხოლოდ ის ფაქტი რომ ადრინდელი ნიშნის რეპუტაციისა და სახელით ხდებოდა სარგებლობა და იდენტურია ან მსგავსია ამ ნიშნით დაცული საქონელი ან მომსახურებები არ წარმოადგენს საკმარის გარემოებას რომ [...] რელევანტურმა საზოგადოებამ ეს ნიშნები დააკავშიროს [...].”

[...] საერთო იურისდიქციის სასამართლომ უნდა განახორციელოს ნიშნების გლობალური შეფასება, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც გარკვეული მსგავსებაა. მიუხედავად, ნიშნების დაბალი ხარისხის მსგავსებისა, უნდა განისაზღვროს არის თუ არა სახეზე რელევანტური ფაქტორები როგორცაა რეპუტაცია და ადრინდელი ნიშნის ცნობადობა, და რელევანტური საზოგადოებისთვის რამდენად აღრევადია ეს ნიშნები ან აკავშირებს თუ არა ამ ნიშნებს.

24/03/2011, C-552/09 P, [TiMiKinderjoghurt](#), EU:C:2011:177, § 65-66.

## საქონლისა და მომსახურებების გავლენა

თუ სადავო ნიშნებით დაცული საქონელი და მომსახურება განსხვავებული სასაქონლო სექტორს წარმოადგენს, ეს თავის მხრივ არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს რომ გამოირიცხოს ნიშნებს შორის კავშირი. მიუხედავად, სადავო ნიშნების განსახვავებული რელევანტური საბაზრო სექტორისა, ნიშნებს შორის მსგავსების დროს ადრინდელი ნიშნის სპეციფიური რეპუტაციით (მათ შორის რაოდენობრივი ასპექტი, როგორც შეიძლება იყოს კონკრეტული პრესტიჟი, ცხოვრების სტილი, ან მარკეტინგული აქტივობები რაც ასოცირდება ნიშნის რეპუტაციასთან) შესაძლოა ისარგებლოს სადავო ნიშანმაც.

თუმცა, როდესაც ერთი მხრივ ნიშნით დაცული საქონელი და მომსახურებები გამიზნულია ზოგადად საზოგადოებისთვის და მეორე მხრივ, სპეციალიზებული ნაწილისთვის, მხოლოდ ის ფაქტი რომ სპეციალიზებული აუცილებლად წარმოადგენს ზოგადი საზოგადოების ნაწილის არ არის საკმარისი ნიშნებს შორის კავშირის დადგენის მიზნებისთვის.

## PUMA

26/09/2018, T-62/16, [PUMA \(fig.\) / PUMA \(fig.\) et al.](#), EU:T:2018:604, § 45-46.

### ❖ ზიანის რისკი და სახეები

#### დაცული ობიექტი

EUTMR-ის 8(5) მუხლი არ იცავს ადრინდელი ნიშნის რეპუტაციას იმ მიზნით, რომ პრევენცია განახორციელოს რეპუტაციის მქონე ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის რეგისტრაციისა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სადავო განაცხადით გათვალისწინებული ნიშნის გამოყენებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე უპირატესობა ან უნდა იყოს ადრინდელი ნიშნის განსხვავებულუნარიანობის ან რეპუტაციისთვის ზიანის მიმყენებელი ფაქტორი. სასამართლომ დაადასტურა, რომ მას შემდეგ რაც რეპუტაციის პირობა იქნება დადგენილი, შემდგომ უნდა იქნეს გამოკვლეული რომ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ზიანი ადგება ადრინდელ ნიშანს.

მიუხედავად იმისა, რომ Sabèl საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ EUTMR -ის 8(5) მუხლი "არ ითხოვს მსგავსების ან აღრევის დამტკიცებას", სასამართლოს დეტალურად არ უმსჯელია თუ რა ჩაითვლებოდა ზიანად ან არაკეთისლინდისიერ უპირატესობად, თუმცა აშკარად მიუთითა რომ რეპუტაციის მქონე ნიშნის გაფართოებული დაცვა არ გამომდინარეობს ნიშნის წარმოშობის ფუნქციიდან.

11/11/1997, C-251/95, [Sabèl](#), EU:C:1997:528, § 20.  
14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 30.

სასამართლომ წინა გადაწყვეტილებებში აღნიშნა, რომ სასაქონლო ნიშანს გარდა იმისა რომ მიუთითოს წარმოშობის წყაროზე, აქვს სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც, რომლებიც საჭიროებს დაცვას. უფრო კონკრეტულად, სასაქონლო ნიშანი არის ხარისხის მაჩვენებელი (გარანტიის ფუნქცია) კონკრეტული მწარმოებლის ხაზისა და ასევე ის ემსახურება ბაზარზე მოპოვებულ გუდვილსა და ბრენდის პრესტიჟს/სახელს (სარეკლამო ფუნქცია).

17/10/1990, C-10/89, [Hag II](#), EU:C:1990:359.  
11/07/1996, C-427/93, C-429/93 & C-436/93, [Bristol-Myers Squibb v Paranova A/S](#), EU:C:1996:282.  
11/11/1997, C-349/95, [Ballantine](#), EU:C:1997:530.  
04/11/1997, C-337/95, [Dior](#), EU:C:1997:517.  
23/02/1999, C-63/97, [BMW](#), EU:C:1999:82.

#### ზიანის რისკის შეფასება

ვინაიდან, სასამართლოს წინაშე დასმული შეკითხვები არ მოიცავდა ზიანისა და არაკეთილსინდისიერი უპირეტესობის განმარტებების განსაზღვრას, სასამართლოს დეტალურად არ უმსჯელია ამ საკითხებზე. სასამართლომ მხოლოდ აღნიშნა, რომ “საზოგადოებაში ნიშანს უნდა ჰქონდეს საკმარისი ცნობადობა, და როდესაც ბაზარზე ჩნდება ახალი ნიშანი, უნდა იყოს შესაძლებელი რომ ადგილი ჰქონდეს ამ ორ ნიშანს შორის ასოციაცია [...] და შედეგად ადრინდელი ნიშანი ამით დაზიანდეს”.

რაც უფრო, სწრაფად ხდება ასოცირება ადრინდელ და გვიანდელ ნიშნებს შორის, მით უფრო მეტი ალბათობა არსებობს რომ ამჟამინდელი ან სამომავლო გამოყენებისას, ნიშანი ისარგებლებს არაკეთილსინდისიერი უპირატესობით ნიშნის განსხვავებელუნარიანობასთან მიმართებაში ან ნიშნის რეპუტაციასთან დაკავშირებით, ან იქნება ზიანის მომტანი.

14/09/1999, C-375/97, [Chevy](#), EU:C:1999:408, § 23.  
27/11/2008, C-252/07, [Intel](#), EU:C:2008:655, § 67-69.  
18/06/2009, C-487/07, [L'Oréal](#), EU:C:2009:378, § 41, 43.

#### რეპუტაციითა და განმასხვავებელუნარიანობით არაკეთილსინდისიერად სარგებლობა

განსახვავებელუნარიანობითა და რეპუტაციით არაკეთილსინდისიერად სარგებლობა ისეთ შემთხვევებს მოიცავს, როდესაც განმცხადებელი სარგებლობს კონკრეტული საქონლის/მომსახურების ბაზარზე ფართოდ ცნობილი ადრინდელი ნიშნის მსგავსი (ან იდენტური) ნიშნის გამოყენებისას. ამგვარად, ხორციელდება ასეთი მიჯაჭვულობის და სარეკლამო ღირებულებების მითვისება, ან რეპუტაციის, სახელისა და პრესტიჟით სარგებლობა.

აღნიშნულმა შედეგად შეიძლება გამოიწვიოს „კომერციული პარაზიტიზმი“, რაც გულისხმობს მოწინააღმდეგე მხარის ინვესტიციითა და ნიშნის გუდვილით „უფასოდ“<sup>1</sup> სარგებლობას. ასეთი მდგომარეობის დროს ბაზარზე რასაკვირველია განმცხადებლის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებთან შედარებით არაპროპორციულად იზრდება გაყიდვების რაოდენობა. ნიშნის განსხვავებელუნარიანობით ან რეპუტაციით არაკეთილსინდისიერი უპირატესობით სარგებლობა არ საჭიროებს, ადგილი ჰქონდეს ალბათობის რეპუტაციის მქონე ნიშანთან მიმართებაში აღრევალობის არსებობას თუ ნიშნის განსხვავებელუნარიანობაზე თუ რეპუტაციაზე ზიანის მიყენებას, ან თუნდაც ნიშნის მფლობელთან მიმართებაში.

უპირატესობა განიმარტება როგორც მესამე მხარის უპირატესობა არაკეთილსინდისიერად ისარგებლოს ნიშნის განსხვავებელუნარიანობითა და რეპუტაციით და მიმსგავსებული ნიშნის გამოყენებისას ყოველგვარი ფინანსური კომპენსაციის გადახდის და ხარჯის გარეშე ისარგებლოს ამ ნიშანზე, ნიშნის მფლობელის მიერ შექმნილი მარკეტინგული აქტივობებით ჩამოყალიბებული სახელით, მიჯაჭვულობით, რეპუტაციით, პრესტიჟით.

18/06/2009, C-487/07, [L'Oréal](#), EU:C:2009:378, § 41, 49-50.

### ადრინდელი ნიშნის განსხვავებელუნარიანობისა და რეპუტაციის უკანონო მითვისება

ადრინდელი ნიშნის განსხვავებელუნარიანობისა და რეპუტაციის უკანონო მითვისებას წინ უსწრებს შესაბამის ნიშნებს შორის ასოციაცია, რაც თავის მხრივ ხდის შესაძლებელს რომ განაცხადით გათვალისწინებულმა ნიშანმა ისარგებლოს მიჯაჭვულობითა და პრესტიჟით. მსგავსი ასოციაცია, ძირითადად გვხვდება შემდეგ შემთხვევებში.

როდესაც ადრინდელი ნიშანი სარგებლოს ძლიერი რეპუტაციით და ძალიან განმასხვავებელუნარიანი ხასიათით (თანდაყოლილი), ასეთ დროს განმცხადებლისთვის უფრო მაცდური იქნება ისარგებლოს და ასევე მარტივად განახორციელოს ასოცირება ნიშანთან.

ასეთი ნიშნები ნებისმიერ კონტექსტში იქნება აღიარებული ზუსტად მისი განსხვავებელუნარიანობით ან „კარგი“ ან „განსაკუთრებული“ რეპუტაციით, რაც თავის მხრივ მიუთითებებს ბრენდის სახელის უპირატესობას, სანდოობას ან ხარისხს, ან სხვა პოზიტიურ მესიჯს, რომელიც მომხმარებელზე შეძლებს განახორციელოს დადებითი ზეგავლენა სხვა მწარმოებლებთან მიმართებაში.

რაც უფრო გამორჩეულად განსხვავებულუნარიანია ადრინდელი ნიშანი, მით უფრო მეტად არის შესაძლებელი როდესაც იდენტური ან მსგავსი ნიშანი გამოჩნდება ბაზარზე საზოგადოებამ მისი ასოცირება განახორციელოს ადრინდელ ნიშანთან.

12/07/2011, C-324/09, [L'Oréal-eBay](#), EU:C:2011:474, § 44.  
06/07/2012, T-60/10, [Royal Shakespeare](#), EU:T:2012:348, § 27.

<sup>1</sup> free ride

## შეცვლილი ნიშნით სარგებლობა - Free-riding

რეგისტრირებული ნიშნისაგან „განსხვავებული ნიშნით“ სარგებლობით მოპოვებული რეპუტაცია, როდესაც ასეთი განსხვავებული ფორმა უკვე სხვა პირის მიერ რეგისტრირებულია. როდესაც ფეხსაცმლის გვერდზე გამოსახულია სამი ზოლი, ასეთ დროს შესაძლოა განსხვავებული ზოლების გამოყენება განხორციელდეს, ვინაიდან „ვიზუალურად ძალიან მსგავსია“ უკვე მათ მიერ რეგისტრირებული ნიშნისა, მიუხედავად იმისა, რომ ეს განსხვავებული ვერსიაც შესაძლოა ექვემდებარებოდეს ცალკე რეგისტრაციას.

free-riding რისკი იმ მტკიცებულებებით დასტურდება, როდესაც განცხადებით გათვალისწინებული ნიშანი კომერციულად გამოიყენება ფაქტობრივად, მათ შორის ადრინდელი ნიშნის საქონლების მარკეტინგული აქტივობების დროს გათვალისწინებული ფერთა კომბინაციებით. ამგვარად, როდესაც არსებობს სლოგანი „ორი ზოლი საკმარისია“ ეს გვადლევს საშუალებას გავაკეთოთ დასკვნა, რომ სამ ზოლიან ნიშანის რეპუტაციით შესაძლებელია ისარგებლოს ორ ზოლიანმა ნიშანმაც.



[01/03/2018, T-629/16, DEVICE OF TWO PARALLEL STRIPES \(other\) / DEVICE OF THREE PARALLEL STRIPES \(fig.\) et al., EU:T:2018:108, § 76-78, 191-192.](#)

### რეპუტაციის შეფასება – Free-riding

რეპუტაციის მქონე და სადავო ნიშნით დაცული საქონლის ან მომსახურების ჩამონათვალის სრული განსხვავება არ არის საკმარისი იმისთვის რომ გამოირიცხოს free-riding ან რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება.

თავის მხრივ, EUTMR-ის 8(5) მუხლის გამოყენება საჭიროებს წინასწარ იყოს განსაზღვრული ადრინდელი ნიშნის რეპუტაციის დონე.

**PUMA**

[26/09/2018, T-62/16, PUMA \(fig.\) / PUMA \(fig.\) et al., EU:T:2018:604, § 67-70, 88-89 and 100-101.](#)

### ნიშნის რეპუტაციისთვის/განსხვავებულუნარიანობისთვის ზიანის მიყენება

ამ პირობის არსებობის შემოწმებისას აუცილებელია საქმის ყველა რელევანტური ფაქტის გათვალისწინება, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის საბაზრო წილის, მისი გამოყენების ინტენსივობის, გეოგრაფიული არეალისა და გამოყენების ხანგრძლივობისა, მარკეტინგული ხარჯების. თუმცა, არცერთ შემთხვევაში არ მოითხოვება რომ შესაბამისი საზოგადოების გარკვეული პროცენტისთვის იყოს ცნობილი ან რომ ეს რეპუტაცია არსებობდეს შესაბამისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში.



14/09/1999, C-375/97, [General Motors](#), ECLI:EU:C:1999:408, § 24, 25, 27-29.  
13/12/2004, T-8/03, [Emilio Pucci](#), EU:T:2004:358, § 67.

იმისთვის, რომ რეპუტაციის მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, კავშირის ადრინდელი ნიშანი უნდა იყოს ცნობილი იმ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, რომელიც დაინტერესებულია ნიშნით დაცული საქონლით ან მომსახურებებით. იქიდან გამომდინარე, თუ რა საქონელს და მომსახურებაზეა საუბარი - ეს შესაძლოა იყოს საზოგადოების ფართო ნაწილი ან უფრო სპეციალიზებული ნაწილი, როგორც არის კონკრეტული სექტორის მოვაჭრეები.

დადგენილია, რომ არაკეთილსინდისიერ უპირატესობას აქვს ადგილი, როდესაც ნიშნის განსხვავებულუნარიანობისა ან რეპუტაციისთან გამო, ნიშნის გამოყენება და ცნობილი ნიშნის უფასოდ სარგებლობა ხდება free-riding-ის სახით ან ნიშნის რეპუტაციით სარგებლობით ვაჭრობის მცდელობისას. ასეთ დროს, როგორც წესი ზიანი ადგება ადრინდელ ნიშანს. განცხადებით გათვალისწინებული ნიშნის გამოყენება გამოიწვევს იმას, რომ ადრინდელ ნიშანს აღარ ექნება ასოცირება და კავშირი იმ საქონელთან, რომელიც რეგისტრირებულია და ამ ნიშნით არის ცნობილი საზოგადოებისთვის. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში ნიშნით დაცული საქონლის მიმართებაში მიჯაჭვულობა მცირდება, რადგან ნიშნის გამოყენება იმგვარად ხორციელდება რომ საზოგადოებას უკარგავს ამ ნიშნის მიმართ მიმზიდველობას;

10/05/2007, T-47/06, [Nasdaq](#), EU:T:2007:131, § 46, 55.  
12/03/2009, C-320/07 P, [Nasdaq](#), EU:C:2009:146.  
24/05/2012, C-196/11 P, [F1-Live](#), EU:C:2012:314.

## განსხვავებულუნარიანობისთვის ზიანის მიყენება

ადრინდელი რეპუტაციის მქონე ნიშანის განსხვავებულუნარიანობისთვის ზიანის მიყენება ( რომელიც სხვაგვარად შეიძლება იყოს მოხსენიებული როგორც „შესუსტება“, „შემცირება“ ან „ბუნდოვანება“) გამომდინარეობს, იმ შემთხვევებიდან, როდესაც ნიშნის შესაძლებლობა იყოს კონკრეტულ საოქნლისა ან/და მომსახურების მიმართ იდენტიფიცირებული/ასოცირებული მცირდება, რადგან უკვე გვაინდელი მიმსგავსებული ნიშანი იწვევს ადრინდელი რეპუტაციის მქონე ნიშნის ცნობადობის განადგურებას. ადრინდელი ნიშანი ხდება უკვე ნაკლებად განსხვავებული და უნიკალური.

27/11/2008, C-252/07, [Intel](#), EU:C:2008:655, § 29.

## ადრინდელ ნიშანთან კავშირი - Dilution

ადრინდელი ნიშნის განსმასვებეულნაირნობისთვის ზიანის მიყენება, ასევე დამატებით მოხსენიებული როგორც „შესუსტება“, „შემცირება“ ან „ბუნდოვანება“ ხორციელდება მაშინ, როდესაც გვიანდელი ნიშანი საზოგადოების გონებაში უკვე ამცირებს ადრინდელი ნიშნის ცნობადობას და აჩერებს ნიშნის, და როდესაც უფლებამესაკუთრის ნიშნის შესაძლებლობა იყოს კონკრეტულ საქონელსა თუ მომსახურებებზე მითითებული.ეს შესამჩნევია, როდესაც ადრინდელი ნიშნით ვეღარ ხორციელდება რეგისტრირებულ საქონლისა და მომსახურების მიმართ ასოცირება.ასეთ შემთხვევა გვხვდება მაშინ როდესაც ადრინდელ და გვიანდელ ნიშნები რაღაც დონეზე არის მსგავსი და შესაბამისი საზოგადოების ნაწილიც აკავშირებს ამ ნიშნებს, მიუხედავად იმისა რომ მათთვის აღრევა არ ხორციელდება.

თუ საზოგადოების გონებაში მსგავსი კავშირი არ იქმნება, ასეთ დროს დიდი ალბათობით არაკეთისლსნდისიერი უპირატესობით არ სარგებლობს გვიანდელი ნიშანი, ან ადრინდელი ნიშნის რეპუტაციისა და განსხვავებულაირნობის ზიანს არ აყენებს.

27/11/2008, C-252/07, [Intel](#), EU:C:2008:655, § 29-31.

### რეპუტაციისთვის ზიანის მიყენება

ადრინდელი ნიშნის რეპუტაცია შესაძლოა შეილახოს ან დაკნინდეს, როდესაც ის არის უხამსი სახით რეპროდუცირებული, დამამცირებელ ან შეუფერებელ კონტექსტში, ან ისეთ კონტექსტში, რომელიც წარმოადგენს უსიამოვნოს თუმცა არ წარმოადგენს შეუთავსებელს იმ რეპუტაციისთვის, რომელიც უფლებამესაკუთრის მარკეტინგული ძალისხმევის მიერ იქნა შექმნილი.

ნიშნისთვის ზიანების მიყენების ალბათობა შესაძლოა წარმოიშვას განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირის მიერ შეთავაზებული საქონლისა და მომსახურებების აქვს ისეთი მახასიათებელი ან ხარისხი, რომელიც ნიშანზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს.

18/06/2009, C-487/07, [L'Oréal](#), EU:C:2009:378, § 40.

### რეპუტაციის შელახვა

ადრინდელი ნიშნისთვის შექმნილი რეპუტაციის შელახვისთვის რისკად განიხილება ისეთი შემთხვევა, როდესაც ნიშნით დაცულ საქონელსა და მომსახურებებს მოპოვებული აქვს რეპუტაცია და ადრინდელ და გვიანდელ ნიშნებს შორის ასოციაცია იწვევს ადრინდელი ნიშნით დაცული საქონლისა და მომსახურების მიმართ უარყოფით კონოტაციებს.

28/02/2019, C-505/17 P, [SO' BiO etic \(fig.\) / SO...? et al.](#), EU:C:2019:157, § 87-88.

**EUTMR-ის 8(6) / 60(1)(დ) მუხლი – გეოგრაფიული აღნიშვნები**

**EUTMR-ის 60(2)(ა) მუხლი – სახელის უფლება**

## სახელის დაცვა -კავშირის წვერი ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად

სახელის უფლების დაცვა მოითხოვს, რომ ასეთ პირს აუცილებლად უშუალოდ უნდა ეხებოდეს უფლების დარღვევა. როდესაც წლების განმავლობაში სასტუმრო ინდუსტრიაში გამოიყენებოდა კონკრეტული გვარი იგივე ოჯახის სხვადასხვა წევრის მიერ, აღნიშნულით არ დგინდება რომ ნიშანი ოჯახის ერთ კონკრეტულ წევრზე მიუთითებს. უფრო მეტიც, პირს რომელსაც სურს წვერი კავშირის ქვეყნის ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვით ისარგებლოს უნდა დაასაბუთოს სამართლებრივი ნორმებით და წარმოადგინოს ამ რეგულაციის გამოყენების პირობები.

29/06/2017, T-343/14, [CIPRIANI / CIPRIANI](#), EU:T:2017:458, § 96-108.

***EUTMR-ის 60(2)(ბ) მუხლი – უფლება პირად გამოსახულებაზე***

***EUTMR-ის 60(2)(გ) მუხლი – საავტორო უფლებები***

***EUTMR-ის 60(2)(დ) მუხლი - სამრეწველო საკუთრებაზე უფლებები***

## გაუქმების საფუძვლები (EUTMR-ის 58-ე მუხლი)

### მტკიცების ტვირთი – პრინციპი

#### განმცხადებლის მიერ წარდგენილი ფაქტის გამოკვლევა

EUTMR-ის 95(1) მუხლის თანახმად გაუქმების მოთხოვნაზე განცხადება, იქნება გამოკვლეული შესაბამის განმცხადებლის მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში.

13/09/2013, T-320/10, [Castel](#), EU:T:2013:424, § 28.

### EUTMR-ის 58(1)(ა) მუხლი – გაუქმება ნიშნის გამოყონებლობის გამო

#### მხედველობაში მისაღები პერიოდი - გაუქმებაზე შემხვედრი მოთხოვნა

თუ გაუქმების შესახებ განცხადების წარდგენამდე, მხარეთა შორის გაუქმებაზე შემხვედრი მოთხოვნა იქნა წარდგენილი EUTMR 128-ე მუხლის შესაბამისად, და „გადადებულია“ EUTMR 128(7) მუხლის შესაბამისად, ნიშნით სარგებლობა უნდა დასტურდებოდეს ბოლო 5 წლის განმავლობაში შემხვედრი მოთხოვნის წარდგენის თარიღამდე.

17/01/2018, T-68/16, [DEVICE OF A CROSS ON A SPORT SHOE SIDE \(fig.\)](#), EU:T:2018:7, § 55-56.

### EUTMR-ის მუხლი 58(1)(ბ) – საქონლის ან მომსახურების ზოგადი სახელი / გვარეობითი ტერმინი

#### შესაბამისი მომხმარებელი

EUTMR-ის 58(1)(ბ) შესაბამისად ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი უნდა გაუქმდეს თუ კონკრეტულ მომსახურებაზე და საქონლზე ჩამოყალიბდა როგორც გვარეობითი ტერმინი შესაბამისი საზოგადოების ფართო ნაწილისთვის, მათ შორის იმ პირებისთვისაც ვინც დაცულ საქონლით ან მომსახურების ვაჭრობის პროცესში არიან ჩართულები.

29/04/2004, C-371/02, [Bostongurka](#), EU:C:2004:275, § 23, 26.

როდესაც სასაქონლო ნიშანი ყალიბდება როგორც გვარეობით ტერმინი კონკრეტული საქონლისა და მომსახურებისთვის რაზეც რეგისტრირებულია, ასეთ დროს უნდა შეფასდეს არა მხოლოდ მომხმარებლის ან საბოლოო მომხმარებლის აღქმადობა, არამედ ბაზრის მახასიათებლებიც, ვაჭრობის პროცესში ჩართული სხვა პირების აღქმადობის მხედველობაში მიღებით, როგორებიცაა არიან გამყიდველები (§ 28).

თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა საკმარისი იყოს რომ საქონლის გამყიდველებმა მათ მომხმარებლებს არ მიაწოდონ ინფორმაცია რომ ბრენდი რეგისტრირებულია როგორც სასაქონლო ნიშანი და ყიდვის პროცესის დროს მომხმარებლებს არ შესთავაზონ დამატებითი დახმარება, რომელიც მოიცავს საქონლის წარმოშობის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით მითითებას (§ 23-25, 30).

06/03/2014, C-409/12, [Kornspitz](#), EU:C:2014:130, § 23-25, 28, 30.

### ზოგადი დასახელება

სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა უფრო მეტად მცირდება, როდესაც ნიშანი არის გარკვეულწილად მიმანიშნებელი ან საქონლზე მიმსგავსებული. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დადებითი კონოტაციები არა კონკრეტულ საქონლისა თუ მწარმოებელზეა გამიზნული, არამედ ზოგადად ან ნიშნით დაცული საქონლისა და მომსახურების სახეობაზე.

30/01/2007, 1 020 C, Stimulation, § 22, 32 et seq.

### EUTMR-ის 12 მუხლი - უფლებამესაკუთრის დაცვა

როდესაც ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის უფლებამესაკუთრემ განახორციელა გონივრული ქმედებები კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი ვერ გაუქმდება. უფლებამესაკუთრემ აუცილებლად უნდა გადაამოწმოს მისი სასაქონლო ნიშანი ლექსიკონებში ხომ არ განიმარტება როგორც გვარეობითი ცნება; თუ ეს ასეა, უფლებამესაკუთრემ გამომცემელს უნდა მოსთხოვოს რომ შემდგომ გამოცემებში სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით მიეთითოს რომ ეს ნიშანი რეგისტრირებულია.

### **EUTMR-ის 58(1)(გ) მუხლი – პასუხისმგებლობა საზოგადოების შეცდომაში შეყვანაზე**

#### გეოგრაფიული დასახელებისა და საქონლის ურთიერთკავშირი

თუ სასაქონლო ნიშანი შედგენილია ან შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას, შესაბამისი საზოგადოების მიერ იგი აღქმული იქნება საქონლის წარმოშობის ადგილად. ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისია, როდესაც გეოგრაფიული დასახელება და საქონლი აშკარად არ არის კავშირში (მაგ. თუ ადგილი არ არის ცნობილი, და ნაკლებად სავარუდოა რომ გახდეს ცნობილი საზოგადოებისთვის, როგორც საქონლის წარმოშობის ადგილი) და შესაბამისად მომხმარებლები არ გააკეთებენ მათ შორის კავშირს.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია რომ MÖVENPICK OF SWITZERLAND სასაქონლო ნიშანი გაუქმდა ვინაიდან (როგორც გარემოებებში იყო აღნიშნული) საქონელი წარმოება ხდებოდა მხოლოდ გერმანიაში, და არა შვეიცარიაში.

12/02/2009, R 697/2008-1, [MÖVENPICK OF SWITZERLAND](#).

#### საზოგადოების შეცდომაში შეყვანი ნიშნების გაუქმება - მაგალითები

როდესაც სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვიერ ელემენტს „თხები“ და „ყველი“ და თხის გამოსახულებით ელემენტს „თხის ყველისთვის“, და დასტურდება რომ ეს ყველი არ იწარმოება თხის რძისგან ასეთ დროს ევროკავშირის ნიშანი გაუქმდება.

როდესაც სასაქონლო ნიშანი „ნამდვილი ახალი შალი“ რეგისტრირებულია „ტანსაცმლის“ კლასისთვის და დგინდება, რომ სამოსი იწარმოება ხელოვნური ქსოვილებით, ამ დროსაც ევროკავშირის ნიშანი გაუქმდება.

როდესაც სასაქონლო ნიშანი შეიცავს სიტყვებს „ნამდვილი ტყავი“ ან წარმოადგენს „ფეხსაცმლის“ კლასისთვის შესაბამის პიქტოგრამას და რეგისტრირებულია „ფეხსაცმლისთვის“, თუ სასაქონლო ნიშნით დაცული ფეხსაცმელი არ არის დამზადებული ტყავისგან, ასეთი ევროკავშირის ნიშანი გაუქმდება.

# ნიშნის გამოყენების დადასტურება და მტკიცებულებების შეფასება

## EUTMR-ის 47(2) მუხლი – ნიშნის გამოყენება

EUTMR, EUTMDR და EUTMIR არ განმარტავს „რეალური გამოყენების“ ცნებას. თუმცა, მართლმსაჯულების სასამართლომ („სასამართლო“) ამ დეფინიციის განმარტებასთან დაკავშირებით განსაზღვრა ძირითადი პრინციპები.

### რეალური გამოყენება – მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დადგენილი ზოგადი პრინციპები

*Minimax* საქმეზე სასამართლომ დაადგინა შემდეგი პრინციპები:

- რეალური გამოყენება ნიშნავს - ნიშნის ფაქტობრივად გამოყენებას (§ 35);
- რეალურ გამოყენებად მიჩნეულ უნდა იქნეს ნიშნის ისეთი გამოყენება, რომელიც არ არის სიმბოლური და არ ემსახურება მხოლოდ ნიშანზე უფლებების შენარჩუნებას (§ 36);
- რეალური გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს სასაქონლო ნიშნის **არსებით ფუნქციას**, რაც წარმოადგენს საქონლის და მომსახურების წარმომავლობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და რომ მომხმარებელი და საბოლოო მომხმარებელი ყოველგვარი აღრევის გარეშე შეძლებს განასხვავოს კონკრეტული საწარმოს საქონელი ან მომსახურება სხვა საწარმოს საქონლისა და მომსახურებისგან (§ 36);
- რეალური გამოყენება გულისხმობს ნიშნით დაცული საქონლის ან მომსახურებისთვის ნიშნის **ბაზარზე** გამოყენებას და არა მხოლოდ შესაბამისი კომპანიის მიერ შიდა გამოყენებას (§ 37);
- რეალური გამოყენება უნდა ეხებოდეს იმ **საქონელსა და მომსახურებას**, რომელიც ბაზარზე უკვე არსებობს ან რომლის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანაც დაგეგმილია და უკვე განხორციელებულია მოსამზადებელი სამუშაოები მომხმარებლების მოსაზიდად, კერძოდ სარეკლამო კამპანიის სახით (§ 37);
- როდესაც ფასდება რეალური გამოყენების ფაქტი, აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა შემოწმდეს ყველა ფაქტი და რელევანტური გარემოება იმისთვის რომ დადგინდეს ბაზარზე ნიშნის **რეალურად** გამოყენების ფაქტი. კერძოდ, რამდენად არის ნიშნის ასეთი გამოყენება ამ ნიშნით დაცული საქონლისა ან მომსახურებებისთვის კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორში **შესაბამისი ბაზრის წილის შენარჩუნებისა ან ბაზარზე დამკვიდრებისთვის** გამიზნული (§ 38);
- საქმის შესაფასებელი გარემოებები შესაძლოა მოიცავდეს, *inter alia*, შესაბამისი სადავო საქონლისა და მომსახურებების **ბუნების, მახასიათებლებსა** და ნიშნის გამოყენების მასშტაბსა და სიხშირეს (§ 39);
- გამოყენების შესაფასებლად, **რაოდენობა** ყოველთვის არ შეიძლება **მნიშვნელოვანი იყოს** მის რეალურ გამოყენებად აღიარებისთვის, ვინაიდან ნიშნის გამოყენება დამოკიდებულია კონკრეტული საქონლის და მომსახურებების შესაბამისი ბაზრის მახასიათებლებზე (§ 39).

11/03/2003, C-40/01, [Minimax](#), EU:C:2003:145, § 35-39.

სასამართლომ, დეტალურად განსაზღვრა *Minimax* კრიტერიუმი შემდეგი სახით:

- საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად საკმარისია გამოყენება კონკრეტული საქონლისა და მომსახურებების წილის ბაზარზე შესანარჩუნებლად ან დასამკვიდრებლად, არის დამოკიდებული რამდენიმე ფაქტორზე და უნდა იქნეს შეფასებული თითოეული საქმისთვის ინდივიდუალურად. საქონლისა და მომსახურებების **მახასიათებლები**, ნიშნის **გამოყენების სიხშირე და რეგულარობა**, ნიშანი მარკეტინგული მიზნებისთვის გამოიყენება ფლობელის ყველა საქონლის ან მომსახურებისთვის, თუ მხოლოდ ნაწილის მიმართ, ან რა მტკიცებულებები შეუძლია წარმოადგინოს მფლობელმა, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული (§ 22);
- ნიშნის გამოყენება იმ კლიენტის მიერ, რომელიც ახორციელებს ნიშნით დაცული საქონლის **იმპორტს**, შესაძლოა იყოს საკმარისი, რომ გამოყენება განხილულ იქნეს რეალურად, თუ დასტურდება რომ საქონლის იმპორტის პროცედურას გააჩნია ნიშნის გამომყენებლისთვის რაიმეკომერციულ მიზანი (§ 24);
- **de minimis** წესი არ შეიძლება დაწესდეს (§ 25).

27/01/2004, C-259/02, [Laboratoire de la mer](#), EU:C:2004:50, § 22, 24 and 25.

### გამოყენების დადასტურების ფუნქცია

ადრეული ნიშნის რეალური გამოყენების დადასტურების მოთხოვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ შეიზღუდოს რეგისტრირებული და დაცული ნიშნების რაოდენობა და შესაბამისად, მათ შორის კონფლიქტის არსებობაც.

12/03/2003, T-174/01, [Silk Cocoon](#), EU:T:2003:68, § 38.

როდესაც უწყებაში მესამე პირის საჩივრის განხილვისას დგება საკითხი რეალური გამოყენების შეფასებისმოთხოვნასთან დაკავშირებით, აუცილებელია გვახსოვდეს რომ EUTMR-ის 47(2) და (3) მიზნებიდან არ გამომდინარეობს კომერციული წარმატების შეფასება ან კომპანიის ეკონომიკური სტრატეგიის განხილვა, ისევე როგორც სასაქონლო ნიშნით დაცვის შეზღუდვა მხოლოდ ნიშნების ფართო-მასშტაბიანი კომერციული გამოყენებისთვის.

08/07/2004, T-334/01, [Hipoviton](#), EU:T:2004:223, § 32.

08/07/2004, T-203/02, [Vitafruit](#), EU:T:2004:225, § 38.

### EUIPO-ს მიერ დადგენილი მტკიცების სტანდარტი

EUTMR-ის 47-ე მუხლი მოითხოვს ადრინდელი ნიშნის გამოყენების დადასტურებას. სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენება ვერ დადასტურდება ვარაუდებითა და ალბათობებით, არამედ ეს უნდა დასტურდებოდეს სასაქონლო ნიშნის ეფექტური და საკმარისი გამოყენების მყარი და ობიექტური მტკიცებულებებით.

18/01/2011, T-382/08, [Vogue](#), EU:T:2011:9, § 22.



სასამართლომ მიუთითა, რომ აბსტრაქტულად შეუძლებელია დადგინდეს რაოდენობრივი ბარიერი გამოყენების რეალურად აღიარების მიზნებისთვის. შესაბამისად ვერანაირი ობიექტური *de minimis rule* ვერ იარსებს „რეალური“ გამოყენების დონის წინასწარ განსაზღვრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მინიმალური დონე უნდა იყოს ცნობილი თუ რას გულისხმობს გამოყენება, ეს უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით. ზოგადი დანაწესია, რომ როდესაც სახეზეა რეალური კომერციული მიზანი, სასაქონლო ნიშნის თუნდაც მინიმალური გამოყენება უკვე აკმაყოფილებს „რეალური გამოყენების ტესტს“, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია საქონელსა და მომსახურებასა და შესაბამის ბაზარზე.

23/09/2009, T-409/07, [acopat](#), EU:T:2009:354, § 35.  
02/02/2012, T-387/10, [Arantax](#), EU:T:2012:51, § 42.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკმარისია რომ სასაქონლო ნიშნის მესაკუთრემ რეალური გამოყენების მტკიცებულებით დაამტკიცოს მისი რეალური განზრახვა - შესაბამის ბაზარზე მოეპოვებინა ან შეენარჩუნებინა კომერციული პოზიცია. თუმცა, ავტომატურად ნებისმიერი სახის დამადასტურებელი მტკიცებულება ნიშნის სარგებლობაზე, სადავო ნიშნთან დაკავშირებით არ ადასტურებს „რეალურ გამოყენებას“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც ადგილი აქვს კომერციულ გამოყენებას რაც მტკიცდება გარკვეულწილად, ეს შესაძლოა მაინც იყოს არასაკმარისი რეალური გამოყენების დადგენის მიზნებისთვის.

17/07/2014, C-141/13 P, [Walzer Traum](#), EU:C:2014:2089, § 32.

### კუმულატიური პრინციპი

EUTMDR 10(3) მუხლის თანახმად, გამოყენების დადასტურებასთან დაკავშირებული მითითებები და მტკიცებულებები უნდა ეხებოდეს რელევანტური საქონლისა და მომსახურებისთვის ოპონენტის სასაქონლო ნიშნის გამოყენების ადგილს, დროს, მასშტაბსა და გამოყენების ხასიათს.

აღნიშნული გარემოებების დადასტურება უნდა განხორციელდეს კუმულატიურად (§ 43). რაც გულისხმობს, რომ ოპონენტი არამხოლოდ ვალდებულია რომ მიუთითოს თითოეულ გარემოებაზე, არამედ ვალდებულია დაადასტუროს ისინი. შესაბამისი გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები და მითითებები ნიშნის გამოყენების ადგილის, დროის, მასშტაბის და გამოყენების თაობაზე უნდა იქნეს შეფასებული და განმარტებული ერთიანად. სხვადასხვა რელევანტური ფაქტორის ცალკეული შეფასება არ არის გამართლებული (§ 31).

05/10/2010, T-92/09, [STRATEGI / Stratégies](#), EU:T:2010:424, § 43.  
17/02/2011, T-324/09, [Friboi](#), EU:T:2011:47, § 31.

### მტკიცებულების ბუნება

გამოყენების თაობაზე მტკიცებულებას შესაძლოა ჰქონდეს ირიბი/გარემოებითი ხასიათი, როგორც არის მტკიცებულება რელევანტურ ბაზარზე წილის თაობაზე, შესაბამისი საქონლის იმპორტის შესახებ, ნედლეულის ან შეფუთვის სასაქონლო ნიშნის მფლობელისთვის მიწოდების შესახებ ან შესაბამისი საქონლის ვადის გასვლის თარიღთან დაკავშირებით. ასეთი არაპირდაპირი მტკიცებულება გადაწყვეტ როლს ასრულებს საბოლოო ჯამში მტკიცებულებების შეფასებაში. მტკიცებულების ღირებულება ფრთხილად უნდა შეფასდეს. მაგალითისთვის, საერთო იურისდიქციის სასამართლომ აღნიშნა რომ გარკვეული გარემოებების არებობის შემთხვევაში, კატალოგები წარმოადგენდა საკმარის მტკიცებულებას ნიშნის გამოყენების დადგენის მიზნებისთვის.

08/07/2010, T-30/09, [Peerstorm](#), EU:T:2010:298, § 42 et seq.

### რელევანტური მტკიცებულების წარდგენა

მტკიცებულება რომელიც არ არის დათარიღებული საერთო შეფასებისას შესაძლოა იყოს მხედველობაში მიღებული და მიჩნეულ იქნეს რელევანტურად სხვა დათარიღებულ მტკიცებულებებთან ერთად (§ 33).

ეს არის სექტორზე გათვლილი, სადაც საქონლისა და მომსახურებებისთვის არ ხორციელდება დათარიღება, მაგალითად ნაყინის მენიუები იშვიათად არის დათარიღებული (§ 16).

17/02/2011, T-324/09, [Friboi](#), EU:T:2011:47, § 33.

05/09/2001, R0608/2000-4, [PALAZZO / HELADERIA PALAZZO](#), § 16.

## პროცედურული ასპექტები

### ❖ ზოგადი ასპექტები

#### გამოყენების მტკიცება სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოების დროს

როდესაც უწყებაში მესამე პირის საჩივრის განხილვისას დგება საკითხი რეალური გამოყენების მოთხოვნის შეფასებასთან დაკავშირებით, აუცილებელია გვახსოვდეს რომ EUTMR-ის 47(2) და (3) მიზნებიდან არ გამომდინარეობს კომერციული წარმატების შეფასება ან კომპანიის ეკონომიკური სტრატეგიის განხილვა, ისევე როგორც სასაქონლო ნიშნით დაცვის შეზღუდვა ნიშნების ფართო-მასშტაბიანი კომერციულ გამოყენებაზე.

08/07/2004, T-334/01, [Hipoviton](#), EU:T:2004:223, § 32.

08/07/2004, T-203/02, [Vitafruit](#), EU:T:2004:225, § 38.

#### მოთხოვნა გამოყენების დადასტურებაზე

ნიშნის რეალური გამოყენების დადასტურების თაობაზე განმცხადებლის მოთხოვნასთან მიმართებაში EUTMR 47(2) მუხლი და EUTMIR 22 არ განსაზღვრავს რაიმე კონკრეტულ პირობას თუ როგორი ფორმით და შინაარსით უნდა იქნეს წარდგენილი განმცხადებლის მოთხოვნა რეალური გამოყენების დამტკიცებასთან დაკავშირებით (§ 44-46).

28/11/2019, T-736/18, [Bergsteiger / BERG \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:826, § 44-46.

## ❖ უმოქმედობით გამოხატული თანხმობა – EUTMR-ის 61 მუხლი

### უმოქმედობით გამოხატული თანხმობისათვის დადგენილი პირობები

უმოქმედობით გამოხატული თანხმობისათვის განსაზღვრული ხანდაზმულობის პერიოდის ათვლის დასაწყებად, სახეზე უნდა იყოს ოთხი პირობა: (ა) გვიანდელი ნიშანი უნდა იყოს რეგისტრირებული; (ბ) უფლების მფლობელი უნდა მოქმედებდეს კეთილსინდისიერად; (გ) უნდა ხდებოდეს ნიშნის გამოყენება იმ წევრ ქვეყანაში, სადაც ადრინდელი ნიშანი არის რეგისტრირებული; (დ) ადრინდელი ნიშნის მფლობელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თუ როგორ ხორციელდება ამ ნიშნის გამოყენება რეგისტრაციის შემდეგ ( § 20).

24/01/2019, T-785/17, [BIG SAM SPORTSWEAR COMPANY \(fig.\) / SAM et al.](#), EU:T:2019:29, § 20.

### შესაბამისი დრო

უმოქმედობით გამოხატული თანხმობის საფუძველზე სარჩელის დაუშვებლად ცნობისათვის, საჭიროა, გვიანდელი ნიშნის რეგისტრაციიდან შემდგომი ხუთი წლის პერიოდში გამოყენების შესახებ რეალური ცოდნის დემონსტრირება. სადავო ნიშნის რეგისტრაციის პირობა არის ერთ-ერთი, რაც უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის რომ EUTMR-ის 61(1) მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის პერიოდის ათვლა დაიწყოს. ამ მუხლით გათვალისწინებული პერიოდის გამოსათვლელად არარელევანტურია ისეთი გარემოებები, როგორც არის სადავო ნიშნით სარგებლობა რეგისტრაციამდე პერიოდში, ასევე ის გარემოება თუ რეგისტრაციამდე რამდენად იყო ინფორმირებული ადრინდელი ნიშნის მფლობელი ამ ნიშნის გამოყენების თაობაზე ( § 17-18).

ის ფაქტი რომ ადრინდელი ნიშნის მფლობელმა წარადგინა საჩივარი სადავო ნიშანთან მიმართებაში, არ გულისხმობს რომ მან აუცილებლად იცოდა სადავო ნიშნის გამოყენების თაობაზე. ასეთი საჩივრის წარდგენის თარიღი ასევე ვერ განიხილება უმოქმედობით გამოხატული თანხმობისათვის განსაზღვრული 5 წლიანი პერიოდის ათვლის წერტილად ( § 36).

20/06/2019, T-389/18, [WKU / WKA et al.](#), EU:T:2019:438, § 17-18.  
24/01/2019, T-785/17, [BIG SAM SPORTSWEAR COMPANY \(fig.\) / SAM et al.](#), EU:T:2019:29, § 36.

## გამოყენების სახეები

### ❖ ინდივიდუალური ნიშნების გამოყენება

#### რეალური გამოყენება – მოთხოვნები

რეალურ გამოყენებისათვის საჭიროა სასაქონლო ნიშნის გამოყენება:

- ხდებოდეს არამხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის ან საქონლისა და მომსახურების მარკეტინგული ქმედებებისთვის;
- ხორციელდებოდეს სასაქონლო ნიშნის არსებითი ფუნქციის შესაბამისად და წარმოადგენდეს წარმომავლობის იდენტიფიცირების გარანტიას იმ საქონლის ან მომსახურებისთვის, რის მიმართაც არის ნიშანი რეგისტრირებული.

11/03/2003, C-40/01, [Minimax](#), EU:C:2003:145, § 43.

შესაბამის საქონელთან კავშირის დადგენა

გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულებიდან გამომდინარე აუცილებლად უნდა დასტურდებოდეს ნიშანსა და შესაბამის საქონელსა და მომსახურებებს შორის აშკარა კავშირი, რადგან სასაქონლო ნიშანს, *inter alia*, აქვს საქონელსა და მომსახურებასა და შესაბამის მარკეტინგულ ქმედებებზე პასუხისმგებელ პირს შორის დამაკავშირებელი ფუნქცია. როგორც ეს ნათლად არის განსაზღვრული EUTMDR 10(4) მუხლში, აუცილებელი არ არის რომ ნიშანი იყოს მიმდგრებული უშუალოდ საქონელზე.

ნიშნის შეფუთვაზე, კატალოგებში, სარეკლამო მასალებსა ან ინვოისებში აღნიშვნა სადავო საქონელსა და მომსახურებისათვის წარმოადგენს პირდაპირ მტკიცებულებას რომ ხორციელდება ნიშნის რეალური გამოყენება.

12/12/2014, T-105/13, [TrinkFix](#), EU:T:2014:1070, § 28-38.

❖ ნიშნის რეალური გამოყენება ნიშნის ძირითად ფუნქციასთან მიმართებაში

**სასაქონლო ნიშნის გამოყენება ბიზნესის, კომპანიის ან საფირმო დასახელების სახით ნიშნის გამოყენება**

მაგალითისთვის, შეკვეთის ფორმების თუ ინვოისების თავეში ბიზნეს დასახელების მითითება, იმის მიხედვით თუ როგორ არის გამოსახული, შესაძლოა იყოს განხილული როგორც ნიშნის რეალური გამოყენების მტკიცებულება (§ 44-45).

როდესაც კომპანიის დასახელება და სასაქონლო ნიშანი გასწვავდება, ინვოისებზე ორივე მათგანის გამოსახვისას, შესაძლოა ჩაითვალოს, რომ სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს მომსახურების კომერციულ წარმოშობაზე მითითებას, იმის მიუხედავად, რომ ინვოისებში, ასევე შეიძლება მითითებული იყოს სხვა ქვებრენდები. (§ 82-84).

თუმცა, მხოლოდ კომპანიის დასახელების აღნიშვნა ინვოისის თავეზე კონკრეტულ მომსახურებასთან/საქონელთან მიმართებაში ყოველგვარი მითითების გარეშე არ არის საკმარისი.

06/11/2014, T-463/12, [MB](#), EU:T:2014:935, § 44-45.

03/10/2019, T-666/18, [ad pepper \(fig.\)](#), EU:T:2019:720, § 82-84.

**ნიშნის კლასიფიკაციის არარელევანტურობა რეალური გამოყენების დადგენისას**

როდესაც ფასდება ნიშნის განმასხვავებელუნარიანობა, „პოზიციური ნიშნის“ კლასიფიკაცია როგორც გამოსახულებით თუ სამგანზომილებიან ნიშნად ან ნიშნის სპეციფიურ კატეგორიად არ რაის რელევანტური (§ 42). ასეთი კლასიფიკაცია ასევე არარელევანტურია როცა ფასდება ნიშნის რეალური გამოყენება (§ 43).

საერთო იურისდიქციის სასამართლო სწორად დაეყრდნო ნიშნის გრაფიკულ გამოხატულებას გამოყენების შეფასების მიზნებისთვის, მიუხედავად მისი კლასიფიკაციისა, და აღნიშნა რომ საკმარისი დაცვა შესაბამისი სიზუსტით შეიძლება გამომდინარეობდეს ნიშნი გრაფიკული გამოსახულებიდან და დაცვა გაავრცელა ქვემოთ მოცემულ ჯვარზე, რომელიც შედგებოდა ორი ურთიერთგადამკვეთი შავი ხაზისგან [მყარი ხაზები] (§ 41, 46-47).



06/06/2019, C-223/18 P, [DEVICE OF A CROSS ON A SPORT SHOE SIDE \(fig.\)](#), EU:C:2019:471, § 41-43, 46-47.

### კომპანიის დასახელებისა და სიმბოლოს კომბინაცია

როდესაც სასაქონლო ნიშანი ინვოისის თავში კომპანიის დასახელების „ad Pepper GmbH“ ზევით სისტემურად არის განთავსებული როგორც პირველი ელემენტი ასეთ დროს ნიშნის ad Pepper გამოყენება სცილდება მხოლოდ კომპანიის იდენტიფიცირების მიზანს და მიუთითებს მომსახურებების კომერციულ წარმოშობაზე. ამდენად, ინვოისის დიზაინი/წყობა საშუალებას იძლევა დადგინდეს გათვალისწინებულ მომსახურებებსა და ნიშან „ad Pepper“-ს მჭიდრო კავშირი

03/10/2019, T-666/18, [ad pepper \(fig.\)](#), EU:T:2019:720, § 82

### კოლექტიური ნიშნების რეალური გამოყენება

კოლექტიური ნიშნის ძირითადი ფუნქციაა განასხვავოს ასოციაციის წევრების იმ საწარმოთა საქონლისა ან/და მომსახურებისგან, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ ასოციაციის წევრებს (§ 52). აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ნიშნისგან განსხვავებით, კოლექტიურ ნიშანს არ გააჩნია მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების „წარმოშობის იდენტიფიცირების“ მითითების ფუნქცია, რომლისთვისაც ის რეგისტრირებულია (§ 53). კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (CTMR) 66-ე მუხლი [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (EUTMR) 74(1) მუხლი] არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს, რომ მეწარმეები, მწარმოებლები, მომწოდებლები ან მოვაჭრეები რომლებიც დაკავშირებულნი არიან ასოციაციასთან, რომლებიც არიან კოლექტიური ნიშნის მფლობელები, წარმოადგენდნენ კომპანიების იმავე ჯგუფის ნაწილს, რომელიც აწარმოებს ან აწვდის საქონელს ან მომსახურებას ერთიანი კონტროლის ქვეშ (§ 54). კოლექტიური ნიშნები, ინდივიდუალური ნიშნების მსგავსად, სასაქონლო ბრუნვის ნაწილია (§ 56). აქედან გამომდინარე იმისთვის, რომ მათი გამოყენება კლასიფიცირებული იყოს როგორც „რეალური“ კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (CTMR) 15(1) მუხლის მიზნებისთვის [[ ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (EUTMR) 18(1) მუხლი], საწარმოთა ჯგუფი უნდა იყოს დაინტერესებული, შექმნან ან შეინარჩუნონ მათი საქონლისა თუ მომსახურების გასაღების ბაზარი (§ 56).

კოლექტიური ნიშანი გამოიყენება მისი ძირითადი ფუნქციის შესაბამისად იმ მომენტიდან, როდესაც ის მომხმარებელს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს რომ დაფარული საქონელი ან მომსახურება წარმოიშვა (მომდინარეობს) ასოციაციასთან აფილირებული საწარმოებიდან, და ამით განასხვავოს ეს საქონელი ან მომსახურება საწარმოებისგან, რომლებიც არ არიან აფილირებულები აღნიშნულ ასოციაციასთან (§ 58).

ნიშნის რეალური გამოყენების შეფასება უნდა განხორციელდეს იმის შეფასებით, კერძოდ, განიხილება თუ არა ამგვარი გამოყენება აუცილებლად შესაბამის ეკონომიკურ სექტორში, ბაზრის წილის შენარჩუნებისთვის იმ საქონლისა და მომსახურებისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია კოლექტიური ნიშანი, ასევე უნდა შეფასდეს ამ საქონლის ან მომსახურების ბუნება, ბაზრის მახასიათებლები და ნიშნის გამოყენების მასშტაბი და სიხშირე (§ 62).



## ❖ სასაქონლო ნიშნის ფუნქციასთან შეუსაბამო გამოყენება

### სასერტიფიკაციო ნიშნად გამოყენება

სასერტიფიკაციო ნიშნის არსებითი ფუნქცია განსხვავდება ინდივიდუალური სასაქონლო ნიშნის არსებითი ფუნქციისგან: მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ძირითადად ემსახურება საქონლის და მომსახურების წარმოშობის იდენტიფიცირებას, პირველი ემსახურება იმის დადასტურებას, რომ საქონელი ან მომსახურება აკმაყოფილებს გარკვეულ დადგენილ სტანდარტებს და ფლობს კონკრეტულ მახასიათებლებს.

აქედან გამომდინარე, სასერტიფიკაციო ნიშნად გამოყენება არ ემსახურება (არ გულისხმობს) როგორც ინდივიდუალური სასაქონლო ნიშნის გამოყენებას, რადგან ის არ იძლევა გარანტიას მომხმარებლებისთვის, რომ საქონელი ან მომსახურება მომდინარეობს ერთი საწარმოდან, რომლის კონტროლის ქვეშაც არის საქონელი ან მომსახურება და რომელიც, შესაბამისად, პასუხისმგებელია ამ საქონლის ან მომსახურების ხარისხზე.

08/06/2017, C-689/15, [Cotton Flower](#), EU:C:2017:434, § 45.

### გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება

გეოგრაფიული აღნიშვნის არსებითი ფუნქციაა საქონლის წარმოშობის განსაზღვრა, როგორც კონკრეტული რეგიონიდან ან ლოკაციიდან. ეს ეწინააღმდეგება ინდივიდუალური სასაქონლო ნიშნის ძირითად ფუნქციას, სახელდობრ იყოს კომერციული წარმოშობის ინდიკატორი.

როდესაც გეოგრაფიული აღნიშვნა შეიცავს ინდივიდუალურ ნიშანს, რომელიც გარანტიას აძლევს მომხმარებლებს, რომ საქონელი რომელსაც ის აღნიშნავს, წარმოშობილია ერთი საწარმოდან, რომლის კონტროლის ქვეშაც ხდება საქონლის წარმოება და რომელიც პასუხისმგებელია ამ საქონლის ხარისხზე, ოპონენტმა (მოწინააღმდეგე მხარემ) უნდა წარმოადგინოს ინდივიდუალური ნიშნის რეალური გამოყენების მტკიცებულება.

ამრიგად, გეოგრაფიული აღნიშვნის სახით გამოყენების მტკიცებულება (მაგ. მარეგულირებელი საბჭოების ზოგადი განცხადებები) არ შეიძლება იყოს გამოყენებული ინდივიდუალური ნიშნის გამოყენების დასადასტურებლად.

07/06/2018, T-72/17, [Steirisches Kürbiskernöl \(fig.\)](#), EU:T:2018:335, § 52.

17/10/2019, C-514/18 P, [Steirisches Kürbiskernöl \(fig.\)](#), EU:C:2019:878, § 37-43.

### სასაქონლო ნიშნის აღწერილობითი გამოყენება კონკრეტული საქონლისთვის

სასაქონლო ნიშანი უნდა იყოს გამოყენებული მისი ძირითადი ფუნქციის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს იმ საქონლის ან/და მომსახურების წარმოშობის იდენტიფიცირებას, რომლისთვისაც ის რეგისტრირებულია. ეს პირობა არ სრულდება იმ შემთხვევაში, თუ საგანზე დატანილი ნიშანი არ უწყობს ხელს გასასაღებელი ბაზრის შექმნას ან ნივთის სხვა საწარმოების საქონლისგან განსხვავებას, არამედ წარმოადგენს საქონლის შემადგენელი ნაწილების აღწერილობით აღნიშვნას. (მითითებას.)

31/01/2019, C-194/17 P, [Cystus](#), EU:C:2019:80, § 83.

## სარეკლამო მიზნებისთვის გამოყენება

CD-ების, DVD-ების და პროგრამული უზრუნველყოფის უფასო გავრცელება, რომლებზეც დატანილია სადავო სასაქონლო ნიშანი, ექსკლუზიურად საქონლის მარკეტინგის კონტექსტში (ფოტოწიგნები და კალენდრები) – თუმცა აუცილებელია (შეუცვლელია) ამ საქონლის შეკვეთისა და დიზაინისთვის – არ წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეალურ გამოყენებას მისი ძირითადი ფუნქციის მიხედვით. ნივთები არ ნაწილდება იმავე კლასის საქონლის ბაზარზე შედარების მიზნით. ასეთ საქონლებზე ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დატანა არ ისახავს მიზნად მათთვის გასაყიდი ადგილის შექმნას.

11/04/2019, T-323/18, [DARSTELLUNG EINES SCHMETTERLINGS \(fig.\)](#), EU:T:2019:243, § 38-39.

## საქონლის წარმოშობის ფუნქციით გამოყენებლობა

როდესაც ინდივიდუალური ნიშნის გამოყენება, მიუხედავად ნიშნის გეოგრაფიული წარმოშობის დადასტურების და სხვადასხვა მწარმოებლის მიერ საქონლის წარმომავლობისთვის დამახასიათებელი ხარისხის სარგებლობისა და თვისებების მიკუთვნებისა, არ იძლევა გარანტიას მომხმარებლებისთვის, რომ ეს საქონელი ან მომსახურება წარმოშობილია ერთი და იმავე საწარმოდან, რომლის კონტროლის ქვეშ ისინი წარმოებულია ან მიწოდებული და რომელიც, შესაბამისად, პასუხისმგებელია ამ საქონლის ან მომსახურების ხარისხზე. ასეთი გამოყენება არ ხდება წარმოშობის მითითების ფუნქციის შესაბამისად.



17/10/2019, C-514/18 P, [Steirisches Kürbiskernöl \(fig.\)](#), EU:C:2019:878, § 39.

## რეალური გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულება

ვინაიდან მტკიცებულებათა ერთობლიობით შეიძლება შესაძლებელი იყოს საჭირო ფაქტების დადგენა, მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ეს მტკიცებულება, ცალკე აღებული, არასაკმარისი იქნება ამ ფაქტების სიზუსტის დასადასტურებლად (17/04/2008, C-108/07 P, Ferro, EU:C:2008:234, § 36), წარდგენილმა ყველა მტკიცებულებამ უნდა გახადოს შესაძლებელი სააპელაციო პალატის მიერ რეალური გამოყენების დამადასტურებელი ფაქტის არსებობის დადგენა და, შესაბამისად, თითოეული მტკიცებულება არ არის საჭირო ეხებოდეს გამოყენების ადგილს, ხანგრძლივობას, ბუნებას და გამოყენების მასშტაბს.

13/06/2019, T-398/18, [DERMAEPIL SUGAR EPIL SYSTEM \(fig.\) / dermépil Perron Rigot \(fig.\)](#), EU:T:2019:415, § 61-63.

მმართველი დირექტორისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ნორმატიული განცხადებები თავისთავად არ შეიძლება იყოს სადავო სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენების საკმარისი მტკიცებულებად მიჩნეული. თუმცა, მათი გათვალისწინება შესაძლებელია თუ ისინი დადასტურებულია სხვა მტკიცებულებებით, მათი მიუკერძოებლობისა და სანდოობის ეჭვქვეშ დაყენების გარეშე.

## ადრინდელი ეროვნული ნიშნების რეალური გამოყენების მტკიცებულება

როდესაც ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის მფლობელი ითხოვს რეალური გამოყენების მტკიცებულების მიწოდებას, ეს გამოყენება წარმოადგენს პირობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს არა მხოლოდ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნები, არამედ ადრინდელი ეროვნული ნიშნები, რომლებსაც ევროკავშირის ამ სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობის განცხადება. ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (EUTMR) 64(2) მუხლის გამოყენება ადრინდელ ეროვნულ ნიშნებზე ამ მუხლის მე-3 პუნქტით ნიშნავს რომ რეალური გამოყენება უნდა განისაზღვროს ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მე-18 მუხლის მიხედვით და არ შეფასდეს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით (§ 23).

ნიშნის გამოყენებამ არ შეცვალა ადრინდელი ეროვნული ნიშნის განმასხვავებელი ხასიათი (§ 28-34).

## ❖ საჯარო გამოყენება ვაჭრობის დროს

### საჯარო გამოყენება შიდა გამოყენების წინააღმდეგ

გამოყენება უნდა იყოს საჯარო, ანუ ის უნდა იყოს ღია და გამჭვირვალე (ნათელი, ცხადი) საქონლის ან მომსახურების რეალური ან პოტენციური მომხმარებლებისთვის. გამოყენება კერძო სფეროში ან უბრალოდ (წმინდა) შიდა გამოყენება კომპანიის ან კომპანიების ჯგუფში არ ნიშნავს ნამდვილ გამოყენებას (§ 22, 37, 33).

ნიშანი უნდა იყოს გამოყენებული **საჯაროდ და ღიად** (დასანახად) კომერციული საქმიანობის კონტექსტში ეკონომიკური უპირატესობის მიღწევის მიზნით იმ საქონლისა და მომსახურების გასაღების ბაზრის უზრუნველსაყოფად, რომელსაც ის წარმოადგენს (§ 39, 38).

### ნიშნის გარეგანი გამოყენება – შესაბამისი საზოგადოება

გარეგანი გამოყენება სულაც არ გულისხმობს გამოყენებას, რომელიც მიმართულია საბოლოო მომხმარებლისთვის. მაგალითად, შესაბამისი მტკიცებულება შეიძლება მართებულად მომდინარეობდეს **შუამავლისგან**, რომლის საქმიანობა შედგება პროფესიონალი მყიდველების იდენტიფიცირებისგან, როგორცაა სადისტრიბუციო კომპანიები, რომლებზედაც შუამავალი ყიდის ორიგინალური მწარმოებლების მიერ დამზადებულ საქონელს (§ 25-26).



შესაბამისი ვალიდური მტკიცებულება ასევე შეიძლება მოდიოდეს **სადისტრიბუციო კომპანიისგან**, რომელიც წარმოადგენს ზემოხსენებული ჯგუფის ნაწილს. დისტრიბუცია არის ბიზნეს ორგანიზაციის მეთოდი, რომელიც გავრცელებულია (დამახასიათებელია) ვაჭრობის დროს და გულისხმობს ნიშნის ისეთ გამოყენებას, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ შიდა გამოყენებად კომპანიების ჯგუფის მიერ, რადგანაც ნიშანი გამოიყენება გარეგნულად და საჯაროდ (§ 32).

21/11/2013, T-524/12, [RECARO](#), EU:T:2013:604, § 25-26.  
17/02/2011, T-324/09, [Friboi](#), EU:T:2011:47, § 32.

ნიშნის რეალური გამოყენება დამოკიდებულია ბაზარზე, სადაც EUTM-ის (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის) მფლობელი ახორციელებს თავის კომერციულ საქმიანობას და სადაც ის იმედოვნებს თავის ნიშნის გამოყენებას. შესაბამისად, ნიშნის გარეგანი გამოყენების შეფასებისთვის, შესაბამისი საზოგადოება, რომელსაც ეხება ნიშნები მოიცავს არა მხოლოდ საბოლოო მომხმარებლებს, არამედ სპეციალისტებს, დარგობრივ მომხმარებლებს და სხვა პროფესიონალ მომხმარებლებს (§ 80).

შესაბამისი საზოგადოება არ მოიცავს მხოლოდ საბოლოო მომხმარებლებს, არამედ სპეციალისტებს, დარგობრივ მომხმარებლებს და სხვა პროფესიონალ მომხმარებლებს. ნიშნის რეალური გამოყენება ეხება იმ ბაზარს, რომელშიც მისი მფლობელი ახორციელებს თავის კომერციულ საქმიანობას (§ 38-39).

03/10/2019, T-666/18, [ad pepper \(fig.\)](#), EU:T:2019:720, § 80.  
04/04/2019, T-910/16 and T-911/16, [TESTA ROSSA \(fig.\)](#), EU:T:2019:221, § 38-39.

## Genuine use for goods or services already marketed or **about to be marketed**

**რეალური გამოყენება საქონლის ან მომსახურებისთვის, რომელიც უკვე ჩართულია სამოქალაქო ბრუნვაში ან სადაცაა მოხდება სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა**

ნიშნის გამოყენება უნდა **ეხებოდეს საქონელს ან მომსახურებას**, რომელიც უკვე გაყიდვაშია ან სადაცაა მოხდება მისი სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვა და რომლისთვისაც მზადება მიმდინარეობს კომპანიის მიერ მომხმარებლების მოსაზიდად. უბრალო ნიშნის გამოსაყენებლად მომზადების ფაქტი, როგორცაა ეტიკეტების ბეჭდვა, კონტეინერების წარმოება და ა.შ., არის შიდა გამოყენება და, შესაბამისად, არ გამოიყენება ვაჭრობის დროს წინამდებარე მიზნებისთვის (§ 37).

რეალური გამოყენება გულისხმობს არა მხოლოდ ნიშნის შიდა გამოყენებას შესაბამისი საწარმოს მიერ, არამედ ნიშნის გამოყენებას ბაზარზე იმ საქონლის ან მომსახურებისთვის, რომელიც დაცულია ამ ნიშნით. მაშასადამე, ნიშნის გამოყენება უნდა ეხებოდეს საქონელს ან მომსახურებას, რომელიც უკვე გამოტანილია ბაზარზე გასაყიდად ან სადაცაა ჩაეშვება გასაყიდად ბაზარზე და რომლისთვისაც მზადება მიმდინარეობს მომხმარებელთა მოსაზიდად კომპანიების მიერ. (§ 39, 51, 53).

11/03/2003, C-40/01, [Minimax](#), EU:C:2003:145, § 37.  
03/07/2019, C-668/17 P, [Boswelan](#), EU:C:2019:557, § 39, 51, 53.

## კომერციული ქმედება სარეკლამო აქტივობის წინააღმდეგ

როდესაც ნიშანი დაცულია არაკომერციული საწარმოების საქონლისთვის ან მომსახურებისთვის, და ეს ნიშანი იქნა გამოყენებული, ის ფაქტი, რომ არ არსებობს მოგების მოტივი გამოყენების უკან, ირრელევანტურია: „ის ფაქტი, რომ საქველმოქმედო ასოციაცია არ ცდილობს მოგების მიღებას, არ ნიშნავს, რომ მისი მიზანი არ შეიძლება იყოს მისი საქონლისა და მომსახურების გასაღების ბაზრის შექმნა და, მოგვიანებით, შენარჩუნება“ (§ 17).

**უსასყიდლოდ** შეთავაზებული საქონელი და მომსახურება შეიძლება ჩაითვალოს როგორც რეალური გამოყენება, როდესაც ისინი შეთავაზებულია კომერციულად, ანუ ამ საქონლისა და სერვისის ევროკავშირში გასაღების ბაზრის შექმნის ან შენარჩუნების განზრახვით, სხვა საწარმოების საქონლისა და მომსახურებისგან განსხვავებისა და მათთან კონკურენციის მიზნით. (§ 67-68).

სასამართლომ დაადგინა, რომ, როდესაც სარეკლამო ნივთები გადაეცემათ ჯილდოდ სხვა საქონლის შექმნისას და ამ უკანასკნელის გაყიდვის წახალისებისთვის, ნიშანი კარგავს სარეკლამო საქონლის კომერციულ დანიშნულებას სარეკლამო საქონლისთვის და არ შეიძლება ჩაითვალოს რეალურად გამოყენებული ამ კლასის საქონლისათვის/მომსახურებისთვის. (§ 22).

09/12/2008, C-442/07, [Radetzky](#), EU:C:2008:696, § 17.  
09/09/2011, T-289/09, [Omnicare Clinical Research](#), EU:T:2011:452, § 67-68.  
15/01/2009, C-495/07, [Wellness](#), EU:C:2009:10, § 22.

## ❖ გამოყენება საქონელთან და მომსახურებასთან მიმართებაში

### ნიშნის გამოყენება ბიზნესის, კომპანიის ან საფირმო სახელწოდების სახით

ნიშნის, როგორც ბიზნესის, კომპანიის ან საფირმო სახელწოდებით გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს სასაქონლო ნიშნის გამოყენებად იმ პირობით, რომ თავად შესაბამისი საქონელი ან მომსახურება იქნება იდენტიფიცირებული და შემოთავაზებული ბაზარზე ამ ნიშნით (§ 55-56).

ზოგადად, ეს არ ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ბიზნესის სახელწოდება გამოიყენება მხოლოდ მაღაზიის ნიშნად (გარდა საცალო ვაჭრობის სერვისების გამოყენების დასადასტურებელი შემთხვევებისა), ან ნაჩვენებია კატალოგის უკანა მხარეს ან ეტიკეტზე შემთხვევითი აღნიშვნის სახით (§ 47).

13/04/2011, T-209/09, [Alder Capital](#), EU:T:2011:169, § 55-56.  
18/01/2011, T-382/08, [Vogue](#), EU:T:2011:9, § 47.

ნიშნის, როგორც კომპანიის სახელის ან საფირმო სახელწოდების გამოყენება, თავისთავად არ არის გამიზნული საქონლის ან მომსახურების გარჩევისათვის. კომპანიის სახელის დანიშნულება არის კომპანიის იდენტიფიცირება, ხოლო საფირმო სახელწოდების ან მაღაზიის სახელის დანიშნულება არის მოქმედი ბიზნესის იდენტიფიცირება.

შესაბამისად, როდესაც კომპანიის სახელის, საფირმო სახელწოდების ან მაღაზიის სახელის გამოყენება შემოიფარგლება კომპანიის იდენტიფიცირებით ან მოქმედი ბიზნესის აღნიშვნით, ასეთი გამოყენება არ შეიძლება ჩაითვალოს "საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით (მიმართებით)".

ბიზნესის, კომპანიის ან საფირმო სახელწოდების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს გამოყენებად „საქონელთან მიმართებაში“, სადაც:

- მხარეს საქონელზე დააქვს ნიშანი, რომელიც წარმოადგენს მის კომპანიის სახელს, საფირმო სახელწოდებას ან მაღაზიის სახელს ან;
- მიუხედავად იმისა, რომ ნიშანი არ არის დატანილი, მხარე იყენებს ნიშანს ისე, რომ **მყარდება კავშირი** კომპანიის, საფირმო სახელწოდებას ან მაღაზიის სახელსა და საქონელსა თუ მომსახურებას შორის (§ 21-23).

იმ პირობით, რომ ამ ორი პირობიდან რომელიმე დაკმაყოფილებულია, ფაქტი, რომ სიტყვიერი ელემენტი გამოიყენება კომპანიის საფირმო სახელწოდებად არ გამორიცხავს მის, როგორც ნიშნის გამოყენებას საქონლის ან მომსახურების აღსანიშნავად (§ 38).

11/09/2007, C-17/06, [Céline](#), EU:C:2007:497, § 21-23.  
 13/05/2009, T-183/08, [Jello Schuhpark II](#), EU:T:2009:156, § 31-32.  
 30/11/2009, T-353/07, [Coloris](#), EU:T:2009:475, § 38.

## ნიშნის გამოყენება, როგორც დომენის სახელი ან როგორც დომენის სახელის ნაწილი

სასაქონლო ნიშნის გამოყენება დომენის სახელით ან დომენის სახელის ნაწილად უპირველეს ყოვლისა განსაზღვრავს ვებსაიტს, როგორც ასეთად. თუმცა, გარემოებიდან გამომდინარე, ასეთი გამოყენება შეიძლება იყოს რეგისტრირებული ნიშნის გამოყენებაც (ეს გულისხმობს, რომ ნიშანი უკავშირდება იმ საიტს, რომელზეც ჩნდება საქონელი და მომსახურება).

მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოწინააღმდეგე მხარემ დაარეგისტრირა დომენის სახელი, რომელიც შეიცავს ადრინდელ სასაქონლო ნიშანს, თავისთავად საკმარისი არ არის სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენების დასადასტურებლად. აუცილებელია მხარემ დაამტკიცოს, რომ შესაბამისი საქონელი ან მომსახურება შემოთავაზებულია დომენის სახელში მოცემული სასაქონლო ნიშნით.

EUIPO, [Trade mark guidelines](#), OPPO, Section 6 – Proof of use, Edition 2021.

## სასაქონლო ნიშნის სპეციფიკაციის ყველაზე დამაჯერებელი (მოსალოდნელი) და პროგნოზირებადი ინტერპრეტაცია

ევროკავშირის ადრინდელი სასაქონლო ნიშნის დაცვის მოცულობის განსაზღვრისას და ამ ნიშნის რეალური გამოყენების მტკიცებულებების შეფასებისას EUTMR (ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგულაციის) მუხლის 47(2) კონტექსტში, თუ არსებობს ამ ნიშნის სპეციფიკაციის ორი შესაძლო პირდაპირი ინტერპრეტაცია, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი გამოიწვევს აბსურდულ შედეგს ნიშნის დაცვის ხარისხთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ უნდა აირჩიოს ამ სპეციფიკაციის ყველაზე დამაჯერებელი და პროგნოზირებადი ინტერპრეტაცია. აბსურდული იქნება სპეციფიკაციის ისეთი ინტერპრეტაციის მიღება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის ყველა საქონლის გამორიცხვას მოახდენს და დარჩება მხოლოდ ის საქონელი, რომლისთვისაც იგი არ მოითხოვდა სასაქონლო ნიშნის დაცვას, როგორც ევროკავშირის ადრინდელი სასაქონლო ნიშნით დაცული საქონელი (§ 51).

მხოლოდ მაშინ, როდესაც ევროკავშირის ადრინდელი სასაქონლო ნიშნით განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების სიის ორივე შესაძლო პირდაპირი ინტერპრეტაცია თანაბრად დამაჯერებელი და პროგნოზირებადია, მიზანშეწონილია 06/04/2017, T-39/16, NANA FINK (fig.) გადაწყვეტილებიდან მიღებული პრინციპის გამოყენება / NANA, EU:T:2017:263, § 48, კერძოდ, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის მფლობელმა მოცემულ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს სარგებელი საქონლისა და მომსახურების სიცხადითა და სიზუსტით მითითების ვალდებულების დარღვევით (§ 60).

17/10/2019, T-279/18, [AXICORP ALLIANCE / ALLIANCE et al.](#), EU:T:2019:752, § 51, 60.

## პუბლიკაციებში სასაქონლო ნიშნის დადება – დაცვის ფარგლები

როდესაც ადრინდელი ნიშანი დარეგისტრირდა ბიზნესის მართვის მომსახურებისთვის და გამოიყენებოდა ბიზნეს ჟურნალების სათაურად, საერთო იურისდიქციის სასამართლომ არ გამორიცხა, რომ ასეთი გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს რეალურად განსახილველი მომსახურებისთვის თუ ნაჩვენები იქნებოდა, რომ ჟურნალი უზრუნველყოფს ბიზნესის მართვის მომსახურებისთვის მიწოდების მხარდაჭერას, კერძოდ, თუ მომსახურება გაწეულია ჟურნალის საშუალებით. ის ფაქტი, რომ არ არსებობს „პირდაპირი ორმხრივი კავშირი“ გამომცემელსა და მომსახურების მიმღებს შორის არ გამორიცხავს რეალური გამოყენების დადგენის შესაძლებლობას. ეს იმიტომ, რომ ჟურნალი არ ვრცელდება უფასოდ, რამაც შეიძლება გააჩინოს პრეტენზია, რომ ჟურნალის ფასის გადახდა წარმოადგენს ანაზღაურებას გაწეული მომსახურებისთვის (§ 31-35).

სასაქონლო ნიშნის დატანა ჟურნალზე, პერიოდულ ჟურნალზე, მიმოხილვაზე, ან კატალოგზე, შეიძლება იყოს მიჩნეული „ნიშნის მართებულ გამოყენებად“, როგორც სასაქონლო ნიშანი ამ ნიშნით დაცული საქონლისა და მომსახურებისთვის, თუ პუბლიკაციების შინაარსი ადასტურებს ნიშნის გამოყენებას რეგისტრირებული/დაცული საქონლისა და მომსახურებისთვის (§ 67, 51).

05/10/2010, T-92/09, [STRATEGI / Stratégies](#), EU:T:2010:424, § 31-35.

05/02/2020, T-44/19, [TC Touring Club \(fig.\) / TOURING CLUB ITALIANO et al.](#), EU:T:2020:31, § 67.

08/07/2020, T-533/19, [sflooring \(fig.\) / T-flooring](#), EU:T:2020:323, § 51.

## საცალო გაყიდვების სერვისების დაცვის ფარგლები

ადრინდელი ესპანური ნიშანი დარეგისტრირდა საცალო გაყიდვების სერვისებისთვის „Praktiker“-ის გადაწყვეტილებამდე (07/07/2005, C-418/02, Praktiker, EU:C:2005:425), რომელიც მოითხოვდა მომსახურების განმარტებას, მაგრამ მისი მოქმედება არ ვრცელდებოდა რეტროაქტიულად. როდესაც წარმოიშვა მოთხოვნა რეალური გამოყენების დადასტურებაზე, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საცალო მომსახურება გამოიყენებოდა ჩანთების, ტყავისგან დამზადებული ჩანთებისა და საფულეების, მზა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საცალო ვაჭრობის მომსახურებასთან მიმართებით.

საერთო იურისდიქციის სასამართლომ განსაზღვრა, რომ ტერმინი „საცალო გაყიდვების მომსახურება“ არ არის ბუნდოვანი ტერმინი და მოიცავს ნებისმიერი საქონლის საცალო ვაჭრობას (§ 39) და მხარი დაუჭირა სააპელაციო პალატის მიერ რეალური გამოყენების დადგენას ჩანთების, ტყავისგან დამზადებული ჩანთებისა და საფულეების, მზა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის საცალო ვაჭრობის მომსახურებასთან მიმართებით (§ 40-41).

26/03/2020, T-653/18, [GIORGIO ARMANI le Sac 11 \(fig.\) / LESAC et al.](#), EU:T:2020:121, § 39, 40-41.

## კატალოგები, როგორც მტკიცებულების საშუალება (მტკიცებულების მნიშვნელობით) - საქონლის ჰომოგენური ქვეკატეგორიები

ნიშნის რეალური გამოყენების დასადასტურებლად მოწოდებული მტკიცებულება, შეიძლება შეიცავდეს კატალოგებს. წინამდებარე საქმეში არსებული კატალოგებისგან განსხვავებით, „peerstorm“-ის საქმეში (08/07/2010, T-30/09, Peerstorm, EU:T:2010:298) წარმოდგენილი კატალოგები განკუთვნილი იყო საბოლოო მომხმარებლებისთვის, შეიცავდა ნათელ და ზუსტ ინფორმაციას ხელმისაწვდომი ნივთების, მათი ფასების, მაღაზიების შესახებ რომლებშიც ხდებოდა მათი გაყიდვა და როგორ გაიყიდა. მაშასადამე, ეს კატალოგები იძლეოდა საკმარის ინფორმაციას მხოლოდ ადრინდელი ნიშნის გამოყენების ადგილის, დროის, ხასიათისა და მასშტაბის შესახებ (§ 45-46).

ტყავის საქონელი და ტყავის იმიტაცია; ცხოველების ტყავი, ნედლეულ ან ნახევრად მზა საქონელი: ჩანთების ფოტოები, რომლებიც მზა პროდუქციაა, არ შეიძლება იყოს ამ კუთხით გამოყენების მტკიცებულება (§ 53).

მამაკაცის და ქალის ჯინსები ტანსაცმლის ერთადერთი სახეობა იყო 25 კლასში რომლისთვისაც წარმოდგენილ იქნა ზედნადები და გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულებები იმ საქონლისთვის, რომელზეც დამაგრებულისადავო ნიშნები: რამდენადაც ეს საქონელი წარმოადგენს თანმიმდევრულ და ერთგვაროვან ქვეკატეგორიას, სააპელაციო პალატამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო კონკრეტული ქვეკატეგორიისთვის (§ 90).

## ნიცის კლასიფიკაციის სხვადასხვა კლასებში კლასიფიცირებული საქონლის აქსესუარების გამოყენების მტკიცება (დადასტურება)

მგლობელს არ მოეთხოვება დამტკიცოს სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენება მხოლოდ ნიცის კლასიფიკაციის ფორმალური ინტერპრეტაციის საფუძველზე საქონლის აქსესუარებისთვის, რომლებიც კლასიფიცირებულია სხვადასხვა კლასებში, მაგრამ რეალურად ეხება ერთსა და იმავე საქონელს (§ 34). ნიცის კლასიფიკაცია, არსებითად, შექმნილია ბაზრის საჭიროებების ასახვის მიზნით და არა საქონლის ხელოვნური დაყოფისთვის.

## საქონლის კლასიფიკაციის შეუსაბამობა ევროკავშირის სამართლის სხვა წესების მიხედვით

სადავო ნიშნის რეალური გამოყენება სახეზეა იმ საქონელთან დაკავშირებით, რომლისთვისაც ის რეგისტრირებულია, კერძოდ, ფარმაცევტული საქონლები საქონლები მე-5 კლასში, რომლებიც (შეყვანილია)ინექციის სახით კანის დამატენიანებლად და ნაოჭების შესამცირებლად (§ 29-32).

ის ფაქტი, რომ ეს საქონელი არ არის კლასიფიცირებული, როგორც ფარმაცევტული, ანუ მედიკამენტები, რეგისტრირებული და ავტორიზებული კავშირის კოდექსის 2001/83/EC დირექტივის შესაბამისად, რომელიც ეხება ადამიანის მიერ სამკურნალო საშუალებების გამოყენებას, მაგრამ სხვა სამკურნალო პრეპარატებისგან განსხვავებით, ამ კლასის მნიშვნელობით, 93/94 დირექტივასთან შეუსაბამოა, კერძოდ, საინექციო კანის შემავსებლები. საქონლის კლასიფიკაცია ევროკავშირის სამართლის სხვა წესების მიხედვით, როგორცაა საქონლის ხარისხის გარანტია, არ არის გადამწყვეტი მათი კლასიფიკაციის კუთხით ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მიზნებისათვის (§ 27-28).

25/06/2020, T-104/19, [Juvéderm](#), EU:T:2020:283, § 27-32.

## მტკიცებულების სახე – დაუთარილებელი მტკიცებულება – დაცვის ფარგლები

გამოყენების დაუთარილებელი მტკიცებულება, როგორცაა ეტიკეტები, მაღაზიის ვიტრინების ფოტოები და პოსტები სოციალურ მედიაში, შეიძლება გამოიხსნას იყოს იმ საქონლის სახეობათა სიმრავლის საჩვენებლად, რომლებთან დაკავშირებითაც გამოიყენებოდა რეგისტრირებული ნიშანი და თუ როგორ იყო ეს ნიშანი დატანილი სადავო საქონელზე, და, შესაბამისად, მსგავსი მიზნით წარდგენილი მტკიცებულებები არ საჭიროებს დათარილებას (§ 45).

08/07/2020, T-686/19, [Gnc live well](#), EU:T:2020:320, § 45.

## საქონლისა და მომსახურების გამოყენების მტკიცებულების შეფასება – ნაწილობრივი გამოყენების ცნება – საქონლის თანმიმდევრული ქვეკატეგორიები – საქონლის დანიშნულებისა და მიზნობრივი გამოყენების კრიტერიუმი

კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 42(2) მუხლის ბოლო წინადადების ფორმულირებიდან [ამჟამად ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 47(2) მუხლის] და პრეცედენტული სამართლით დადგენილი პრინციპებიდან (11/12/2014, C-31/14 P, Premeno, EU:C:2014:2436, § 37, 39) (§ 39-42), გამომდინარეობს, რომ მნიშვნელოვანია შეფასდეს კონკრეტულად (ძირითადად იმ საქონელთან მიმართებაში, რომლისთვისაც ადრინდელი ნიშნის მფლობელმა წარადგინა ადრინდელი ნიშნის გამოყენების მტკიცებულება) წარმოადგენს თუ არა ეს საქონელი დამოუკიდებელ ქვეკატეგორიას საქონელთან მიმართებაში რომელიც მიეკუთვნება შესაბამისი საქონლის კლასს, რათა მოხდეს საქონელთან დაკავშირება, რომლისთვისაც დადასტურდა ადრინდელი ნიშნის რეალური გამოყენება საქონლის კატეგორიასთან, რომელსაც მოიცავს ამ სასაქონლო ნიშნის სარეგისტრაციო განცხადება (§ 46).

საქონლის დანიშნულებისა და მიზნობრივი გამოყენების კრიტერიუმის მიზანი არ არის საქონლის დამოუკიდებელი ქვეკატეგორიების აბსტრაქტული ან ხელოვნური განმარტება; ის უნდა იქნას გამოყენებული თანმიმდევრულად და კონკრეტულად (11/12/2014, C-31/14 P, *Premeno*, EU:C:2014:2436, § 37, 39, 41) (§ 50). შესაბამისად, თუ საქონელს აქვს გამოყენების რამდენიმე მიზანი გამოყენება და დანიშნულება, საქონლის ცალკეული ქვეკატეგორიის არსებობის დადგენა, თითოეული იმ მიზნის ცალ-ცალკე განხილვით, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამ საქონელს, შეუძლებელი იქნება. (იმის დადგენა, არსებობს თუ არა საქონლის ცალკეული ქვეკატეგორია, თითოეული მიზნის ცალ-ცალკე განხილვით, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამ საქონელს, შეუძლებელი იქნება.) მართლაც, ასეთი მიდგომა არ მისცემს საშუალებას დამოუკიდებელი ქვეკატეგორიების თანმიმდევრულად განსაზღვრას და ზედმეტად შეზღუდავს ადრინდელი ნიშნის მფლობელის უფლებებს, ყველაფერთან ერთად *inter alia* მათი ლეგიტიმური ინტერესი საქონლისა თუ მომსახურების ჩამონათვლის გაფართოებაში, რომლის მიმართაც მათი სასაქონლო ნიშანია რეგისტრირებული, საკმარისად არ იქნება გათვალისწინებული (§ 51).

16/07/2020, C-714/18 P, [tigha / TAIGA](#), EU:C:2019:1139, § 46, 51.

## ❖ რეკლამაში გამოყენება

### რეალური გამოყენება სარეკლამო კამპანიების სახით

რეკლამაში გამოყენება ზოგადად განიხილება როგორც რეალური გამოყენების ტოლფასი:

- თუ რეკლამის მასშტაბი საკმარისია ნიშნის რეალური საჯარო გამოყენების დადგენისთვის; და
- თუ შეიძლება დამყარდეს ურთიერთობა ნიშანსა და იმ საქონელსა თუ მომსახურებას შორის, რომლებზეც ნიშანია რეგისტრირებული.

სასამართლომ დაადასტურა ეს მიდგომა *მინიმაქსის*-ის საქმეში, სადაც დაადგინა, რომ ნიშნის გამოყენება უნდა ეხებოდეს საქონელს ან მომსახურებას, რომელიც უკვე გაყიდულია ან მალე ჩაეშვება გასაყიდად/ გატანილ იქნება გასაყიდად, და რომლისთვისაც მზადება მიმდინარეობს კომპანიის მიერ მომხმარებლების მოსაზიდად, **კერძოდ სარეკლამო კამპანიების სახით.**

11/03/2003, C-40/01, [Minimax](#), EU:C:2003:145, § 37.

## ❖ ინტერნეტში გამოყენება

### შეფასების კრიტერიუმები

სტანდარტი, რომელიც გამოიყენება ინტერნეტიდან ამობეჭდილი მტკიცებულებების შეფასებისას, არ არის უფრო მკაცრი, ვიდრე მტკიცებულებების სხვა ფორმების შეფასებისას. შესაბამისად, სასაქონლო ნიშნის ვებგვერდებზე არსებობამ შეიძლება ყველაფერთან ერთად *inter alia* აჩვენოს მისი გამოყენების ბუნება ან ის ფაქტი, რომ ნიშნის მატარებელი საქონლები ან მომსახურება იყო შეთავაზებული საზოგადოებისთვის. თუმცა, სასაქონლო ნიშნის უბრალო არსებობა ვებსაიტზე, თავისთავად, არ არის საკმარისი რეალური გამოყენების დასადასტურებლად, თუ ვებსაიტზე ასევე არ არის ნაჩვენები გამოყენების ადგილი, დრო და გამოყენების მასშტაბი, ან თუ ეს ინფორმაცია სხვაგვარად არ არის მოწოდებული.

EUIPO, [Trade mark guidelines](#), OPPO, Section 6 – Proof of use, Edition 2021.

## ინტერნეტში გამოქვეყნებული ბროშურის არა ნამდვილი გამოყენება

კავშირი ვებსაიტსა და გაყიდული ნივთების რაოდენობას შორის ვერ დამყარდება იქ, სადაც განმცხადებელი ცდილობდა დაემტკიცებინა მისი ნიშნის გამოყენების მასშტაბი ინტერნეტში გამოქვეყნებულ სარეკლამო ბროშურასთან დაკავშირებული მტკიცებულებების წარდგენით, რომელიც იძლევა ზოგად ინფორმაციას მუშაობის მეთოდების, საქონლისთვის გამოყენებული ინგრედიენტებისა და საქონლის ჩამონათვლის შესახებ, რადგან საქონლის ონლაინ შეკვეთა შეუძლებელია ვებ გვერდის საშუალებით.

17/07/2014, C-141/13 P, [Walzer Traum](#), EU:C:2014:2089, § 47.

## გამოყენების ადგილი

### ❖ ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების ევროკავშირში გამოყენება

#### გამოყენების ტერიტორიული ფარგლები

სასამართლომ აღნიშნა, რომ „გამოყენების ტერიტორიული ფარგლები არის მხოლოდ ერთ-ერთი რამდენიმე ფაქტორიდან, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული იმის დასადგენად, არის თუ არა ეს გამოყენება რეალური“ ვინაიდან ნიშნის გამოყენება ევროკავშირის არაწევრ ტერიტორიებზე არ შეიძლება იყოს გათვალისწინებული (§ 38, 30).

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (CTMR) 42(2) და (3) მუხლი [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (EUTMR) 47(2) და (3) მუხლი] და ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების ინპლემენტაციის რეგულაციის (CTMIR) წესი 22 [ახლა მუხლი ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დელეგირებული რეგულაციის (EUTMDR) 10(3) მუხლი] არ საჭიროებს შესაბამისი ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში რეალური გამოყენების მტკიცებულებას (§ 37, 41).

ტერიტორიული ფარგლები მხოლოდ ერთ-ერთია იმ რამდენიმე ფაქტორიდან, რომელიც გასათვალისწინებელია იმის შეფასებისას, არის თუ არა რეალური ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის გამოყენება. (უმნიშვნელო) *de minimis* წესის გამოყენება დაუშვებელია იმის დადგენაში არის თუა არა დაკმაყოფილებული ეს ფაქტორი. არ არის აუცილებელი, რომ ევროკავშირის სასაქონლო ნიშანი იყოს გამოყენებული ვრცელ გეოგრაფიულ არეალში, რომ გამოყენება ჩაითვალოს რეალურად, ვინაიდან ასეთი კვალიფიკაცია დამოკიდებული იქნება შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მახასიათებლებზე შესაბამის ბაზარზე და, უფრო ზოგადად, ყველა ფაქტსა და გარემოებაზე რომელიც მნიშვნელოვანია იმის დადგენისთვის, ემსახურება თუ არა ნიშნის კომერციული ექსპლუატაცია საბაზრო წილების შექმნას ან შენარჩუნებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომლისთვისაც ის დარეგისტრირდა (19/12/2012, C-149/11, [Onel / Omel](#), EU:C:2012:816, § 55) (§ 80).

ასევე არ არის საჭირო ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის გამოყენება ევროკავშირის მნიშვნელოვან ნაწილში. არ უნდა გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ ნიშანი ყოფილიყო გამოყენებული მხოლოდ ერთი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვინაიდან წევრი სახელმწიფოების საზღვრები უგულვებელყოფილ უნდა იყოს და მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მახასიათებლები (§ 80).

19/12/2012, C-149/11, [Onel / Omel](#), EU:C:2012:816, § 38, 30.

04/04/2019, T-779/17, [VIÑA ALARDE / ALARDE](#), EU:T:2019:220, § 37, 41.

07/11/2019, T-380/18, [INTAS / INDAS \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:782, § 80.



## ❖ გამოყენება საიმპორტო ან საექსპორტო ვაჭრობაში

### ზოგადი პრინციპები

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (EUTMR) 18(1)(ბ) მუხლის თანახმად, ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დამაგრება საქონელზე ან მის შეფუთვაზე ევროკავშირში მხოლოდ **ექსპორტის** მიზნებისთვის ასევე წარმოადგენს გამოყენებას ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (EUTMR) 18(1) მუხლის მნიშვნელობით. ნიშანი უნდა იყოს გამოყენებული (ანუ დამაგრებული საქონელზე ან მის შეფუთვაზე) შესაბამის ბაზარზე, ანუ იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ის რეგისტრირებულია.

მტკიცებულება, რომელიც ეხება მხოლოდ საქონლის **იმპორტს** შესაბამის სივრცეში, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება საკმარისი იყოს როგორც ამ სივრცეში გამოყენების მტკიცებულება.

09/07/2010, T-430/08, [Grain Millers](#), EU:T:2010:304, § 33, 40 et seq.  
See by analogy regarding proof of use in the course of trade of a sign, on the basis of imports from Romania to Germany.

### კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება ტრანზიტულ საქონელზე

სასამართლომ დაადგინა, რომ ტრანზიტი, რომელიც მოიცავს წევრ სახელმწიფოში კანონიერად წარმოებული საქონლის ტრანსპორტირებას არაწევრ ქვეყანაში ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს გავლით, არ გულისხმობს საქონლის რაიმე სახის მარკეტინგს და ამიტომ არ წარმოადგენს კონკრეტული სასაქონლო ნიშნის გამოყენების წესების დარღვევას დაარღვევას (§ 27, 19).

მაშასადამე, წევრი სახელმწიფოს გავლით უბრალო ტრანზიტი არ შეიძლება წარმოადგენდეს ადრინდელი ნიშნის რეალურ გამოყენებას ამ ტერიტორიაზე (§ 62).

23/10/2003, C-115/02, [Rioglass and Transremar](#), EU:C:2003:587, § 27.  
09/11/2006, C-281/05, [Diesel](#), EU:C:2006:709, § 19.  
09/12/2015, T-354/14, [ZuMEX \(fig.\) / JUMEX](#), EU:T:2015:947, § 62.

### რეალური გამოყენება ექსპორტიდან ევროპის ფარგლებს გარეთ

რეალური გამოყენება შეიძლება გამოწვეული იყოს ევროპის გარეთ მდებარე ერთ ოპერატორთან ექსპორტით, რომელიც შეიძლება იყოს შუამავალი, საბოლოო მომხმარებელზე გაყიდვისთვის ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში. მტკიცებულება იმისა, რომ პროდუქცია იქნა გამოტანილი არაევროკავშირის იმპორტიორ ქვეყანის ბაზარზე, არ არის საჭირო.

04/06/2015, T-254/13, [Stayer](#), EU:T:2015:156, § 57-61.

## გამოყენების ხანგრძლივობა

❖ ვადა, რომელიც გასათვალისწინებელია გაუქმების პროცედური დროს

## შესაბამისი პერიოდის განმარტება – კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 57(2) და (3) [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 64(2) და (3)]

ბათილობის ქმედებების კონტექსტში, სადავო ნიშნის მფლობელს შეუძლია მოსთხოვოს საჩივრის ავტორს, წარადგინოს მტკიცებულება, რომ ადრეული ნიშანი რეალურად გამოიყენებოდა ორი განსხვავებული პერიოდის განმავლობაში (მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ერთმანეთი გადაფარონ), ანუ, პირველ შემთხვევაში, „ბათილად ცნობის შესახებ საჩივრის წარდგენის თარიღამდე ხუთი წლის განმავლობაში“, და მეორე შემთხვევაში, შეტანის თარიღამდე ან სადავო ნიშნის პრიორიტეტის თარიღამდე ხუთი წლის განმავლობაში, იმ პირობით, რომ ადრინდელი ნიშანი უკვე რეგისტრირებული იყო ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ თარიღამდე, კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მუხლი 57(2) და (3) [ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 64(2) და (3) მუხლები].

ოფისს არ მოეთხოვება განსაზღვროს შესაბამისი ვადები გამოყენების დასადასტურებლად და აცნობოს მათ შესახებ საჩივრის ავტორს. შესაბამისად, ეს არის საჩივრის ავტორის პასუხისმგებლობა განსაზღვროს შესაბამისი პერიოდ(ებ)ი, რომლის დროსაც უნდა დადასტურდეს რეალური გამოყენება (§ 33).

თუ სააპელაციო პალატა აღმოაჩენს შეცდომას EUIPO-ს გაუქმების განყოფილების მიერ შესაბამისი პერიოდების გამოთვლაში, მას არ შეუძლია დააფუძნოს თავისი გადაწყვეტილება ადრინდელი ნიშნების რეალური გამოყენების არარსებობაზე იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც არასოდეს ყოფილა განხილული მხარეების მიერ და რომელზედაც მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა გაეკეთებინათ კომენტარი ან წარედგინათ მტკიცებულებები ოფისში წარმოების ნებისმიერ ეტაპზე (§ 39).

კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 57(2) მუხლი (ახლა ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 64(2) მუხლი) უნდა ჩაითვალოს შემადგენელ (მატერიალურ) დებულებად იმ პერიოდების განსაზღვრასთან დაკავშირებით, როცა უნდა დადასტურდეს რეალური გამოყენება (§ 20). მეორე შესაბამისი პერიოდი უნდა გამოითვალოს საერთაშორისო რეგისტრაციის პირველი გამოქვეყნების დღიდან (§ 40).

20/03/2019, T-138/17, [PRIMED / GRUPO PRIM \(fig\) et al.](#), EU:T:2019:174, § 33, 39.  
06/06/2019, T-220/18, [Battistino \(fig.\) / BATTISTA et al.](#), EU:T:2019:383, § 20 and 40.  
06/06/2019, T-221/18, [BATTISTINO / BATTISTA et al.](#), EU:T:2019:382, § 20 and 40.

## გარემოებების გათვალისწინება შესაბამისი პერიოდის შემდეგ

შესაბამისი პერიოდის განმავლობაში რეალური გამოყენების შესაფასებლად, არ არის გამორიცხული, რომ ამ ვადის გასვლის შემდეგ მოხდეს გარემოებების გათვალისწინება. ასეთმა გარემოებებმა შესაძლოა შესაძლებელი გახადოს დაადასტუროს ან უკეთ შეაფასოს, რამდენად იყო გამოყენებული სასაქონლო ნიშანი შესაბამისი პერიოდის განმავლობაში.

03/10/2019, T-666/18, [ad pepper \(fig.\)](#), EU:T:2019:720, § 65-69.

**მტკიცებულების სახე – დოკუმენტები შესაბამისი პერიოდის მიღმა - გამოყენების მასშტაბის შესაფასებლად სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში განხილვა**

იმ პირობით, რომ არსებობს გამოყენების მტკიცებულება, რომელიც ეხება შესაბამის პერიოდს, დოკუმენტები ამ პერიოდის მიღმა, შეიძლება იქნას გათვალისწინებული და შეფასდეს დანარჩენ მტკიცებულებებთან ერთად, თუ მათ შეუძლიათ ნიშნის რეალური და ნამდვილი კომერციული გამოყენების დამტკიცება.

08/07/2020, T-686/19, [Gnc live well](#), EU:T:2020:320, § 46.

## მტკიცებულების სახე – დოკუმენტები შესაბამისი პერიოდის მიღმა – გამოყენების მასშტაბის გათვალისწინებლობა

ადრინდელი ნიშნის რეალური გამოყენების შეფასებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შესაბამისი თარიღის შემდეგ შექმნილი მტკიცებულება, რათა უკეთ შეფასდეს ადრინდელი ნიშნის გამოყენების მასშტაბი შესაბამის პერიოდში (28/02/2019, T-459/18, PEPERO original (fig.) / REPRÉSENTATION D'UN BATÛNNET (fig.), EU:T:2019:119, § 63). თუმცა, გაყიდვების მოცულობის შეფასება არ შეიძლება ეჭვქვეშ დადგეს იმ ინვოისების გათვალისწინებით რომელიც შესაბამისი პერიოდის გასვლიდან სამი თვის შემდგომ თარიღდება.

08/07/2020, T-533/19, [sflooring \(fig.\) / T-flooring](#), EU:T:2020:323, § 56.

## გამოყენების მასშტაბი

### General criteria ზოგადი კრიტერიუმები

მრეწველობის კონკრეტული სფეროს ან ვაჭრობის საბაზრო ვითარების ჭრილში, გამოყენების მასშტაბი უნდა შეფასდეს თუ წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ **მესაკუთრეს სერიოზულად ცდილობდა კომერციული ადგილის დაკავებას შესაბამის ბაზარზე**. სასაქონლო ნიშანი უნდა იყოს გამოყენებული საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც უკვე გაყიდულია ან უნდა გაიყიდოს და რომლისთვისაც მზადდება მომხმარებელთა დასაცავი საშუალებები, განსაკუთრებით სარეკლამო კამპანიების სახით (§ 37). ეს არ ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგემ უნდა გაამჟღავნოს გაყიდვების მთლიანი მოცულობა ან ბრუნვის მაჩვენებლები.

ადრინდელი ნიშნის გამოყენების მასშტაბთან დაკავშირებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, ერთი მხრივ, გამოყენების დამადასტურებელი ყველა მოქმედების **კომერციული მოცულობა** და პერიოდის **ხანგრძლივობა**, რომლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა აღნიშნულ მოქმედებებს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მოქმედებების **სიხშირე** (§ 35).

11/03/2003, C-40/01, [Minimax](#), EU:C:2003:145, § 37.

08/07/2004, T-334/01, [Hipoviton](#), EU:T:2004:223, § 35.

### ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება

შეფასება მოითხოვს გათვალისწინებულ იქნეს **ფაქტორებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი**. ამრიგად, ის ფაქტი, რომ ნიშნის გამოყენებით მიღებული სასაქონლო მოცულობა არ იყო მაღალი შეიძლება კომპენსირებული იყოს ფაქტით, რომ ნიშნის გამოყენება იყო ფართო ან ჩვეულებრივი და პირიქით.

08/07/2004, T-203/02, [Vitafruit](#), EU:T:2004:225, § 42.

## გამოყენების უწყვეტობა არ არის საჭირო

გამოყენება არ არის აუცილებელი დროის მინიმალურ პერიოდში, რათა ჩაითვალოს როგორც „რეალური“. კერძოდ, გამოყენება არ უნდა იყოს უწყვეტი შესაბამისი 5 წლის განმავლობაში. საკმარისია, თუ გამოყენება განხორციელდა პერიოდის დასაწყისში ან ბოლოს, იმ პირობით, რომ გამოყენება იყო რეალური.

16/12/2008, T-86/07, [Deitech](#), EU:T:2008:577.

## გადამწყვეტი ბარიერი

ზუსტი გადამწყვეტი ბარიერი, რომელიც ადასტურებს რეალურ გამოყენებას არ შეიძლება განისაზღვროს კონტექსტის გარეშე. საქონლის ბრუნვა და გაყიდვების მოცულობა ყოველთვის უნდა შეფასდეს ყველა სხვა ისეთ რელევანტურ ფაქტორთან ერთობლიობაში, როგორცაა ბიზნესის მოცულობა, წარმოების ან მარკეტინგის მოცულობა, ან სასაქონლო ნიშნის გამოყენებით საწარმოს დივერსიფიკაციის ხარისხი, და პროდუქციის ან მომსახურების მახასიათებლები შესაბამის ბაზარზე. გამოყენება ყოველთვის არ არის აუცილებელი რაოდენობრივად მნიშვნელოვანი იყოს, რომ ის რეალურად ჩაითვალოს, რადგან ეს დამოკიდებულია შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მახასიათებლებზე შესაბამის ბაზარზე.

11/03/2003, C-40/01, [Minimax](#), EU:C:2003:145, § 39.  
08/07/2004, T-203/02, [Vitafruit](#), EU:T:2004:225, § 42.

## საკმარისი ბრუნვა და მაჩვენებლები რეალური გამოყენების დასადასტურებლად

საშუალო ან დაბალი ფასის საქონლის დაბალმა ბრუნვამ და გაყიდვებმა, აბსოლუტური თვალსაზრისით, შეიძლება გაამყაროს დასკვნა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ მყოფი სასაქონლო ნიშნის გამოყენება არ არის რეალური. თუმცა, ძვირადღირებულ საქონელთან ან ექსკლუზიურ ბაზართან მიმართებაში, ბრუნვის დაბალი მაჩვენებლები შეიძლება იყოს საკმარისი (§ 22). აქედან გამომდინარე, ყოველთვის საჭიროა განსახილველი ბაზრის მახასიათებლების გათვალისწინება (§ 51).

რაც უფრო მცირეა ნიშნის გამოყენების კომერციული მოცულობა, მით უფრო საჭიროა მოწინააღმდეგე მხარისთვის დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა მის რეალურობასთან დაკავშირებით ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად (§ 37).

რაც შეეხება ადრინდელი ნიშნით საქონლის გაყიდვით წარმოქმნილ ბრუნვასა და განმცხადებლის წლიურ ბრუნვას შორის თანაფარდობას, უნდა აღინიშნოს, რომ ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედი საწარმოების საქმიანობის დივერსიფიკაციის ხარისხი განსხვავდება (მრავალფეროვანია). უფრო მეტიც, ადრინდელი სასაქონლო ნიშნის რეალური გამოყენების მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება არ არის შექმნილი საწარმოს კომერციული სტრატეგიის მონიტორინგისთვის. ეს შეიძლება იყოს ეკონომიკურად და ობიექტურად გამართლებული საწარმოსთვის, რომ მოახდინოს საქონლის ან პროდუქციის სპექტრის ბაზარზე გატანა თუ მათი წილი მოცემული საწარმოს წლიურ ბრუნვაში მინიმალურია (§ 49). განსაკუთრებული გარემოებები, მაგალითად, დაბალი გაყიდვების მაჩვენებლები საქონლით ვაჭრობის საწყის ფაზაში, შეიძლება იყოს შესაფერისი რეალური გამოყენების შეფასებისას (§ 53). საქონლით ვაჭრობის საწყისი ფაზა შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე თვეზე მეტხანს, მაგრამ ის არ შეიძლება გაგრძელდეს განუსაზღვრელი დროით (§ 54-55).

04/09/2007, R 35/2007-2, [DINKY](#), § 22.  
08/07/2004, T-334/01, [Hipoviton](#), EU:T:2004:223, § 37, 49, 51, 53.  
18/03/2015, T-250/13, [SMART WATER](#), EU:T:2015:160, § 54-55; confirmed 17/03/2016, [C-252/15 P](#), SMART WATER, EU:C:2016:178.

## გამოყენება ერთი კლიენტის მიერ - ნიშნის საკმარისი გამოყენება სადისტრიბუციო ქსელში

უმნიშვნელო (*de minimis*) წესი არ შეიძლება დაწესდეს. ნიშნის გამოყენება ერთი კლიენტის მიერ, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს, რომლის მიმართაც ნიშანია რეგისტრირებული, შეიძლება საკმარისი იყოს იმის დასადასტურებლად, რომ ასეთი გამოყენება რეალურია, თუ აღმოჩნდება, რომ იმპორტის ოპერაციას აქვს რეალური კომერციული დასაბუთება ნიშნის მფლობელისთვის (§ 24 და შემდგომ.).

რეალური გამოყენება არ არის გამორიცხული მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა გამოყენება მოიცავს ერთსა და იმავე მომხმარებელს, სანამ სასაქონლო ნიშანი გამოიყენება საჯაროდ და ღიად და არა მხოლოდ საწარმოში, რომელიც ფლობს ადრინდელ სასაქონლო ნიშანს ან სადისტრიბუციო ქსელის ფარგლებში, რომელიც ეკუთვნის ან კონტროლდება ამ საწარმოს მიერ (§ 36).

27/01/2004, C-259/02, [Laboratoire de la mer](#), EU:C:2004:50, § 24 et seq.  
08/07/2004, T-203/02, [Vitafruit](#), EU:T:2004:225, § 50.  
08/10/2014, T-300/12, [Fairglobe](#), EU:T:2014:864, § 36.

## არაპირდაპირი მტკიცებულება

გარკვეულ გარემოებებში, თუნდაც არაპირდაპირი მტკიცებულებები, როგორცაა სასაქონლო ნიშნის შემცველი კატალოგი, მიუხედავად იმისა, რომ არ იძლევა პირდაპირ ინფორმაციას რეალურად გაყიდული საქონლის რაოდენობაზე, შეიძლება იყოს საკმარისი იმისათვის, რომ დაამტკიცოს გამოყენების მასშტაბი საერთო შეფასებაში.

15/07/2015, T-398/13, [TVR ITALIA \(fig.\) / TVR et al.](#), EU:T:2015:503, § 57-58.  
08/07/2010, T-30/09, [Peerstorm](#), EU:T:2010:298, § 42 et seq.

## სხვადასხვა სახის მტკიცებულება

კანონის უზენაესობა არ მოითხოვს, რომ რეალური გამოყენების მტკიცებულება უნდა შედგებოდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებებისგან (§ 26). რეალური გამოყენება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ ინვოისებით, იმ პირობით, რომ ისინი შეიცავენ ყველა შესაბამის მითითებას, რომელიც მოთხოვნილია კავშირის სასაქონლო ნიშნების ინპლემენტაციის რეგულაციის (CTMIR) 22(3) მუხლით [ამჟამად ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დელეგირებული რეგულაციის (EUTMDR) 10(3) მუხლი ], განსაკუთრებით გამოყენების ადგილი, დრო და ბუნება (§ 27).

შეძენილი კაფსულებისა და ეტიკეტების მოცულობასა და გაყიდული ბოთლების რაოდენობას შორის განსხვავებები აძლიერებს ვარაუდს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულება წარმოადგენს მხოლოდ ინვოისების ნიმუშს (§ 54).

ბაზარზე გაყიდული პროდუქციის მცირე მოცულობა, განსაკუთრებით ჯამში 4 200 ევროს ღირებულების 1 200 ღვინის ბოთლი, შეიძლება ჩაითვალოს საკმარისად რეალური კომერციული საქმიანობის დასამტკიცებლად (§ 55, 58-59).

04/04/2019, T-779/17, [VIÑA ALARDE / ALARDE](#), EU:T:2019:220, § 27, 54, 55, 58-59.

## კატალოგი როგორც მტკიცებულება

მიუხედავად იმისა, რომ კატალოგი არ არის გაყიდვების მტკიცებულება, ეს არის იმის მტკიცებულება, რომ აღნიშნული საქონელი განთავსდა ბაზარზე და რომ ეს საქონელი რეალურად იყო გასაყიდად შეთავაზებული მომხმარებლებისთვის.

27/06/2019, T-268/18, [Luciano Sandrone / DON LUCIANO](#), EU:T:2019:452, § 31.

## ნიშნის გამოყენება რეგისტრირებულ ფორმასთან შედარებით

### ❖ ნიშნის გამოყენება რეგისტრირებული ფორმით

## სხვა სასაქონლო ნიშანთან ერთობლივი გამოყენება

ის ფაქტი, რომ შესაბამისი საზოგადოება აღიარებს ადრინდელ ნიშანს, იგივე პროდუქციის აღმნიშვნელი სხვა ნიშნის მითითებით, და რომელიც გამოიყენება ერთობლივად, არ ნიშნავს, რომ ადრინდელი ნიშანი თვითონ არ გამოიყენება იდენტიფიკაციის წყაროდ (§ 74).

სასაქონლო ნიშნის რეალურ გამოყენებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს სხვა სასაქონლო ნიშანთან კავშირში, იმ პირობით, რომ ნიშანი კვლავ განიხილება, როგორც აღნიშნული საქონლის წარმოშობის აღმნიშვნელი (§ 97).

28/02/2019, T-459/18, [PEPERO original \(fig.\) / REPRÉSENTATION D'UN BATÔNNET \(fig.\)](#), EU:T:2019:119, § 74, 97.

## სიტყვიერი ნიშნების გრაფიკული დამატებები

სიტყვიერი ნიშნები მიიჩნევა გამოყენებულად, როგორც რეგისტრირებული, რამდენადაც გრაფიკული დამატებები არ ცვლის მათ მიერ წარმოქმნილ ზოგად შთაბეჭდილებას.

27/06/2019, T-268/18, [Luciano Sandrone / DON LUCIANO](#), EU:T:2019:452, § 42.

## კომპანიის სახელწოდების დამატება

ის ფაქტი, რომ კომპანიის სახელი ან ადრინდელი ნიშნის მფლობელის საფირმო სახელწოდება ასევე არის გამოსახული ამ ნიშნის გამოსახულებაში არ არის ისეთი გარემოება, რომ შეცვალოს მისი განმასხვავებელუნარიანობა, ვინაიდან ადრინდელი ნიშანი შეიძლება აშკარად დამოუკიდებლად აღიქმებოდეს ისეთი ფორმით, რომელიც არ განსხვავდება იმ ფორმისგან, რომლითაც ის რეგისტრირებულია.

21/11/2019, T-527/18, [tec.nicum \(fig.\) / T TECNIUM \(fig.\)](#), EU:T:2019:798, § 34.

## რეგისტრაცია ფერთა მოთხოვნის გარეშე - ბანალური ფერების მოდიფიცირება (სახეცვლილება) - ნიშნის განმასხვავებელი ხასიათის შეუცვლელია

ვინაიდან ადრინდელი ნიშანი დარეგისტრირდა ყოველგვარი ფერის მოთხოვნის გარეშე, მისი წარმოდგენა ფერით არ ცვლის რეგისტრირებული ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს, რადგან რეგისტრაცია მოიცავს ყველა შესაძლო ფერის კომბინაციას.

15/10/2019, T-582/18, [X BOXER BARCELONA \(fig.\) / X \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:747, § 44.

## ფერთა ცვლილება - ნიშნის განმასხვავებელი ხასიათის შეუცვლელია

ის ფაქტი, რომ გამოყენებული ნიშნები შეიცავს ორ ცალკეულ სიტყვის კომპონენტს („ად“ და „პეპერ“) თავისთავად არ შეუძლია გავლენა მოახდინოს სადავო სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ხასიათზე, ვინაიდან შესაბამისი საზოგადოება დაყოფს სიტყვას ელემენტებად, რომლებსაც აქვთ მათთვის კონკრეტული მნიშვნელობა ან მათ მიერ ნაცნობ სიტყვებს წააგავს (§ 39-40).

განსხვავებული ფერების გამოყენება, რომლებიც არ არის განსაკუთრებით უნიკალური, არც გამორჩეულია და არც დომინანტური და არ ახდენს რეგისტრირებული ნიშნის შეცვლას. სამი დაკლავნილი წიწაკის გამოსახულებითი ელემენტი მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს მფლობელის მიერ გამოყენებულ ნიშნებში (§ 46-50).

ნიშნები დაწერილია დიდი თუ პატარა ასოებით, უმნიშვნელოა, რადგან სიტყვიერი ნიშნები, რომლებიც მხოლოდ ამ მხრივ განსხვავდება, იდენტურად ითვლება (§ 55).

დამატებითი ვერბალური ელემენტები "Germany", "digital pioneers since 1999" და 'the e-advertising network' გავლენას არ ახდენს სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ხასიათზე, რადგან ისინი მოთავსებულია ფაქტობრივი ნიშნის ქვეშ და საზოგადოების მიერ იქნება აღქმული, როგორც აღწერილობითი დამატებები (§ 60-68). აქედან გამომდინარე, მთლიანობაში, გამოყენების ეს ფორმები მხოლოდ უმნიშვნელო ელემენტებით განსხვავდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრირებული ფორმისგან (§ 69).



03/10/2019, T-666/18, [ad pepper \(fig.\)](#), EU:T:2019:720, § § 39-40, 45-50, 55, 60-68, 69.

ადრინდელ ნიშანში გამოსახულებითი ელემენტები შემოიფარგლება სიტყვა „brownies“ ყვითელი სტილიზებული შრიფტით, ასო „i“ წერტილი ყვავილის სახით და, ზოგჯერ, არათანაბარი საზღვრით (§ 66).

სიტყვა „brownies“ ამგვარად სტილიზებული, რჩება ნიშნის განმასხვავებელ ელემენტად და, შესაბამისად, მისი გამოყენება ამ ფორმით უნდა ჩაითვალოს ადრინდელი ნიშნის გამოყენებად (§ 68).

ის ფაქტი, რომ ფიგურული ნიშანი, გარკვეული განმასხვავებელი ხასიათის მქონე, ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას მისი საქონლის გასაფორმებლად არ ახდენს გავლენას მის უნარზე, შეასრულოს ნიშნის არსებითი ფუნქცია. ეს განსაკუთრებით ეხება ტანსაცმლის სექტორს, სადაც არ არის უჩვეულო საქონლებისთვის ნიშნის სტილიზებული ფორმით გამოსახვა (§ 69).

## ❖ ნიშნის გამოყენება რეგისტრირებულისგან განსხვავებული ფორმებით

### ზოგადი პრინციპები

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის (EUTMR) მე-18 მუხლი განსაზღვრავს, რომ ნიშნის გამოყენება რეგისტრირებულისგან განსხვავებული ფორმით, მაინც წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის გამოყენებას რამდენადაც განსხვავებული ელემენტები არ ცვლის სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სასაქონლო ნიშანი გამოყენებული ფორმით ასევე რეგისტრირებული მფლობელის სახელზე.

ამ დებულების მიზანს წარმოადგენს ნება მისცეს მის მფლობელს განახორციელოს ვარიაციები ნიშანში, მისი განმასხვავებელი ხასიათის შეცვლის გარეშე, რომ შეძლოს უკეთესად მოერგოს შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მარკეტინგისა და პოპულარიზაციის მოთხოვნებს.

საერთო იურისდიქციის სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არ არის აუცილებელი მკაცრი შესაბამისობა გამოყენებულ ნიშანსა და რეგისტრირებულ ნიშანს შორის. თუმცა, განსხვავება უნდა იყოს უმნიშვნელო ელემენტებში და გამოყენებული და რეგისტრირებული ნიშნები უნდა იყოს ფართოდ ექვივალენტური

23/02/2006, T-194/03, [Bainbridge](#), EU:T:2006:65, § 50.

საერთო იურისდიქციის სასამართლომ დაადგინა, რომ:

კომპლექსური სასაქონლო ნიშნის ერთი ან რამდენიმე კომპონენტის განმასხვავებელი ან დომინანტი ხასიათის შეფასება უნდა ეფუძნებოდეს თითოეული ამ კომპონენტის თანდაყოლილ შინაგან თვისებებს, ისევე, როგორც სხვადასხვა კომპონენტის შედარებით პოზიციას სასაქონლო ნიშნის წყობის ფარგლებში (§ 36).

რაც შეეხება **დამატებებს**:

- რამდენიმე ნიშანი შეიძლება გამოყენებულ იქნას ერთდროულად რეგისტრირებული ნიშნის განმასხვავებელი ხასიათის შეცვლის გარეშე (§ 34);
- თუ დამატება არ არის განმასხვავებელი, არის სუსტი და/ან არ არის დომინანტი, ის არ ცვლის რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს (§ 29-33 და შემდგომი; 36 და შემდგომი).

რაც შეეხება **გამოტოვებებს**:

- თუ გამოტოვებული ელემენტს მეორეხარისხოვანი განლაგება აქვს და არ არის განმასხვავებელი, მისი გამოტოვება არ ცვლის სასაქონლო ნიშნის განმასხვავებელ ხასიათს (§ 37).

08/12/2005, T-29/04, [Cristal Castellblanch](#), EU:T:2005:438, § 34.

24/11/2005, T-135/04, [Online Bus](#), EU:T:2005:419, § 36-37.


30/11/2009, T-353/07, [Coloris](#), EU:T:2009:475, § 29-33 et seq.

10/06/2010, T-482/08, [Atlas Transport](#), EU:T:2010:229, § 36 et seq.



## მოცულობითი ნიშნის ერთობლივი გამოყენება სიტყვიერ ნიშანთან

სამგანზომილებიანი ნიშნის, რომელიც შედგება ღუმელის ფორმისგან, სიტყვიერ ნიშანთან „Bullerjan“-თან ერთად გამოყენებას შეუძლია შეცვალოს ფორმის ნიშნის განმასხვავებელი ხასიათი, თუ ნიშნის სიტყვიერი ნაწილი შედარებით ნაკლებად განმასხვავებელია. ეს არ გამომდინარეობდა იქედან, რომ ფორმა განსაკუთრებით უჩვეულო იყო, არამედ ნაწილობრივ ფუნქციური მახასიათებლების გამოც, რამაც ხელი შეუწყო მის განმასხვავებელ ხასიათს.



23/01/2019, C-698/17 P, [SHAPE OF AN OVEN \(3D MARK\)](#), EU:C:2019:48, § 31-34, 40-45.

## განმასხვავებელი ელემენტების დამატება - ძირითადი ნიშნის (“house mark”) დამატება - ნიშნის განმასხვავებელი ხასიათის შეცვლა

წარდგენილ მტკიცებულებებში გამოყენებული მეთოდით კომბინაცია "AIR blu" ან "AIR blu 100" ცვლის რეგისტრირებული სადავო ნიშნის "AIR"-ის განმასხვავებელ ხასიათს (§ 32). მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა "ლურჯი" თამბაქოს ბაზარზე ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მწარმოებლის მიერ, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ შესაბამისი საზოგადოება აღიქვამს ამ სიტყვას ან ლურჯ ფერს, როგორც აღწერილობით დანიშნულებას, რომელიც მიუთითებს უფრო რბილ გემოზე. ის ფაქტი, რომ სიტყვა „ლურჯი“ ინვოისებზე ჩნდება შემოკლებული ფორმით „ბლ“ („bl“) არ აღნიშნავს რაიმე აღწერილობას სადავო საქონელთან მიმართებაში, რადგან აღწერილობითი ხასიათი უნდა შეფასდეს საქონელთან მიმართებაში და არა ინვოისების დეტალებთან. უფრო მეტიც, ინვოისების მიმღებები არიან პროფესიონალები და არა ფართო საზოგადოება, რომელთა მიმართაც უნდა შეფასდეს სადავო ნიშნის რეალური გამოყენება (§ 30).

ელემენტი „Memphis“ ყოველთვის არის ნათლად დომინანტურ მდგომარეობაში სასაქონლო ნიშნის საერთო შთაბეჭდილების ჭრილში. მაშინაც კი, თუ ეს ელემენტი იყო ძირითადი ნიშანი („house mark“), ეს ეჭვქვეშ არ დააყენებს იმ ფაქტს, რომ ეს სიტყვა ცვლის სადავო ნიშნის „AIR“-ის განმასხვავებელ ხასიათს, ვინაიდან შესაბამისი საზოგადოება აღარ აღიქვამს ელემენტს „AIRს“, როგორც განსახილველი საქონლის წარმოშობის მითითებას.(18/07/2013, C-252/12, Specsavers, EU:C:2013:497, § 26) (§ 35).



08/07/2020, T-800/19, [Air](#), EU:T:2020:324, § 30, 32, 35.

## სამგანზომილებიანი ნიშნის გამოყენება

ნიშნის სამგანზომილებიანი ხასიათი გამორიცხავს სტატიკურ ხედვას ორ განზომილებაში და უბიძგებს დინამიურ აღქმას სამ განზომილებაში. მაშასადამე, სხვადასხვა პერსპექტივაში წარმოდგენები, ნებისმიერ შემთხვევაში (რომლის ფორმა განასახიერებს ადრინდელ ნიშანს) რეალურია ნიშნის გამოყენების შეფასებისთვის და არ შეიძლება უგულვებელიყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ ქმნიან ფორმის ორგანზომილებიან გამოსახულებას.

28/02/2019, T-459/18, [PEPERO original \(fig.\) / REPRÉSENTATION D'UN BATÔNNET \(fig.\)](#), EU:T:2019:119, § 93.

## გამოყენება იმ საქონლის ან მომსახურებისთვის, რომლისთვისაც რეგისტრირებულია ნიშანი, კატეგორიები და ქვეკატეგორიები

### საქონლისა და მომსახურების ქვეკატეგორიები რეალური გამოყენების დასადასტურებლად

ქვეკატეგორიების განსაზღვრისას, რომლისთვისაც ნაჩვენებია იყო ნიშნის რეალური გამოყენება, საქონლისა და მომსახურების დანიშნულება არის სათანადო გარემოება (§ 44). საქონელი განსხვავებულია, როდესაც შესაბამისი მომხმარებლები ერთმანეთს არ კვეთენ (§ 55).

07/02/2019, T-789/17, [TecDocPower / TecDoc \(fig.\) et al.](#), EU:T:2019:70, § 44, 55.

### ღვინო - ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება

ღვინის ადგილწარმოშობის მითითება არ შეიძლება ჩაითვალოს სისტემური მნიშვნელობის მქონედ, იმის დასადგენად, თუ რამდენად შეიძლება სხვადასხვა ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები წარმოადგენდნენ საკმარისად განსაზღვრულ და დამოუკიდებელ ქვეკატეგორიებს „ღვინის“ კატეგორიაში.

30/06/2015, T-489/13, [VIÑA ALBERDI / VILLA ALBERTI](#), EU:T:2015:446, § 37.

17/01/2019, T-576/17, [EL SEÑORITO / SEÑORITA](#), EU:T:2019:16, § 45-46.

### ნაწილობრივ რეალური გამოყენება

თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია საქონლის ან მომსახურების კატეგორიისთვის, რომელიც საკმარისად ფართოა დამოუკიდებლად მყოფ ქვეკატეგორიებად დაყოფისთვის, მტკიცებულება იმისა, რომ ნიშანი რეალურად იქნა გამოყენებული ამ საქონლის ან მომსახურების ნაწილთან მიმართებაში, შესაძლებელს ხდის საქონლის ან მომსახურების მხოლოდ იმ ქვეკატეგორიის ან ქვეკატეგორიების დაცვას, რომლისთვისაც სასაქონლო ნიშანი რეალურად იქნა გამოყენებული (§ 47).

ბეჭდური მასალის კატეგორია საკმარისად ფართოა, რათა დაიყოს (§ 52). ცალკეული ფოტოებით დაბეჭდილი ნაბეჭდი მასალის ქვეკატეგორია საკმარისად ერთგვაროვანია (§ 53). მაშასადამე, სადავო სასაქონლო ნიშნის დაცვა შემოიფარგლება ცალკეული ფოტოებით დაბეჭდილი ბეჭდვითი მასალის ქვეკატეგორიით (§ 55).

11/04/2019, T-323/18, [DARSTELLUNG EINES SCHMETTERLINGS \(fig.\)](#), EU:T:2019:243, § 47, 52-53, 55.

## საქონლისა და მომსახურების ფართო სპექტრის ქვეკატეგორიებად დაყოფის აუცილებლობა რეალური გამოყენების დასადასტურებლად – მითითება ნიცის შეთანხმების განმარტებით ბარათზე - ნაწილობრივი რელურ გამოყენება

გაუქმების პროცესის კონტექსტში მოწოდებული მტკიცებულება, ძალის მქონეა იმდენად, რამდენადაც ის იძლევა მკაფიო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ევროკავშირის სასაქონლო ნიშნის დელეგირებული რეგულაციის (EUTMDR) მე-10(3) მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესახებ (§ 40).

ნიცის შეთანხმების განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ კლასი 20 „მოიცავს ძირითადად ... პლასტმასის საქონელს, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში“ (§ 55). პლასტმასის საქონელთან მიმართებაში, რომლებიც არ შედის სხვა კლასებში, როგორც ეს არის „ურნების“ შემთხვევაში, ამ საქონლის გაყიდვა არ შეიძლება იყოს რეალური გამოყენების მტკიცებულება ისეთი ფართო კატეგორიისთვის, როგორცაა „პლასტიკისგან დამზადებული ნაწარმი“ ან „წყალში ხსნადი, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პლასტმასისგან დამზადებული საქონელი“ (§ 56). რეალური გამოყენების მტკიცებულება მიზნად ისახავს თავიდან ავიცილოთ საქონლისა და მომსახურების ნაწილის მიმართ გამოყენებული ნიშნის გაფართოებული დაცვა მხოლოდ იმ საფუძვლით რომ ის რეგისტრირებულია საქონლის ან მომსახურების ფართო სპექტრის მიმართ.(§ 57).

სადავო ნიშნის საქონელი მე-20 კლასში უნდა დაყოფილიყო ქვეკატეგორიებად და უნდა განხორციელებულიყო თითოეულ ამ ქვეკატეგორიასთან დაკავშირებით მოწოდებული მტკიცებულებების ცალკე ანალიზი (§ 58).

29/04/2020, T-78/19, [green cycles \(fig.\)](#), EU:T:2020:166, § 40, 57, 58.

## გამოყენება მფლობელის მიერ ან მისი სახელით

### ❖ მფლობელის მიერ გამოყენება

კავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 18(1) და 47(2) მუხლების მიხედვით, როგორც წესი, ადრე რეგისტრირებული ნიშნის რეალურ გამოყენებას ახორციელებს ნიშნის მფლობელი. აღნიშნული ნორმები, ასევე, ვრცელდება წინა მფლობელის მიერ ნიშნის გამოყენებაზე სასაქონლო ნიშნის ფლობის პერიოდში.

10/12/1999, B 74 494.

### ❖ უფლებამოსილი მესამე პირების მიერ გამოყენება

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნიშნის გამოყენება მფლობელის თანხმობით ითვლება მესაკუთრის მიერ გამოყენებად. ეს ნიშნავს, რომ მესაკუთრეს თანხმობა გაცემული უნდა ჰქონდეს მესამე პირის მიერ ნიშნის გამოყენებამდე. თანხმობის მოგვიანებით მიღება არ არის საკმარისი.

## ეკონომიკურად დაკავშირებული კომპანიების და დისტრიბუტორების მიერ უფლებამოსილი გამოყენება

სასაქონლო ნიშნის გამოყენება ნიშნის მფლობელთან ეკონომიკურად დაკავშირებული ისეთი კომპანიების მიერ, რომლებიც არიან ერთი და იმავე ასოციაციების წევრები (დაკავშირებული კომპანიები, შვილობილი კომპანიები და ა.შ.), ითვლება უფლებამოსილ გამოყენებად (§ 38).

როდესაც საქონელი წარმოებულია სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ (ან მისი თანხმობით), მაგრამ მისი საბითუმო ან საცალო დონეზე განთავსება ხდება დისტრიბუტორების მიერ, ითვლება, რომ სახეზეა ნიშნის გამოყენება (§ 32; § 73).

30/01/2015, T-278/13, [now](#), EU:T:2015:57, § 38.  
17/02/2011, T-324/09, [Friboi](#), EU:T:2011:47, § 32.  
16/11/2011, T-308/06, [Buffalo Milke](#), EU:T:2011:675, § 73.

## მესამე პირების მიერ გამოყენების პრეზუმფცია

**მტკიცებულებათა** ეტაპზე *prima facie* სტანდარტი დაკმაყოფილებულია, როდესაც მოწინააღმდეგე მხარე წარმოადგენს მტკიცებულებას, რომლის თანახმადაც მესამე პირმა გამოიყენა ნიშანი. EUIPO, ასეთი გამოყენების საფუძველზე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ მტკიცებულების წარმოდგენის შესაძლებლობასთან ერთობლიობაში, დაადგენს, რომ მოწინააღმდეგე მხარემ გასცა წინასწარი თანხმობა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ სასაქონლო ნიშნის მფლობელს შეეძლოს მტკიცებულებების წარდგენა იმის შესახებ, რომ ნიშანი გამოიყენებოდა მისი სურვილის წინააღმდეგ. შესაბამისად, აღნიშნული იძლევა პრეზუმფციაზე დაყრდნობის კიდევ უფრო მეტ მიზეზს, იმ დაშვებით, რომ განმცხადებელი არ დაობს ოპონენტის თანხმობაზე.

08/07/2004, T-203/02, [Vitafruit](#), EU:T:2004:225, § 25.  
ხელშეწყობა და დადასტურება შემდეგ საქმეზე: 11/05/2006, C-416/04 P, [Vitafruit](#), EU:C:2006:310.

## ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 47-ე მუხლი მე-2 ნაწილი – გამოუყენებლობის გამართლება

### ზოგადი კრიტერიუმი - პირდაპირი ურთიერთობის დადგენა

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ალტერნატივის სახით ოპონენტს შეუძლია დაამტკიცოს, რომ არსებობს ადრე რეგისტრირებული ნიშნის გამოუყენებლობის საპატიო მიზეზები. „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (TRIPS) შეთანხმების მე-19 მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების შესაბამისად, ეს მიზეზები მოიცავს გარემოებებს, რომლებიც წარმოიქმნება სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებისაგან დამოუკიდებლად და ის წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის გამოყენების დამაბრკოლებელ გარემოებას.

გამოუყენებლობის სათანადო მიზეზების ცნება, ანუ გამოყენების ვალდებულებიდან გამონაკლისი, საკმაოდ ვიწროდ უნდა იყოს განმარტებული.

„ბიუროკრატიული დაბრკოლებები“, ანუ დაბრკოლებები, რომელიც არის სასაქონლო ნიშნის მფლობელის ნებისგან დამოუკიდებელი, არ არის საკმარისი, თუ მათ არ აქვთ ისეთი პირდაპირი ურთიერთობა ნიშანთან, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება დამოკიდებულია ადმინისტრაციული ქმედების წარმატებით დასრულებაზე.

პირდაპირი ურთიერთობის კრიტერიუმი სულაც არ ნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნის გამოყენება შეუძლებელია; შეიძლება საკმარისი იყოს, რომ გამოყენება არაგონივრულად მიიჩნეოდეს. ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს - უკარგავს თუ არა დაბრკოლების გვერდის ავლის მიზნით საწარმოს სტრატეგიის ცვლილება ნიშნის გამოყენებას აზრს. მაგალითად, გონივრულობიდან გამომდინარე ნიშნის მფლობელს არ მოეთხოვება კორპორატიული სტრატეგიის შეცვლა და მისი საქონლის გაყიდვა კონკურენტების გაყიდვის ობიექტებში.

14/06/2007, C-246/05, [Le Chef de Cuisine](#), EU:C:2007:340, § 52.

## თავდაცვითი რეგისტრაცია

საერთო სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნული დებულების არსებობა, რომელიც აღიარებს „თავდაცვით“ რეგისტრაციას (ეს არის ნიშნების რეგისტრაცია, როდესაც ნიშანი არ არის განკუთვნილი ვაჭრობაში გამოსაყენებლად და მას აქვს წმინდად დაცვითი ფუნქცია სხვა კომერციულად გამოყენებულ ნიშნებთან მიმართებით), არ შეიძლება იყოს სათანადო მიზეზი იმ ადრინდელი სასაქონლო ნიშნის გამოყენებლობისათვის, რომელიც შეიქმნა გასაჩივრების საფუძველზე.

23/02/2006, T-194/03, [Bainbridge](#), EU:T:2006:65, § 46.

## სასაქონლო ნიშანთან პირდაპირ კავშირში არსებული დაბრკოლებები

„გამოყენებლობის სათანადო მიზეზად“ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ ის დაბრკოლება, რომელსაც აქვს საკმარისად პირდაპირი ურთიერთობა სასაქონლო ნიშანთან, მის გამოყენებას შეუძლებელს ან არაგონივრულად აქცევს და წარმოიქმნება ამ ნიშნის მფლობელის ნებისგან დამოუკიდებლად. განხილული დაბრკოლების გვერდის ავლის მიზნით საწარმოს სტრატეგიის ცვლილება, ამ ნიშნის გამოყენებას არაგონივრულს გახდის თუ არა, უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად.

03/07/2019, C-668/17 P, [Boswelan](#), EU:C:2019:557, § 66-73.



## თავი III. დიზაინი

## საბჭოს რეგულაციის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი / 9 - სარეგისტრაციო წარმოება

ხედის ფონი ნეიტრალურად ითვლება მანამ, სანამ ამ ხედში ნაჩვენები დიზაინი მკაფიოდ განსხვავდება მისი გარემოსგან ნებისმიერი სხვა ობიექტის, აქსესუარის ან დეკორაციის ჩარევის გარეშე, ხოლო მათმა ჩართვამ შესაძლოა გააჩინოს ეჭვები მოთხოვნილი რეგისტრაციის მიმართ.

ნეიტრალური ფონის მოთხოვნა არ არის დაკავშირებული არც „ნეიტრალურ“ ფერთან და არც „ცარიელ“ ფონთან (იხ. პუნქტი 5.2.10 ქვემოთ). ნაცვლად ამისა, გადამწყვეტია ის, რომ დიზაინი საკმარისად მკაფიოდ გამოირჩეოდეს ფონისგან, რათა შეინარჩუნოს იდენტიფიცირებადობა.

16/04/2012, R 2230/2011-3, [Webcams](#), § 11-12.

13/09/2017, R 1211/2016-3, [Tavoli](#), § 61.

## საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი – ბათილობის სამართალწარმოება

### შემოწმების ფარგლები

ის ფაქტი, რომ ბათილობის საფუძველია საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტი, არ ნიშნავს იმას, რომ ოფისმა ავტომატურად უნდა შეისწავლოს ყველა მოთხოვნა, რომელიც მითითებულია ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის მე-4 - მე-9 მუხლებში (§ 51), რადგან ეს მოთხოვნები კუმულაციურია. დიზაინის ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს ერთ-ერთი მათგანის შეუსრულებლობამ (§ 54, 67).

საბჭოს რეგულაციის მე-4 - მე-9 მუხლებში მითითებული მოთხოვნები დაკავშირებულია სხვადასხვა სამართლებრივ კრიტერიუმებთან და, შესაბამისად, ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც წარმოდგენილია ერთის დარღვევის დასადასტურებლად, არ არის აუცილებლად რელევანტური სხვებისთვის (§ 68).

10/06/2020, T-100/19, [Acoplamiento para vehículos](#), EU:T:2020:255, § 54, 67-68.

### განცხადება ბათილად გამოცხადების შესახებ

როდესაც განცხადება ბათილად ცნობის თაობაზე ემყარება სიახლის ნაკლებობას და რეგისტრირებული დიზაინის ინდივიდუალურ ხასიათს, ის უნდა შეიცავდეს, მათ შორის, იმ წინა დიზაინებზე მითითებას (და მის რეპროდუცირებას), რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს სიახლისა ან ინდივიდუალური ხასიათის მოთხოვნების დაკმაყოფილება; წარმოსადგენია ასევე ამ ადრინდელი დიზაინის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტები (§ 24).

დამატებითი დეტალების გარეშე წინა გადაწყვეტილებებზე მითითება არ აკმაყოფილებს სადავო დიზაინისა და წინა დიზაინის იდენტურობის დემონსტრირების მოთხოვნას (§ 29).

განმცხადებელს ევალება დარწმუნდეს, რომ ყველა წინა დიზაინი, რომელსაც ის ეყრდნობა, მკაფიოდ იყოს იდენტიფიცირებული და რეპროდუცირებული; იმ დაშვებით, რომ ბათილობის საქმის წარმოება არის *inter partes* სამართალწარმოება (§ 30).

17/09/2019, T-532/18, [Washing sponges](#), EU:T:2019:609, § 24, 29-30.



## დასაბუთების ნაკლებობა — საბჭოს რეგულაციის 63-ე მუხლი — შემოწმების ფარგლები ბათილად გამოცხადების სამართალწარმოებაში

ევროკავშირის სასაქონლო ნიშნების რეგულაციის 95-ე მუხლის ინტერპრეტაცია, *mutatis mutandis*, გამოიყენება იმ შემოწმების დროს, რომელიც საბჭოს რეგულაციის 63-ე მუხლის შესაბამისად ჩატარდება ოფისის მიერ ბათილობის საქმეში: ბათილობის მოთხოვნის განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ სადავო დიზაინი არ აკმაყოფილებს საბჭოს რეგულაციის მე-4 - მე-9 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს (§ 70-71).

სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ასახავს სააპელაციო პალატის პოზიციის სრულ ცვლილებას საბჭოს რეგულაციის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების გამოყენებასთან დაკავშირებით, იმ პოზიციასთან შედარებით, რომელიც პალატას სააპელაციო განხილვის დროს ჰქონდა მხარეებთან. სააპელაციო პალატა ვალდებული იყო მკაფიოდ დაესაბუთებინა ამ ცვლილების მიზეზები (§ 114), ვინაიდან მხარეებთან გამართული კომუნიკაცია და მხარეთა მიერ წარმოდგენილი შემდგომი შენიშვნები არის სადავო გადაწყვეტილების კონტექსტის ნაწილი (§ 124). ამ მიზეზების გარეშე, განმცხადებელს არ შეუძლია გაასაჩივროს პალატის ამგვარი გადახვევა (§ 116) და საერთო სასამართლოს არ შეუძლია გადაამოწმოს ამ მიზეზების დასაბუთებულობა და არ შეუძლია საქმის სათანადოდ განხილვა (§ 117).

10/06/2020, T-100/19, [Acoplamiento para vehículos](#), EU:T:2020:255, § 70-71, 114, 116-117, 124.

## ბათილობის სხვადასხვა საფუძველი – საერთო პრინციპები

კავშირის დიზაინი ინდივიდუალურად უნდა შევადაროთ თითოეულ ადრეულ დიზაინს, რომელსაც ეყრდნობა განმცხადებელი. კავშირის დიზაინის სიახლესა და ინდივიდუალურ ხასიათს ვერ აჯობებს ცალ-ცალკე აღებული რამდენიმე ადრინდელი დიზაინის მახასიათებლების კომბინაცია, მაგრამ მას შესაძლოა აჯობოს ერთმა ან მეტმა ადრინდელმა დიზაინმა ინდივიდუალურად.

21/09/2017, C-361/15 P და C-405/15 P, [Shower drains](#), EU:C:2017:720, § 69.

19/06/2014, C-345/13, [Karen Millen Fashions](#), EU:C:2014:2013, § 23-35.

22/06/2010, T-153/08, [Communications equipment](#), EU:T:2010:248, § 23-24.

## რეგულაცია (EC) No 6/2002 მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი – საქონლის გარეგნობის მახასიათებლები

რეგულაცია (EC) No 6/2002-ის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი გამორიცხავს კავშირის დიზაინის დაცვის გავრცელებას საქონლის ვიზუალის მახასიათებლებზე, როდესაც ისინი არ უკავშირდება საქონლის ტექნიკური ფუნქციის შესრულების აუცილებლობას, განსაკუთრებით ვიზუალურ ასპექტთან დაკავშირებით, მაშინაც კი, თუ არსებობს იგივე ფუნქციის შემსრულებელი სხვა დიზაინები (პუნქტები 22-29, 31, 32, ნაწილი 1).

რეგულაცია (EC) No 6/2002-ის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იმის დასადგენად, არის თუ არა საქონლის გარეგნობის შესაბამისი მახასიათებლები ნაკარნახევი მხოლოდ მისი ტექნიკური ფუნქციით, ეროვნულმა სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ყველა ობიექტური გარემოება, რომელიც მნიშვნელოვანია თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში. ამასთან დაკავშირებით, არ არის საჭირო ამ დასკვნების დაფუძნება „ობიექტური დამკვირვებლის“ პერსპექტივიდან.

როგორც სასამართლოს მრჩეველმა მისი მოსაზრების 66-ე და 67-ე პუნქტებში მიუთითა, ასეთი შეფასება უნდა მოხდეს განსახილველი დიზაინის გათვალისწინებით; იმ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც მიუთითებენ იმ მიზეზებზე, რომლებმაც გამოიწვია გარეგნობის მახასიათებლების არჩევა; უნდა ეყრდნობოდეს საქონლის, ან მისი გამოყენების ან ალტერნატიული დიზაინის არსებობის შესახებ ინფორმაციას, რომლებიც ასრულებენ იმავე ტექნიკურ ფუნქციას, იმ პირობით, რომ ეს გარემოებები, მონაცემები ან ინფორმაცია ალტერნატიული დიზაინის არსებობის შესახებ დადასტურებული იქნება სანდო მტკიცებულებებით (პუნქტები 37, 38, ნაწილი 2).

08/03/2018, C-395/16, [DOCERAM](#), EU:C:2018:17

## საქონლის ტექნიკური ფუნქცია

იმისათვის, რომ განისაზღვროს საქონლის გარეგნობის ის ძირითადი მახასიათებლები, რომელშიც ჩართული იქნება სადავო კავშირის დიზაინი, არის თუ არა ნაკარნახევი მხოლოდ საქონლის ტექნიკური ფუნქციით, აუცილებელია დადგინდეს რა არის ამ საქონლის ტექნიკური ფუნქცია. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დიზაინის რეგისტრაციის განაცხადში შესაბამისი მითითება (საბჭოს რეგულაციის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილი); ასევე, თავად დიზაინი, რამდენადაც იგი ცხადყოფს საქონლის ბუნებას, მის დანიშნულებას ან მის ფუნქციას.

18/03/2010, T-9/07, [Metal rappers](#), EU:T:2010:96, § 56.

როდესაც დიზაინი გამოიყენება კომპლექსურ საქონლზე, პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ეს მახასიათებლები საბჭოს რეგულაციის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად „ნაკარნახევი მხოლოდ საქონლის ტექნიკური ფუნქციით“, დასაწყისშივე მოითხოვს ისეთი საკითხების გამოკვლევას როგორც არის: თითოეული ამ მახასიათებლის ტექნიკური ფუნქცია; მიზეზობრივი კავშირის თითოეული ამ მახასიათებლის ტექნიკურ ფუნქციასა და შესაბამისი საქონლის ტექნიკურ ფუნქციას შორის. როდესაც არსებობს მიზეზობრივი კავშირი მახასიათებლის ტექნიკურ ფუნქციასა და საქონლის ტექნიკურ ფუნქციას შორის, ანუ იქ, სადაც ეს მახასიათებელი ხელს უწყობს საქონლის ტექნიკურ ფუნქციას, ეს მახასიათებელია "ნაკარნახევი მხოლოდ" საქონლის ტექნიკური ფუნქციით (§ 54).

ის ფაქტი, რომ შესაბამისი საქონლი შეიცავს რამდენიმე მახასიათებელს, რომელთაგან თითოეული ასრულებს განსხვავებულ ფუნქციას, არ გამორიცხავს საბჭოს რეგულაციის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენებას: აღნიშნული მუხლი არ მოითხოვს, რომ გარეგნობის მახასიათებლები უკავშირდებოდეს მხოლოდ ერთ ტექნიკურ შედეგს; მახასიათებლებმა შეიძლება გამოიწვიოს რამდენიმე ტექნიკური შედეგი, თუმცა ისინი ხელს უნდა უწყობენ საქონლის მთავარი ტექნიკური შედეგის მიღწევას (§ 56).



18/11/2020, T-574/19, [fluid distribution equipment](#), EU:T:2020:543, § 16, 54, 56.

## მე-5 მუხლი – სიახლე / მე-6 მუხლი – ინდივიდუალური ხასიათი / მე-7 მუხლი

### განმცხადებლის ბათილობის განცხადების მოთხოვნაზემტკიცების ტვირთი – ადრინდელი დიზაინის რეპროდუცირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

ბათილად გამოცხადების მომთხოვნ მხარეს ევალეზა განსაზღვროს რა წარმოადგენს „ადრინდელ დიზაინ“ - ეს არ არის ოფისის ვალდებულება. ამ შემთხვევაში, საერთო სასამართლომ შეცდომა დაუშვა, როდესაც მან გააკრიტიკა სააპელაციო პალატა იმის გამო, რომ პალატამ არ შეადარა სადავო კავშირის რეგისტრირებული დიზაინი „სითხის დრენაჟის მთელ მოწყობილობას“, რომელიც გაყიდვაში იყო ბათილად გამოცხადების მომთხოვნის მხარის მიერ. ამრიგად, საერთო სასამართლოს შეცდომა დაკავშირებული იყო სამართლის ინტერპრეტაციასთან, რადგან მან ოფისს მოსთხოვა სხვადასხვა კატალოგიდან ამონაწერების გაერთიანება ადრინდელი დიზაინის იდენტიფიცირების მიზნით. საბჭოს რეგულაციის 63-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ბათილობის გამოცხადებასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში ოფისი შემოიფარგლება მხარეთა მიერ მოწოდებული ფაქტებით, მტკიცებულებებითა და არგუმენტებით.

21/09/2017, C-361/15 P და C-405/15 P, [Shower drains](#), EU:C:2017:720, , § 56-60

### ინფორმირებული მომხმარებელი

„ინფორმირებული მომხმარებლის“ ცნება გაგებული უნდა იქნას, როგორც პირი, რომელიც არის, ერთი მხრივ, საშუალო მომხმარებელსა და მეორე მხრივ, დარგის ექსპერტს შორის. საშუალო მომხმარებელს არ აქვს სპეციფიკური ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით და ჩვეულებისამებრ არ ადარებს ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფ სასაქონლო ნიშნებს. დარგის ექსპერტს აქვს დეტალური ტექნიკური ცოდნა და გამოცდილება. ამრიგად, ინფორმირებული მომხმარებლის ცნება შეიძლება გაგებული იყოს, არა როგორც საშუალო ყურადღების მომხმარებელი, არამედ როგორც განსაკუთრებით დაკვირვებული მომხმარებელი, რომელიც დაკვირვებულია მისი პირადი გამოცდილების ან ამ სექტორის ფართო ცოდნის გამო.

ინფორმირებული მომხმარებლის ბუნება ნიშნავს, რომ, როცა ეს შესაძლებელია, ის პირდაპირ შეადარებს სადავო დიზაინებს ერთმანეთს. თუმცა შესაძლოა, მსგავსი შედარება შესაბამის სექტორში იყოს არაპრაქტიკული ან უჩვეულო, კერძოდ, იმ მოწყობილობების სპეციფიკური გარემოებების ან მახასიათებლების გამო, რომლებსაც დიზაინი წარმოადგენს. ამის შესახებ ზუსტი მითითებები არ არსებობს კავშირის დიზაინის შესახებ რეგულაცია No 6/2002-ის კონტექსტში, თუმცა არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კავშირის კანონმდებელს სურდა პოტენციური დიზაინის შეფასების მხოლოდ პირდაპირი შედარებით შეზღუდვა.

რაც შეეხება ინფორმირებული მომხმარებლის ყურადღების დონეს, ინფორმირებული მომხმარებელი არ არის კარგად ინფორმირებული და გონივრულად დაკვირვებული და ფრთხილი საშუალო მომხმარებელი, რომელიც ჩვეულებრივ აღიქვამს დიზაინს მთლიანობაში და არ აანალიზებს მის სხვადასხვა დეტალს; თუმცა ის ასევე არ არის ექსპერტი ან სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია დეტალურად დააკვირდეს იმ მინიმალურ განსხვავებებს, რომლებიც შეიძლება არსებობდეს კონფლიქტურ დიზაინებს შორის. ამრიგად, „ინფორმირებული“ გულისხმობს, რომ მომხმარებელი არ არის დიზაინერი ან ტექნიკური ექსპერტი, მაგრამ მან იცის სექტორში არსებული დიზაინების შესახებ; ფლობს გარკვეულ ცოდნას იმ მახასიათებლების შესახებ, რომლებსაც ეს დიზაინები ჩვეულებრივ მოიცავს; და საქონლის მიმართ ინტერესის შედეგად, ყურადღების შედარებით მაღალ ხარისხს ავლენს მათი გამოყენებისას.

21/09/2017, C-361/15 P და C-405/15 P, [Shower drains](#), EU:C:2017:720,

## სიახლის შეფასება

მართლმსაჯულების სასამართლომ გააკრიტიკა საერთო სასამართლოს გადაწყვეტილება იმის გამო, რომ, საერთო სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც დიზაინი შედგება რამდენიმე ელემენტისგან, იგი უნდა ჩაითვალოს საჯაროდ ხელმისაწვდომად, თუ მისი ელემენტები თუნდაც ინდივიდუალურად, იმ დაშვებით, რომ ნათელია, რომ ეს ელემენტები გამიზნულია გაერთიანებისთვის (რათა შეიქმნას წინასწარ განსაზღვრული საქონლი). მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ სადავო დიზაინი უნდა შედარდეს ადრე ინდივიდუალიზებულ და განსაზღვრულ დიზაინებთან და არა დიზაინების იმ კომბინაციასთან, რომელიც უკვე ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის (პუნქტები 61, 65, 69). მიუხედავად ამისა, მართლმსაჯულების სასამართლომ არ გააბათილა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ვინაიდან მისი სარეზოლუციო ნაწილი კარგად იყო დასაბუთებული სხვა სამართლებრივ ასპექტებში (73-დან 77-ე პუნქტები).

21/09/2017, C-361/15 P და C-405/15 P, [Shower drains](#), EU:C:2017:720, , § 73-77

## ინფორმირებული მომხმარებელი – ინდივიდუალური ხასიათი – განსხვავებული საერთო შთაბეჭდილება

მანქანების ან სატრანსპორტო საშუალებების ინფორმირებულმა მომხმარებელმა იცის, რომ მწარმოებლები რეგულარულად ახდენენ თავიანთი მოდელების ტექნიკურ და ვიზუალური დიზაინების განახლებას/რესტაილინგს (§ 28).

თუ განსხვავებები საკმარისად მკაფიოა იმისთვის, რომ დავასკვნათ, რომ დიზაინი ინფორმირებულ მომხმარებელზე განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას ტოვებს, თითოეული მახასიათებლის შეფასება და საერთო მახასიათებლების ანალიზი არ არის საჭირო (§ 45).

ავტომობილების დიზაინერების თავისუფლება შეზღუდულია იმდენად, რამდენადაც ავტომობილის დანიშნულება ადამიანების ან საქონლების ტრანსპორტირება და ექვემდებარება გარკვეულ საკანონმდებლო მოთხოვნებს; აღნიშნული ავალდებულება მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა ფარები, გაჩერების შუქები, ინდიკატორები და სარკეები (§ 48).

ბაზრის პოტენციური მოლოდინები ან დიზაინის გარკვეული ტენდენციები არ წარმოადგენს რელევანტურ შეზღუდვას დიზაინერის თავისუფლებისთვის. (§ 52).

06/06/2019, T-191/18, [Kraftfahrzeuge](#), EU:T:2019:378, § 28, 45, 48, 52.

## დიზაინის კონფლიქტი წინა დიზაინთან – ინდივიდუალური ხასიათის არ-არსებობა – განსხვავებული საერთო შთაბეჭდილების არ-არსებობა

პროდუქციის კლასიფიკაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ამ დიზაინის მიერ ინფორმირებულ მომხმარებელზე შექმნილი საერთო შთაბეჭდილების განმტკიცებას, რათა შეფასდეს, აქვს თუ არა მას ინდივიდუალური ხასიათი ადრინდელ დიზაინთან მიმართებაში (§ 28)

ხილული საკვები საქონლების არსებობა იმ საქონლის შემადგენლობაში, რომლებზეც სადავო დიზაინის დატანა არის გამიზნული, საქონლს ეხმარება მათი დანიშნულების უკეთ წარმოჩენაში; ამის მაგალითია როგორც საკვები საქონლების შეფუთვა, ასევე, მისი ერთ-ერთ კომპონენტი - გამჭვირვალე თავსახური (§ 31).

დიზაინების მიერ შექმნილი საერთო შთაბეჭდილებების ერთმანეთთან შედარება უნდა მოხდეს მხოლოდ რეალურად დაცული ელემენტების ნაწილში (13/06/2017, T 9/15, Dosen [für Getränke], EU:T:2017:386, § 79). სადავო დიზაინისთვის მინიჭებული დაცვა დაკავშირებულია მის გარეგნობასთან იმით, რომ იგი განკუთვნილია საკვები საქონლების შეფუთვისთვის, რომელსაც აქვს გარკვეული სპეციფიკური მახასიათებლების მქონე კომპონენტები, კეროოდ, ეს მახასიათებლებია ლითონის კონტეინერი, რომელსაც აქვს გამჭვირვალე სახურავი გამჭვირვალე ჩანართით. ამიტომ კონტეინერის შიგნით არსებული საკვები არ უნდა იქნას გათვალისწინებული „საერთო შთაბეჭდილების“ შესაფასებლად (§ 33).

დიზაინის მიერ ინფორმირებულ მომხმარებელზე წარმოქმნილი საერთო შთაბეჭდილების შეფასება მოიცავს ამ დიზაინით წარმოდგენილი საქონლის გამოყენების ხერხს ინფორმირებული მომხმარებლისთვის (21/11/2013, T 337/12, Sacacorchos, EU:T:2013:601, § 46). შესაბამისად, სადავო დიზაინის ინფორმირებული მომხმარებელი, იქნება ეს უბრალოდ კონსერვების მომხმარებელი თუ სურსათის გადამამუშავებელი ინდუსტრიის პროფესიონალი, შეაფასებს ამ დიზაინს საქონლის დანიშნულების მიხედვით, შეფუთვა/განსათავსებელი და შეძლებს განასხვავოს შეფუთვა/განსათავსებელი და მისი შიგთავსი. აქედან გამომდინარე, საკვები საქონლების გარეგნობა იმ შეფუთვაში, რომელშიც სადავო დიზაინის დატანაა გამიზნული და მათი სპეციფიკური განლაგება ამ შეფუთვაში, არ არის რელევანტური ინფორმირებული მომხმარებლის მიერ სადავო დიზაინით შექმნილი საერთო შთაბეჭდილების შესაფასებლად (§ 40).

12/03/2019, T-352/19, [Packaging for foodstuffs](#), EU:T:2020:94, § 28, 31, 33, 40.

## ადრინდელი დიზაინის გამჟღავნება

საბჭოს რეგულაციის მე-7 მუხლის მიზნებისათვის, არ აქვს მნიშვნელობა, სარგებლობს ან სარგებლობდა თუ არა ადრინდელი „დიზაინი“ საბჭოს რეგულაციის მე-3 მუხლის "ა" პუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვით (როგორც დიზაინი, სასაქონლო ნიშანი, საავტორო ნამუშევარი, პატენტი, სასარგებლო მოდელი თუ სხვა).

კავშირის დიზაინების შესახებ რეგულაცია No 6/2002-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილიდან ირკვევა, რომ დიზაინი მიჩნეულია ხელმისაწვდომად მას შემდეგ, რაც მხარე დაადასტურებს გამჟღავნების ფაქტს. ამ პრეზუმფციის უარსაყოფად მხარემ, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს გამჟღავნების ფაქტს, შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტებით უნდა დაამტკიცოს, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლო ყოფილიყო ფაქტების გამჟღავნების თავიდან არიდება ბიზნეს საქმიანობის ნორმალურ მსვლელობაში შესაბამისი სექტორის სპეციალიზებულ წრეებისთვის.

## **ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენები – შეფასების კრიტერიუმები**

მეტიც, რეგულაცია No 6/2002-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული პრეზუმფცია გამოიყენება ყოველთვის, როცა ადგილი აქვს გამჟღავნებას, რადგან ამ მუხლის პირველი წინადადების ფორმულირებიდან ჩანს, რომ იმისთვის, რომ რეგულაციის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად გამჟღავნების ფაქტი დადგინდეს მოხდეს, არ არის აუცილებელი, რომ აღნიშნული მოვლენები გამჟღავნების შემადგენელი მოვლენები განხორციელებული იყოს ევროკავშირში.

შეიძლება თუ არა ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მომხდარი მოვლენები გამხდარიყო ცნობილი ამ სექტორის სპეციალიზებული წრეებში არსებული პირებისთვის, არის ისეთი საკითხი, რომელიც უკავშირდება ფაქტებისა და გარემოებების დადგენას; ამ კითხვაზე პასუხი დამოკიდებულია თითოეული ცალკეული შემთხვევის კონკრეტული გარემოებების შეფასებაზე.

აღნიშნული შეფასების განსახორციელებლად უნდა შემოწმდეს, ეფუძნება თუ არა იგი მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებს. მიზანშეწონილია ჩაითვალოს, რომ შესაბამის წრეებს შეუძლებელია სცოდნოდან გამჟღავნებასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული თუ რა გონივრული მოთხოვნები შეიძლება გაკეთდეს აღნიშნული წრეების მიმართ. ეს ფაქტები შეიძლება უკავშირდებოდეს, მაგალითად, სპეციალიზებული წრეების შემადგენლობას, მათ კვალიფიკაციას, წესებსა და ქცევას, მათი საქმიანობის ფარგლებს, მათ წარმომადგენლობას ღონისძიებებზე, სადაც წარმოდგენილია დიზაინი, განსახილველი დიზაინის მახასიათებლებს, როგორცაა მათი ურთიერთდამოკიდებულება სხვა საქონელთან ან სექტორებთან და საქონლის მახასიათებლებს, რომელშიც ინტეგრირებულია განსახილველი დიზაინი, მათ შორის, შესაბამისი საქონლის ტექნიკურობის ხარისხი. ნებისმიერ შემთხვევაში, ბიზნესის ნორმალური მსვლელობის პირობებში, დიზაინი არ შეიძლება ჩაითვალოს ცნობადად, თუ შესაბამის სექტორში არსებულმა სპეციალიზებულმა წრეებმა მათ შესახებ მხოლოდ შემთხვევით შეიძლება გაიგონ (§ 26-29).

## **ადრინდელი დიზაინი არ იყო წარმოებული – ეფექტი – პირობები**

კავშირის დიზაინების შესახებ რეგულაცია No 6/2002-ის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი არ აწესებს რაიმე მოთხოვნას, რომ ადრინდელი დიზაინი, რომელსაც ეყრდნობა მოწინააღმდეგე მხარე, გამოყენებული იყოს საქონლის წარმოებისთვის ან მარკეტინგისთვის.

თუმცა, ის ფაქტი, რომ დიზაინი არასოდეს ყოფილა ჩართული საქონლში, მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც განმცხადებელი დაამტკიცებს, რომ შესაბამის სექტორში სპეციალიზებული წრეები, როგორც წესი, არ ითვალისწინებენ პატენტის რეესტრებს, ან რომ შესაბამის სექტორში სპეციალიზებული წრეები საერთოდ არ ანიჭებენ რაიმე მნიშვნელობას პატენტებს. ასეთ შემთხვევებში, არგუმენტმა იმის თაობაზე, რომ ბაზარზე არ არსებობს ქოლგები, რომლებიც დაცულია ადრინდელი პატენტით, შესაძლოა ოდნავ დამაჯერებელი გახადოს ის, რომ ადრინდელი პატენტი ინფორმაციის სხვა ფორმების საშუალებით შესაძლოა ცნობილი ყოფილიყო შესაბამის სექტორში სპეციალიზებულ წრეებში (§ 36, 37).

21/05/ 2015, T-22/13 & T-23/13, [UMBRELLAS](#), EU:T:2015:310, § 24, 26-29, 36,37.

## მტკიცებულებები – საჯაროდ ხელმისაწვდომობის დადასტურება

იმის დასადგენად, რომ ადგილი ჰქონდა ადრინდელი დიზაინის გამჟღავნებას, საჭიროა ჩატარდეს ორ-ეტაპიანი ანალიზი, რათა გამოკვლეულ იქნას: 1) ცხადყოფს თუ არა ბათილობის განცხადებაში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომ: ადგილი ჰქონდა დიზაინის საჯარო ხელმისაწვდომობას; და ეს გამჟღავნება მოხდა სადავო დიზაინზე განაცხადის შეტანის თარიღამდე ან ადგილი აქვს სადავო დიზაინის პრიორიტეტულობას; 2) თუ სადავო დიზაინის მფლობელი ამტკიცებს საპირისპიროს, კერძოდ, შეიძლება თუ არა, რომ ბიზნესის ნორმალურ მიმდინარეობაში ეს მოვლენები გონივრულად ცნობილი ყოფილიყო ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი შესაბამისი სექტორის სპეციალიზებული წრეებისთვის; ზემოაღნიშნულის არ დადასტურების შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ გამჟღავნებას არ ჰქონია ეფექტი და შესაბამისად, მხედველობაში არ იქნება მიღებული (§ 20).

ადრინდელი დიზაინის საჯარო ხელმისაწვდომობა არ შეიძლება დადგინდეს ალბათობის ან ვარაუდების საფუძველზე; ის უნდა დადასტურდეს ადრინდელი დიზაინის ბაზარზე ფაქტობრივი ხელმისაწვდომობის მყარი ობიექტური მტკიცებულებებით. ამასთან, ბათილობის მომთხოვნაზე განმცხადებლის მიერ მოწოდებული მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ერთმანეთთან მიმართებაში. ზოგიერთი მტკიცებულება შესაძლოა არასაკმარისი იყოს ინდივიდუალურად, მაგრამ სხვა დოკუმენტებთან ან ინფორმაციასთან ერთად წაკითხვისასან შეჯამებისას მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ ფაქტების დამტკიცება. ბოლოს, დოკუმენტის მტკიცებულებითი ღირებულების შესაფასებლად აუცილებელია ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის დამაჯერებლობისა და სიზუსტის შემოწმება (§ 22).

27/02/2020, T-159/19, [Furniture](#), EU:T:2020:77, § 20, 22.

## საჯაროდ ხელმისაწვდომობის ფაქტის დადგენა დადგენა

EUIPO-ს გაუქმების განყოფილება ასეთ მტკიცებულებებს აფასებს ერთიანად, კონკრეტული შემთხვევის ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით. გამჟღავნების მოვლენა არ შეიძლება დადასტურდეს ალბათობების ან ვარაუდების საფუძველზე; ის უნდა იქნას წარმოდგენილი ადრინდელი დიზაინის საჯარო ხელმისაწვდომობის მყარი და საკმარისი მტკიცებულებებით.

09/03/2012, T-450/08, [Phials](#), EU:T:2012:117, § 21-24.

ჩვენების მტკიცებულებითი ღირებულების შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქმისთვის დამახასიათებელი ყველა ფაქტორი და გარემოება. აუცილებელია გავითვალისწინოთ, მათ შორის, იმ პირის ვინაობა, ვისგანაც არის დოკუმენტი წარმოშობილი; გარემოებები, რომლებშიც იგი წარმოიშვა; ამ დოკუმენტის შემქმნელი პირის ვინაობა, გარემოებები, რომლებშიც დოკუმენტი წარმოიშვა, პირი, ვისაც მიემართებოდა იგი და ერთი შეხედვით, დოკუმენტი ჩანს თუ არა მყარი და უატყუარი/სანდო..

09/03/2012, T-450/08, [Phials](#), EU:T:2012:117, § 39-40.

## საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტი

### კონფლიქტი ადრინდელი დიზაინის უფლებასთან

საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლი 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, კავშირის დიზაინი წინააღმდეგობაშია წინა დიზაინთან, როდესაც, კავშირის დიზაინის შემუშავებისას მოქმედი, დიზაინერის თავისუფლების გათვალისწინებით, დიზაინი არ ქმნის ინფორმირებულ მომხმარებელზე განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას.

18/03/2010, T-9/07, [Metal rappers](#), EU:T:2010:96, § 52.

## საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე“ პუნქტი

### გამოყენების აკრძალვის უფლება

განმცხადებელმა უნდა დაასაბუთოს მხოლოდ ის, რომ მას აქვს უფლება აკრძალოს კავშირის შესაბამისი დიზაინის გამოყენება. არ არის საჭირო ასეთი უფლებით სარგებლობის დამტკიცება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა დადგინდეს, რომ განმცხადებელმა რეალურად შეძლო ასეთი გამოყენების აკრძალვა.

29/03/2011, C-96/09 P, Bud, EU:C:2011:189, § 191 -ის ანალოგიით.

### გამოყენება გვიანდელ დიზაინში

„გვიანდელი დიზაინის გამოყენების“ ცნება სულაც არ გულისხმობს ადრინდელი განმასხვავებელუნარიანი დიზაინის სრულ და დეტალურ რეპროდუცირებას უფრო გვიანდელ კავშირის დიზაინში. მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანების დიზაინს შეიძლება არ ჰქონდეს ადრინდელი განმასხვავებელუნარიანი ნიშნის გარკვეული მახასიათებლები, ან შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული დამატებითი მახასიათებლები, ეს შეიძლება იყოს ამ ნიშნის „გამოყენება“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამოღებული ან დამატებული დიზაინის მახასიათებელი ნიშნები მეორეხარისხოვანია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი შემჩნეული იქნება შესაბამისი საზოგადოების მიერ. საკმარისია კავერთიანების დიზაინისა და ადრეული განმასხვავებელუნარიანი ნიშნის მსგავსება.

12/05/2010, T-148/08, [Instruments for writing](#), EU:T:2010:190, § 50-52.

25/04/2013, T-55/12, [Cleaning devices](#), EU:T:2013:219, § 23.

09/08/11, R 1838/2010-3, [INSTRUMENTS FOR WRITING](#), § 43.



როდესაც გაერთიანების დიზაინი მოიცავს განმასხვავებელუნარიან ნიშანს ყოველგვარი შენიშვნის გარეშე რომელიც ცხადყოფდა, რომ დაცვა არ არის მოთხოვნილი ასეთი მახასიათებლის მიმართ, ჩაითვლება, რომ გაერთიანების დიზაინი იყენებს ადრინდელ განმასხვავებელუნარიან ნიშანს, მაშინაც კი, თუ ეს უკანასკნელი წარმოდგენილია მხოლოდ ერთ-ერთი განზომილებიდან.

18/09/2007, R 137/2007-3, [Containers](#), § 20.

**საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ პუნქტი – წევრი სახელმწიფოს საავტორო უფლებების კანონით დაცული ნაწარმოების არაავტორიზებული გამოყენება**

**ნამუშევრები საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ პუნქტის მიზნებისთვის**

ნამუშევრები, საბჭოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ვ" პუნქტის მიზნებისთვის, არ შეიძლება იყოს რეგულაციის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ვ" პუნქტის მიზნებისთვის, არ შეიძლება იყოს სხვადასხვა ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული საქონლის სტილიზებული ვერსიები (§ 101).

ფრანგულ და იტალიურ გადაწყვეტილებებში მოყვანილი მახასიათებლები, რომლებიც აღიარებენ ადრინდელი დიზაინის ნამუშევარს როგორც საავტორო უფლებით დაცულს, არ არის წარმოდგენილი სადავო დიზაინის შემთხვევაში.

(§ 94, 104-105).

24/09/2019, T-219/18, [Ciclomotori](#), EU:T:2019:681, § 94, 101, 104-105.

## თავი IV. საავტორო უფლებები

# საავტორო და მომიჯნავე უფლებები

## 2001/29/EC დირექტივის, 2-5 მუხლები

### ნაწარმოების დაცვა საავტორო უფლებებით – კავშირი დიზაინის დაცვასთან

2001/29/EC დირექტივის მე-2(ა) მუხლის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობით შეიზღუდა საავტორო უფლებების გამორიცხვა და მხოლოდ დიზაინით დაცვა ისეთი ნაწარმოებისათვის, როგორცაა ტანსაცმლის დიზაინი, რადგან მათ პრაქტიკულ დანიშნულებაზე მეტად, ისინი ქმნიან სპეციფიური, ესტეტიურად მნიშვნელოვან ვიზუალურ ეფექტს.

დიზაინის უფლებით დაცვა ავტომატურად არ გულისხმობს, რომ მასში გამოყენებული არის 2001/29/EC დირექტივით დაცული ნაწარმოები. ევროკავშირში მოქმედი პრინციპი არის, რომ ობიექტის დიზაინითა და საავტორო უფლებებით დაცვა არ არის ურთიერთგამომრიცხავი (§ 40, 43). ერთი და იმავე საგნის ასეთი კუმულაციური და პარალელური დაცვა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში.

12/09/2019, C-683/17, [Cofemel](#), ECLI:EU:C:2019:721, § 40, 43, 52, 58.

### ნაწარმოების დაცვა საავტორო უფლებებით - საქონლის ფორმა, რომელიც აუცილებელია ტექნიკური შედეგის მისაღებად - დასაკეცი ველოსიპედი

2001/29/EC დირექტივის 2-5 მუხლები უნდა განიმარტოს, რომ მასში გათვალისწინებული საავტორო უფლებების დაცვა ვრცელდება საქონლზე, რომლის ფორმა აუცილებელია (ნაწილობრივ მაინც) ტექნიკური შედეგის მისაღებად, თუ ეს საქონლი ასევე არის ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად მიღებული ორიგინალური ნაწარმოები, რადგან მისი ფორმის მეშვეობით ავტორი ორიგინალურად გამოხატავს თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს თავისუფალი და შემოქმედებითი არჩევანის გაკეთების გზით, რათა ფორმა ასახავდეს მის განსხვავებულობას. ამის შეფასება, საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გავალისწინებით, წარმოადგენს ეროვნულ დონეზე მქონედი სასამართლოს კომპეტენციას.

11/06/2020, C-833/18, [Folding bicycle](#), EU:C:2020:461, § 39.

## მუხლი 3(1) დირექტივა 2001/29/EC / მუხლი 8(2) დირექტივა 2006/115/EC

"საზოგადოებასთან კომუნიკაციის" კონცეფცია

2001/29/EC დირექტივის 3(1) მუხლი ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ და 2006/115/EC დირექტივის 8(2) მუხლი ქირავნობის უფლების, დროებით მფლობელობაში გადაცემისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლებების შესახებ ინტელექტუალური საკუთრების სფეროში უნდა განიმარტოს, ისე რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების გაქირავება, რომელიც აღჭურვილი არის რადიო მიმღებით, არ მიიჩნევა საზოგადოებასთან კომუნიკაციად ამ მუხლების საფუძველზე

02/04/2020, C-753/18, [Stim and SAMI](#), EU:C:2020:268, § 41.

## კოლექტიური მართვის ორგანიზაციები (კმო-ები)

### ერთი კმო უფლების თითო კატეგორიაში

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 26 თებერვლის 2014/26/EU დირექტივის 3(a) მუხლი საავტორო და მომიჯნავე უფლებების კოლექტიური მართვისა და მუსიკალურ ნაწარმოებებზე უფლებების მრავალტერიტორიული ლიცენზირების შესახებ შიდა ბაზარზე ონლაინ გამოყენებისთვის განსაზღვრავს, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაცია შეიძლება იყოს „ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც უფლებამოსილებას იძენს კანონით ან დავალების, სალიცენზიო ან სხვა სახელშეკრულებო შეთანხმებით მართოს საავტორო უფლებები ან მომიჯნავე უფლებები ერთზე მეტი უფლების მფლობელის სახელით, კოლექტიურ საფუძველზე, რომელიც შექმნილი ამ მიზნით და რომელიც აკმაყოფილებს მინიმუმ ერთ კრიტერიუმს: (i) არის წევრობაზე დაფუძნებული ან წევრების მიერ მართული; (ii) მისი სამართლებრივი ფორმა არის არასამეწარმეო/არაკომერციული

### კმო-ის მიერ ტარიფების განსაზღვრა

რომლის ხელშეკრულების (EEC Treaty) 30-ე და 36-ე მუხლები - დასაშვებია ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვროს გადასახადები ხელახალი რეპროდუცირებისათვის, რომლებიც შეიძლება არ გვხვდებოდეს სხვა წევრ სახელმწიფოში

რომის ხელშეკრულების 30-ე და 36-ე მუხლები არ გამორიცხავს, რომ ეროვნული კანონმდებლობა აწესებდეს ფონოგრამის საჯარო შესრულებისაგან დამოუკიდებელად „დამატებითი მექანიკური რეპროდუცირების საფასურის“ დაწესებას კმო-ს მიერ. ასევე დასაშვებია, რომ დამატებითი მექანიკური რეპროდუცირების საფასური გაერთიანდეს საჯარო შესრულების საფასურში მიუხედავად იმისა, არის თუ არა ასეთი დამატებითი საფასური გათვალისწინებული წევრ სახელმწიფოში, სადაც მართლზომიერად პირველად გამოიცა ფონოგრამა.

09/04/1987; C-402/85; [Basset](#); ECLI:EU:C:1987:197, § 13-17

რომლის ხელშეკრულების (EEC Treaty) 86-ე მუხლი - ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 102-ე მუხლი - დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება - კოლექტიური მართვის ორგანიზაცია, რომელიც სარგებლობს დე ფაქტო მონოპოლიით

ის ფაქტი, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაცია მომხმარებლებს ახდევინებს დამატებითი მექანიკური გამოყენების საფასურს, არ ნიშნავს რომ ასეთი კმო ბოროტად იყენებს დომინანტურ მდგომარეობას, შესაბამისად ასეთი ქმედება არ არის აკრძალული რომის ხელშეკრულების 86-ე მუხლით.

09/04/1987; C-402/85; [Basset](#); ECLI:EU:C:1987:197, § 20-21

კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ ჰონორარების შეგროვება, რომელსაც დეფაქტო მონოპოლია აქვს ბაზარზე და ახდევინებს ჰონორარებს მუსიკალური ფესტივალის ორგანიზატორებს, კმო-ს რეპერტუარში შესული მუსიკალური ნაწარმოების გამოყენების გამო, არ მიიჩნევა დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად, რადგან ის ემსახურება ობიექტურ ლეგიტიმურ მიზანს, რაც არის საავტორო უფლებების დაცვა.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლი უნდა იქნას განმარტებული, როგორც იმას, რომ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების გამოყენებისათვის ანაზღაურების მოდელის დაწესება, სხვათა შორის, საავტორო უფლებების მართვის კომპანიის მიერ ბრუნვაზე დაფუძნებული, რომელსაც აქვს დე ფაქტო მონოპოლია. წევრი სახელმწიფო, არ წარმოადგენს დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებას.

25/11/2020, C-372/19, [SABAM](#), ECLI:EU:C:2020:959, § 60

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 102-ე მუხლი უნდა განიმარტოს, რომ კოლექტიური მართვის ორგანიზაციის მიერ მოსარგებლისათვის ტარიფის დაწესება, რომელიც ბევრად აღემატება იმავე გამოყენებისთვის დაწესებულ ტარიფს, ან ტარიფის დაწესება რომელიც აღემატება მოსარგებლის მიერ მიწოდებული სერვისის ეკონომიკურ ღირებულებას ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

27/02/2014; C-351/12; [OSA](#), ECLI:EU:C:2014:110, § 92

# არაპირდაპირი პასუხისმგებლობის საკითხი (სასამართლო პრაქტიკა)

## მუხლი 11 დირექტივა 2004/48/EC

### შუამავლის კონცეფცია, რომლის მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად

2004 წლის 29 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/48/EC დირექტივის მე-11 მუხლი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ უნდა განიმარტოს, რომ კონვენციის შესაბამისად სიტუაცია, როდესაც პირი, იჯარით გასცემს სარეალიზაციო დახლებს და ასეთი პირი იყენებს ამ დახლს საკუთარი გაყიდვებისთვის, კერძოდ კონტრაფაქციული საქონლის გაყიდვისათვის, მიეკუთვნება კონცეპციას, რომლის თანახმადაც „შუამავალს, რომლის სერვისი გამოიყენება მესამე პირის მიერ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დასარღვევად“ ეკისრება პასუხისმგებლობა.

იმისთვის, რომ ეკონომიკურ ოპერატორს ვუწოდოთ „შუამავალი“ 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლის მნიშვნელობით, უნდა დადგინდეს, რომ ეკონომიკური ოპერატორის მიერ მიწოდებულმა სერვისმა, განაპირობა რომ მინიმუმ ერთმა პირმა დაარღვია მინიმუმ ერთი ინტელექტუალური საკუთრების უფლება, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ დადიგენდეს ოპერატორის კავშირი დამრღვევ პირთან.

07/07/2016, C-494/15, [Tommy Hilfiger](#), ECLI:EU:C:2016:528, § 23-24, 30.

### შუამავლის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის წესები

2004/48 დირექტივის მე-11 მუხლი ადგენს, წევრი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზრუნველყოს, რომ უფლებისმფლობელებს შეეძლოთ იმ შუამავლების წინააღმდეგ სარჩელის შეტანა, რომელთა მომსახურებასაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად.

2004/48 დირექტივის 23-ე პუნქტზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნული კანონმდებლობის კომპეტენციას მიეკუთვნება დირექტივის მე-11 მუხლიდან გამომდინარე პასუხისმგებლობის წესების, პირობებისა და პროცედურების დადგენა.

2004/48 დირექტივის მე-11 მუხლი უნდა განიმარტოს, რომ ის წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვაზე იურისდიქციის მქონე ეროვნულ სასამართლოებს შეეძლოთ დაავალონ შუამავალს, რომლის მომსახურებითაც მესამე მხარე არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლება მიიღოს ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ იმ ქმედების აღკვეთას, რომელიც არღვევს ინტელექტუალურ საკუთრებას, არამედ სამომავლო დარღვევების პრევენციასაც.

შუამავლების წინააღმდეგ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომები, რომლის მომსახურებასაც იყენებს მესამე მხარე ინტელექტუალური საკუთრების უფლების დასარღვევად, უნდა იყოს ეფექტიანი, სარწმუნო, სამართლიანი, პროპორციული და არ უნდა შექმნას ლეგიტიმური ვაჭრობისათვის ბარიერი.

12/07/2011; C-324/09; [L'Oréal and Others](#); ECLI:EU:C:2011:474, § 135-136, 139, 140, 144

2004/48 დირექტივის მოქმედების სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ ონლაინ ბაზრებით. გამომდინარე აქედან 2004/48 დირექტივის მე-11 მუხლი ვრცელდება როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურ სარეალიზაციო სივრცეებზე.

2004/48 დირექტივის მე-11 მუხლი უნდა განიმარტოს, რომ ონლაინ სარეალიზაციო სივრცეების შუამავლების და ფიზიკური სარეალიზაციო სივრცეების შუამავლების პასუხისმგებლობის წესები არის იდენტური.

07/07/2016, C-494/15, [Tommy Hilfiger](#), ECLI:EU:C:2016:528, § 36-37



## პლაგიატიზმი

### 2001/29/EC დირექტივა, მუხლი 2(c)

#### ექსკლუზიური რეპროდუცირების უფლება – ფონოგრამის ნაწყვეტის გამოყენება (Sampling)

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC დირექტივის ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2(c) მუხლში ნათქვამია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლების დაცვა, რომ ნება დართოს ან აკრძალოს ფონოგრამის ან მისი ნაწილის პირდაპირი ან არაპირდაპირი, დროებითი ან მუდმივი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით.

2001/29 დირექტივის მე-2(c) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ფონოგრამის დამამზადებლის განსაკუთრებული უფლება მოიცავს მის უფლებასაც მოახდინოს მისი ფონოგრამის ნაწყვეტის, თუნდაც ძალიან მცირე მონაკვეთის მესამე პირთა მიერ გამოყენების პრევენცია, მათ შორის მესამე პირთა მხრიდან საკუთარ ფონოგრამაში ჩართვისაგან (Sampling).

მიუხედავად ამისა, ქმედება არ ჩაითვლება 2001/29/EC დირექტივის მე-2(c) მუხლი მუხლის საფუძველზე რეპროდუცირებად, თუ მესამე პირი იყენებს ფონოგრამის მოკლე ნაწყვეტს ახალ ნაწარმოებში ჩართვის მიზნით და ახდენს ამ მოკლე ნაწყვეტის იმდენად გადაკეთებას, რომ სმენით შეუძლებელი ხდება მისი იდენტიფიცირება.

29/07/2019; C-476/17; [Pelham](#); ECLI:EU:C:2019:624, § 26, 27, 29, 31, 35-39

### მუხლი 9(1)(b), 2006/115/EC დირექტივა

#### სემპლინგი (Sampling) როგორც კოპირების ერთერთი ფორმა

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის 2006/115/EC დირექტივის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქირავნობის უფლების, დროებით მფლობელობაში გადაცემის უფლების და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლების შესახებ, 9(1)(b) მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები უნდა უზრუნველყონ ფონოგრამის დამამზადებლების განსაკუთრებული უფლების დაცვა, რომ გახადონ ფონოგრამა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, ორიგინალების ან ასლების გაყიდვით ან სხვაგვარი ნებისმიერი ფორმით.

2006/115 დირექტივის არც ერთი დებულება არ განსაზღვრავს „ასლის“ ცნებას დირექტივის მე-9 მუხლის მნიშვნელობით. ეს კონცეფცია უნდა განიმარტოს ეროვნული კანონმდებლობის მარეგულირებელი ნორმების კონტექსტისა და მიზნის გათვალისწინებით.

2006/115 დირექტივის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტივის მიხედვით ფონოგრამის დამამზადებლისათვის მინიჭებული დაცვა მიზნად ისახავს ბრძოლას ფონოგრამების კონტრაფაქციული ასლების წარმოებასა და საზოგადოებაში გავრცელების წინააღმდეგ.

მხოლოდ ნაწარმოები, რომელშიც ჩართული არის ფონოგრამაში ჩაწერილი ჟღერადობა სრულად ან მისი ნაწილი, თავისი ბუნებით ახორციელებს უფლებისმფლობელის მიერ კანონიერად გამოქვეყნებული ან საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ფონოგრამის ჩანაცვლებას, შესაბამისად, შესაძლებელია მივიჩნიოთ ის ფონოგრამის ასლად 2006/115 დირექტივის 9(1)(b) მუხლის მნიშვნელობით.

2006/115/EC დირექტივის 9(1)(b) მუხლი უნდა განიმარტოს, რომ ფონოგრამა, რომელიც შეიცავს სხვა ფონოგრამიდან ნაწყვეტს სემპლინგის სახით, მუხლის მნიშვნელობით არ წარმოადგენს ამ ფონოგრამის „ასლს“, ვინაიდან არ ხდება ფონოგრამის მნიშვნელოვანი ნაწილის რეპროდუცირება.

29/07/2019, C-476/17, [Pelham](#), ECLI:EU:C:2019:624, § 41-43, 45-47, 55

## სინქრონიზაცია

### მუხლი 8(2), 92/100/EEC დირექტივა – მუხლი 8(2), 2006/115/EC დირექტივა

#### ფონოგრამების სინქრონიზაცია აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებში

საბჭოს 1992 წლის 19 ნოემბრის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქირავნობის უფლების, დროებით მფლობელობაში გადაცემის უფლების და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლების შესახებ 92/100/EEC დირექტივის 8(2) მუხლის და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 12 დეკემბრის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქირავნობის უფლების, დროებით მფლობელობაში გადაცემის უფლების და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლების შესახებ 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლის მიხედვით წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომერციული მიზნით გამოცემული ფონოგრამის მოსარგებლის მიერ გამოყენებისას, ან მისი რეპროდუცირებისას უზრუნველყოფილი იყოს ერთჯერადი სამათლიანი ანაზღაურების მიღების უფლება, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ხდება მისი საჯარო გადაცემის მიზნებისათვის ან საზოგადოებასთან კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით.

92/100 დირექტივის 8(2) და 2006/115 დირექტივის 8(2) მუხლი უნდა განიმარტოს, რომ მოსარგებლის მიერ შემსრულებლებისათვის და ფონოგრამის დამამზადებლებისათვის არ ხდება ასეთი ჰონორარის გადახდა, თუ ის ახდენს ისეთი აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო გადაცემას (საზოგადოებისათვის მიიწოდებას), რომელშიც ჩართული არის აუდიოვიზუალური ნაწარმოები, რომელშიც თავის მხრივ სინქორიზირებული (ჩართული) არის ფონოგრამა.

18/11/2020, C-147/19, [Atresmedia](#), ECLI:EU:C:2020:935, § 28, 51-52, 56

## მექანიკური უფლებები

### მუხლი 82 ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების

#### ჰონორარები მექანიკური უფლებებისათვის – მუსიკალური ნაწარმოებების მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ საჯარო გადაცემასთან დაკავშირებული ჰონორარი

როდესაც მაუწყებლობის ორგანიზაციები ხელს აწერენ ხელშეკრულებას საავტორო უფლებების მმართველ კომპანიასთან, რომელსაც უჭირავს ბაზარზე დომინანტი მდგომარეობა ან მართავს მნიშვნელოვანი მოცულობის უფლებებს, რომელიც მას მიღებული აქვს მექანიკური უფლებებისათვის (მაგალითად ჩაწერა, გამრავლება) ჰონორარების შეგროვების მიზნით და როდესაც ჰონორარის გადახდებიანება ხდება მაუწყებლობის ორგანიზაციების შემოსავლებზე მიბმული პროცენტით, ითვლება, რომ ასეთი მიდგომა არ ითვლება უფლებების მმართველი კომპანიის დომინანტი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელი ხელშეკრულების 82-ე მუხლი უნდა განიმარტოს, რომ საავტორო უფლებების მმართველი ორგანიზაცია არ იყენებს ბოროტად საკუთარ დომინანტურ მდგომარეობას, როდესაც ჰონორარს აგროვებს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების მექანიკური უფლებებისთვის და მაუწყებლობის ორგანიზაციას ჰონორარს უანგარიშებს ამ კომპანიის შემოსავალიდან და პროპორციის პრინციპის გამოყენებით.

11/12/2008, C-52/97, [Kanal 5 and TV 4](#), ECLI:EU:C:2008:703, § 6-10, 33, 41

### მუხლი 5(2)(d) 2001/29/EC დირექტივა

#### სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საშუალებებითა და საკუთარი მაუწყებლებისთვის გაკეთებული ნაწარმოებების ეფემერული ჩანაწერები

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC დირექტივის 5(2)(d) მუხლი საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ ითვალისწინებს სამაუწყებლო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საშუალებებითა და საკუთარი მაუწყებლობისთვის გაკეთებული ნაწარმოების ეფემერული ჩანაწერების გაკეთებისას გამონაკლისს / შეზღუდვას რეპროდუცირების უფლებიდან.

2001/29/EC დირექტივის 5(2)(d) მუხლი, წაკითხული 41-ე პუნქტთან ერთად, უნდა განიმარტოს ისე, რომ ავტორების ნაწარმოების რეპროდუცირების განსაკუთრებული უფლებებიდან მაუწყებლობის მიერ განხორციელებული ეფემერული ჩანაწერის გამონაკლისი ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც ჩანაწერი ხორციელდება მაუწყებლობის ორგანიზაციის მიერ, მის მიერ საჯარო გადაცემის მიზნებისათვის და მესამე პირის საშუალებების გამოყენებით, თუ ასეთი მესამე პირი მოქმედებს მაუწყებლობის ორგანიზაციის სახელით ან მისი დავალიებით.

27/04/2012; C-510/10; [DR and TV2 Danmark](#); ECLI:EU:C:2012:244, § 60-61, 66-67

## სამართლიანი გამოყენება

(გამოყენება უფლებისმფლობელის წინასწარი თანხმობის გარეშე)

### არაჰარმონიზებული კონცეფცია

სამართლიანი გამოყენება არის იურიდიულ დოქტრინაში დამკვიდრებული უფლება, რომელიც შეგვიძლია დავუპირისპიროთ საავტორო უფლებების დარღვევის შესახებ პრეტენზიას. სამართლიანი გამოყენების დოქტრინა ავითარებს გამონაკლისების მრავალ შემთხვევას, რომელიც მოსარგებლეს უფლებას აძლევს გამოიყენოს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოები უფლებისმფლობელის წინასწარი თანხმობის გარეშე. დღესდღეისობით, „სამართლიანი გამოყენების“ კონცეფცია, არ არის ევროკავშირში სრულად ჰარმონიზებული. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას აქვს სამართლიანი გამოყენების დოქტრინასთან მიმართებაში შინაარსობრივად მსგავსი მიდგომები დანერგილი, კერძოდ დიდი ბრიტანეთი იყენებს „სამართლიანი შეთანხმების“ კონცეფციას, ისევე როგორც გერმანია „თავისუფალი გამოყენების“ დოქტრინას.

## მუსიკალური ნაწარმოებების მსგავსების განსაზღვა

### მუხლი 9(1)(b) 2006/115/EC დირექტივა

#### მსგავსება – მუსიკალური ნაწარმოების კოპირება

სასამართლომ ეჭვქვეშ დააყენა საკითხი, თუ რამდენად უნდა მივიჩნიოთ რეპროდუცირებად ფონოგრამაში სხვა ფონოგრამის მოკლე აუდიო ფრაგმენტის გამოყენება 2006/115/EC დირექტივის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ქირავნობის უფლების, დროებით მფლობელობაში გადაცემის უფლების და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლების შესახებ 9(1)(b) მუხლის საფუძველზე.

არც მე-9 მუხლი და არც 2006/115 დირექტივის რომელიმე სხვა დებულება არ განსაზღვრავს „ასლის“ კონცეფციას. „სასამართლო მრჩევლის“ მოსაზრებაზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ ისეთი გამოყენება, რომელიც ახდენს ფონოგრამაზე ჩაწერილი ხმის სრულად ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის რეპროდუცირებას უნდა მივიჩნიოთ 2006/115 დირექტივის 9(1) მუხლის საფუძველზე ფონოგრამის ასლის დამზადებად. სასამართლომ ასევე განმარტა, ფონოგრამის ასლის დამზადებად არ მიიჩნევა, როდესაც ხმის ჩანაწერის მოკლე მონაკვეთების გამოყენება ხდება ახალ ფონოგრამაში ისე, რომ ხდება მისი ისეთი ფორმით გადაკეთება, რომ ვერ იდენტიფიცირდება ის ყურის მიერ და იმ მიზნით, რომ შეიქმნას ახალი და განსხვავებული ნაწარმოები.

29/07/2019, C-476, [Pelham](#), ECLI:EU:C:2019:624

## ავტორობის განსაზღვრა, მუსიკალურ ნაწარმოებზე ავტორობის განსაზღვრა, ფონოგრამა.

### მუხლი 3(1), 2001/29/EC დირექტივა

#### ავტორების ექსკლუზიური უფლება - საზოგადოებასთან კომუნიკაციის კონცეფცია

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC დირექტივის 3(1) მუხლი საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ ანიჭებს ავტორებს განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართოს და აკრძალოს მისი ნაწარმოების ნებისმიერი ფორმით საზოგადოებისათვის მიწოდება სადენით ან უსადენო კავშირგაბმულობის გზით, მათ შორის გახადოს მისი ნაწარმოები ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის ისეთი ფორმით, რომ საზოგადოების წევრებს შეეძლოთ მასზე წვდომა მათ მიერ შერჩეულ დროსა და ადგილიდან.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC დირექტივის 3(1) მუხლი საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ უნდა განიმარტოს, რომ ის ფაილების გაზიარებს პლატფორმა არ ახორციელებს „საზოგადოებასთან კომუნიკაციას“, რომელიც მომხარებლებს შეუძლიათ არალეგალურად გახადონ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი საავტორო უფლებებით დაცული მუსიკალური ნაწარმოებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ხელს უწყობს ასეთ დაცულ კონტენტზე წვდომას.

როდესაც ფაილების გაზიარების პლატფორმა ხელს უწყობს დაცულ მუსიკალურ კონტენტზე წვდომას, მათ შორის მისი წაშლისგან თავის შეკავებით, ამ პლატფორმაზე საავტორო უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით შესაბამისი ეფექტური ტექნოლოგიური ზომების შეუსრულებლობის ან დაცული შინაარსის უკანონო გაზიარების ხელშეწყობით, ჩაითვლება, რომ პლატფორმა ახორციელებს „საზოგადოებასთან კომუნიკაციას“.

22/06/2021; C-682/18 and C-183/18; [Peterson](#); ECLI:EU:C:2021:503, § 60-62, 95, 98102

## დაკავშირება (LINKING)

### მუხლი 3(1) 2001/29/EC დირექტივა

#### საზოგადოებასთან კომუნიკაცია – ინტერნეტ მისამართი, რომლებიც გაძლევენ დაცულ სამუშაოებზე წვდომას

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის 2001/29/EC დირექტივის 3(1) მუხლი საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ავტორების ექსკლუზიური უფლების არსებობა ნება დართონ ან აკრძალონ თავიანთი ნაწარმოებების საზოგადოებასთან კომუნიკაცია კაბელით ან უსადენო კავშირგაბმულობის გზით.

„საზოგადოებისთვის კომუნიკაციის“ კონცეფცია მოიცავს ორ კუმულაციურ კრიტერიუმს: საზოგადოების მერ მიღების მიზნით ნაწარმოების მიწოდება „კომუნიკაციის განხორციელება“ და საზოგადოებისათვის ნაწარმოების „საჯაროდ“ მიწოდება. როდესაც ნაწარმოები ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის ისე, რომ საზოგადოებამ შეძლოს მასზე წვდომა, მიუხედავად იმისა, რეალურად ცდილობს თუ არა საზოგადოება ნაწარმოებზე წვდომას, ეს ჩათვლება "კომუნიკაციის განხორციელებად".

2001/29 დირექტივის 3(1) მუხლი უნდა განიმარტოს, რომ ვებგვერდზე ლინკის განთავსება, რომელიც იძლევა საავტორო უფლებებით დაცულ ნაწარმოებზე წვდომას, რომელიც თავისუფლად ხელმისაწვდომობის მიზნით არის განთავსებული სხვა ვებ.გვერდზე, არ ჩაითვლება საზოგადოებასთან კომუნიკაციად ამ მუხიდან გამომდინარე.

13/02/2014, C-466/12, [Svensson](#), ECLI:EU:C:2014:76, § 16, 17

სასამართლომ განიხილა ის შემთვევები, როდესაც ვებ-გვერდზე საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ჰიპერბმულის განთავსება, რომლებიც თავისუფლად ხელმისაწვდომი არის სხვა ვებგვერდზე საავტორო უფლებების მფლობელის თანხმობის გარეშე, შეიძლება ჩაითვალოს „საზოგადოებასთან კომუნიკაციად“ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის შესაბამისად.

სასამართლომ დაადგინა, რომ 2001/29 დირექტივის 3(1) მუხლის შესაბამისად „კომუნიკაციად“ დაკვალიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ „კომუნიკაცია“ ხორციელდებოდეს შემოსავლის მიღების მიზნით. იმისათვის, რომ დადგინდეს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ჰიპერბმულის განთავსება, რომლებიც თავისუფლად ხელმისაწვდომი არის სხვა ვებგვერდზე საავტორო უფლებების მფლობელის თანხმობის გარეშე არის თუ არა „საზოგადოებასთან კომუნიკაცია“, უნდა დადგინდეს ამ ჰიპერბმულების გათავსება ხორციელდება თუ არა ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით.

2001/29 დირექტივის 3(1) მუხლი უნდა განიმარტოს, რომ „საზოგადოებასთან კომუნიკაციად“ არ ჩაითვლება, თუ საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ჰიპერბმულების განთავსება, რომელიც უფასოდ ხელმისაწვდომი არის სხვა ვებ.გვერდზე ხორციელდება ფინანსური სარგებლის მიღების გარეშე და იმ პირის მიერ ვინც არ იცოდა და არ უნდა ჰქონოდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთ ვებგვერდზე ნაწარმოებები განთავსებული იყო უკანონოდ.





თავი V. აღსრულება

**პატენტი – სათანადო კომპენსაცია – კომპენსაცია ზიანისათვის – წინასწარი გადაწყვეტილება – პატენტის გაუქმება**

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/48/EC დირექტივის 9(7) მუხლი, კერძოდამ დებულებაში მოხსენიებული „სათანადო კომპენსაციის“ კონცეფცია უნდა იყოს ინტერპრეტირებული, რომ ის არ ზრუდავს ეროვნულ კანონმდებლობას დააწესოს შეზრუდვა, რომლის თანახმადაც მხარე არ მიიღებს კომპენსაციას იმ ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა იმის გამო, რომ არ განახორციელა ქმედება, რომლითაც როგორც წესი შესაძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება ან შემცირება და რომელიც გარკვეულ გარემოებებში, იწვევს სასამართლოს მიერ მოსარჩელის წინააღმდეგ იმ დროებითი ღონისძიებების დაკისრებაზე უარის თქმას, რომელიც დაავალდებულებდა მას ამ დროებითი ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, მიუხედავად იმისა, რომ პატენტი, რომლის საფუძველზეც დააყენებულ იქნა ზემოაღნიშნული მოთხოვნა და გამოიცა დროებითი ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილება, შემდგომში ბათილად იქნა ცნობილი. სასამართლომ სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს საქმის ყველა ობიექტური გარემოება, მათ შორის მხარეთა ქცევა, რათა დაადგინოს, გამოიყენა თუ არა მომჩივანმა ბოროტად ზემოაღნიშნული ეს ზომები.

„სათანადო კომპენსაციის“ ცნება არის ევროკავშირის სამართლის ავტონომიური კონცეფცია, რომელსაც დამოუკიდებელი და ერთიანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. 2004/48/EC დირექტივის 9(7) მუხლი უნდა იქნას განმარტებული, როგორც წევრი სახელმწიფოების მოეთხოვებათ მიანიჭონ ეროვნულ სასამართლოებს უფლებამოსილება, დააკისრონ მოსარჩელეს, მოპასუხის მოთხოვნის საფუძველზე, უზრუნველყოს იმ დროებითი ღონისძიებით გამოწვეული ზიანისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდა, რომელიც გათვალისწინებულია ამ მუხლით. ეროვნულმა სასამართლოებმა თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყვიტონ, არის თუ არა კომპენსაციის დაკისრება მიზანშეწონილი, ანუ გამართლებულია თუ არა მათი გამოყენება საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე.

2004/48/EC დირექტივის 9(7) მუხლი ადგენს გარკვეულ წინაპირობას, კერძოდ სახეზე უნდა იყოს დროებითი ღონისძიების გაუქმება ან არ უნდა დადგინდეს დარღვევა ან დარღვევის საფრთხის არსებობა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ კომპენსაცია ზიანისათვის ავტომატურად იქნება დაკისრებული (§ 52). აღსრულების შესახებ დირექტივის 22-ე პუნქტი, აწესებს, რომ კომპენსაცია უნდა იყოს „სათანადო“ იმდენად, რამდენადაც იგი ანაზღაურებს „გაუმართლებელი“ დროებითი ღონისძიების გამო მიყენებულ ზიანსა და ხარჯებს (§ 60). დროებითი ღონისძიება გაუმართლებელია, თუ არ არსებობს მისი გამოყენების აუცილებლობა, როდესაც მისმა გადადება არ გამოიწვევს გამოუსწორებელი ზიანის მიყენებას უფლებამფლობელისათვის (§ 61). ასეთ რისკს შეიძლება წავაწყდეთ, როდესაც გვარეობითი საქონლი გაყიდვაშია, მიუხედავად იმისა, რომ პატენტი გაცემულია. ის ფაქტი, რომ დროებითი ღონისძიება უკვე გაუქმებულია, არ არის გადამწყვეტი ფაქტორი იმის დასამტკიცებლად, რომ დროებითი ღონისძიება იყო გაუმართლებელი (§ 63). სხვანაირად, უფლებამფლობელებს შეიძლება თავიდანვე დროებითი ღონისძიების მოთხოვნაზე განცხადების გაკეთების სურვილი გაუქარწყლდეთ (§ 65). ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ, ხომ არ გამოიყენა ბოროტად მოსარჩელემ დროებითი ღონისძიებები (§ 70).

12/09/2019, C-688/17, [Bayer Pharma](#), ECLI:EU:C:2019:722, § 49-50, 52, 60-61, 63, 65, 72.

## წინასწარი გადაწყვეტილება – მუხლ 8(2)(a), 2004/48/EC დირექტივა

ინტერნეტ ვიდეო პლატფორმა – ფილმის ატვირთვა უფლებისმფლობელის წინასწარი თანხმობის გარეშე – სამართალწარმოება ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევისას – მოსარჩელის ინფორმაციის მიღების უფლება

როდესაც ფილმი აიტვირთება ონლაინ ვიდეო პლატფორმაზე საავტორო უფლებების მფლობელის თანხმობის გარეშე, მაგალითად ისეთზე, როგორცაა „YouTube“, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/48/EC დირექტივა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ არ ავალდებულებს სასამართლო ხელისუფლებას დაავალოს ვიდეო პლატფორმას მიაწოდოს მას მომხმარებლის ელექტრონული ფოსტის მისამართი, IP მისამართი ან ტელეფონის ნომერი, რომელმაც ატვირთა შესაბამისი ფილმი. 2004/48/EC დირექტივის მე-8 მუხლი ითვალისწინებს იმ პირების „მისამართების“ გამჟღავნების ვალდებულებას, რომლებმაც დაარღვიეს ინტელექტუალური საკუთრების უფლება, მაგრამ ეს ეხება მხოლოდ მომხმარებლის საფოსტო მისამართს და არა მათ ელფოსტას, IP მისამართს ან ტელეფონის ნომერს ( § 38-40).

09/07/2020, C-264/19, [Constantin Film Verleih](#), EU:C:2020:542, § 38-40.

# ზიანის გაანგარიშება ინტელექტუალური საკუთრების დავებში (სასაქონლო ნიშნები, საავტორო უფლება, დიზაინი)

## მუხლი 13(1) 2004/48/EC დირექტივა

### ზიანის გამოთვლის წესები

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/48/EC დირექტივის 13(1) მუხლი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა სასამართლო ორგანოებმა დაზარალებული მხარის მოთხოვნით, დააკისროს დამრღვევს, რომელმაც იცოდა ან გარემოებებიდან გამომდინარე უნდა სცოდნოდა, რომ არღვევდა ინტელექტუალურ საკუთრებას, გადაუხადოს უფლების მფლობელს მისი ქმედების შესაბამისად უფლებისმფლობელისათვის მიყენებული ფაქტობრივი ზიანი.

2004/48 დირექტივის 17-ე და 26-ე პუნქტების თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის წინააღმდეგ მიღებული ზომები, პროცედურები და დაცვის საშუალებები უნდა განისაზღვროს თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, საქმის სპეციფიკური მახასიათებლებისა ყველა შესაძლო გარემოებებისა და სხვა შესაბამისი ასპექტების გათვალისწინებით, მათ შორის უფლებისმფლობელისთვის მორალური ზიანის გათვალისწინებით.

2004/48 დირექტივის 13(1) მუხლი უნდა განიმარტოს, რომ ის ადგენს უფლებისმფლობელისათვის გადასახდელი ზიანის გამოთვლის პრინციპს, უნდა უზრუნველყოს, რომ დავის დასრულების შემდეგ სრულად ანაზღაურდეს უფლებისმფლობელისთვის „ფაქტობრივად მიყენებული ზიანი“, რაც ასევე მოიაზრებს მორალური ზიანის ანაზღაურებასაც.

კომპენსაციის სრულად დაკისრების უზრუნველყოფის მიზნებისათვის, უფლებისმფლობელს უნდა შეეძლოს მოითხოვოს კომპენსაცია ნებისმიერი მორალური ზიანისთვის, რომელიც მან განიცადა იმ ოდენობის ჩათვლით, რომელსაც იგი მიიღებდა მიუღებელი ჰიპოთეტური ჰონორარისაგან თუ გადასახადისაგან.

17/03/2016, C-99/15, [Liffers](#), ECLI:EU:C:2016:173, § 22-27

## მუხლი 9(3) რეგულაცია (EC) No 207/2009

გონივრული კომპენსაციის კონცეფცია ევროკავშირში სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის განაცხადის შეტანის შემდეგ წარმოქმნილ შემთხვევებთან მიმართებაში

2009 წლის 26 თებერვლის საბჭოს რეგულაციის (EC) No207/2009 9(3) მუხლი უნდა განიმარტოს ისე, რომ ევროკავშირში სასაქონლო ნიშნის მფლობელი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს კომპენსაცია მესამე მხარის ქმედებების გამო, რომლებიც განხორციელდა მანამ, სანამ მისი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ განცხადი გამოქვეყნდებოდა.

„გონივრული კომპენსაციის“ განსაზღვრის მიზნით, №207/2009 რეგულაციის 9(3) მუხლის მნიშვნელობით, მიზანშეწონილია გამოირიცხოს კომპენსაციის დაკისრება სასაქონლო ნიშნის მფლობელისთვის მიყენებული ფართო ზიანისთვის, ნიშნის გამოყენებიდან გამომდინარე, მათ შორის მორალური ზიანისათვის.

22/06/2015; C-280/15; [Nikolajeva](#); ECLI:EU:C:2016:467, § 57, 59

## საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც დაკავშირებულია კონტრაფაქციული/მეკობრული საქონლის/ასლების პირდაპირ და ონლაინ გაყიდვებთან

### რეგულაცია (EC) No 1383/2003

#### ზომები კონტრაფაქციული ან მეკობრული საქონლის ბაზარზე განთავსების თავიდან ასაცილებლად

საბჭოს 2003 წლის 22 ივლისის 1383/2003 რეგულაციის (EC) No 1383/2003 მუხლი 2(1) სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ იმ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევით წარმოებელი საქონლის მიმართდა შესაბამისი ზომების მიღების შესახებ, , უნდა განიმარტოს ისე, რომ არაწვერი ქვეყნიდან შემოსული საქონელი, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირში ინტელექტუალური საკუთრების უფლებით დაცული საქონლის იმიტაციას, განიხილება როგორც „კონტრაფაქციული“ ან „მეკობრული“ საქონელი, თუ დასტურდება, რომ ისინი განკუთვნილია ევროკავშირის ტერიტორიაზე გაყიდვისთვის.

როგორც ასეთი, ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელი საქონლის მიმართ, რომელიც მიყიდულია წევრ სახელმწიფოში მცხოვრებ პირზე, არაწვერი სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებული ონლაინ გაყიდვების პლატფორმის მეშვეობით, სარგებლობს თავისი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით იმ მომენტიდან, როდესაც ეს საქონელი შედის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში.

06/02/2014; C-98/13; [Blomqvist](#); ECLI:EU:C:2014:55, § 33-35

## კონტრაფაქციული საქონლის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების აკრძალვის ღონისძიებები

მართლმსაჯულების სასამართლოს აქვს იურისდიქცია განმარტოს, იყო თუ არა კონტრაფაქციული საქონლის დაყადაღების შემდეგ განხორციელებული შუალედური ღონისძიება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების (TRIPS) 50-ე მუხლით გათვალისწინებული „დროებითი ღონისძიება“.

TRIPS-ის შეთანხმების 50-ე მუხლი უნდა განიმარტოს, როგორც ღონისძიება, რომლის მიზანია სასაქონლო ნიშნის სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრა, რომელიც ექცევა „დროებითი ღონისძიების“ ფარგლებში, იმ პირობით, რომ (ა) ეს არის „დაუყოვნებლივი დროებითი ღონისძიება, რომლის განხორციელება აუცილებელია მისი გადაუდებელი ხასიათიდან გამომდინარე (ბ) განხორციელდება მოწინააღმდეგე მხარის გამოძახება და მოსმენა, (გ) გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული და წერილობით მიღებული, (დ) შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების გასაჩივრება და (ე) გადაწყვეტილება აღიარებულია მხარეების მიერ, როგორც მათი დავის „საბოლოო“ გადაწყვეტა.

16/06/1998; C-53/96; [Hermès](#); ECLI:EU:C:1998:292, § 33-34



შუალედური მომსახურების მიმწოდებელთა  
პასუხისმგებლობა ინტელექტუალური საკუთრებს  
უფლებების დარღვევისას (სასაქონლო ნიშნები,  
საავტორო უფლებები, დიზაინი)

მუხლ 11, 2004/48/EC დირექტივა

შუალედური მომსახურების მიმწოდებლების პასუხისმგებლობა, რომლის  
მომსახურებებსაც მესამე მხარე იყენებს ინტელექტუალური საკუთრების  
უფლების დარღვევისთვის

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/48/EC დირექტივის მე-11 მუხლი  
ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ უნდა განიმარტოს, როგორც  
შუალედურ მომსახურების მიმწოდებელს ეკისრება პასუხისმგებლობა ინტელექტუალური  
საკუთრების უფლების დარღვევისათვის, რომლის მომსახურებებსაც მესამე მხარე იყენებს  
ინტელექტუალური საკუთრების დარღვევისათვის და უნდა მიიღოს სამართლებრივი ზომები,  
რომლებიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ამ უფლების დარღვევის შეწყვეტას, არამედ ამ ტიპის  
შემდგომი მსგავსი დარღვევების თავიდან აცილებას.

07/07/2016, C-494/15, [Tommy Hilfiger](#), ECLI:EU:C:2016:528, § 30, 36-37

# სარჩელის უზრუნველსაყოფის ღონისძიების გამოყენების სტანდარტი, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს მოსარჩელემ ინტელექტუალური საკუთრების დავებში

## მუხლი 4(c), 2004/48/EC დირექტივა

### სამართლებრივი მდგომარეობა - სასაქონლო ნიშნის მფლობელთა კოლექტიური წარმომადგენლობა

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/48/EC დირექტივის 4(c) მუხლი უნდა განიმარტოს, როგორც წვერი სახელმწიფოების ვალდებულება აღიარონ დაწესებულება/ორგანიზაცია, რომელიც კოლექტიურად წარმოადგენს და იცავს სასაქონლო ნიშნის მფლობელებს და რომელიც სასაქონლო ნიშნის მფლობელთა უფლებების დაცვის მიზნით საკუთარი სახელით ახორციელებს სააღსრულებო ღონისძიებებს წარმოებას საკუთარი სახელით. თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი დაწესებულება/ორგანიზაცია მიჩნეულია ეროვნული კანონმდებლობის მიერ, როგორც პირდაპირი დაინტერესებული პირი ამ უფლებების დაცვაში და თუ ეროვნული კანონმდებლობა უფლებას აძლევს მას განახორციელოს სამართლებრივი პროცედურები. განმხილველი სასამართლოს კომპეტენციაა განსაზღვროს, განიხილება თუ არა ასეთი დაწესებულება/ორგანიზაცია ეროვნული კანონმდებლობით, პირდაპირი ინტერესის მქონე სუბიექტად სასაქონლო ნიშნის მფლობელების უფლებების დასაცავად, რომლებსაც ის წარმოადგენს და უფლებას აძლევს თუ არა მას ეროვნული კანონმდებლობა განახორციელოს სამართლებრივი მოქმედებები.

07/08/2018; C-521/17; [Coöperatieve Vereniging](#); ECLI:EU:C:2018:639, § 34-39

## მუხლი 19(2), რეგულაცია(EC) No 6/2002

### მტკიცების ტვირთი - მტკიცებულებათა წარდგენა

2001 წლის 12 დეკემბრის საბჭოს რეგულაციის (EC) No6/2002 კავშირის დიზაინის შესახებ, მუხლი 19(2) უნდა განიმარტოს როგორც დიზაინზე უფლების მფლობელის მტკიცების ტვირთია, რომ მისი ნამუშევრის სავარაუდო უნებართვო გამოყენება გამოწვეულია მისი დიზაინის კოპირებით. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ დაადასტურა ზოგადი პრინციპი, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება მხარეს, რომელიც ცდილობს დაიცვას თავისი უფლება.

№6/2002 რეგულაციის მე-19 მუხლი არ ითვალისწინებს მტკიცებულებების წარდგენის მკაფიო წესებს. ასეთი წესები უნდა განისაზღვროს წევრი სახელმწიფოების შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ეროვნული სასამართლო აღმოაჩენს, რომ მტკიცების ტვირთი ისეა განაწილებული, რომ ის შეუძლებელს ხდის ან ზედმეტად ართულებს რეპროდუცირების მტკიცებულების წარმოდგენას, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს ეროვნული კანონმდებლობის ნებისმიერი დანაწესი, რომელიც იძლევა მტკიცების ტვირთის რეალობასთან მორგების ან შემსუბუქების შესაძლებლობას. ამიტომ, გარკვეულ გარემოებებში, რეპროდუცირების ალბათობა შეიძლება იყოს გონივრულად გადახედილი, რომლის შედეგადაც მტკიცების ტვირთი შესაძლოა გადავიდეს მოპასუხეზე.

13/02/2014; C-479/12; [Gautzsch](#); ECLI:EU:C:2014/75, § 39, 42-44

## სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაკმაყოფილება, რომელიც არის სასარჩელო მოთხოვნის იდენტური

ევროსასამართლოებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არასდროს მიუღიათ გადაწყვეტილება. ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის 2004/48/EC დირექტივა ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების შესახებ არ იძლევა დამატებით განმარტებას თემასთან დაკავშირებით..



ეს პუბლიკაცია ეკუთვნის საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - “საქპატენტს”, როგორც EUGIPP პროექტის მთავარ ბენეფიციარს. დასაშვებია მომხმარებლის მიერ ამ პუბლიკაციის რეპროდუცირება, გავრცელება, ადაპტირება, თარგმნა და საჯარო შესრულება, მათ შორის, კომერციული მიზნებით, წერილობითი ნებართვის გარეშე, იმ პირობით, რომ გამოყენებულ შინაარსს თან დაერთვება საქპატენტის, როგორც წყაროს, მითითება, რაც გარკვევით იქნება აღნიშნული, ასევე, მიეთითება, თუ თავდაპირველ შინაარსში შეტანილი იქნება ცვლილებები.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.

მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.